ჩაკ პალანიკი

**მებრძოლთა კლუბი**

კეროლ მიდერს
რომელიც ჩემს ყოველ ცუდ საქციელს იტანს.

**1**

ტაილერმა ოფიციანტად დამაწყებინა მუშაობა, ახლა კი იარაღის ლულას მიდებს პირში და ამბობს: “პირველი ნაბიჯი მარადიულ სიცოცხლემდე არის სიკვდილი.”
დიდი ხნის მანძილზე მე და ტაილერი საუკეთესო მეგობრები ვიყავით. ადამიანები ხშირად მეკითხებიან, ვიცნობ თუ არა ტაილერ დერდენს.
იარაღის ლულა ჩემს გლანდებს აწვება, ტაილერი ამბობს, “ჩვენი სიკვდილი არ იქნება ნამდვილი.”
ენით მაყუჩის ნახვრეტებს ვგრძობ, რომლებიც ჩვენ ერთად გავუკეთეთ იარაღის ლულას. გასროლის ხმას ფეთქებადი გაზები და ტყვიის მოძრაობის სისწრაფე წარმოშობს. მაყუჩის გასაკეთებლად საჭიროა, იარაღის ლულა ბევრ ადგილას გახვრიტო, საიდანაც გაზი ამოვა და ტყვიის სისწრაფე ხმის სისწრაფეზე ნაკლები გახდება.
თუკი ნახვრეტებს არასწორად დაადებ, იარაღი პირდაპირ ხელებში აგიფეთქდება.
“სიკვდილი არ არსებობს,” ამბობს ტაილერი. “ჩვენ ლეგენდად ვიქცევით და არასდროს დავბერდებით.”
მე ენით ვწევ ლულას ისე, რომ ის ლოყას მიედოს და ვამბობ, “ტაილერ, შენ გგონია, ვამპირები ვართ.”
შენობა, რომელშიც ვიმყოფებით, ზუსტად ათ წუთში გაქრება. აიღეთ 98% - იანი აკვამლებული აზოტმჟავა და შეურიეთ სამჯერ მეტ გოგირდის მჟავას. ეს უნდა მოხდეს ყინულის აბაზანაში. შემდეგ წვეთ-წვეთად დაუმატეთ გლიცერინი თვალის საწვეთურიდან. თქვენ მიიღებთ ნიტროგლიცერინს.
მე ეს იმიტომ ვიცი, რომ ტაილერმა იცის.
დაუმატეთ ნიტროგლიცერინს ნახერხი და თქვენ მიიღებთ შესანიშნავ პლასტიკურ ასაფეთქებელს. ზოგჯერ ნიტროგლიცერინს უმატებენ ბამბას და ინგლისურ მარილს. ამის აფეთქებაც შეიძლება. ზოგჯერ პარაფინს იყენებენ ნიტროგლიცერინთან ერთად. პარაფინი მე არსად არასდროს გამომიყენებია.
მაშ ასე, მე და ტაილერი ვიმყოფებით “პარკერ-მორის ბილდინგის“ თავზე, მე იარაღი მაქვს გათხრილი პირში, ისმის შუშის მსხვრევის ხმა. სახურავის კიდეს გავყურებ, ასეთ სიმაღლეზეც კი აღწევს უმზეო და ღრუბლიანი დღე. ეს მსოფლიოს ყველაზე მაღალი შენობაა და ასეთ სიმაღლეზე ნიავი ყოველთვის ცივია. და აქ ისეთი სიჩუმეა, თითქოს შენც ერთ-ერთი მაიმუნი ასტრონავტი ხარ. უბრალოდ აკეთებ იმას, რაც გასწავლეს.
მოქაჩე ბერკეტს.
დააჭირე ღილაკს.
თავიდან ამის არაფერი გაგეგება, ხოლო შემდეგ უბრალოდ კვდები.

ასოთხმოცდამეთერთმეტე სართულიდან  ქვემოთ იხედები, სახურავის კიდეზე მდგარი და ხედავ ხალიჩასავით გაშლილ ქუჩას, რომელზე მდგარი ადამიანებიც წინწკლებად მოჩანან, ზემოთ იხედებიან. შუშა, რომელიც იმსხვრევა, წარმოადგენს ფანჯრის მინას ზუსტად ჩვენს ქვედა სართულზე. ფანჯარა ფეთქდება და შენობიდან საბუთების კარადა მოფრინავს, რომელიც ჰგავს დიდ, შავ მაცივარს, ზუსტად ჩვენ ქვემოთ ექვს უჯრიანი საბუთების კარადა შენობის კლდოვანი ნაპირიდან გარეთ ვარდება, უჯრები წვიმის წვეთებივით ნელა ტრიალებენ ჰაერში, პატარავდებიან და ქრებიან ერთად შეგროვილ ხალხის ბრბოში.
ჩვენ ქვემოთ, ასოთხმოცდათერთმეტი სართულიდან ერთ-ერთზე, ასტრონავტი მაიმუნები ნგრევის პროექტის დაუმორჩილებლობის კომიტეტიდან, ჭკუიდან შეიშალნენ და დაიწყეს ისტორიის განადგურება.
ამბობენ, რომ ადამიანებს სჩვევიათ მოკლან ის, ვინც უყვართ. დაუკვირდი, ეს სიტყვები სწორია ასეც და პირიქითაც.
როცა პირში იარაღი გაქვს გათხრილი და მისი ლულა კბილებს შორის გიდევს, მხოლოდ ხმოვანი ასოებით გიწევს ლაპარაკი.
ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი ათი წუთი დაიწყო.
კიდევ ერთი ფანჯარა იმსხვრევა, შუშის ნამსხვრევები მტრედების გუნდივით იშლება ჰაერში, ფანჯრიდან  გრძელი, შავი სამუშაო მაგიდის კუთხე მოჩანს, რომელსაც დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრები  შენობიდან აგდებენ, ის ნაწილ-ნაწილ ჩნდება ფანჯრიდან, სამუშაო მაგიდა იხრება, სრიალდება და მოფრინავს, როგორც იდუმალებით მოცული მფრინავი ობიექტი, და ხალხის ბრბოში უჩინარდება.
ცხრა წუთში Parker-Morris Building-ი  აღარ იარსებებს. აიღეთ საკმარისი ოდენობის პლასტიტი და წაუსვით ის რომელიმე შენობის ფუნდამენტის სვეტებს, ასე შეიძლება მსოფლიოში ნებისმიერი შენობა ჩამოანგრიოთ, რაც მთავარია, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ სვეტების გარშემო მჭიდროდ დატკეპნოთ შაქრით სავსე ტომრები, რათა აფეთქების წნევა პირდაპირ სვეტებს მიასკდეს და არ გაიშალოს მის გარშემო, მიწისქვეშა სამანქანო გარაჟში.
ვერცერთ ისტორიის სახელმძღვანელოში ვერ ამოიკითხავთ ასეთ სასარგებლო ინფორმაციას.
არსებობს ნაპალმის მომზადების სამი გზა. პირველი: აურიეთ ბენზინის და გაყინული ფორთოხლის წვენის კონცენტრანტის თანაბარი ოდენობა. მეორე: აურიეთ ბენზინის და დიეტური კოლას თანაბარი ოდენობა. მესამე: გახსენით კატის გამხმარი განავალი ბენზინში და ურიეთ, სანამ არ გასქელდება.
მკითხეთ, როგორ მოვამზადოთ ნერვული სისტემის მაპარალიზებელი გაზი. ოჰ, ან გასაგიჟებელი საავტომობილო ბომბები.
ცხრა წუთი.
Parker-Morris Building-ი მალე დაეცემა თავის ასოთხმოცდათერთმეტი სართულით, ისევე ნელა, როგორც ხე ეცემა ტყეში. ხე-ტყე. შეგიძლია ყველაფერი გაანადგურო. საშინელი წარმოსადგენია, მაგრამ იმ ადგილისგან, სადაც ჩვენ ახლა ვდგავართ, მალე მხოლოდ ცარიელი წერტილი დარჩება ცაში.

მე და ტაილერი შენობის სახურავის კიდეზე ვდგავართ, პირში იარაღი მიდევს, მიკვირს, რატომაა მისი ლულა ასეთი სუფთა.
ჩვენ თითქმის გადაგვავიწყდა ტაილერის მკვლელურ-თვითმკვლელური გართულებები, როცა ვუყურებდით, როგორ გადმოვარდა შენობიდან კიდევ ერთი საბუთების კარადა, ჰაერში მისი უჯრები გაიღო, საიდანაც თეთრი ქაღალდის დასტები ამოფრინდნენ, რომლებიც ქარმა შეათამაშა.
რვა წუთი.
და ბოლოს კვამლი, კვამლი რომელიც ჩამსხვრეული ფანჯრებიდან იღებს სათავეს. დაახლოებით რვა წუთში დამანგრეველთა ჯგუფი მოქმედებაში მოიყვანს პირველად ბომბს. პირვალადი  ბომბი დაუკავშირდება მთავარ ბომბს, რაც გამოიწვევს შენობის ფუნდამენტის სვეტების ნგრევას და ამ მოვლენის ამსახველი ფოტოსერია აღმოჩნდება ისტორიის ყველა სახელმძღვანელოში.
ხუთ პერიოდად დაყოფილი ფოტოსერია. ამ ფოტოში შენობა ჯერ კიდევ ადგილზე დგას. მეორე ფოტოში შენობა გადახრილია ვერტიკალისგან რვა პროცენტით. შემდეგ, გადახრილია ოცი პროცენტით. შემდეგ ორმოცდახუთი პროცენტით, მეოთხე ფოტოში, შესაბამისად შენობის ჩონჩხი უკვე იწყებს დაშლას და კოშკი თაღს ემსგავსება. და ბოლო კადრი, ცათამბჯენის ასოთხმოცდათერთმეტი სართული თავზე ემხობა ნაციონალურ მუზეუმს, რომელიც ასევე ტაილერის სამიზნეა.
“ეს ახლა ჩვენი სამყაროა, მხოლოდ ჩვენი სამყარო,” ამბობს ტაილერი. “ არქაული ადამიანები გადაშენდნენ.”
რომ მცოდნოდა, ასე შემოტრიალდებოდა ყველაფერი, დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩემთვის, მოვმკვდარიყავი და ახლა ზეცაში ვყოფილიყავი.
შვიდი წუთი.
მე ისევ ცათამბჯენის სახურავზე ვიმყოფები, ტაილერის იარაღი პირში მაქვს გათხრილი. საბუთების კარადები, სამუშაო მაგიდები, კომპიუტერები ფანჯრებიდან ქვემოთ, ალოდებულნი მიფრინავენ შენობის გარშემო შეგროვილი ხალხის მიმართულებით, ჩამსხვრეულ ფანჯრებს კვამლი ასდის და, რამდენიმე კვარტალის მოშორებით, დამანგრეველთა ჯგუფის წევრები მაჯის საათებს უყურებენ. მე ვიცი, რომ ეს ყველაფერი: იარაღი პირში, ანარქია, აფეთქებები მარლა ზინგერს უკავშირდება.
ექვსი წუთი.
ჩვენ რაღაც სამკუთხედის მაგვარი გვაქვს, მე მსურს ტაილერი, ტაილერს სურს მარლა, მარლას ვსურვარ მე.
მე არ მსურს მარლა და არც მე ვსურვარ ტაილერს მის სიახლოვეს, აღარ ვსურვარ. მე არ ვგულისხმობ სიყვარულს, რომელიც ზრუნვას მოიცავს. მე ვგულისხმობ სიყვარულს, რომელიც გულისხმობს ქონას და ფლობას.
ტაილერი არარაობა იქნებოდა მარლას გარეშე.
ხუთი წუთი.
შეიძლება ჩვენ მართლა ლეგენდად ვიქცეთ, მაგრამ შეიძლება არც ვიქცეთ. არა, ვამბობ მე, მოიცადე.
ვინ იქნებოდა ახლა ქრისტე, თუ მასზე არავინ დაწერდა სახარებას?

ოთხი წუთი.
მე  იარაღის ლულას ენით ლოყისკენ ვწევ და ვამბობ, შენ გინდა ლეგენდად იქცე, ტაილერ, მეგობარო, მე გაქცევ ლეგენდად. მე ხომ შენ გვერდით ვიყავი, პირველი დღიდან მოყოლებული.
მე ყველაფერი მახსოვს.
სამი წუთი.
**2**
ბობმა თავისი დიდი ხელები შემომხვია და მე მის უზარმაზარ, ოფლიან ძუძუებს შორის აღმოვჩნდი, მისი ძუძუები იმდენად უზარმაზარია, რამდენადაც ღმერთი წარმოგიდგენია დიდი. აქ, ეკლესიის სარდაფში, ჩვენ ყოველ ღამით ვიკრიბებით: ეს არტია, ეს პოლი, ეს ბობი; ბობის გრძელი მხრები ჰორიზონტს მაგონებს. ბობის მსხვილი და ქერა თმა მოწმობს იმაზე, თუ რა დაემართება თქვენს ვარცხნილობას, თუ თმის ბალზამი მუსობას დაიბრალებს. ის გასქელდება და გაღიავდება,  ზოგ ადგილას  კი გაიფშიკება.
ბობი მკლავებს მხვევს. ის ხელისგულს მკიდებს და სახეს თავის კასრივით მკერდში მადებინებს.
“ყველაფერი კარგად იქნება,” ამბობს ბობი. “ახლა შენ იტირე.” მთელი სხეულით ვგრძნობ, როგორ იწვის საკვები ნივთიერება და ჟანგბადი ბობის სხეულში.
“შესაძლოა, ამათ ჯერ ადრეული სტადია აქვთ,” ამბობს ბობი. “შესაძლოა, მათ მხოლოდ სემინომა აქვთ. სემინომას შემთხვევაში გადარჩენის თითქმის ასპროცენტიანი შანსი გაქვს.”
ბობის მხრები ჩასუნთქვისას ჰაერში იწევიან და ბიძგებით იწყებენ დაშვებას. დაშვება, დაშვება, დაშვება, ნერვული ტირილით. ჰაერში იწევიან. დაშვება, დაშვება, დაშვება.
მე ყოველ კვირას დავდივარ აქ  ბოლო ორი წლის განმავლობაში და ყოველ კვირას ბობი მხვევს მკლავებს და მე ვტირი.
“ახლა შენ იტირე.” ამბობს ბობი, ჩაისუნთქავს და აგრძელებს ტირილს, ისევ და ისევ. “ახლა შენ განაგრძე ტირილი.”
დიდი, სველი სახე ჩემ უკან ქრება და მე მასში ვიკარგები. ამ დროს ვიწყებ ტირილს. ტირილი ადვილია, როცა ბნელა და ვინმეს მკლავებში ხარ მომწყვდეული, როცა ხვდები, რომ ყველაფერი, რისი მიღწევაც შეგეძლო, ადრე თუ გვიან ფერფლად იქცევა.
ყველაფერი, რითიც ამაყობდი, სანაგვეზე აღმოჩნდება მოსროლილი.
და მე მასში ვიკარგები.
სწორედ ასე ახლოს ვიყავი ძილთან მთელი კვირის განმავლობაში.
სწორედ ასე გავიცანი მარლა ზინგერი.
ბობი ტირის, რადგან ექვსი თვის წინ მას ყვერები მოაჭრეს. შემდეგ დასვეს ჰორმონალურ თერაპიაზე. ბობს ძუძუები გაეზარდა, რადგან მას ძალიან მაღალი ტესტოსტერონი აქვს. თუ ტესტოსტერონის დონე აიწევს, თქვენი სხეული გამოიმუშავებს ესტროგენს, რათა ორგანიზმში აღდგეს ბალანსი.

მე ვტირი იმიტომ, რომ ჩემი ცხოვრება აზრს კარგავს, უფრო მეტიც, ის უკვე დავიწყებას ეძლევა.
თუ ორგანიზმში საკმარისზე მეტი ესტროგენი გაქვს, შენ გაგეზრდება ჯიქნები, როგორც ძუკნას.
ტირილი ადვილია, თუ შენ ხვდები, რომ ყველა, ვინც გიყვარს, ან მიგატოვებს, ან მოკვდება. ხანგრლივი დროის განმავლობაში გადარჩენის შანსი ყველასათვის ნოლის ტოლია.
ბობს ვუყვარვარ, რადგან ფიქრობს, რომ ყვერები მეც მომაჭრეს.
აქ, წმინდა სამების ეპისკოპალურ ეკლესიაში, რომელიც ღარიბებისთვის განკუთვნილი ავეჯის მაღაზიიდან მოტანილი სავარძლებით არის მოწყობილი, ოცამდე მამაკაცი და ერთი ქალი იკრიბება, ისინი წყვილდებიან. წყვილების უმეტესობა ტირის. ზოგიერთები ყურით ყურზე მიწებებულნი დგანან, მოჭიდავეებივით ერთმანეთს ბღუჯავენ. მამაკაცი, რომელიც ერთადერთ ქალთან დაწყვილდა, იდაყვებს ადებს მას მხრებზე, თითო იდაყვი თითო მხარზე; ქალის თავი მამაკაცის ხელებს შორისაა მოქცეული, რომლის სახე ქალის კისერს დასტირის. ქალი თავს გვერდზე ხრის და მის ხელს სიგარეტი მიაქვს პირთან.
მე თავს ვიძვრენ დიდი ბობის იღლიიდან.
“მთელი ცხოვრებაა,” ქვითინებს ბობი. “თვითონაც არ მესმის, რისთვის ვარსებობ.”
აქ ყვერის კიბოთი დაავადებულთა მხარდაჭერის ჯგუფში, სახელწოდებით - “დავრჩეთ მამაკაცებად”, ერთადერთი ქალია, პარტნიორის სიმძიმისგან მოხრილი ეს ქალი სიგარეტს ეწევა და მისი თვალები ჩემს თვალებს ხვდებიან.
თაღლითი.
თაღლითი.
თაღლითი.
შავი, მოკლე თმა, დიდი თვალები იაპონური მულტფილმის გმირივით, რძისფერი და გამხდარი ტანი, შავი ვარდებით მოხატული კაბა. ეს ქალი მანამდეც მინახავს, პარასკევ საღამოს, ტუბერკულოზით დაავადებულთა მხარდაჭერის ჯგუფში.
ის მრგვალ მაგიდასთან იჯდა, მელანომით დაავადებულთა შეხვედრაზე, ოთხშაბათს. ორშაბათს ის ესწრებოდა “მტკიცე რწმენის” შეხვედრას მათთვის, ვინც ლეიკემიით იტანჯება. თმა შუაზე აქვს გადაყოფილი და თეთრი სკალპი მოუჩანს, რომელიც ელვასავით იკლაკნება.
ამ მხარდაჭერის ჯგუფებს თუ დაუკვირდები, ძალიან ბუნდოვანი და ოპტიმისტური სახელები აქვთ. ხუთშაბათობით, საღამოს საათებში, მე დავდივარ ჯგუფში, სისხლის პარაზიტებით დაავადებულთათვის, სახელად “თავისუფლება და სისუფთავე”. ჯგუფს, სადაც ტვინის პარაზიტების გამო დავდივარ, ჰქვია “დაძლიე და გადალახე”. ხოლო კვირაობით, აქ, წმინდა სამების ეპისკოპალურ ეკლესიაში, ჯგუფში, სახელად “დავრჩეთ მამაკაცებად”, მე კიდევ ერთხელ ვხვდები ამ ქალს.
ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ მე ვერ ვტირი, როცა ის მიყურებს.
არადა ჩემი საყვარელი მომენტი იყო, როცა ბობის ძუძუებში ჩაფლული, უიმედო ტირილს ვეძლეოდი. ყოველ ჩვენგანს ძალინ მძიმე სამსახური აქვს. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შემიძლია მოვდუნდე და ყველაფერი დავივიწყო.

ეს არის ჩემი შვებულება.
მე ორი წლის წინ მოვედი ჩემს პირველ მხარდაჭერის ჯგუფში, სწორედ მას შემდეგ, როცა კიდევ ერთხელ მივაკითხე ექიმს უძილობის გამო.
სამი კვირა არ მიძინია. სამკვირიანი უძილობის შემდეგ მე თავს ვგრძნობდი როგორც სული, რომელმაც საკუთარი სხეული დატოვა. ექიმმა მითხრა, „უძილობა მხოლოდ სიმპტომია, რომელიც რაღაც უფრო მნიშვნელოვანზე მიუთითებს, შეეცადეთ გაერკვეთ, რა გაწუხებთ სინამდვილეში. უსმინეთ საკუთარ სხეულს.“
მე კი მხოლოდ ძილი მინდოდა. მე მხოლოდ მინდოდა, რომ ჩემთვის ნატრიუმის ამიტალის პატარა, ლურჯი ამპულები გამოეწერა, ორასი მილიგრამის მოცულობის. ან ტყვიის ფორმის, მოწითალო-მოლურჯო, ტუინალის ამპულები, ან სეკონალის წითელი ტაბლეტები.
ექიმმა მირჩია, კატაბალახას ძირები დამეღეჭა და მეტი მევარჯიშა ფიზიკურად. ამის შემდეგ ძილი უნდა დამბრუნებოდა.
ჩემი სახე, დამპალი ხილივით დაბეჟილი, იხრწნებოდა. იფიქრებდი, რომ მოვკვდი. ექიმმა მითხრა, რომ თუ მართლა მაინტერესებდა, რა არის ნამდვილი ტკივილი, აჯობებდა წავსულიყავი პირველი ზიარების ტაძარში, სამშაბათ საღამოს, და მენახა ისინი, რომელთაც ტვინის პარაზიტები სჭირთ, რომელთაც ძვლის დაშლა სჭირთ, რომელთაც ტვინის ორგანული დისფუნქცია სჭირთ, მენახა კიბოთი მომაკვდავი პაციენტები.
ხოდა მეც წავედი მათ სანახავად.
როცა პირველ მხარდაჭერის ჯგუფში მივედი, იქ გაცნობის პროცესი მიმდინარეობდა .ეს ალისაა, ეს ბრენდაა, ეს დოვერია. ყველა იღიმის, თუმცა თავი საშინელებებით აქვთ სავსე.
მე არასდროს ვამხელ ჩემს ნამდვილ სახელს მხარდაჭერის ჯგუფებში.
ეს ქალის პატარა ჩონჩხია, სახელად ხლო, ტრაკის ადგილას მის შარვალში სევდიანი სიცარიელეა, ხლო მეუბნება, რომ ტვინის პარაზიტებში ყველაზე ცუდი ისაა, რომ მასთან სექსი აღარავის უნდა. ის იმდენად ახლოს იყო სიკვდილთან, რომ სადაზღვეო კომპანიას სამოცდათხუთმეტი ათასი დოლარის გადახდა მოუწია და ერთადერთი, რაც მას უნდა, არის ის, რომ ვინმე დაწვეს მასთან. არა ინტიმი, არამედ სექსი.
რა უნდა თქვას ასეთ დროს მამაკაცმა? თქვენ რას იტყოდით, მაგალითად.
მან კვდომა მას შემდეგ დაიწყო, რაც პირველად იგრძნო ოდნავი დაღლილობა, ახლა კი იმდენად მობეზრდა ყველაფერი, რომ უკვე აღარც მკურნალობს.
პორნოგრაფიული ფილმები, მას სახლი სავსე აქვს პორნოგრაფიული ფილმებით.
საფრანგეთის რევოლუციის დროს, როგორც ხლო ჰყვებოდა, პატიმარი ქალები, არისტოკრატი ქალები, ბარონესები, ჰერცოგები, მარკიზები, ყველანი, ნებისმიერ კაცთან ჟიმაობდნენ, რომლებსაც მოიხელთებდნენ. ხლო ჩემს კისერთან სუნთქავდა. ყველასთან, ვისაც მოიხელთებდნენ. ანაზღაურების სანაცვლოდ. ჟიმაობაში ატარებდნენ დროს.
La petite mort, ასე ეძახდნენ მას ფრანგები.
ხლოს პორნოგრაფიული ფილმების კოლექცია  იმ შემთხვევისთვის აქვს, თუ ეს მე დამაინტერესებს. მას ასევე  ამილნიტრატი და ინტიმური კრემები აქვს.

ჩვეულებრივ, ასეთ მომენტებში ერექცია მაქვს. ჩვენი ხლო, როგორღაც, ის არის ჩონჩხი, რომელიც ყვითელ ცვილის კანშია მომწყვდეული.
როცა ვუყურებ, თუ როგორია ხლო, ვხვდები, რომ მასთან შედარებით მე არარაობა ვარ. არარაობაც კი არა ვარ. და მაინც, ხლო მხარს მკრავს, როცა ჩვენ წრეში ვსხედვართ ბეწვიან ხალიჩაზე. თვალებს ვხუჭავთ. დღეს ხლოს ჯერია გაუძღვეს მედიტაციას, მას შევყავართ სიმშვიდის ბაღში. მიგვიძღვის მთაზე, სადაც შვიდკარა სასახლე დგას. სასახლეში, რომელსაც შვიდი კარი აქვს, მწვანე კარი, ყვითელი კარი, ნარინჯისფერი კარი, ხლოს სურს, რომ ჩვენ გავაღოთ ყოველი მათგანი, ლურჯი კარი, წითელი კარი, თეთრი კარი და აღმოვაჩინოთ, რა ხდება ამ კარებს მიღმა.
ჩვენ თვალებდახუჭული წარმოვიდგენდით საკუთარ ტკივილს, როგორც თეთრ, განმკურნავ სინათლის ბურთს, რომელიც ჩვენს ტერფებთან იწყებს ტივტივს, შემდეგ ამოდის მუხლებამდე და მკერდამდე. ჩვენი ჩაკრები იხსნებიან. გულის ჩაკრა. გონების ჩაკრა. ხლოს შევყავართ გამოქვაბულში, სადაც საკუთარ მფარველ ცხოველს უნდა შევხვდეთ. ჩემი მფარველი ცხოველია პინგვინი.
გამოქვაბული ყინულითაა დაფარული და პინგვინი მეუბნება, გასრიალდი. ჩვენ მარტივად და მხიარულად მივსრიალებთ გვირაბებსა და გალერეებში.
ამის შემდეგ ჩახუტების პროცესი იწყება.
გაახილეთ თვალები.
ეს თერაპიული და ფიზიკური კონტაქტია, ამბობს ხლო. ახლა ყველამ უნდა ავირჩიოთ პარტნიორი. ხლო კისერზე მომეხვია და ატირდა. მას სახლში უბრეტელო საცვალი აქვს და ტირის. ზეთები და ხელბორკილები, და ტირის. ამასობაში ჩემი მაჯის საათის ერთ-ერთი ისარი მეთერთმეტე წრეზე წავიდა.
ერთი სიტყვით, მე არ მიტირია მხარდაჭერის ჯგუფის ჩემს პირველ შეხვედრაზე, ორი წლის წინ. არც მეორე და მესამე შეხვედრაზე არ მიტირია. არ მიტირია სისხლის პარაზიტებზე, ნაწლავების კიბოზე და ტვინის ორგანიულ დემენციაზე.
აი სადამდე მიყავხარ უძილობას, ყველაფერი ძალიან შორი გეჩვენება, როგორც ასლის ასლის ასლი. უძილობა წარმოქნის სიშორეს, ვერაფერს ეხები და ვერაფერი გეხება შენ.
შემდეგ გამოჩნდა ბობი. პირველსავე შეხვედრაზე ყვერის კიბოიანებთან მივედი, ცხენ-კაცა ბობი, ქონის გუნდა, ჯგუფში „დავრჩეთ მამაკაცებად," თავზე დამემხო და ატირდა. ეს უზარმაზარი ცხენ-კაცა ხესავით ამოიზარდა ოთახში ჩემს მოპირდაპირე მხარეს, როცა ჩახუტების დრო მოვიდა. მისი მკლავები, მისი მომრგვალებული მხრები, მისი უზარმაზარი, ცხენ-კაცას ნიკაპი, საკუთარ მკერდზე ჩამოდებული, მისი თვალები, დაწვრილებული და აცრემლებული. მისი ფლატუნა ტერფები, მუხლებშეტყუპებული უხილავი ნაბიჯები, ბობმა სარდაფის იატაკი სრიალით გადმოჭრა, რომ ზედ თავზე დამდგომოდა.
ბობი თავზე დამეცა.
ბობმა უზარმაზარი მკლავები შემომხვია.
დიდი ბობი ათლეტი იყო, როგორც მან მომიყვა. ყოველდღე სალათივით იღებდა დიანაბოლს, დოღის ცხენის სტეროიდს, ვისტროლს. საკუთარი დარბაზი, დიდ ბობს საკუთარი დარბაზიც კი ჰქონდა. სამჯერ იყო დაქორწინებული.

გარკვეული პროდუქტის რეკლამას აკეთებდა ტელევიზორში, ნუთუ არასდროს მინახავს? საკუთარი გადაცემაც ჰქონდა “როგორ გავაკეთოთ” სტილში, გადაცემა, სადაც მკერდის კუნთების გაუმჯობესებას ასწავლიდნენ, პრაქტიკულად მისი მოგონილი იყო.
როცა ადამიანები ასე გუწრფელად მიხსნიან გულს, მე ადგილზე ვთავდები, თუ ხვდებით, რას ვგულისხმობ.
ბობი ვერაფერს ხვდებოდა. შესაძლოა, მან მემკვიდრეობით მიიღო „ჰუევო“, და მას ესმის, რომ ეს რისკ-ფაქტორია. მან ყველაფერი მომიყვა ოპერაციის შემდგომ ჰორმონალურ თერაპიაზე.
ათლეტთა უმეტესობა გამოიმუშავებს დიდი ოდენობით ტესტოსტერონს, რის შედეგადაც  მათ ეზრდებათ ის, რასაც ძუკნას ჯიქნებს ეძახიან.
იძულებული გავხდი, ბობისთვის მეკითხა ,თუ რა არის ჰუევო.
ჰუევოს, თქვა მან, გონადები. თხილები. კვერცხუკები. ბურთუკები. ყვერუკები. მექსიკაში, როცა სტეორიდების საყიდლად მიდიხარ, მას ეძახიან “კვერცხებს”.
განქორწინება, განქორწინება, განქორწინება, ამბობს ბობი და მაჩვენებს საფულეში ჩადებულ ფოტოს, სადაც უზარმაზარი და შიშველი, სპეციალურ ბაქანზე დგას და პოზირებს რომელიღაც შეჯიბრებაზე. ეს სულელური ცხოვრების წესია, ამბობს ის, სცენაზე დაბერილი და გაპარსული გამოდიხარ, შენი წონის მხოლოდ ორი პროცენტი შეადგენს ქონს, იღებ დიურატიკებს, სანამ ბეტონივით ცივი და მაგარი არ გახდები, სინათლე თვალებს გჭრის, ხმამაღალი მუსიკალური ფონი გაყრუებს და ჟიური მიგითითებს: “გამოწიეთ მარჯვენა მკლავი, დაჭიმეთ და გეჭიროთ!“
„გამოწიეთ მარცხენა ხელის ბიცეპსი, დაჭიმეთ და გეჭიროთ!”
ეს ბევრად სჯობს რეალურ ცხოვრებას.
სრული სვლით, ამბობს ბობი, კიბოს მიმართულებით. ახლა ის ბანკროტია. მას ორი მოზრდილი შვილი ჰყავს, რომლებიც არასდროს პასუხობენ მის ზარებს.
ძუკნასებური ჯიქნები რომ გაექრო, ექიმმა მკერდის ნაწილი აათალა და სითხე ამოუშრო.
ამის მეტი არაფერი მახსოვს, რადგან ბობმა ხელები შემომხვია და თავი დახარა, რომ მთლიანად დავემალე. დავიწყებას მივეცი თავი, მდუმარე და ბნელ და ხანგრძლივ დავიწყებას, და როცა საბოლოოდ  დავაღწიე თავი მის რბილ მკერდს, ბობის მაისურს ჩემი ატირებული სახე ნიღაბივით ემჩნეოდა.
ეს იყო ორი წლის წინ, ჩემს პირველ შეხვედრაზე მხარდაჭერის ჯგუფში, “დავრჩეთ მამაკაცებად”.
იქიდან მოყოლებული, ბობი თითქმის ყოველ შეხვედრაზე ახერხებდა ჩემს ატირებას.
ექიმთან აღარასდროს მივსულვარ. არასდროს ჩამიღეჭავს ვალერიანის ძირები.
ეს თავისუფლება იყო. ყველანაირი იმედის დაკარგვა თავისუფლება იყო. მე არაფერს ვამბობდი, ადამიანები მხარდაჭერის ჯგუფში ყველაზე უარესს ფიქრობდნენ. ისინი უფრო ძლიერად ტიროდნენ. მეც უფრო ძლიერად ვტიროდი. საკმარისია ვარსკვლავებს ახედო, და უკვე მკვდარი ხარ.

მხარდაჭერის ჯგუფიდან სახლში დაბრუნების შემდეგ თავს უფრო ცოცხლად ვგრძნობდი, ვიდრე ოდესმე. მე ხომ არასდროს მქონია კიბო ან პარაზიტები; მე ვიყავი პატარა, თბილი წერტილი, რომლის გარშემოც ტრიალებდა მთელი სამყარო. და მე შევძელი დაძინება. პატარა ბავშვებს არ სძინავთ ასე ტკბილად.
ყოველ საღამოს მე ვკვდებოდი და ყოველ საღამოს ვიბადებოდი.
საიქიოდან ვბრუნდებოდი.
დღევანდელ ღამემდე, ორი წლის მანძილზე პრობლემა არ მქონია, დღევანდელ ღამემდე, რადგან მე ვერ ვტირი, როცა ეს ქალი მიყურებს. რადგან თუ ფსკერამდე ვერ ჩავაღწიე, ვერ გადავრჩები. ჩემს ენას თავი ბუსუსებიანი შპალერი ჰგონია, ისე ძლიერად ვკბენ პირის შიგნეულობას. ოთხი დღეა არ მიძინია.
მე მატყუარა ვარ, როცა ის  მიყურებს. ის თამაშობს. ისიც მატყუარაა. ამაღამ, თვითპრეზენტაციისას, საკუთარ თავებს ვასახელებთ: მე ბობი ვარ, მე პოლი ვარ, მე ტერი ვარ, მე დევიდი ვარ.
მე არასდროს ვამხელ ჩემს ნამდვილ სახელს.
“აქ კიბოიანები ხართ, არა?” ამბობს ის.
შემდეგ ამბობს: “მოკლედ, გამარჯობა, მე მარლა ზინგერი ვარ.”
არავის უცდია, აეხსნა მარლასთვის, თუ რისი კიბო ჰქონდა ამ ხალხს. ძალიან დაკავებულები ვიყავით ჩვენი შინაგანი ბავშვის მოვლით.
ის კაცი ისევ მის მხრებზე ტირის, მარლა კიდევ ერთ ნაფაზს ურტყამს.
მე მას ბობის აცახცახებულ ძუძუებში მომწყვდეული შევყურებ.
მარლა თვლის, რომ მე ვთამაშობ. მასთან მეორე შეხვედრის შემდეგ მე ისევ ვეღარ ვიძინებ. და მაინც, პირველი მატყუარა მე ვიყავი, არადა, შეიძლება ყოველი მათგანი თამაშობს თავის ავადმყოფობას, ხველებას და კიბოს, თვით დიდი ბობიც, უზარმაზარი ცხენ-კაცა, ქონის გუნდა.
ერთი მისი გაფშეკილი თმები დაგანახათ.
მარლა ეწევა და თვალებს ატრიალებს.
ამ დროს მარლას ტყული ჩემს ტყუილს ირეკლავს და ერთადერთი, რასაც გარშემო ვხედავ, არის ტყუილი მათი ჭეშმარიტების შუაგულში. ყველანი სიცოცხლეს ებღაუჭებიან და ეშინიათ, აღიარონ ყველაზე უარესი, რომ მათი სიკვდილი ახლოვდება და რომ იარაღის ლულით პირში ცხოვრობენ. მოკლედ, მარლა ეწევა და თვალებს ატრიალებს, და მე, მე ჩამარხული ვარ მოქვითინე ხალიჩაში, თვით მოულოდნელი სიკვდილიც და ეს მომაკვდავი ხალხიც ისეთი ხელოვნურები ჩანან, როგორც ვიდეომაგნიტოფონზე შემოდებული ხელოვნური, პლასტმასის ყვავილები.
“ბობ,” ვამბობ მე, “ასე გამჭყლიტავ.” თავიდან ვჩურჩულებ, შემდეგ უკვე აღარ.
“ბობ.” თავიდან ვცდილობ, დაბალ ხმაზე ვუთხრა, მაგრამ ბოლოს მაინც ყვირილს ვიწყებ, “ბობ, ტუალეტში უნდა გავიდე.”
საბაზანოში სარკე ნიჟარის თავზე კიდია. თუ სწორად დავიმახსოვრე, მე მარლას ვნახავ ტვინის პარაზიტების დისფუნქციის ჯგუფში „დაძლიე და გადალახე“. მარლა იქ იქნება. რა თქმა უნდა, მარლა იქ იქნება და აი რას გავაკეთებ, გვერდზე მივუჯდები. და თვითპრეზენტაციის და მედიტაციის შემდეგ, სასახლის შვიდი კარის, თეთრი მკურნალი სინათლის ბურთის და იმის შემდეგ, რაც ჩვენ გავხსნით

საკუთარ ჩაკრებს და როცა ჩახუტების დრო დადგება, მე ხელს ვტაცებ ამ პატარა ძუკნას.
ხელებს სხეულზე მიიწებებს, მე ტუჩებს ყურზე მივადებ და ვეტყვი, მარლა, შენ დიდი მოთამაშე ხარ, გაეთრიე აქედან.
ეს ერთადერთია, რაც გამაჩნია და ამასაც მინგრევ.
შე საზიზღარო ტურისტო.
შემდეგ ჯერზე როცა შევხვდებით, მე ვეტყვი, მარლა, მე ვერ ვიძინებ სანამ შენ აქ დადიხარ. მე ეს ძალიან მჭირდება. გაეთრიე.
**3**
შენ იღვიძებ Air Harbor International-ში.
ყოველი აფრენისას და დაშვებისას, როცა თვითმფრინავი ცალ მხარეს საგრძნობლად იხრებოდა, მე ვლოცულობდი, რამეს შევჯახებოდით. იმის წარმოდგენა, რომ ჩვენ თამბაქოსავით ვიწვით ამ თვითვმფრინავის მსგავს კოლოფში, უძილობისგან მკურნავდა.
ასე გავიცანი ტაილერი.
შენ იღვიძებ O'Hare-ში.
შენ იღვიძებ LaGuardia-ში.
შენ იღვიძებ Logan-ში.
ტაილერი კინომექანიკოსად მუშაობდა ნახევარ განაკვეთზე. თავისი ბუნების გამო მას მხოლოდ ღამის სამსახურში შეეძლო მუშაობა. როცა რომელიმე კინომექანიკოსი ცუდად ხდებოდა, პროფ.კავშირი მაშინვე ტაილერს იძახებდა.
ზოგი ღამის ცხოვრებას ეწევა. ზოგი დღის ცხოვრობას. მე მხოლოდ დღისით შემიძლია მუშაობა.
შენ იღვიძებ Dulles-ში.
სადაზღვევო კომპანია სამმაგს იხდის, თუ შენ ბიზნეს მივლინების დროს დაიღუპები. მე ვლოცულობდი, მოვარდნილიყო უცაბედი გვერდითი ქარი. ვლოცულობდი, ტურბინს ვარხვი შეესრუტა, ვინმეს დავიწყებოდა რომელიმე ჭანჭიკის მოჭერა, ჩამკეტები  ასაფრენ ბილიკზე გაქანებისას გაყინულიყო, როცა სავარძლის ზურგი ვერტიკალურ მდგომარეობაში იყო მოყვანილი, მაგიდა აკეცილი, ხელბარგი საბარგულში იყო მოთავსებული ჩვენს თავზე და ჩვენ მოწევისგან თავს ვიკავებდით, მე ვლოცულობდი, რომ მომხდარიყო კატასტროფა.
შენ იღვიძებ Love Field-ში.
მექანიკოსის ჯიხურში ტაილერს ხშირად უწევდა პროექტორების ცვლა, თუ კინოთეატრი ძალიან ძველი იყო. შესაცვლელად ჯიხურში სულ ორი პროექტორი გაქვს, და ამათგან მხოლოდ ერთი ტრიალებს თითო ჯერზე.
მე  ეს იმიტომ ვიცი, რომ ტაილერმა იცის ეს.
მეორე პროექტორი მიერთებულია ფილმის შემდეგ ბაბინასთან. ფილმების უმეტესობა შედგება ექვსი ან შვიდი ბაბინისგან, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით მოსდევენ ერთმანეთს. შედარებით ახალ კინოთეატრებში მთელ ფილმს ერთ ხუთ ფუტიან ბაბინაზე ახვევენ. ასეთ შემხვევაში აღარ ხდება საჭირო

ორი პროექტორი და მათი ცვლა, ჩართვა-გამორთვა. პირველი ბაბინა, ჩართვა, მეორე ბაბინა მეორე პროექტორზე, ჩართვა, მესამე ბაბინა პირველ პროექტორზე, ჩართვა.
შენ იღვიძებ SeaTac-ში.
მე ვსწავლობ ადამიანებს ლამინირებული ინსტრუქციით, თვითმფრინავის სავარძლის ჯიბიდან. ქალი ოკეანის ზედაპირზე ტივტივებს, ყავისფერი თმა უკან გაშლია და სავარძლის ბალიში მკერდზე აქვს მიხუტებული. თვალები ფართოდ გაუღია, თუმცა არც იღიმის და არც იღუშება. სხვა სურათზე ადამიანები ინდური ძროხებივით მშვიდები არიან, ჭერიდან ჩამოშვებული აირწინაღების ასაღებად ხელებს იშვერენ.
ეს ალბათ საგანგებო სიტუაციაა.
ოჰ.
სალონში წნევა ეცემა.
შენ იღვიძებ და Willow Run-ში ხარ.
ძველი კინოთეატრი, ახალი კინოთეატრი. იმისათვის, რომ ფილმი ერთი კინოთეატრიდან მეორეში გადაიტანოს, ტაილერს უწევს მისი ხელახლა დაჭრა ექვს-შვიდ ნაწილად. პატარა ბაბინები ექვსკუთხა რკინის კეისებშია მოთავსებული. ყოველ კეისს სახელური აქვს. ისეთი მძიმეა, შეიძლება, ხელში აღებისას, მხარიც კი ამოიგდო
ტაილერი საბანკეტო ოფიციანტია, მაგიდებს ემსახურება სასტუმროებში, ქალაქის ცენტრში, ტაილერი კინომექანიკოსია პროექტორის ოპერატორთა პროფესიული კავშირიდან. არ ვიცი კიდევ რამდენ რამეს ასწრებდა ის, როცა მე უძილობით ვიტანჯებოდი.
ძველ კინოთეატრებში, სადაც ორი ბაბინით უშვებენ ფილმებს, კინომექანიკოსი ყოველთვის პროექტორთან უნდა იდგეს, რათა საჭირო წამს შეცვალოს ბაბინა ისე, რომ მაყურებელი ვერ მიხვდეს თავისუფალ ადგილს, სად მთავრდება ერთი ბაბინა და იწყება მეორე. თუ კარგად დააკვირდებით, ეკრანის მარჯვენა მაღალ კუთხეში თეთრ წერტილებს დაინახავთ. ეს გაფრთხილებაა. უყურეთ ფილმს ყურადღებით და თქვენ შეამჩნევთ, ორ თეთრ წერტილს ფილმის პირველი ნაწილის დასასრულს. ამას ეძახიან „სიგარეტის ნამწვებს“.
პირველი თეთრი წერტილი ნიშნავს, რომ დარჩენილია ორი წუთი. ამ დროს მეორე ბაბინა უნდა ჩართო გასახურებლად.
მეორე თეთრი წერტილი ნიშნავს, რომ დარჩენილია ხუთი წამი. მღელვარება. შენ დგახარ ორ ბაბინას შორის და ჯიხურში ოფლის მოდენამდე ცხელა ამ ქსენონური ნათურების გამო, რომელსაც, თუ თვალს გაუსწორებ, შეიძლება დაგაბრმავოს. ეკრანზე პირველი თეთრი წერტილი ჩნდება. დარბაზში ხმას ეკრანის უკან დამონტაჟებული დინამიკი გამოსცემს. კინომექანიკოსის ჯიხური ხმაგაუმტარია, რადგან პროექტორი ხმაურს გამოსცემს, ლინზებს შორის მოქცეული ლენტა მოძრაობს ექვსი ფუტის სიჩქარით წამში, ექვსი ფუტი ნიშნავს ათ კადრს, ანუ წამში ის სამოც კადრს აყრის მაყურებელს და ნამდვილი ტყვიამფრქვევივით ტკაცუნებს. შენ დგახარ ამ ორ პროექტორს შორის და თითო ხელში თითო მათგანის თავსახური

გიჭირავს. ძველ პროექტორებს გამაფრთხილებელი ხმოვანი სიგნალებიც აქვთ, რომლებიც ლენტის გათავებას გატყობინებენ.
ზოგჯერ, როცა ფილმებს ტელევიზორში უყურებ, შენ მაინც ამჩნევ გამაფრთხილებელ წერტილებს. იმ ფილმებზეც კი, რომელსაც თვითმფრინავებში აჩვენებენ.
როცა ლენტა ერთი ბაბინიდან მეორეზე გადადის, მიმღები ბაბინა ტრიალს ანელებს, ხოლო გამცემი აჩქარებს. როცა ფილმი დასასრულს უახლოვდება და ბაბინა ძალიან ჩქარდება და ირთვება ხმოვანი სიგნალი, რომელიც გაფრთხილებს, რომ პროექტორის გამოცვლის დრო ახლოვდება.
ჯიხურში სიბნელეა და პროექტორის შიდა ნათურებიდან მოდის სიცხე, და გამაფრთხილებელი ხმა უკვე რეკავს. დგახარ ორ პროექტორს შორის, ხელებში მათი თავსახურებით და უყურებ ეკრანის მარჯვენა მაღალ კუთხეს. მეორე თეთრი წერტილი ჩნდება. ითვლი ხუთამდე. აფარებ ერთ თავსახურს. იმავდროულად ხსნი მეორეს.
პროექტორის ცვლა.
ფილმი გრძელდება.
დარბაზში ვერავინ ვერაფერს ხვდება.
გამცემი ბაბინის გამაფრთხილებელი სიგნალის შემდეგ კინომექანიკოსს შეუძლია, ცოტა წათვლიმოს კიდეც. კინომექანიკოსს შეუძლია, ბევრი უცნაური რამე გააკეთოს. ყველა პროექტორს არ გააჩნია გამაფრთხილებელი სიგნალი. სახლში ზოგჯერ შეიძლება საკუთარ საწოლში გამოგეღვიძოს იმის შიშით, რომ ჯიხურში ჩაგეძინა  და პროექტორის შეცვლა დაგავიწყდა. მაყურებლები მთელ ხმაზე გაგინებენ. მაყურებლები, რომლებსაც კინო-ოცნება დაუნგრიე, და კინოთეატრის მენეჯერი პროფესიულ კავშირში დარეკავს.
შენ იღვიძებ Krissy Field-ში.
მე ყველგან მხიბლავს მოგზაურობა, სადაც არ უნდა მივდიოდე, ეს ერთჯერადი ცხოვრებაა. სასტუმროში მივდივარ, იქ ერთჯერადი საპონი მხვდება, ერთჯერადი შამპუნი. ერთჯერადი მოხმარების კარაქის შეკვრა, ერთჯერადი პირის ღრუს სავლები და ერთჯერადი კბილის ჯაგრისი. დაბრძანდით თვითმფრინავის სტანდარტულ სავარძელში და მიიხედ-მოიხედეთ. თქვენ გიგანტი ხართ. პრობლემა ისაა, რომ ძალიან დიდი მხრები გაქვთ. ალისასავით გრძელი ფეხები, რომლებიც თითქმის რამდენიმე მილის სიგრძეზე გაგიშლიათ და წინ მჯდომის ტერფებს ეხებით. სადილი მოაქვთ. ის მინიატურულ კონსტრუქტორს ჰგავს, ააწყეთ თვითონ Chicken Cordon Bleu-ს გასართობი კომპლექტი, პროექტი შეაერთე-ფიგურები, რომ რამით დაკავდე ფრენისას.
პილოტი ანთებს ნიშანს “შეიკარით ღვედები” და გვთხოვს, რომ ადგილებზე დავრჩეთ.
შენ იღვიძებ Meigs Field-ში.
ზოგჯერ ტაილერი შიშისაგან აკნავლებული იღვიძებს იმ გრძნობით, რომ პროექტორის გამოცვლის მომენტი გამოეპარა, ან ფილმი იმდენად დაზიანდა პროექტორში, რომ ლენტა თავის კბილანებს აცდა და ფილმის მუსიკასთან ერთად

ეკრანზე მისი ნახვრეტები ჩნდება. მას შემდეგ, რაც ლენტა კბილანებს სცდება, დიალოგების ნაცვლად შენ ვერტმფრენის პროპელერის ხმა გესმის, დგაფ დგუფ დგაფ დგუფ, თან სინათლე ლენტის ნახვრეტებიდან ელავს.
აი კიდევ რა არ უნდა გააკეთოს კინომექანიკოსმა: ტაილერი ფილმებიდან საუკეთესო კადრებს ჭრის. პირველ ყველაზე ცნობილ ფილმში გაშიშვლდა მსახიობი ენჯი დიკინსონი.
იმ დროს, როცა ეს ფილმი დასავლეთის სანაპიროდან სამხრეთის სანაპიროზე გადაჰქონდათ, შიშველი სცენები გაქრა. ერთმა კინომექანიკოსმა მისგან ერთი კადრი ამოჭრა. შემდეგ მეორემ ამოჭრა კიდევ ერთი კადრი. ყველას უნდოდა შიშველი ენჯი დიკინსონის კადრი ჰქონოდა. როცა კინოთეატრებში პორნოს ჩვენება დაიწყეს, რამდენიმე კინომექანიკოსებმა  ეპიკური კოლექცია შეაგროვა.
შენ იღვიძებ Boeing Field-ში.
შენ იღვიძებ LAX-ში.
დღეს თვითმფრინავი თითქმის ცარიელია, ასე რომ, შეგიძლიათ თავი თავისუფლად იგრძნოთ, აკეცოთ სახელურები და გაიჭიმოთ, ზიგზაგურად, მოხაროთ მუხლები, წელი, იდაყვები და განთავსდეთ სამი-ოთხი სავარძლის ფართობზე. მე საათს ორი საათით უკან ან სამი საათით წინ ვწევ, წყნარი ოკეანის, ცენტრალური, მთის, თუ აღმოსავლეთის დროით. ვაგებ საათს, ვიგებ საათს.
ეს შენი ცხოვრებაა და ის ერთ წუთში დასრულდება თავის დროზე.
შენ იღვიძებ Cleveland Hopkins-ში.
შენ იღვიძებ SeaTac-ში, ისევ.
შენ კინომექანიკოსი ხარ, დაღლილი და გაბრაზებული, თუმცა უმეტესად მოწყენილი ხარ, რის გამოც შენ იღებ კადრს პორნო ფილმიდან, რომელიც შენს წინამორბედ კინომექანიკოსებს დარჩათ ჯიხურში, კადრს, რომელზეც უზარმაზარი წითელი ყლეა გამოსახული, ან პირღია სველი ვაგინა და აწებებ მას რომელიმე მხატვრულ ფილმში.
ეკრანზე გადის ფილმი ცხოველებზე, სადაც ოჯახი მოგზაურობისას კარგავს კატას და ძაღლს, რომლებიც სახლში დასაბრუნებელ გზას ეძებენ. მესამე ნაწილში, იმ მომენტში, როცა ძაღლი და კატა, რომლებსაც ადამიანის ხმა  აქვთ და ერთმანეთს ელაპარაკებიან, სანაგვე ურნიდან ჭამას ამთავრებენ, ეკრანზე ჩნდება დიდი, ერეგირებული ყლე.
ტაილერი აკეთებს ამას.
თითო კადრი ფილმში წამის ერთი მესამოცედით ჩნდება. გაყავი წამი სამოც თანაბარ მომენტად და მიხვდები, რამდენ ხანს ჩანდა ერექცია ეკრანზე. ოთხსართულიანი შენობის ხელა, პოპკორნის აუდიტორიის თავზე, ლიპლიპა წითელი და საშინელი, და ამას ვერავინ ხედავს.
შენ იღვიძებ Logan-ში, ისევ.
ეს მოგზაურობის ყველაზე ცუდი ვარიანტია. ისეთ შეხვედრებზე მიწევს გამგზავრება, სადაც ჩემს უფროსს არ უნდა დასწრება. მე ყველაფერს ვინიშნავ. ვბრუნდები და ანგარიშს ვაბარებ.

სადაც არ უნდა გავემგზავრო, ჩემი მისიაა, შევიმუშავო ფორმულა და არ გავთქვა საიდუმლო.
მარტივი არითმეტიკაა.
ჩვეულებრივი ამოცანა.
თუ ჩვენი კომპანიის მიერ წარმოებული ახალი მანქანა გასცდება ჩიკაგოს და სამოცი კილომეტრი საათში სიჩქარით ივლის, მას უმტყუნებს დიფერენციალი, და მოხდება ავარია, და ყველა შიგნით ჩარჩენილი ცოცხლად დაიწვება, ჩვენი კომპანია ამ მოდელს უკან გამოითხოვს?
აიღეთ ამ მაქანიანი მოსახლეობის რაოდენობა (ა), გაამრავლეთ ის ყოველ შესაძლო ინცინდენტზე (ბ), ამათი ნამრავლი გაამრავლეთ თანხაზე, რომელსაც არასასამართლო გზით მოგვარებაში ვხარჯავთ (გ).
ა - გამრავლებული ბ - ზე და გამრავლებული გ-ზე უდრის იქსს. სწორედ ეს თანხა დაგვიჯდება, თუ ჩვენ არ გამოვითხოვთ მანქანებს.
თუ იქსი გამოთხოვის თანხაზე მეტია, მაშინ ჩვენ გამოვითხოვთ მანქანებს და არც ერთი მხარე არ რჩება ნაწყენი.
ხოლო თუ იქსი გამოთხოვის თანხაზე ნაკლებია, მაშინ ჩვენ არ გამოვითხოვთ მანქანებს.
სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან დამწვარი მანქანის ჩონჩხი მხვდება, რომელიც მე მიცდის. მე ვიცი, სადაც ინახება ეს ჩონჩხები. ჩათვალეთ, რომ ეს ჩემი სამსახურეობრივი საიდუმლოა.
სასტუმროებში ძილი, რესტორნებში ვახშმობა. სადაც არ უნდა მივდიოდე, ყველგან ერთჯერად მეგობრებს ვიძენ, ისინი ჩემ გვერდით სხედან Logan-დან Krissy-მდე ან Willow Run-მდე.
მე ვარ მანქანების გამოთხოვის კამპანიის კოორდინატორი, ვეუბნები მე ჩემ გვერდზე მჯდომ ერთჯერად მეგობარს, მაგრამ მომიწევს ჭურჭლის მრეცხავის კარიერა დავიწყო.
შენ იღვიძებ O'Hare-ში, ისევ.
ამის შემდეგ ტაილერი თითქმის ყოველ ფილმში აკერებდა ყლეს. ახლო კადრი, როგორც წესი, ვაგინა- Grand Canyon-ი მისივე ექოთი, ოთხსართულიანი ვაგინა, რომელიც სისხლის წნევისაგან იკრუნჩხება თავის მომხიბვლელ უფლისწულთან მოცეკვავე კონკიასავით და ხალხმა ეს ნახა. მაგრამ არავის გაუსაჩივრებია. ადამიანები ჭამდნენ და სვამდნენ, მაგრამ ეს მაინც არ იყო ჩვეულებრივი საღამო. მაყურებლები ან ცუდ ხასიათზე დგებოდნენ, ან მოულოდნელად იწყებდნენ ტირილს და არც კი იცოდნენ, რა ატირებდათ. მხოლოდ ჩიტ კოლიბრს შეეძლო ტაილერის დანაშაულზე წასწრება.
შენ იღვიძებ JFK-ში.
თვითმფრინავის დაშვების მომენტში მე ყოველთვის ვდნები და ვსქელდები, როცა მისი ბორბალი ყრუ დაცემის ხმას გამოსცემს ბილიკთან შეხებისას, ცალ მხარეს იხრება და თითქოს ვერ წყვეტს, გაჩერდეს თუ სვლა გააგრძელოს. ასეთ მომენტებში სხვა ყველაფერი აზრს კარგავს. საკმარისია ვარსკვლავებს ახედო და დაიკარგები. არც შენი ბარგი არაფერს ნიშნავს. არც შენი მყრალი პირის ღრუ. ფანჯრებიდან სიბნელე

მოჩანს. უკან ტურბინები ღრიალებენ. სალონი საშიშ კუთხეში მიგიმწყვდევს, სადაც ტურბინები ღრიალებენ და შენ ვეღარასდროს შეძლებ განცხადების შევსებას სამივლინებო დანახარჯების შესახებ. ოცდახუთ დოლარზე მეტის დახარჯვის შემთხვევაში შენ უნდა წარმოადგინო ქვითარი. აღარასდროს დაგჭირდება ახალი ვარცხნილობა.
დაცემის ხმა, და მეორი ბორბალი დგება გუდრონიზირებულ ბილიკზე. ისმის ასობით გახსნილი ღვედის სტოკატო და გვერდით მჯდომი ერთჯერადი მეგობარი, რომელთან ერთადაც კინაღამ მოკვდი, გეუბნება:
იმედი მაქვს, საქმე კარგად წაგივათ.
ჰო, მეც იმედი მაქვს.
სწორედ ამდენ ხანს გრძელდება წამი. და ცხოვრება მაინც თავის გზას მიუყვება. და ერთხელაც, სრულიად შემთხვევით, მე და ტაილერი ერთმანეთს შევხვდით. შვებულების პერიოდი იყო.
შენ იღვიძებ LAX-ში.
ისევ.
ტაილერი ნუდისტურ პლიაჟზე გავიცანი. ზაფხულის მიწურული იყო და მე ხშირად მეძინა. შიშველი სხეული ოფლით და ქვიშით ჰქონდა დაფარული და სველი, გაფშეკილი თმა სახეს უმალავდა. დიდხანს ტრიალებდა ჩემს სიახლოვეს სანამ გავიცნობდი. წყლიდან გამორიყული ხის მორები გამოჰქონდა და ნაპირზე აგროვებდა. შემდეგ მათ სველ ქვიშაში ნახევრამდე ფლავდა და ისინი ადამიანის სიმაღლის ბოძებივით გამოიყურებოდნენ. როცა მე გავიღვიძე, იქ მხოლოდ ოთხი მორი იყო და ტაილერი მეხუთეს მოათრევდა. მან ქვიშა გათხარა და ეს მორი ოდნავ გადახრილი ჩარგო შიგ.
შენ იღვიძებ სანაპიროზე.
სანაპიროზე ჩვენ გარდა არავინ იყო.
ტაილერმა ჯოხით ქვიშაზე სწორი ხაზი გაავლო რამდენიმე ფუტის მოშორებით. შემდეგ დაბრუნდა მორთან და მის გარშემო ქვიშის ტკეპნა დაიწყო.
მე ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვინც მას უყურებდა.
ტაილერმა მომაძახა, „ხომ არ იცი, რომელი საათია?”
მე ყოველთვის ვატარებდი მაჯის საათს.
„ხომ არ იცი, რომელი საათია?”
მე ვკითხე, ,,სად“?
„აქ”, თქვა ტაილერმა, „ახლა.”
ხუთის ექვსი წუთი იყო.
ცოტა ხანში ტაილერი ფეხი-ფეხზე გადადებული დაჯდა დაყუდებული მორების ჩრდილში. სულ რამდენიმე წუთი იჯდა, შემდეგ წამოხტა და ცურვა დაიწყო, შემდეგ მაისური და შორტები ჩაიცვა და წასასვლელად მოემზადა. მინდოდა მეკითხა. მინდოდა გამეგო, რას აკეთებდა ტაილერი, სანამ მე მეძინა.
თუ მე ვიძინებ და ვიღვიძებ სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროში, იქნებ ერთხელ სხვა ადამიანადაც გავიღვიძო?
მე ვკითხე მას, მხატვარი იყო თუ არა.

მან მხრები აიჩეჩა და მითხრა, რომ სპეციალურად აარჩია ის მორები, რომლებიც ძირში ფართოვდებოდნენ. შემდეგ ამიხსნა, თუ როგორ უნდა განესაზღვრა ქვიშაზე წინასწარ გავლებული ხაზის მეშვეობით თითოეული მორის ჩრდილის მიმართულება.
ზოგჯერ შენ იღვიძებ და იძულებული ხარ იკითხო, სად იმყოფები.
ის, რაც ტაილერმა შექმნა, გიგანტური ხელის ჩრდილი იყო. ოღონდ ამ ხელს ახლა ნოსფერატუსავით გრძელი თითები ჰქონდა, ცერა თითი კი ძალიან მოკლე, მაგრამ მან ამიხსნა, რომ ხუთის ნახევარზე ხელი უნაკლოდ გამოიყურებოდა. ეს გიგანტური ხელი მხოლოდ ერთი წუთის განმავლობაში გამოიყურებოდა უნაკლოდ და სწორედ ის ერთი წუთი გაატარა ტაილერმა იმ სრულყოფილების ჩრდილში, რომელიც თავად შექმნა.
შენ იღვიძებ და ხვდები, რომ არსად არ ხარ.
ერთი წუთი საკმარისია, ამბობს ტაილერი, ამ ერთი წუთის შექმნასაც ბევრი შრომა უნდა, მაგრამ სრულყოფილების ერთი წამი ამ ძალისხმევად ღირდა. ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე შეიძლება სრულყოფილებისგან ელოდე.
შენ იღვიძებ და მეტი არაფერი.
მას ერქვა ტაილერ დერდენი, კინომექანიკოსად მუშაობდა და სასტუმროების საბანკეტო დარბაზების ოფიციანტი იყო, ქალაქის ცენტრში, და მან თავისი ტელეფონის ნომერი მომცა.
ასე გავიცანით ერთმანეთი.
**4**
დღეს ყველა ტვინის პარაზიტების მატარებელი ადგილზეა. ჯგუფში „დაძლიე და გადალახე” ყოველთვის უამრავი ხალხი იკრიბება. ეს პიტერია. ეს ალდოა. ეს მარსია. სალამი.
თვითპრეზენტაცია, ყურადღება, ეს მარლა ზინგერია და ის პირველადაა ჩვენთან. გამარჯობა მარლა.
ჯგუფში “დაძლიე და გადალახე” თავდაპირველად სიახლეებს ვუზიარებთ ერთმანეთს. ამ ჯგუფს არავინ ეძახის პარაზიტულ ტვინის პარაზიტებს. აქ ვერავისგან მოისმენ სიტყვა “პარაზიტს”. აქ ყველა დღითიდღე უმჯობესდება. ეს მედიტაციის ახალი ფორმაა. ბოლო დროს ყველას უკეთესობა დაეტყო. თუმცა მაინც იგრძნობა ხუთდღიანი თავის ტკივილის კვალი. ქალი უნებლიეთ წამოსულ ცრემლებს იწმენდს. კისერზე ყველას თავისი სახელი აქვს ჩამოკიდებული, უკვე ერთი წელია, რაც ყოველ ორშაბათს ვხვდები ადამიანებს,
რომლებიც  ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელით მოდიან და უყურებენ ჩემს სახელს ტაბლოზე.
არა მგონია ადრე შევხვედროდით ერთმანეთს.
არავინ ამბობს პარაზიტს. ისინი ამბობენ, „აგენტს”.
არავინ ამბობს სიტყვა განკურნებას, ისინი ამბობენ “მოშორებას”.
ამიტომ სიახლეების გაზიარებისას ვიღაც ჰყვება, რომ “აგენტი” მოულოდნელად მის ზურგის ტვინში აღმოჩნდა, რის გამოც მარცხენა ხელს ვეღარ ამოძრავებს. შემდეგ

სხვა ჰყვება, რომ „აგენტმა“ ტვინის გამოშრობა გამოიწვია და ახლა ის სკალპიდან ჟონავს, რაც კონვულსიებს იწვევს.
როცა უკანასკნელად ვიყავი აქ, ქალმა, სახელად ხლო, თავისი ერთადერთი კარგი ამბავი გაგვანდო. ის სავარძლის ხის სახელურების დახმარებით წამოდგა ფეხზე და თქვა, რომ საბოლოოდ დაამარცხა სიკვდილის შიში.
დღეს, თვითპრეზენტაციისა და სიახლეების გაზიარების შემდეგ, გოგო, რომელსაც პირველად ვხედავ და რომელსაც ტაბლოს მიხედვით გლენდა ჰქვია, ამბობს, რომ ხლოს დაა და რომ ხლო, წინა სამშაბათს, ღამის ორ საათზე საბოლოოდ გარდაიცვალა.
ოჰ, ალბათ როგორი ტკბილია. ორი წლის მანძილზე ხლო ჩემს მკლავებში ტიროდა, როცა ერთად ვწყვილდებოდით, ახლა კი მკვდარია და მიწაში წევს, მკვდარია და კუბოში წევს, ან მავზოლეუმში, ან საერთოდ კოლუმბარიუმში. ოჰ, კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, რომ ერთ დღეს შენ ფიქრობ და დადიხარ, ხოლო მეორე დღეს მიწის სასუქის ფასი გაქვს, მატლების დასაპურებლადღა ვარგიხარ. ეს არის სიკვდილის ამაღელვებელი სასწაული და არასდროს ვიტყოდი უარს ამ სიტკბოებაზე, ოჰ, რომ არა ერთი არსება.
მარლა.
ოჰ, მარლა ისევ მე შემომყურებს, ტვინის პარაზიტიანთაგან განცალკევებით მდგარი.
მატყუარა.
თაღლითი.
მარლა თამაშობს. შენ თამაშობ. როცა გარშემო ადამიანები კანკალებენ და იკრუნჩხებიან და აყეფებული ეცემიან იატაკზე, ჯინსის შარვალში ისვრიან და ჯინსი მუქი ლურჯი ხდება, მოკლედ, ეს უბრალოდ ერთი დიდი სპექტაკლია.
დღევანდელი მედიტაცია მოულოდნელად ჩიხში შედის. შვიდივე სასახლის კართან, მწვანე კართან, ფორთოხლისფერ კართან, მარლა მხვდება. სასახლის ლურჯ კართან, აქაც მარლა მხვდება. მატყუარა. როცა მედიტაციას ყინულის გამოქვაბულში შევყავარ, სადაც ჩემი მფარველი ცხოველი ცხოვრობს, იქ მარლა მხვდება, როგორც ჩემი მფარველი ცხოველი. სიგარეტს ეწევა და თვალებს აქეთ-იქით ატრიალებს. მატყუარა. შავი თმები და ფრანგული ბალიშებივით ტუჩები. თაღლითი. იტალიური ტყავის დივანივით ნაზი ტუჩები. მათ ვერსად გაექცევი.
ხლო ძალიან ბუნებრივი იყო.
თუ ჯონი მიტჩელის ჩონჩხს აიძულებდი, ყველასათვის განსაკუთრებულ წვეულებაზე სტუმრებს შორის ევლო და გაეღიმა, ეს იქნებოდა ხლო. მე ხშირად წარმოვიდგენ ხლოს, როგორც მწერივით პატარა ჩონჩხს, რომელიც ღამის ორ საათზე შენობებზე და საკუთარ ორგანოთა გალერეებზე დახტის. მისი პულსი ზეციური ხმაა, რომელიც იუწყება: მოემზადეთ სიკვდილისთვის ათ, ცხრა, რვა წამში. სიკვდილი დადგება შვიდ, ექვს...
ღამით ხლო თავისი მოშლილი ვენების და აფეთქებული მილების ცხელი ლიმფური შხეფების ლაბირინთებში დარბის. ნერვები კანის ქსოვილზე მცოცავ მავთულებს ჰგვანან. აბსცესები თეთრ და ცხელ მარგალიტებად იბურცებიან.
ზეციური ხმა, მოემზადეთ ნაწლავების ევაკუაციისთვის, ათი, ცხრა, რვა, შვიდი...

მოემზადეთ სულის ევაკუაციისთვის, ათი, ცხრა, რვა.
ხლო მისივე ავადმყოფი თირკმელებიდან გამოყოფილ სითხედ იღვრება.
სიკვდილი დადგება ხუთ წამში.
ხუთი, ოთხი.
ოთხი.
მის გარშემო მისი პარაზიტული ცხოვრების აეროზოლი მის გულს აფერადებს.
ოთხი, სამი.
სამი, ორი.
ხლო ოთხზე მდგარი მიცოცავს თავის გაქვავებულ ყელზე.
სიკვდილი დგება სამ წამში, სამი, ორი.
მთვარის შუქი მის ღიად დარჩენილ პირში იღვრება.
მოემზადეთ უკანასკნელი ამოსუნთქვისთვის, ახლა.
ევაკუაცია.
ახლა.
სული სხეულისგან სუფთავდება.
ახლა.
სიკვდილი დადგა.
ახლა.
ოჰ, რა ტკბილი იქნებოდა ხლოს თბილი, უწესრიგო მოძრაობების შეგრძნება საკუთარ მკლავებში, როცა მას სული მიატოვებდა.
მაგრამ არა, ამის ნაცვლად მარლა შემომყურებს.
მედიტაციისას მე ხელებს ვშლი ჩემი შინაგანი ბაშვის ხელში ასაყავანად, და ეს ბავშვი მარლაა, რომელიც სიგარეტს ეწევა. არავითარი თეთრი სინათლის ბურთი. მატყუარა. არვითარი ჩაკრები. წარმოიდგინეთ, რომ ჩაკრები ყვავილებივით იფურჩქნებიან და თითოეული მათგანის კუთხეში სუსტი სინათლის აფეთქების შენელებული კადრი ჩნდება.
მატყუარა
ჩემი ჩაკრები დახშულია.
როცა მედიტაცია სრულდება, ყველანი ფეხზე დგებიან, თავებს აქნევენ და ერთმანეთს საკუთარი ტერფებისკენ ექაჩებიან, ემზადებიან თერაპიული და ფიზიკური კონტაქტისთვის. როცა ჩახუტების დრო მოდის, მე სამ ნაბიჯს ვდგამ მარლასკენ, რომელიც ჩემს სახეს უყურებს ისევე, როგორც მე ვუყურებ დანარჩენების სახეებს, როგორც მინიშნებებს.
მოდით ყველანი, გვკარნახობს ხმა, გვერდით მდგომს ჩავეხუტოთ.
მე მარლას ვხვევ ხელებს.
აირჩიეთ ის, ვინც ყველაზე მეტად გჭირდებათ დღეს.
მარლას ხელი წელზე აქვს მიდებული და სიგარეტი უჭირავს.
მოუყევით მას თქვენს გრძნობებზე.
მარლას ყვერის კიბო არა აქვს. მას ტუბერკულოზიც კი არა აქვს. ის არ კვდება. კარგი, ფილოსოფიურად თუ ვიტყვით, ადრე თუ გვიან ყველანი მოვკვდებით, მაგრამ მარლა არ კვდება იმ გაგებით, რა გაგებითაც ხლო კვდებოდა.

ხმა გვკარნახობს, მიენდეთ ერთმანეთს.
მოკლედ, მარლა, ვაშლი გიყვარს?
ბოლომდე მიენდეთ ერთმანეთს.
მოკლედ, მარლა, გაეთრიე აქედან, გაეთრიე, გაეთრიე.
აქედან წადი და სადმე სხვაგან იტირე, თუ ასე ძალიან გინდა.
მარლა სახეზე მაშტერდება. მას ყავისფერი თვალები აქვს. ყურებგახვრეტილია, თუმცა საყურეებს არ ატარებს. მის ახალგაზრდულ ტუჩებს მკვდარი კანი აკრავს.
წადი აქედან და იტირე.
„არც შენ არ კვდები?" ამბობს მარლა.
ჩვენ გარშემო წყვილები დგანან და ერთმანეთზე მიყრდნობილები ქვითინებენ.
„ჯერ შენ მომიყევი" ამბობს მარლა, „მერე მე მოგიყვები."
შეგვიძლია კვირები გავინაწილოთ, ვამბობ მე. მარლას შეუძლია ჰქონდეს ძვლის დაავადებები, ტვინის პარაზიტები და ტუბერკულოზი. მე მრჩება ყვერის კიბო, სისხლის პარაზიტები და გონების დაქვეითებები.
მარლა კითხულობს, „და ნაწლავების კიბო?"
კარგად უმეცადინია გოგოს.
ჩვენ გავიყოფთ ნაწლავების კიბოს. მას დარჩება ყოველი თვის პირველი და მესამე კვირა დღე.
„არა," ამბობს მარლა. მას ის მთლიანად უნდა. კიბოები, პარაზიტები. მარლა თვალებს აწვრილებს. ვერც კი იოცნებებდა, თუ ოდესმე ასე შესანიშნავად იგრძნობდა თავს. როგორც იქნა იგრძნო, რომ ცოცხალია. კანიც გაეწმინდა. ცხოვრებაში არასდროს ენახა გვამი. ის ვერ ხვდებოდა, რა არის სიცოცხლე, რადგან არ იცოდა, რისთვის შეედარებინა ის. ახლა კი მან იცის, რა არის კვდომა, სიკვდილი, დანაკარგი, მწუხარება. ქვითინი და ცახცახი, შიში და სინანული. ახლა, როცა მან უკვე იცის, რა ემართება ადამიანს, ის სიცოცხლის თითოეულ წამს გრძნობს.
არა, ის არ დატოვებს არც ერთ ჯგუფს.
„აღარასდროს ვიცხოვრებ ისე, როგორც ადრე ვცხოვრობდი," ამბობს მარლა, „ადრე დამკრძალავ ბიუროში ვმუშაობდი, მხოლოდ იმის გამო, რომ თავი უკეთ მეგრძნო იმით, რომ ვსუნთქავდი მაინც. ამაზე უკეთესს რას მომცემდა საკუთარი სპეციალობით მუშაობა?"
,,ხოდა დაბრუნდი იმ შენს დამკრძალავ ბიუროში," ვამბობ მე.
„დაკრძალვები არაფერია ამ ჯგუფებთან შედარებით," ამბობს მარლა. "დაკრძალვა მხოლოდ აბსტრაქტული ცერემონიაა. აქ კი ყველაზე რეალურად იგრძნობა სიკვდილი."
ჩვენს გარშემო წყვილები ცრემლებს იმშრალებენ, ერთმანეთს ზურგზე ხელებს უთათუნებენ და შორდებიან.
ერთ-ერთმა ჩვენგანმა უნდა შეწყვიტოს აქ სიარული, ვეუბნები მე მას.
„ხოდა ნუ ივლი."
მე ეს მჭირდება.
„დასაფლავებებზე იარე."

ჩვენ გარდა უკვე ყველანი შეგროვდნენ და დამამთავრებელი ლოცვისთვის ემზადებიან. მე მარლას ვათავისუფლებ.
„რამდენი ხანია, რაც აქ დადიხარ?"
მლოცველებს ვუერთდებით.
ორი წელია.
მლოცველთა წრიდან ვიღაც კაცი ხელს მკიდებს. ვიღაც კაცი მარლას ხელს ჰკიდებს. ლოცვა იწყება და, როგორც ყოველთვის, მე სუნთქვა მეკვრის. ოჰ, დაგვლოცე. ოჰ, დაგვლოცე სიბრაზისა და შიშის ჟამს.
„ორი წელი?" მარლა ჩურჩულით სწევს თავს.
ოჰ, დაგვლოცე და გაგვაძლიერე.
„ყველა, ვისაც შეეძლო შეემჩნია, რომ მე აქ ორი წელია დავდივარ, ან მოკვდა, ან გამოკეთდა და აღარ დაბრუნებულა ჯგუფში."
დაგვეხმარე და დაგვეხმარე.
„კარგი," ამბობს მარლა. "კარგი, კარგი, შეგიძლია ყვერების კიბო დაიტოვო."
დიდი ბობი. უზარმაზარი ქონის ნაჭერი თავზე დამტირის. მიდი მადლობა.
ნუ წაგვართმევ საკუთარ ბედისწერას. ნუ წაგვართმევ სიმშვიდეს.
„არაფერს, არ ღირს მადლობად."
ასე გავიცანი მარლა.

**5**

უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა ყველაფერი ამიხსნა.
მტვირთავებს შეუძლიათ ყურადღება არ მიაქციონ ჩემოდანს, საიდანაც წიკწიკი ისმის. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი მათ ბარგის მსროლელებს ეძახის. თანამედროვე ასაფეთქებლები არ წიკწიკებენ. მაგრამ თუ ბარგი ვიბრირებს, მტვირთავებმა, ანუ ბარგის მსროლელებმა, პოლიციაში უნდა დარეკონ.
იმის გამო, რომ ავიაკომპანიების უმეტესობას სპეციალური პოლიცია ჰყავს ვიბრირებული ბარგისთვის, მე ტაილერთან გადავედი საცხოვრებლად.
როცა დალასიდან ვბრუნდებოდი, ყველაფერი ერთ ჩანთაში მეწყო. როცა ბევრს მოგზაურობ, ყველა საჭირო ნივთის თან ტარებას ეჩვევი. ექვსი თეთრი პერანგი.
ორი შავი შარვალი. გადარჩენისთვის აუცილებელი მინიმუმი.
საგზაო მაღვიძარა.
ელექტრო საპარსი ელემენტებზე.
კბილის ჯაგრისი.
ექვსი წყვილი საცვალი.
ექვსი წყვილი შავი წინდა.
როგორც ჩანს, ჩემმა ჩანთამ ვიბრირება დაიწყო, როცა დალასიდან ვბრუნდებოდი, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ამბობს, რომ ის პოლიციამ ფრენიდან მოხსნა. ყველაფერი იმ ჩანთაში მქონდა. სითხე კონტაქტური ლინზებისთვის, ერთი ლურჯზოლებიანი წითელი ჰალსტუხი. ერთი წითელზოლებიანი ლურჯი ჰალსტუხი. ეს ოფიციალური ზოლებია და არა საკლუბო ჰალსტუხის ზოლები. და ერთიც მთლიანად წითელი ჰალსტუხი.

მთელი ეს სია, როგორც წესი, საძინებელი ოთახის კარზე მაქვს ხოლმე გაკრული კარის შიგნიდან.
ჩემი სახლი კონოდომინიუმი იყო მეთხუთმეტე სართულზე, მაღალ შენობაში, რომელიც ქვრივთა და ახალგაზრდა პროფესიონალთა მონაცემთა კარტოთეკას მაგონებდა. სარეკლამო ბროშურა მპირდებოდა, რომ მეზობლების სტერეო აპარტურისგან ან ჩართული ტელევიზორისგან ერთ ფუტზე მეტი ბეტონის იატაკი, ჭერი და კედლები დამიცავდნენ. სქელი ბეტონის კედლების და კონდიცირების სისტემის, ნეკერჩხლის იატაკისა და რეგულირებადი განათების მიუხედავად, ფანჯარას ვერ გამოხსნიდი იმის შიშით, რომ მთელ სახლში, შენ მიერ მომზადებული საჭმლის ან შენი უკანასკნელი ბანაობის სუნი არ დამდგარიყო.
ჰო, და კიდევ იქ იყო სამზარეულოს სპეციალური სამუშაო რაფა და განათების დაბალძაბვიანი გაყვანილობა.
და მაინც, ბეტონის კედლები ძალიან მნიშვნელოვანია, თუ შენს მეზობელს ყურსასმენი აპარატის ელემენტი დაუჯდა და საყვარელ გასართობ შოუს ბოლო ხმაზე უყურებს. ან ცეცხლმოკიდებული გაზისა და შენი მისაღები ოთახის ნარჩენების ამოფრქვევისას, როცა შენი ნივთები ალმოდებული მიფრინავენ ჩამსხვრეული ვიტრინიდან და  შენს კონდომინიუმს ტოვებენ, მხოლოდ შენსას, და შენობის კლდოვან ნაწილზე ტოვებენ გამოღრუტნულ და გამომწვარ ნახვერტს. ასეთებიც ხდება.
ყველაფერი, თვით შენი მწვანე, ხელნაკეთი ჭურჭელი, შიგნიდან პატარა წინწკლებით და გარედან ქვიშით არათანაბრად მორთული, რომელიც რომელიმე ქვეყნის ძალიან გულწრფელ, უბრალო და მშრომელ აბორიგენთა ნამუშევარია, მოკლედ, მთელი ეს ჭურჭელიც აფეთქებამ გაანადგურა. წარმოიდგინე ალმოდებული და პატარა ნაჭრებად დაკუწული ფარდაგები ცხელ ქარში. მეთხუთმეტე სართულის სიმაღლიდან ფერფლი ქალაქის თავზე იშლება და ქვემოთ მდგარ მანქანებზე იყრება.
მე, როცა მე დასავლეთისკენ მივემართები, მძინარე, საჰაერო სიჩქარით 0,83 მახი, ან 455 მილი საათში, ხოლო FBI-ის სპეციალური ჯგუფი  ჩემი ჩემოდნის განაღმვას ცდილობს დალასში. ათიდან ცხრა შემთვევაში, ამბობს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, ჩემოდანში ელექტრო საპარსს პოულობენ ისევე, როგორ ჩემს ჩემოდანში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში, დილდოს.
ეს ყველაფერი მითხრა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა. თითქოს ეს ჩემი ბედისწერა იყო, მე სახლში საკუთარი ჩემოდნის გარეშე დავბრუნდი და აღმოვაჩინე, რომ ჩემი ფლანელის თეთრეული დაფლეთილი  ყრია ასფალტზე.
წარმოიდგინე, ამბობს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი, დანიშნულების ადგილზე ჩამოფრენილ მგზავრს ეუბნებიან, რომ მისი ბარგი აღმოსავლეთ სანაპიროზე დააკავეს დილდოს გამო. ზოგჯერ ასეთი ბარგის მფლობელი მამაკაცია. ასეთ დროს აეროპორტის პოლიცია მალავს დილდოს მფლობელის ვინაობას. კონფედენციალურობას იცავენ.
დილდო და მორჩა.
არავითარ შემთხვევაში თქვენი დილდო.

არასდროს ამბობენ, რომ დილდო თავისით ჩაირთო.
დილდოს თვითნებური აქტივაციის შედეგად შეიქმნა საგანგებო სიტუაცია და აუცილებელი გახდა თქვენი ბარგის ევაკუაცია.
წვიმდა, როცა მე სტაპლტონში გამომეღვიძა.
წვიმდა, როცა მე საკუთარ სახლთან მისულს გამომეღვიძა.
თვითმფრინავში მოგვიწოდეს, კარგად დაგვეთვალიერებინა საკუთარი ადგილები, რათა კუთვნილი ნივთები არ დაგვრჩენოდა, ხოლო შემდეგ ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადეს და მთხოვეს, შევხვედროდი აეროპორტის წარმომადგენელს, რომელიც გასასვლელში მიცდიდა.
მე ჩემი მაჯის საათი სამი საათით უკან გადავწიე, ისევ შუაღამე იდგა.
გასასვლელში აეროპორტის წარმომადგენელი და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი დამხვდნენ, რომლებმაც მითხრეს, ჰა, ელექტრო საპარსის გამო შენი ბარგი დალასში დარჩა. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ბარგის მტვირთვებს მსროლელებად მოიხსენიეს. შემდეგ კი ის მას  ბარგის მთრეველებად იხსენიებს. ის ცდილობს დამიმტკიცოს, რომ საქმე უარესადაც შეიძლებოდა ყოფილიყო და ამბობს, რომ რაც მთავარია, იქ საპარსია და არა დილდო. ამის შემდეგ, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ორივენი მამაკაცები ვართ, და იმისათვის, რომ გამამხიარულოს, მეუბნება, რომ აეროპორტის სლენგზე ბორტ გამცილებლებს „ცის ოფიციანტებს“ ეძახიან. ან „ჰაერის მატრასებს“. მას პილოტის უნიფორმის მაგვარი ტანსაცმელი ეცვა, თეთრი პერანგი პატარა სამხრეებით და ლურჯი ჰალსტუხი. ჩემი ბარგი დაათვალიერეს, მითხრა მან, და ის ხვალ უკვე ადგილზე იქნება.
უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა მკითხა სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, და შემდეგ მკითხა ვიცოდი თუ არა, რა განსხვავებაა პრეზერვატივსა და პილოტის კაბინას შორის.
„პრეზერვატივში მხოლოდ ერთი ყლე ეტევა.“ თქვა მან.
სახლში ტაქსით დავბრუნდი, უკანასკნელი ათი დოლარით.
ადგილობრივი პოლიცია უამრავ კითხვას მისვამდა.
ჩემი ელექტრო საპარსი, რომელიც ბომბი არ აღმოჩნდა, ჯერ კიდევ სამი ლოკალური დროის მოშორებით იმყოფებოდა ჩემგან.
ხოლო იმან, რაც ნამდვილად ბომბი აღმოჩნდა, ძლიერი ბომბი, ჰაერში ასწია ჩემი შესანიშნავი, ნიურუნდას დიზაინის ყავის მაგიდა, რომელზეც ღია მწვანე ფერის ინი და ფორთოხლისფერი იანი ერთ მთლიან, ულამაზეს წრეს ქმნიდნენ. ახლა ის ნამსხვრევებად იყო ქცეული.
ჩემი ჰაპარანდას დივან-სავარძლები, ფორთოხლისფერი რბილი ზედაპირით, ერიკა პეკარის დიზანით, ახლა უკვე ნაგავი იყო.
მე არ ვყოფილვარ ერთადერთი მონა საკუთარი ბუდის მოწყობის ინსტინქტისა.
ჩემი ნაცნობები, რომელიც თავის დროზე, პორნოგრაფიული ჟურნალებით ხელში სხდებოდნენ უნიტაზზე, ახლა „იკეას“ ავეჯის კატალოგებით სხდებიან.
ჩვენ ყველას გვაქვს ერთნაირი, მწვანე ზოლებიანი იოჰანეშოვის სავარძლები. ჩემმა თხუთმეტი სართული იფრინა და ცეცხლმოკიდებული ჩაეშვა შადრევანში.

ჩვენ ყველას გვაქვს რისლამპა/ჰარის ქაღალდის ნათურები, კაბელიანი და გარემოს შესაბამისი მასალით დამზადებული. ჩემსას კანფეტი ეხატა.
ყოველი უნიტაზზე ჯდომა.
ალლეს დანების სერვიზი. უჟანგავი ფოლადი. რეცხვის გამძლე.
ვილდის კედლის საათი, რომელიც თუთიაში ამოვლებული რკინითაა დამზადებული, ოჰ, ეს აუცილებლად უნდა მქონოდა.
კლიპსკის თაროების კომპლექტი, ოჰ, აბა როგორ.
ჰემლინგის ყუთი ქუდებისთვის. აუცილებლად.
ქუჩა ჩემი ცეცხლმოკიდებული და აციმციმებული ნივთებით იყო მოფენილი.
მომმალას გადასაფარებლები. ტომას ჰარილას დიზაინი, ხელმისაწვდომია ქვემოთ ჩამოთვლილი ვარიანტები:
ორქიდეა.
ფუსკია.
კობალტ.
სპილოს ძვალი.
გიშერი.
კვერცხის ნაჭუჭი ან ბუმბული.
ამ ყველაფრის ყიდვას მთელი ცხოვრება მოვანდომე.
კალიქსის ადვილად მოსავლელი ჟურნალების მაგიდის გადასაფარებელი მისი გალაკული ზედაპირისთვის.
სტეგის მაგიდების კომპლექტი.
შენ ყიდულობ ავეჯს. შენს თავს არწმუნებ, რომ ეს უკანასკნელი დივანია, რომელსაც ყიდულობ და რომელიც მთელი ცხოვრება გამოგადგება. შემდეგი ორი წლის განმავლობაში თავს მშვიდად გრძნობ, რადგან, რაც არ უნდა ხდებოდეს გარშემო, დივანის პრობლემა მაინც მოგვარებული გაქვს. შემდეგ ჭურჭლის საკითხი დგება. შემდეგ საუკეთესო საწოლის საკითხი. შემდეგ ფარდების. შემდეგ ხალიჩის. შემდეგ შენ გრძნობ მიჯაჭვულობას საკუთარ კეთილმოწყობილ ბუდესთან და თუ ადრე გეგონა, რომ ამ ნივთებს შენ ფლობ, ახლა აცნობიერებ, რომ უკვე პირიქითაა და ნივთები გფლობენ შენ.
ასე იყო, სანამ ერთხელაც აეროპორტიდან სახლში არ დავბრუნდი.
შვეიცარმა ჩრდილიდან გადმოაბიჯა და მითხრა, რომ უბედურება შემემთხვა.
პოლიცია ადგილზე იყო და უამრავი კითხვა დამისვეს.
პოლიციელები ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი გაზის ბრალი იყოს.
შესაძლოა, გაზი ღუმელში დარჩა ანთებული და შემდეგ ჩაქრა, ან სანთურა დარჩა მოშვებული, საიდანაც გაჟონა და გაზი ჭერში მოგროვდა, და კონდომინიუმის ყოველი ოთახი ჭერიდან იატაკამდე გაზით აავსო. კონდომინიუმი ათას შვიდასი კვადრატული ფუტი იყო, მაღალჭერიანი ოთახებით, და დღეებისა და დღეების მანძილზე გაზი ჟონავდა და ჟონავდა, სანამ ბოლომდე არ აავსო. და როცა ოთახები გაზით აივსო, მაცივრის კომპრესორმა ნაპერწკალი გამოსცა.
დეტონაცია.

ალუმინის ჩარჩოიანი კედლის სიმაღლის ფანჯარა იმსხვრევა და დივანს, ლამპას, ჭურჭელს, თეთრეულს ცეცხლი ედება, სკოლის ყოველწლიურები, დიპლომები, ტელეფონი, ყველაფერი ცეცხლმოდებული იფრქვევა მეთხუთმეტე სართულიდან, როგორც ამოფრქვევა მზის ზედაპირზე.
ოჰ, ოღონდ ჩემი მაცივარი არა. მისი თაროები სხვადასხვა სახის მდოგვით მქონდა სავსე. ზოგი სტოუნ-გრაუნდისა და ზოგი ინგლიშ-პაბის სტილში. თოთხმეტი სახეობის სალათის სანელებელი ხორცის გარეშე და შვიდი სახეობის კაპერსი.
ვიცი, ვიცი, საკმაზებით სავსე სახლი და რეალურად საჭმელი არაფერია.
შვეიცარმა ცხვირი მოიხოცა და მის ცხვირსახოცში რაღაც ისეთი სიძლიერით ჩავარდა, როგორითაც ბურთი ვარდება ხოლმე კეჩერის ხელთათმანში, ბეიზბოლში.
თქვენ შეგიძლიათ აბრძანდეთ მეთხუთმეტე სართულზე, ამბობს შვეიცარი, მაგრამ ბინაში ვერ შეხვალთ. ასეთი ბრძანება აქვს პოლიციას. პოლიციელები მეკითხებოდნენ, მყავს თუ არა ყოფილი მეგობარი გოგონა, რომელსაც ჩემთვის ამის გაკეთება მოუნდებოდა, ან მტერი, რომელსაც დინამიტზე მიუწვდებოდა ხელი.
„არ ღირს ზემოთ ასვლა“, თქვა შვეიცარმა. „იქ მხოლოდ ბეტონის ჩენჩოები დარჩა.“
პოლიცია არ გამორიცხავს ცეცხლის განზრახ გაჩენას. გაზის სუნი არავის უგრძვნია.
შვეიცარი წარბს სწევს. ეს ტიპი მთელ დროს აქ მომუშავე მოსამსახურეებთან და ძიძებთან ფლირტში ატარებდა, რომლებიც შენობის ვესტიბულის სკამებზე ისხდნენ და ელოდებოდნენ, როდის მოაკითხავდნენ წასაყვანად. აქ სამი წელი ვიცხოვრე და ეს შვეიცარი მთელს ღამეებს ჟურნალ „ელერი ქუინის“ (ეს თან ბრჭყალებში დატოვე და თან ინგლისურად აკრიფე) კითხვაში ატარებდა, როცა მე ბარგითა და ჩანთებით ხელში ვცდილობდი, როგორმე კარი გამეღო და შიგნით აღმოვჩენილიყავი.
შვეიცარი წარბს სწევს და ამბობს, რომ ზოგჯერ ადამიანები მიდიან ხანგრძლივ მოგზაურობაში და ტოვებენ სანთელს, გრძელ, გრძელ, ანთებულ სანთელს, დიდ ბენზინის ტბაში. ამას აკეთებენ ადამიანები, რომლებსაც ფინანსური სირთულეები აქვთ. ადამიანები, რომლებსაც სურთ, რაიმეს თავი დააღწიონ.
მე ვითხოვე ვესტიბულის ტელეფონის გამოყენების უფლება.
„ზოგჯერ ახალგაზრდები ზედმეტად ბევრ ნივთებს ყიდულობენ, რათა სამყაროზე შთაბეჭდილება მოახდინონ.“ ამბობს შვეიცარი.
მე ტაილერს ვურეკავ.
ზარი ტაილერის სახლში რეკავს, რომელსაც ის ქაღალდის ქუჩაზე ქირაობს.
ოჰ, ტაილერ, გთხოვ, მომაშორე აქაურობას.
ტელეფონი რეკავს.
შვეიცარი მხარზე მეხება და ამბობს, „ახალგაზრდებმა არასდროს იციან, რა უნდათ სინამდვილეში.“
ოჰ, ტაილერ, გთხოვ, მიშველე რამე.
და ტელეფონი რეკავს.
„ახალგაზრდებს ჰგონიათ, რომ მთელი სამყარო მათ ეკუთვნით.“
მომაშორე ამ შვედურ ავეჯს.
მომაშორე ამ კომერციულ ხელოვნებას.
და ტელეფონი რეკავს და ტაილერი მპასუხობს.

„როცა არ იცი, რა გინდა,“ ამბობს შვეიცარი, „შენ გემართება ის, რაც არ გინდა.“
არ მინდა შემდგარი ვიყო.
არ მინდა კმაყოფილი ვიყო.
არ მინდა სრულყოფილი ვიყო.
მომაშორე აქედან, ტაილერ, ამ სრულყოფილებისა და სრულფასოვნებისგან.
მე და ტაილერი შევთანხმდით, რომ ბართან შევხვდებოდით.
შვეიცარმა ნომერი მთხოვა, რომლზეც პოლიცია დამიკავშირდებოდა. ისევ წვიმდა. ჩემი აუდი სადგომზე ეყენა, მაგრამ მისი საქარე მინიდან დაკაპოს ჰალოგენური ტორშერი იყო გამოშვერილი.
მე და ტაილერი შევხვდით და უამრავი ლუდი დავლიეთ, და ტაილერმა მითხრა, ჰო, მე შემეძლო მასთან დავრჩენილიყავი, ოღონდ ერთი თხოვნა უნდა შემესრულებინა მისთვის.
მეორე დღეს ჩემი ბარგი უნდა ჩამოსულიყო, სადაც აუცილებელი მინიმუმი, ექვსი პერანგი და ექვსი საცვალი მაინც იქნებოდა.
იქ, ბარში, აღარავინ იყო შემორჩენილი, ვინც დაგვინახავდა და შევაწუხებდით, მე ვკითხე ტაილერს, თუ რა თხოვნა უნდა შემესრულებინა მისთვის.
ტაილერმა თქვა, „მე მინდა, რომ მთელი ძალით დამარტყა.“

**6**

ჩვენ უკვე ორი სლაიდის ჩვენება მოვასწარით, რომლებიც მე მოვამზადე კომპანია „მაიკროსოფტისთვის“. პირში სისხლის გემო მაქვს და იძულებული ვარ, სისხლიანი ნერწყვი გადავყლაპო. ჩემი უფროსი ამ საკითხებში ვერ ერკვევა. მაგრამ ის არ დაუშვებს, რომ ეს შეხვედრა მე წავიყვანო ჩაშავებული თვალით და ჭრილობებით ნახევარ სახეზე, ნაკერებით ლოყის შიდა მხარეს. ნაკერები მძვრება და ამას ენით ვგრძნობ, როცა მათ შიგნიდან ვეხები. წარმოიდგინე ანკესის აბლანდული ძაფი სანაპიროზე. მე მათ წარმოვიდგენ, როგორც შავ, მორღვეულ ნაკერებს ძაღლის სხეულზე და სისხლის ყლაპვას ვაგრძელებ. ჩემს უფროსს ჩემი ჩანაწერების მიხედვით მიჰყავს პრეზენტაცია, მე პროექტორის უკან ვზივარ, ერთი სიტყვით, ოთახის ბნელ კუთხეში ვარ შეყუჟული.
ტუჩები წებოვანი მიხდება სისხლისგან, მე სისხლს ვილოკავ, და როცა ოთახში შუქი ინთება, „მაიკროსოფტის“ კონსულტანტებს, ელენს და უოლტერს და ნორბერტს და ლინდას ვეუბნები, გმადლობთ, რომ გვეწვიეთ, პირი სისხლისფრად მიელავს და კბილებს შორისაც კი სისხლი მაქვს ჩაგუბებული.
შეგიძლია მთელი პინტა სისხლი გადაყლაპო, სანამ რწყევას დაგაწყებინებს.
ხვალ მებრძოლთა კლუბის შეხვედრაა და არ ვაპირებ მის გაცდენას.
პრეზენტაციამდე უოლტერი ღიმილით მიახლოვდება და ნიჩაბივით ყბას ქვემოთ უშვებს, ცდილობს კბილებსა და მისი რუჯის ფერს შორის სხვაობა მაჩვენოს, რომელიც ბარბიქიუში ამოვლებულ კარტოფილის ჩიპსს წააგავს. უოლტერი ჩემს ხელს თავის ნიშნობის ბეჭდიან, გლუვ და ნაზ ხელში მოქცეულს აქანავებს  და ამბობს, „წარმოდგენაც არ მინდა, რა დღეშია ახლა ის, ვისთანაც უთანხმოება მოგივიდათ.“
მებრძოლთა კლუბის პირველი წესია, არ წამოგვცდეს მებრძოლთა კლუბის შესახებ.

უოლტერს ვუთხარი, რომ წავიქეცი.
ეს მარტო ჩემი ბრალია.
პრეზენტაციამდე, როცა მე უფროსის პირდაპირ ვზივარ და ვუხსნი, თუ რომელ სლაიდს რა ტექსტი მოსდევს და რა მომენტში უნდა წავიდეს ვიდეო, ის მეკითხება, „რა შარებში ეხვევი ყოველ შაბათ-კვირას?“
მე უბრალოდ არ მინდა ნაიარევის გარეშე მოვკვდე, ვამბობ მე. მხოლოდ ის მინდა, რომ ლამაზი და ნახმარი სხეული მქონდეს, მეტი არაფერი. ყველას უნახავს ხელუხლებელი მანქანები პირდაპირ პრეზენტაციიდან რომ  მოხსნეს 1955 -ში, ამას ყოველთვის უაზრო ფულის ხარჯვად ვთვლიდი.
მებრძოლთა კლუბის მეორე წესია, არსად წამოგცდეს მებრძოლთა კლუბის შესახებ.
შესაძლოა, ლანჩზე შენს მაგიდასთან ოფიციანტი  მოვიდეს, ჩაშავებული თვალებით, როგორც გიგანტური პანდა, რომელიც მებრძოლთა კლუბში ნახე წინა უქმეებზე, შენ ნახე მისი თავი ბეტონის იატაკსა და ორას კილოიანი გოლიათის მუხლებში მომწყვდეული, ის აგრძელებდა და აგრძელებდა მის ცემას ცხვირის არეში კლუბის წევრთა გამაყრუებელი ღრიალის ფონზე, სანამ ის საკმარის სუნთქვას იღებდა, რომ სისხლი ამოერწყია და ეყვირა, მორჩა.
შენ არაფრის თქმის უფლება არ გაქვს, რადგან მებრძოლთა კლუბი მხოლოდ მისი დაწყებიდან დასრულებამდე არსებობს.
შენ გინახავს ეს ბავშვი, რომელიც კოპირების ცენტრში მუშაობს, შენ ერთი თვის წინ ნახე ეს ბავშვი, მას ავიწყდებოდა ნახვრეტების დადება და ფერადი ფურცლების ჩაწყობა შეკვეთილ პაკეტში, მაგრამ ეს ბავშვი ნამდვილი ღმერთი იყო მთელი ათი წუთის განმავლობაში, როცა მან შენს თვალწინ ძირს დააგდო თავისზე ორჯერ დიდი ბუღალტერი და იმდენი ურტყა, სანამ არ გათიშა და ბრძოლის შეწყვეტა არ მოუწია.
სწორედ ესაა მებრძოლთა კლუბის მესამე წესი, როცა ვინმე იძახის, მორჩა, ან გონებას კარგავს, იმ შემთვევაშიც კი, თუ ის ამას თამაშობს, ბრძოლა დასრულებულია. როცა არ უნდა ნახო ეს ბიჭი, სიტყვები არ გყოფნის იმის სათქმელად, თუ რა დიდებული ბრძოლა ჰქონდა მას.
იბრძვიან მხოლოდ ორნი. ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი ბრძოლა. ბრძოლა მხოლოდ პერანგისა და ფეხსაცმლის გარეშე შეიძლება. ბრძოლა გრძელდება იქამდე, სადამდეც საჭიროა. ეს მებრძოლთა კლუბის დანარჩენი წესებია.
ერთი და იგივე ტიპები სხვადასხვა პიროვნებები არიან მებრძოლთა კლუბში და რეალურ სამყაროში.
რომც მიხვიდე ბავშვთან კოპირების ცენტრში და უთხრა, რომ შესანიშნავი ბრძოლა ჰქონდა, აღმოაჩენ, რომ სხვა პიროვნებას ელაპარაკები.
ის, ვინც მებრძოლთა კლუბში ვარ, არ არის ის, ვისაც ჩემი უფროსი იცნობს.
მებრძოლთა კლუბში გატარებული ღამის შემდეგ გეჩვენება, რომ ვიღაცამ სამყაროს ხმა დაუწია. შენზე აღარაფერი მოქმედებს. შენი სიტყვა კანონია, და მაშინაც კი, როცა უცხო ადამიანები ამ კანონს არღვევენ, ან ზედმეტ კითვებს გისვამენ, ეს შენზე საერთოდ არ მოქმედებს.
რეალურ სამყაროში მანქანების გამოთხოვის კამპანიის კოორდინატორი ვარ, პერანგითა და ჰალსტუხით, ოთახის ბნელ კუთხეში ვზივარ სისხლით სავსე პირით

და სათაურებს და სლაიდებს ვცვლი, სანამ ჩემი უფროსი „მაიკროსოფტის“ წარმომადგენლებს უხსნის, თუ რატომ შეარჩია მკრთალი ცისფერი პროექტის მენიუსთვის.
მებრძოლთა კლუბის პირველი შეხვედრა მაშინ შედგა, როცა მე და ტაილერმა ერთმანეთს ვურტყით.
ადრე, როცა სახლში გაბრაზებული ვბრუნდებოდი იმის გამო, რომ კიდევ ხუთი წლით ჩამოვრჩებოდი საკუთარი ცხოვრების გეგმას, ან ბინის დალაგებას ვიწყებდი, ან მანქანას ვუჩიჩხინებდი. ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მოვკვდებოდი ისე, რომ სხეულზე ერთი ნაიარევიც არ მექნებოდა და მხოლოდ შესანიშნავი სახლი და მანქანა დამრჩებოდა. მართლა, მართლა შესანიშნავი, სანამ მტვერი ან ახალი მფლობელი არ დაეპატრონებოდა. არაფერია მარადიული. „მონა ლიზაც“ კი ნაწილებად იშლება.
მებრძოლთა კლუბის შემდეგ გამუდმებით რომელიღაც კბილი მიფამფალებს.
იქნებ თვითგანვითარება არ არის ყველაფრის პასუხი.
ტაილერი საკუთარ მამას არ იცნობდა.
იქნებ თვითგანადგურებაა ყველაფრის პასუხი.
მე და ტაილერი ისევ ერთად მივდივართ მებრძოლთა კლუბში. მებრძოლთა კლუბის შეხვედრა ერთ-ერთი ბარის სარდაფში დაიწყება, ახლა, შაბათ ღამეს, მას შემდეგ, რაც ბარი დაიკეტება, და როცა შემდეგ კვირაში  აქ დაბრუნდები, უკვე მეტი ხალხი დაგხვდება.
ტაილერი ნათურის ქვეშ დგება შავი ბეტონის სარდაფის ცენტრში და ხედავს, რომ გარშემო ასიოდე წყვილი თვალი ნათურის მბჟუტავ სინათლეს ირეკლავს. პირველი, რასაც ტაილერი ყვირის, არის, „მებრძოლთა კლუბის პირველი წესია, არ წამოგვცდეს მებრძოლთა კლუბის შესახებ.“
„მებრძოლთა კლუბის მეორე წესია,“ ყვირის ტაილერი, „არავისთან წამოგცდეს მაბრძოლთა კლუბის შესახებ.“
მე მამაჩემს ექვსი წლის მანძილზე ვიცნობდი, მაგრამ არაფერი მახსოვს.
მემაჩემი, ის ყოველ ექვს წელიწადში ახალ ქალაქში მიდიოდა და ახალ ოჯახს ქმნიდა.  ეს არჩევანის თავისუფლებით თამაშს უფრო ჰგავდა, ვიდრე დაოჯახებას.
მებრძოლთა კლუბში შენ ქალების გამოწვრთნილ მამაკაცთა თაობას ხედავ.
ნათურის ქვეშ მდგარი ტაილერი, შუაღამის სიბნელითა და კლუბის წევრებით სავსე სარდაფში, კლუბის ახალი წევრებისთვის წესების გაცნობას აგრძელებს. იბრძვიან მხოლოდ ორნი. ყოველ ჯერზი ერთი ბრძოლა, არავითარი პერანგი, არავითარი ფეხსაცმელი. ბრძოლა გრძელდება იქამდე, სადამდეც საჭიროა.
„და მეშვიდე წესი,“ ყვირის ტაილერი, „თუ ეს შენი პირველი ღამეა მებრძოლთა კლუბში, პირველი ჩხუბობ შენ.“
მებრძოლთა კლუბი არ არის ფეხბურთი ტელევიზორში. იქ შენ უცხო მამაკაცთა ბრბოს არ უყურებ, რომლებიც აქეთ-იქით დარბიან ნახევარი მსოფლიოს გადაღმა, რაც სატელიტით გადმოიცემა ორი წუთის დაგვიანებით, აქაფებული ლუდის რეკლამებით ყოველ ათ წუთში და წამიერი ტიხრებით არხის იდენტიფიკაციისათვის. მებრძოლთა კლუბის შემდეგ შენთვის ტელევიზორში

ფეხბურთის ყურება იგივეა, რაც პორნოგრაფიის ყურება მაშინ, როცა შეგიძლია დიდებული სექსით დაკავდე.
მებრძოლთა კლუბისთვის შენ სპორტულ დარბაზებში უნდა იარო და მოკლედ შეჭრილი თმა და ძირამდე დაჭრილი ფრჩხილები ატარო. სპორტული დარბაზი სავსეა ხალხით, რომლებიც ცდილობენ, მამაკაცებს დაემსგავსონ, თითქოსდა ჰგავდე მამაკაცს, ნიშნავს, გამოიყურებოდე ისე, როგორც სკულპტორებსა და არტ დირექტორებს სურთ.
როგორც ტაილერი ამბობს, ნებისმიერ დორბლიანს შეუძლია ათლეტურად გამოიყურებოდეს.
მამაჩემს კოლეჯში არასდროს უსწავლია, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მე მესწავლა. კოლეჯის დასრულების შემდეგ მე მას ძალიან შორიდან დავურეკე და ვკითხე, ახლა რა ვქნა?
მან ვერაფერი მიპასუხა.
როცა სამსახური ვიშოვე და ოცდახუთი წლისა გავხდი, ისევ დავურეკე და ვკითხე, ახლა რა ვქნა? მან ისევ არ იცოდა, რა ეპასუხა, ამიტომ მითხრა, დაოჯახდი.
მე ახლა ოცდაათი წლის ბიჭი ვარ და მაინტერესებს, რომელი ქალი შეიძლება აღმოჩნდეს პასუხი ჩემს კითხვებზე.
ის, რაც მებრძოლთა კლუბში ხდება, არასდროს ხდება რეალურ სამყაროში. ზოგიერთებს ყოველკვირეულად სჭირდებათ ბრძოლა. ამ კვირაში, ამბობს ტაილერი, მხოლოდ პირველ ორმოცდაათ ადამიანს ვუშვებთ კარში, და მორჩა. მეტს არა.
წინა კვირას ერთ-ერთი ბიჭი ავირჩიე და მე და ის ერთად ჩავეწერეთ მებრძოლთა სიაში. ამ ბიჭს ეტყობა, რთული კვირა ჰქონდა, რადგან მაშინვე მეცა, ხელები თავს უკან გამიკავა და სიფათი ბეტონის იატაკზე იქამდე მარტყმევინა, სანამ ჩემი კბილის წვერებმა ლოყები შიგნიდან არ დამიჩეხა და თვალს გასიებისგან ვეღარ ვახელდი და სისხლი მდიოდა, და იქამდე არ მომეშვა, სანამ არ ვიყვირე, მორჩა, და როცა დაბლა დავიხედე, იატაკს ჩემი სისხლიანი ნახევარსახე ემჩნეოდა.
ტაილერი ჩემ გვერდით იდგა და ჩვენ ერთად ვუყურებდით ჩემი პირის უზარმაზარ სისხლიან „O”-ს და იატაკზე დანთხეულ ჩემს გახეთქილი წარბს, რომელიც ჩვენ ამოგვყურებდა, და ტაილერმა თქვა, „გლიჯავს.“
მე ხელს ვართმევ ბიჭს და ვეუბნები, შესანიშნავი ბრძოლა იყო.
ეს ბიჭი, ის მპასუხობს, „გინდა, შემდეგ კვირას გავიმეოროთ?“
მე ძლივს-ძლივობით ვუღიმი ჭრილობების გამო, და ვეუბნები, შემომხედე, იქნებ იმ თვეში გავიმეოროთ?
არსად ისე არ გრძნობ რომ ცოცხალი ხარ, როგორც მებრძოლთა კლუბში. როცა შენ და რომელიმე მებრძოლი ნათურის ქვეშ დგახართ, მაყურებლებით გარშემორტყმული. მებრძოლთა კლუბში მნიშვნელობა არა აქვს, იგებ თუ აგებ. მებრძოლთა კლუბს სიტყვებით ვერ გადმოსცემ. უყურებ რომელიმე ახალმოსულ ტიპს, რომელსაც ტრაკი თეთრ ფუფმფულა პურის გულებს მიუგავს. გადის ექვსი თვე და იგივე ტიპი უკვე ხისგან გამოთლილს ჰგავს. ამ ტიპს უჩნდება რწმენა იმისა, რომ ნებისმიერ რამეს შეძლებს. მებრძოლთა კლუბში ხროტინი და ხმაური ისმის, ისევე როგორც სპორტულ დარბაზებში, მაგრამ მებრძოლთა კლუბის მიზანი კარგი

ფიგურის დაყენება არ არის. აქ ისტერიული ყვირილი ისმის, როგორც ეკლესიებში, და როცა კვირა შუადღეს იღვიძებ, შენ გრძობ რომ გადარჩი.
ჩემი უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ, სანამ ტიპი, რომელთანაც მე ბრძოლა მქონდა, იატაკს წმენდდა, მე სადაზღვევო კომპანიაში დავრეკე და ვთხოვე, ჩემთან სასწრაფო დახმარება გამოეგზავნათ. საავადმყოფოში ტაილერმა მათ უთხრა, რომ წავიქეცი. ზოგჯერ ტაილერი ჩემს მაგივრად ლაპარაკობს.
ჩემი უყურადღებობით მომივიდა.
გარეთ უკვე მზე ამოდის.
ჩვენ არ ვლაპარაკობთ მებრძოლთა კლუბის შესახებ, რადგან, თუ იმ ხუთ საათს არ ჩავთვლით, კვირაობით, ღამის ორიდან დილის შვიდამდე, ის არ არსებობს.
როცა მე და ტაილერმა მებრძოლთა კლუბი მოვიგონეთ, არცერთი ჩვენგანი  არავისთან არ ვიყავით ნაჩხუბარი. როცა არავისთან ხარ ნაჩხუბარი, ინტერესი გაქვს. გაინტერესებს, რა არის ტკივილი და რა შეგიძლია დაუშავო მოწინააღმდეგეს. მე ვიყავი პირველი, ვისთანაც ტაილერმა იმდენად უსაფრთხოდ იგრძნო თავი, რომ ეს სთხოვა, და ჩვენ ორივენი მთვრალები ვიყავით ცარიელ ბარში, სადაც არავის შევაწუხებდით, ამიტომ ტაილერმა მითხრა, „მინდა ერთი თხოვნა შემისრულო, მინდა, რომ მთელი ძალით დამარტყა.“
მე არ მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ ტაილერმა ეს იმით ახსნა, რომ არ უნდოდა  ნაიარევის გარეშე მომკვდარიყო და ძალიან დაიღალა პროფესიონალთა ბრძოლების ტელევიზორში ყურებით და უნდა, მეტი გაიგოს საკუთარ თავზე. თვითგანადგურებაზე.
იმ დროისთვის საკუთარი ცხოვრება სრულყოფილი მეჩვენებოდა, მაგრამ იქნებ დროა, ყველაფერი გავანადგუროთ და რამე უკეთესი შევქნათ საკუთარი თავებისგან.
მე გარშემო მიმოვიხედე და ვუთხარი, კარგი. კარგი, ვთქვი მე, მაგრამ მოდი, გარეთ გავიდეთ, ავტოსადგომზე.
ჩვენ გარეთ გამოვედით და მე ვკითხე ტაილერს, სად ერჩივნა დამერტყა, სახეში თუ მუცელში.
ტაილერმა მითხრა, „გამაოცე, თუ შეგიძლია.“
მე ვუთხარი, რომ არასდროს არავისთვის დამირტყამს.
ტაილერმა მითხრა, „ხოდა გაიგიჟე თავი, ძმაო.“
მე ვთქვი, დახუჭე თვალები.
ტაილერმა თქვა, „არა.“
როგორც ნებისმიერი ბიჭი მებრძოლთა კლუბის პირველ ღამეს, მე ჩავისუნთქე და მუშტი ტაილერის ყბას გავუქანე, ზუსტად ისე, როგორც კოვბოურ ფილმებში, და მე, ჩემი მუშტი მის კისერს შეეხო.
ფუ შენი, ვთქვი მე, ეს არ ითვლება. კიდევ ერთხელ ვცდი.
ტაილერმა თქვა, „კი ითვლება,“ და დამარტყა, მუშტი კრივის ანიმაციური ხელთათმანივით გამომიქანა, როგორც გაზაფხულის კვირა დილის მულტფილმებში, პირდაპირ მკერდში და მე მანქანას მივენარცხე უკან. ორივე ფეხზე ვიდექით, ტაილერი კისერზე ისვამდა ხელს, მე მკერდზე, ორივეს გვესმოდა, რომ რაღაც ახალი ვიგრძენით და მაინც ტომი და ჯერივით ისევ ცოცხლები ვიყავით და

გვაინტერესებდა, სადამდე შეგვეძლო ეს სიახლე გაგვექაჩა და იმავდროულად ცოცხლები დავრჩენილიყავით.
ტაილერმა თქვა, „გლიჯავს.“
მე ვთქვი, კიდევ დამარტყი.
ტაილერმა თქვა, „არა, შენ დამარტყი.“
მოკლედ, მე დავარტყი, რაღაცნაირად, ქალურად მომუჭული მუშტი პირდაპირ ყურის ძირში მოხვდა, ტაილერი ვალში არ დამრჩა და ფეხსაცმლის ქუსლი ჩამარტყა მუცელში. ის, რაც შემდეგ და მანამდე მოხდა, სიტყვებით არ გადმოიცემა, ბარი დაიკეტა, ადამიანები ჩვენ გარშემო მოგროვდნენ და ყვირლი მორთეს ავტოსადგომზე.
არ ვიცი ტაილერი რას გრძნობდა, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ამიერიდან ყველაფრის გადაწყვეტა შემეძლო, რაც ამ სამყაროში მაწუხებდა, ქიმწმენდაშიც კი, საიდანაც ტანსაცმელს ყოველთვის ღილებდაწყვეტილს მიბრუნებდნენ, ბანკშიც, სადაც მეუბნებოდნენ, რომ დამატებით ასობით დოლარის გადაფლანგვა მაქვს, სამსახურშიც, სადაც ჩემი უფროსი დაუკითხავად რთავდა ჩემს კომპიუტერს და მისი ოპერატიული სისტემით ერთობოდა. და მარლასთან, რომელმაც მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრები წამართვა.
როცა ჩხუბს მოვრჩით, არაფერი იყო გადაწყვეტილი, მაგრამ არც აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა.
ჩვენი პირველი ჩხუბი კვირა ღამეს შედგა, ტაილერი მთელი ორი დღის გაუპარსავი იყო, ამიტომ სისხლიან მუშტებს მისი უქმეების წვერები მწვავდა. ჩვენ ზურგზე ვეყარეთ ავტოსადგომზე და ერთსა და იმავე ვარსკვლავს ვუყურებდით ქუჩის განათების ბოძებს შორის, და მე ვკითხე ტაილერს, თუ ვისთან ისურვებდა ჩხუბს.
მან მიპასუხა, მამამისთან.
შესაძლოა მამა საერთოდ არ არის საჭირო სრულფასოვნების მისაღწევად. მებრძოლთა კლუბში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ არის პიროვნება, ვისთანაც ჩხუბობ. შენ ჩხუბობ იმისათვის, რომ იჩხუბო. მებრძოლთა კლუბის შესახებ საუბარი აკრძალულია, მაგრამ მაშინ ჩვენ ამ წესს არ ვიცავდით, რის გამოც შემდეგ კვირებში უკვე უამრავი ხალხი იკრიბებოდა მანქანების სადგომზე, როცა ბარი იკეტებოდა, და, სხვათა შორის, იმ დროისთვის უკვე ციოდა, რომელიღაც სხვა ბარმა თავისი სარდაფი შემოგვთავაზა სადაც ჩვენ დღესაც ვიკრიბებით.
კლუბის შეხვედრებზე ტაილერი იძლევა წესებს, რომლებსაც ერთად ვადგენთ.
„თქვენი უმეტესობა,“ ყვირის ტაილერი ნათურის ქვეშ, ხალხით სავსე ბეტონის სარდაფის შუაგულში, „აქ იმის გამო მოხვდა, რომ ვიღაცამ კლუბის წესები დაარღვია. ვიღაცამ მებრძოლთა კლუბის შესახებ მოგიყვათ.“
ტაილერი ამბობს, „ერთი სიტყვით, ან შეწყვიტეთ ამაზე საუბარი ან გახსენით საკუთარი კლუბი სადაც გინდათ, რადგან სხვა შემთხვევაში, შეიძლება ერთ დღესაც მოხვიდეთ და აღმოაჩინოთ, რომ პირველ ორმოცდაათ კაცში ვერ მოხვდით, რომელიც ბრძოლაზე უნდა დაიშვას. თუ ესწრები შეხვედრას, მაშინ მონაწილეობა  უნდა მიიღო ბრძოლაში, თუ შენ მართლა გინდა ბრძოლა. თუ

ბრძოლა არ გინდა, არსებობენ სხვები, რომლებსაც უნდათ, ამიტომ ალბათ აჯობებს სახლში დარჩე.“
„თუ ეს შენი პირველი ღამეა კლუბში,“ ყვირის ტაილერი, „პირველმა შენ უნდა იჩხუბო.“
ბიჭების უმეტესობა მებრძოლთა კლუბში იმიტომ დადის, რომ სინამდვილეში ზედმეტად ეშინიათ ჩხუბის. რამდენიმე ბრძოლის შემდეგ ეს შიში თითქმის ქრება. ზოგიერთები საუკეთესო მეგობრები ხდებიან მებრძოლთა კლუბში. ბოლო დროს ხშირად დავდივარ შეხვედრებზე და კონფერენციებზე და საკონფერენციო მაგიდისთან დაყუდებულ სახეებს ვხედავ, ბუღალტერთა, უმცროს მენეჯერთა და ადვოკატთა გატეხილ ცხვირებს, ბადრიჯნებივით გამოჩრილებს სპეციალური სახვევებიდან, ან თვალებს ქვემოთ დადებულ ნაკერებს, ან მონგრეულ ყბებს. ეს მშვიდი ახალგაზრდა ბიჭები არიან, რომლებიც იქამდე ისმენენ, სანამ გადაწყვეტილების მიღების დრო არ დადგება.
ჩვენ ერთმანეთს თავებს ვუკრავთ.
მოგვიანებით ჩემი უფროსი მეკითხება, თუ საიდან მყავს ამდენი ნაცნობი.
ჩემი უფროსის აზრით, ბიზნესში სულ უფრო კლებულობენ კეთილშობილი ადამიანები და მატულობენ ავაზაკები.
შეხვედრა გრძელდება.
უოლტერი „მაიკროსოფტიდან“ ჩემს მზერას იჭერს. ესეც ახალგაზრდა ბიჭი, უნაკლო კბილებითა და სუფთა კანით, და რაც მთავარია, ისეთი სამსახურით, რომელსაც თქვენ ვერასდროს იშოვიდით, დასაქმების ყველა ჟურნალი რომ გადაგექექათ. ის ძალიან ახალგაზრდაა იმისათვის, რომ რომელიმე ომში ებრძოლა, და როგორც ჩანს, მისი მშობლები არ არიან განქორწინებულნი და მამამისი ყოველთვის სახლშია, და აი ისიც, ჩემს სახეს უყურებს, რომელიც ცალ მხარეს სუფთად მაქვს გაპარსული, ხოლო მეორე მხარე, დაბეჟილი და დალურჯებული, ეშმაკურად მაქვს შეჩურთული ოთახის სიბნელეში. ტუჩებზე სისხლი მიბზინავს. და შეიძლება უოლტერი უწყინარ ვეგეტარიანულ ვახშამზე ფიქრობს, სადაც გასულ უქმეებზე იყო, ან ოზონზე, ან დედამიწის უპირველეს საჭიროებაზე, შეწყდეს ცხოველებზე პროდუქციის გამოცდა, მაგრამ იქნებ არც ფიქრობს ამაზე.
**7**
ერთ დილით მე ნახმარ პრეზერვატივს ვპოულობ, რომელიც მკვდარი მედუზასავით ლივლივებს უნიტაზში.
ასე შეხვდნენ ერთმანეთს ტაილერი და მარლა.
მე მხოლოდ მოსაფსმელად ავდექი და უნიტაზის შიდა კედლები ფეკალიებით დამხვდა მორთული, რომელიც გამოქვაბულის მხატვრობას ჰგავდა. საინტერესოა რას ფიქრობს ამაზე სპერმა.
ეს?
ეს ვაგინალური ხვრელია?
რა ჯანდაბა ხდება აქ?
მთელი ღამე მესიზმრებოდა, რომ მარლა ზინგერს ვჟიმავდი. მარლა ზინგერი სიგარეტს ეწევა. მარლა ზინგერი თვალებს ატრიალებს. მე მარტო ვიღვიძებ საკუთარ

საწოლში და ვხედავ, რომ ტაილერის ოთახის კარი დაკეტილია. ტაილერის ოთახის კარი არასდროს იკეტება. მთელი ღამე წვიმდა. სახურავი იხდება, ტრიალდება და წვიმა შენობაში აღწევს, ჭაღის გარშემო გროვდება და ოთახში ჟონავს.
როცა წვიმს, ჩვენ ყველაფრის გათიშვა გვიწევს. ნათურის ანთებასაც კი ვერ ვბედავთ. სახლი, რომელსაც ტაილერი ქირაობს შეადგენს სამ სართულს და სარდაფს. მთელ სახლში სანთლებით დავრბივართ. სახლს აქვს საკუჭნაოები და შირმებიანი მყუდრო სადარბაზოები, მისი ფერადი შუშის ვიტრაჟი კიბეებზე გადის, რომელიც მოედანზე ეშვება. მას აქვს შუშაბანდი, ფანჯრებითა და დასაჯდომებით. მას აქვს ჩუქურთმებიანი და გალაკული, თვრამეტ ინჩიანი პლინტუსი.
წვიმა მთელ სახლში ჟონავს და ყველაფერი რაც ხისაა იჟღინთება და იბურცება და ჟანგიანი ლურსმნები სძვრებათ, რომლითაც იატაკი და პლინტუსი და ფანჯრის ჩარჩოებია მიმაგრებული.
გარშემო ყველგან ჟანგიანი ლურსმნებია მიმოფანტული, რომლებსაც ნებისმიერ წამს შეიძლება ფეხი დაადგა ან იდაყვით დაეყრდნო, და მხოლოდ ერთი სააბაზანოა შვიდ საძინებელ ოთახზე, და ახალა უნიტაზში ნახმარი პრეზერვატივი დაცურავს.
ეს სახლი რაღაცას უცდის, ამ რაიონის რეკონსტუქციას თუ ხმარებიდან ამოღების მოწმობას, ამის შემდეგ კი მას დაანგრევენ. მე ვკითხე ტაილერს თუ რამდენი ხანია, რაც ამ სახლში ცხოვრობს, მან მიპასუხა, რომ დაახლოებით ექვსი კვირაა. როგორც ჩანს, უხსოვარ დროში ამ სახლს ჰყავდა მფლობელი, რომელმაც შეძლო „ნეიშენალ ჯეოგრაფიკისა“ და „რიდერზ დაიჯესტის“ ზვინები დაეხვავებინა. ჟურნალების ზვინები, რომლებიც წვიმის წვეთებით იჟღინთებიან და მაღლდებიან. ტაილერმა მითხრა, რომ სახლის უკანასკნელი მცხოვრები, ამ ჟურნალების პრიალა ფურცლებისგან კონვერტებს აკეთებდა კოკაინისთვის. შემოსასვლელ კარს საკეტი არა აქვს, ადრე აშკარად პოლიციამ ან ვინმე სხვამ შემოამტვრია. სასადილო ოთახში ცხრა ფენა შპალერია გაკრული, ყვავილებიანის ქვემოთ ზოლებიანი, მის ქვემოთ ისევ ყვავილებიანი, მის ქვემოთ ჩიტებიანი, მის ქვემოთ მწვანე.
ჩვენი ერთადერთი მეზობელი გაუქმებული მანქანების მაღაზიაა ქუჩის გადაღმა და სასაქონლო საწყობი მთელი უბნის გაყოლებაზე. სახლში ასევე არის საკუჭნაო სადაც შვიდფუტიანი გორგოლაჭები აღმოვაჩინეთ, რომლებიც მაგიდის გადასაფარებლებზე ეკიდნენ იმისათვის, რომ ისინი არ დაჭმუჭნულიყვნენ. სახლს ბეწვეულის შესანახი დიდი სათავსო აქვს მაცივრის ფუნქციებით. სააბაზანოს კაფელს იმაზე ლამაზი ყვავილები ახატია ვიდრე ჩინურ საქორწინო სერვიზებს, და უნიტაზში ნახმარი პრეზერვატივი დაცურავს.
ტაილერთან დაახლოებით ერთი თვე ვიცხოვრე.
ტაილერი სასაუზმოდ გამოდის, მთელი კისერი და მკერდი ნაკბენებით და ნაკოცნებით აქვს აწითლებული, მე კი „რიდერზ დაიჯესტის“ ძველ ნომერს ვკითხულობ. ეს სახლი იდეალურია ნარკოტიკების გასაყიდად. გარშემო არავინ ცხოვრობს. გარშემო არაფერია სასაქონლე საწყობებისა და ქაღალდის გადამამუშავებელი კომბინატის გარდა. მისგან დამპალი ქაღალდის სუნი და ორთქლი მოდის, ხოლო მის გარშემო მიმოყრილი ფორთოხლისფერი ნახერხისგან აღმართული პირამიდა ზაზუნას გალიასავით ყარს. ეს იდეალური სახლია

ნარკოტიკების გასაყიდად, ყოველ დღე უთვალავი სატვირთო მანქანა ადის და ჩადის ქაღალდის ქუჩაზე, მაგრამ ღამით, მე და ტაილერი სრულიად მარტონი ვართ, კაციშვილის ჭაჭანება არ არის, არცერთი მიმართულებით ნახევარი მილის მანძილზე.
მე ვპოულობ და ვპოულობ „რიდერზ დაიჯესტის“ დასტებს სარდაფში და ახლა ყოველ ოთახში „რიდერზ დაიჯესტის“ გორები დგას.
ცხოვრება ამერიკის შეერთებულ შტატებში.
სიცილი საუკეთესო წამალია.
არადა ეს ჟურნალების დასტები ჩვენი ერთადერთი ავეჯია.
ამ უძველეს ჟურნალებში მე წავაწყდი სტატიების სერიას, სადაც ადამიანის ორგანოები საკუთარ თავზე პირველ პირში ყვებიან: მე ჯეინის საშვილოსნო ვარ.
მე ჯოს პროსტატა ვარ.
არ ვხუმრობ, ტაილერი სამზარეულოს მაგიდაზე ჯდება, წელს ზემოთ შიშველი, თავისი დაკბენილი ტანით და ამბობს: ლაი, ლაი, ლაი, ლაი, ლაი, წუხელ შეხვდა მარლას და სექსი ჰქონდათ.
ამის გაგონებაზე მე ვხდები ჯოს მძვინვარე ნაღვლის ბუშტი. ჩემი ბრალია ეს ყველაფერი. ზოგჯერ ჩვენ ვისჯებით იმისათვის რაც გავაკეთეთ, ზოგჯერ კი იმისათვის, რაც არ გავაკეთეთ.
წუხელ მარლას დავურეკე. ჩვენ შევიმუშავეთ სისტემა, რომლის მიხედვითაც მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრაზე წასვლამდე მე ვურეკავ მარლას და ვეკითხები ხომ არ გეგმავს ის ამ შეხვედრაზე მისვლას. წუხელ მელანომათი დაავადებულთა შეხვედრა იყო და მე თავს ცუდად ვგრძნობდი.
მარლა სასტუმრო „რიჯენტში“ ცხოვრობს, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ერთმანეთზე ფურთხით მიწებებული აგურების გროვა, სადაც მატრასები პრიალა პლასტიკურ ჩიხოლშია ჩასმული, იმდენად ხშირად კვდებიან აქ ადამიანები. თუ რომელიმე საწოლზე არასწორად დაჯდები, მაშინვე იატაკზე აღმოჩნდები შენს ზეწართან ერთად.
მე მარლას სასტუმრო „რიჯენტში“ დავურეკე, რომ გამერკვია მელანომაზე ხომ არ აპირებდა წასვლას.
მან ძალიან ნელა მიპასუხა. ეს თვითმკვლელობის მცდელობა არ იყო, ამბობს ის, ეს იყო ვინმეს საშველად მოხმობის მცდელობა, თუმცა მან ძალიან ბევრი ქსანაქსი მიიღო.
წარმოიდგინეთ, რომ სასტუმრო „რიჯენტში“ მიდიხართ მარლას სანახავად, რომელიც თავის მახინჯ ნომერში გდია და საკუთარ თავს უმეორებს: მე ვკვდები, ვკვედბი. მე ვკვდები, ვკვდები. ვკვდე-ბიი. ვკვდები.
ეს შეიძლება საათობით გაგრძელდეს.
გამოდის რომ ის ამაღამ სახლში დარჩება, ასე არ არის?
ის გრანდიოზულ სიკვდილს გეგმავდა, მან მირჩია დროზე სწრაფად მემოქმედა თუ მინდოდა ამ სანახაობისთვის მიმესწრო.
მადლობა ყოველი შემთხვევისთვის, ვთქვი მე, მაგრამ სხვა გეგმები მაქვს.

არა უშავს, თქვა მარლამ, მას შეეძლო ტელევიზორის ყურებაში მომკვდარიყო.
მარლას იმედი ჰქონდა, რომ იქ რაიმე საინტერესოს აჩვენებდნენ.
და მე მელანომაზე გავიქეცი. სახლში ადრე დავბრუნდი. მალევე დავიძინე.
ახლა კი ტაილერი, საუზმეზე, მეორე დღეს, ნაკბენებით დაფარული მკერდით ზის
და ამბობს, რომ მარლა გარყვნილი ბოზია, თუმცა ტაილერს ეს ძალიან მოსწონს.
წუხელ, მელანომას შემდეგ მე დავბრუნდი სახლში, დავწექი და დავიძინე.
და მესიზმრებოდა, რომ ვჟმავდი, ვჟიმავდი, ვჟიმავდი მარლა ზინგერს.
და ამ დილით როცა ტაილერი მელაპარაკებოდა, მე ვთამაშობდი თითქოს „რიდერზ
დაიჯესტს“ ვკითხულობდი. გარყვნილი ბოზი, მართლა გეუბნები. „რიდერს
დაიჯესტი“. „იუმორი უნიფორმაში“.
მე ჯოს დაავადებული ნაღველას მილი ვარ.
და ის რასაც მარლა ეუბნებოდა მას ღამით, ამბობს ტაილერი. არცერთ ქალს არ
უთქვამს მანამდე მისთვის ასეთი რამეები.
მე ჯოს კბილების ჭრაჭუნი ვარ.
მე ჯოს ალმოდებული დაბერილი ნესტოები ვარ.
მას შემდეგ რაც ტაილერმა და მარლამ ზედიზედ ათჯერ იჟიმავეს, ამბობს ტაილერი,
მარლამ მითხრა, მინდა დავორსულდე. მე შენგან აბორტი მინდა ტაილერ.
მე ჯოს თითის თეთრი სახსრები ვარ.
როგორ არ გაგიჟდებოდა ამაზე ტაილერი. სწორედ გუშინ წინ იყო, „ფიფქიაში“
სასქესო ორგანოებს რომ აკერებდა.
როგორ უნდა მიმეპყრო მისი ყურადღება.
მე ჯოს განრისხებული, აალებული მარტოობის განცდა ვარ.
და ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამაშიც მე ვარ დამნაშავე. მას შემდეგ, რაც მე
დასაძინებლად დავწექი, ტაილერი მეუბნება, რომ ის მალევე დაბრუნდა ბანკეტიდან,
სადაც ოფიციანტად მუშაობს ამ დროს მარლამ კიდევ ერთხელ დარეკა სასტუმრო
„რიჯენტიდან“. მართალი ყოფილა, თქვა მარლამ. ბნელი გვირაბი და სინათლე
გვირაბის ბოლოს. სიკვდილი მაგრად ასწორებს. მარლას უნდოდა მომესმინა მისი
აღწერა, როგორ დატოვა სხული და აფრინდა.
მარლამ არ იცოდა შეუძლიათ თუ არა სულებს ტელეფონის გამოყენება, მაგრამ
ძალიან უნდოდა ვინმეს მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა მოესმინა.
არა, მაგრამ არა, ზარს ტაილერმა უპასუხა და მთელი სიტუაცია გაუგებრობაში
შეიყვანა.
ისინი არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს, ამიტომ ტაილერი ფიქრობს, რომ ცუდი
იქნება თუ ის მოკვდება.
სისულელეა ეს ყველაფერი.
ეს სულაც არ არის ტაილერის საქმე, მაგრამ ის პოლიციაში რეკავს და თავადაც
სასტუმრო „რიჯენტში“ გარბის.
ამიერიდან, იმ ძველი, ჩინური წესის მიხედვით, რომელიც ჩვენ ტელევიზორიდან
ვიცით, ტაილერი პასუხისმგებლობას იღებს მარლაზე, სამუდამოდ, რადგან მან ის
სიკვდილს გადაარჩინა.

სულ ორი წუთი მაინც რომ მესმინა მარლასთვის და შემდეგ მასთან წავსულიყავი მისი სიკვდილის საყურებლად, ეს ყველაფერი აღარ მოხდებოდა.
ტაილერი მიყვება, რომ მარლა ნომერ „8გ“-ში ცხოვრობს სასტუმრო „რიჯენტის“ ბოლო სართულზე, სულ რვა სხვადასხვა კიბის არბენა მოგიწევს, შემდეგ ხმაურიანი დერეფნის გავლა, სადაც ტელე-შოუებისთვის ჩაწერილი სიცილის ხმა გამოდის კარებებიდან. ყოველ ორ წამში, ან წამყვანის ღრიალი გესმის, ან მსახიობის განწირული კივილი იარაღის სროლის ხმებთან ერტად. ტაილერი დერეფნის ბოლოში მიდის და დაკაკუნებასაც კი ვერ ასწრებს, რომ თხელი, კეფირისფერი ხელი ძვრება ნომრის შეღებული კარიდან და მას შიგნით ითრევს.
მე „რიდერს დაიჯესტში“ ვმარხავ საკუთარ თავს.
როგორც კი მარლა მას ოთახში ითრევს, ტაილერს მუხურუჭების და სირენის ხმა ესმის სასტუმროს წინა შესასვლელიდან. კარადაზე დევს დილდო, ისეთივე რბილი და პლასტიკური მასით დამზადებული, როგორითაც მილიონობით „ბარბი“ თოჯინა, წამით ტაილერი წარმოიდგენს, როგორ გამოაქვს კონვეიერს მილიონობით საბავშვო თოჯინა და „ბარბი“ თოჯინა და დილდო, ტაივანის რომელიმე ქარხნიდან.
მარლა უყურებს ტაილერს, რომელიც მარლას დილდოს უყურებს და ამბობს: „ნუ გეშნია, შენ ეს არ გემუქრება.“
მარლას ხელს ისევ დერეფანშ გამოჰყავს ტაილერი და ის ამბობს, რომ სამწუხაროა, მაგრამ მას არ უნდა დაერეკა პოლიციაში, რადგან მისი აზრით ქვემოთ პოლიციაა მოსული.
დერეფანში, მარლა ნომერს კეტავს და ტაილერი კიბისკენ მიჰყავს. კიბეებზე, ისინი კედელს ეკრობიან, როცა პოლიციელები და პარამედიკოსები, რომლებსაც ხელში ჟანგბადის ბალონები უჭირავთ, კითხულობენ სად შეიძლება იყოს ნომერი “ 8გ“.
მარლა ეუბნება, რომ ნომერი დერეფნის ბოლოშია.
მარლა პოლიციელებს უყვირის, რომ გოგო რომელიც მაგ ნომერში ცხოვრობს ერთ დროს, ლამაზი და მომხიბვლელი იყო, ახლა კი გაბოზდა და საშინელ მონსტრად იქცა. ეს გოგო კაცობირობის ინფექციური ნარჩენია, და დაბნეულია და ეშინია რაიმე არასწორი არ გააკეთოს და ამიტომ გადაწყვიტა, რომ არაფერი აღარ აკეთოს.
„მაგ გოგომ საკუთარი თავის რწმენა დაკარგა,“ ყვირის მარლა. „და ეშინია, რომ სიბერის მოსვლასთან ერთად უფრო და უფრო დაკარგავს პარამეტრებს.“
მარლა ყვირის, „წარმატებებს გისურვებთ მის პოვნაში.“
პოლიციელები ნომერ „8გ“-ს დაკეტილ კართან მოგროვდნენ, და ტაილერი და მარლა ვესტიბულში ჩარბიან. მათ უკან პოლიციელი ჩაკეტილ კარს უყვირის:
„ნება მოგვეცით დაგეხმაროთ! ქალატონო ზინგერ, თქვენ უამრავი მიზეზი გაქვთ, რომ იცოცხლოთ! უბრალოდ შემოგვიშვით, მარლა, ჩვენ დაგეხმარებით პრობლემის გადაჭრაში!“
მარლა და ტაილერი ქუჩაში გამორბიან. ტაილერი მარლას ტაქსიში სვამს და ზემოთ, სასტუმროს მერვე სართულზე, ტაილერი ხედავს ჩრდილებს, რომლებიც აქეთ-იქით მოძრაობენ მარლას ოთახში. ტრასაზე, ქუჩის განათებებსა და სხვა მანქანებში, ექვს რიგად დაყოფილ საგზაო მოძრაობაში მოქცეულები მიდიან სადღაც დასაკარგავში

და ამ დროს მარლა ეუბნება ტაილერს, რომ მან არ უნდა მისცეს დაძინების უფლება მთელი ღამე. თუ მარლას დაეძინება, მოკვდება.
უამრავ ადამიანს უნდოდა მარლას სიკვდილი, უთხრა მან ტაილერს. ეს ადამიანიბი თავად იყვნენ უკვე დიდი ხნის გარდაცვლილები და ღამ-ღამობით ურეკავდნენ ხოლმე. საკმარისია ბარში შევიდეს, რომ მაშინვე ბარმენი ტელეფონთან უხმობს, ის იღებს ყურმილს და იქიდან ისმის სიკვდილი.
ტაილერი და მარლა, მათ თითქმის მთელი ღამე არ უძინიათ, ჩემს მეზობელ ოთახში. როცა დილით ტაილერმა გაიღვიძა მარლა საწოლში არ დახვდა, ის სასტუმროში დაბრუნებულიყო.
მე ვეუბნები ტაილერს, რომ მარლას საყვარელი კი არა, ფსიქიატრი სჭირდება.
ტაილერი ამბობს, „ნუ დაარქმევ ამას სიყვარულს.“
მოკლედ მარლა დაბრუნდა, რათა ჩემი მეორე ცხოვრებაც დაანგრიოს.
კოლეჯიდან მოყოლებული ასე მემართება, შევიძენ მეგობარს, შემდეგ ის ქორწინდება. მე ვკარგავ მეგობარს.
შესანიშნავია.
გასაგებია, ვამბობ მე.
ტაილერი მეკითება, შენ ეს გაწუხებს?
მე ჯოს დაღეჭილი ნაწლავები ვარ.
შეგეძლო იარაღი მოგებჯინა და ჩემი ტვინით მოგეხატა ეს კედლები.
ყველაფერი კარგადაა, ვამბობ მე. მართლა.
8
ჩემი უფროსი სახლში მიშვებს მთელ ტანისამოსზე შემხმარი სისხლის წვეთების გამო და მე უსაშველოდ მიხარია.
ლოყებზე ნახვრეტები ჯერჯერობით არ მიხორცდება. მე სამსახურში მივდივარ და ჩემი დაბეგვილი თვალები შავ, გაფუებულ ნამცხვრის რულეტებს მიაგვანან, რომლებიც თითქოს საშარდე მილზე არიან შემოხვეულნი, რომელთა მეშვეობითაც ვხედავ სამყაროს. აქამდე ძალიან მაწუხებდა, რომ ვერავინ ამჩნევდა, რომ დავბრძენდი და ძენის ოსტატი გავხდი. მიუხედავად ამისა, ხშირად მიწევს ფაქსთან შეხება. მე ვწერ პატარა ჰაიკუებს და გარშემო ყველას ვუგზავნი ფაქსის მეშვეობით.
ყოველთვის, როცა ჰოლში მსხდომ თანამშრომლებს ჩავუვლი, ისინი მტრული სახეებით მიყურებენ და მე ამ დროს სრულიად ძენი ვხდები.
ფუტკრები გვტოვებენ.
მამალი ფუტკრებიც მიფრინავენ
დედოფალი მათი მონაა.
გაეცი ყველაფერი, რაც ამ ქვეყნად გაბადია, მანქანის ჩათვლით და გადადი საცხოვრებლად დაქირავებულ სახლში ქალაქის ყველაზე დაბინძურებულ რაიონში და უსმინე ღამით, როგორ ეძახიან ტაილერი და მარლა ერთმანეთს ტრაკის საწმედს.
ესეც შენ, კაცობრიობის ტრაკის საწმენდო.
არ გაჩერდე, ტრაკის საწმენდო.
მოკეტე. ხმა ჩაიწყვიტე პატარავ.
უბრალო შედარებისთვის, მე პატარა და წყნარი სამყაროს ცენტრი ვარ.

მე, დაბეგვილი თვალებით და სისხლის ლაქებით შარვალზე, მე ვამბობ, გაუმარჯოს. მივმართავ ყველა თანამშრომელს. გაუმარჯოს. შემომხედეთ. გაუმარჯოს. მე ნამდვილი ძენი ვარ. ეს სისხლია. ეს ამაოებაა. გაუმარჯოს. ყველაფერი უდრის არაფერს და ეს ისეთი მშვენიერია, იყო  გასხივოსნებული. ჩემსავით.
ჩასუნთქვა.
შეხედე. ფანჯრებს მიღმა. ჩიტი.
ჩემი უფროსი მეკითხება, ეს ჩემის სისხლია, თუ არა.
ჩიტი ქარს ქვემოთ მიჰყვება. მე პატარა ჰაიკუს ვწერ გონებაში.
უბუდო ჩიტი
მსოფლიოს ეძახის სახლს.
სიცოცხლე კარიერაა.
მე თითებზე ვითვლი, ხუთი, შვიდი, ხუთი.
სისხლი, ჩემია ეს სისხლი?
ჰო, ვამბობ მე, ნაწილი ჩემია.
ეს პასუხი არასწორია.
თითქოს ეს რამეს ნიშნავდეს. მე მაქვს ორი ხელი შავი შარვალი. ექვსი ხელი თეთრი პერანგი. ექვსი საცვალი. აუცილებელი მინიმუმი. მებრძოლთა კლუბში დავდივარ. ასეთი რამეებიც ხდება.
„სახლში წადი“, მეუბნება უფროსი, „გამოიცვალე.“
მე უკვე ეჭვი მიჩნდება, რომ ტაილერი და მარლა ერთი ადამიანია, თუ არ ჩავთვლით იმ ღამეებს, როცა ისინი მარლას ოთახში ჟიმაობენ.
ჟიმაობენ.
ჟიმაობენ.
ჟიმაობენ.
ტაილერი და მარლა არასდროს არ იმყოფებიან ერთ ოთახში, მე არასდროს მინახავს ისინი ერთად. თუმცა არც თქვენ გინახივართ მე და ზაზა გაბორი ერთ ოთახში და ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ერთი ადამიანი ვართ. უბრალოდ ტაილერი არასდროს ჩნდება მარლას თანდასწრებით.
მე შარვალი უნდა გავრეცხო, ტაილერმა საპნის დამზადება უნდა მასწავლოს. ტაილერი ზემოთაა, სამზარეულოში კი მიხაკისა და შეტრუსული თმის სუნი დგას. მარლა სამზარეულოს მაგიდასთან ზის, მიხაკის სუნიანი სიგარეტი პირთან მიაქვს და საკუთარ თავს კაცობრიობის ტრაკის საწმენდს უწოდებს.
„მე ვიღებ ჩემ დაწყლულებულ და ავადმყოფ მდგომარეობას, როგორც მოცემულობას.“ ეუბნება ის მოკიდებულ სიგარეტს. მარლა თავის თეთრ, ნაზ იღლიაში იდებს სიგარეტს. „დაიფერფლე, ალქაჯო, დაიფერფლე.“
ტაილერი ჩემს საძინებელშია, ზემოთ. საკუთარ კბილებს ათვალიერებს და მეუბნება, რომ შეუძლია ოფიციანტად დამაწყებინოს მუშაობა, ნახევარ განაკვეთზე.
„სასტუმრო „პრესმანში“, საღამოს მუშაობას თუ შეძლებ,“ ამბობს ტაილერი. „ეს სამსახური კლასობრივ სიძულვილს გაგიღვივებს.“
კარგი, ვამბობ მე, მაინც მკიდია.

„ისინი შავ ბაფთას გაგიკეთებენ," ამბობს ტაილერი. „მხოლოდ შავი შარვალი და თეთრი პერანგი გჭირდება და აყვანილი ხარ."
საპონი, ტაილერ. ვამბობ მე, საპონი გვჭირდება. საპონი უნდა დავამზადოთ. შარვლის გარეცხვა მინდა.
მე ტაილერის ტერფები მიჭირავს, სანამ ის ორას აზიდვას არ გააკეთებს.
„საპნის დასამზადებლად თავდაპირველად ქონი უნდა წამოვადუღოთ." ტაილერს თავი სასარგებლო ინფორმაციებით აქვს სავსე.
ტაილერი და მარლა არასდროს იმყოფებიან ერთ ოთახში გარდა იმ მომენტისა, როცა ჟიმაობენ.
როცა ტაილერი ჩემთანაა, მარლა მას არ იმჩნევს. ეს ჩემთვის ნაცნობი სურათია. სწორედ ასეთი უხილავები იყვნენ ერთმანეთისთვის ჩემი მშობლები. შემდეგ მამაჩემი შემდეგი თავისუფალი არჩევანის გამოსაყენებლად წავიდა.
მამაჩემი ხშირად მეუბნებოდა, „მანამდე უნდა დაქორწინდე, სანამ სექსი მოგბეზრდება, თორე მერე აღარასდროს დაქორწინდები."
დედაჩემი მეუბნებოდა, „არასდროს არაფერი იყიდო, რასაც ნეილონის ელვა-შესაკრავი აქვს."
ჩემ მშობლებს არასდროს არაფარი უთქვამთ ისეთი, ბალიშზე რომ ამოგექარგა მათი სიტყვები.
ტაილერი ასოთხმოცდამეთვრამეტე აზიდვას აკეთებს. ასოთხმოცდამეცხრამეტე. მეორასე.
ტაილერს ფლანელის ხალათი და სპორტული ტრუსები აცვია. „გააგდე მარლა სახლიდან," ამბობს ტაილერი. „გაუშვი მაღაზიაში, თუთქი მოგვიტანოს. ფიფქოვანი თუთქი და არა კრისტალური. როგორმე თავიდან მოიშორე."
მე, მე ისევ ექვსი წლის ვარ და დავარბენინებ მესიჯებს ერთმანეთისგან გაუცხოებულ ჩემ მშობლებს შორის. მე ეს მძულდა ექვსი წლის ასაკში. მე ეს დღესაც მძულს.
ტაილერი ფეხების ვარჯიშს იწყებს, მე ჩავდივარ ქვემოთ, რომ მარლას ვუთხრა: ფიფქოვანი თუთქი და მივცე ათი დოლარი და ჩემი ავტობუსის სამგზავრო ბარათი.
სანამ მარლა ჯერ კიდევ სამზარეულოს მაგიდასთან ზის, მე თითებიდან ვაცლი მიხაკის სუნიან სიგარეტს. ნელა და ლამაზად. სარეცხის საწმენდით იღლიიდან ჟანგისფერ ლაქებს ვუწმენდ, სადაც ნამწვები გაუმიზეზდა და სისხლისდენა დაეწყო. შემდეგ ორივე ფეხს მაღალქუსლიან ფეხსაცმელში ვაყრევინებ.
მარლა ზემოდან დამყურებს, როგორც მომხიბვლელ პრინცს, რომლისთვისაც ეს ჩვეულებრივი რუტინაა და ამბობს, „გადავწყვიტე შემოვსულიყავი, არ მეგონა თუ სახლში ვინმე დამხვდებოდა. შენი შემოსასვლელი კარი არ იკეტება."
მე არაფერს ვპასუხობ.
„იცი, პრეზერვატივი ჩვენი თაობის ბროლის ქოშია, შენ მას იცვამ, როცა უცნობ ადამიანს ხვდები. მთელი ღამე ცეკვავ, დილით კი ნაგავში ისვრი. პრეზერვატივს, რა თქმა უნდა, და არა უცნობ ადამიანს."
მე მარლას ხმას არ ვცემ. შეუძლია შეეტენოს მხარდაჭერის ჯგუფებსაც და ტაილერსაც, მაგრამ ჩემი მეგობარი ვერასდროს ვერ გახდება.
„მთელი დილა შენ გელოდებოდი აქ."

ხე ყვავის, კვდება.
ქრიან ფიფქები, პეპლები
ქვა კი ვერ ხვდება.
მარლა სამზარეულოს მაგიდიდან დგება, მას აცვია ლურჯი კაბა სახელოების გარეშე, ბრჭყვიალა ნაჭრისგან შეკერილი. ის ხელს კიდებს კაბის ბოლოს, ატრიალებს მას და მაჩვენებს ნაკერებს კაბის შიგნითა მხარიდან. მარლას საცვალი არ აცვია. და ის თვალს მიკრავს.
„მინდოდა, ჩემი ახალი კაბა მეჩვენებინა," ამბობს მარლა. „პატარძლის ხელისმომკიდის კაბაა და თავიდან ბოლომდე ხელითაა შეკერილი. მოგწონს? მეორად ბაზარზე ვიყიდე ერთ დოლარად. ვიღაცა იჯდა და საათობით ადებდა ამ მოწრიპულ ნაკერებს, რომ ასე დაემახინჯებინა. ეს მახინჯი კაბა." ამბობს მარლა. „წარმოგიდგენია?"
კაბა ერთ მხერეს გრძლია, მეორე მხარეს მოკლე და ის ნაწილი, რაც წელზე უნდა ეჯდეს, ბარძაყებზე აქვს შემოტკეცილი. მაღაზიაში წასვლამდე, მარლა კიდევ ერთხელ იწევს კაბას თითის წვერებით და ჩემსა და სამზარეულოს მაგიდის გარშემო დარბის ცეკვა-ცეკვითა და შიშველი ტრაკის ქნევით. მარლა ამბობს, რომ ძალიან უყვარს ნივთები, რომლებსაც ადამანები ჯერ აღმერთებენ და მერე ნაგავში ისვრიან ერთი საათის ან ერთი დღის შემდეგ. როგორც საშობაო ნაძვის ხეები, ერთ დღეს ყურადღების ცენტრში არიან, მეორე დღეს, როცა უკვე შობა გაივლის, შენ ამ გარდაცვლილ ხეებს ტრასების გასწვრივ გადაყრილს ნახულობ ზედ შემორჩენილი ბრჭყვიალებით. შენ ხედავ ამ ხეებს და თვალწინ გიდგება ცხოველი, რომელიც მანქანამ გაიტანა და გაუპატიურებული გოგო შემოხეული საცვლით და შავი ლენტით გაკოჭილი.
მინდა, რომ აქედან მოშორდეს.
„ცხოველთა კონტროლის დაწესებულება საუკეთესოა ადგილია, სადაც შეგიძლია წახვიდე," ამბობს მარლა. „სადაც ცხოველები, ცუგები და ფისოები, რომლებიც ადრე უყვარდათ და შემდეგ თავიდან მოიშორეს, ძალიან ბებერი ცხოველებიც კი, დახტიან და ცეკვავენ შენი ყურადღების მისაქცევად, რადგან ზუსტად სამ დღეში მათ ნატრიუმის ფენობარბიტალის სასიკვდილო დოზას გაუკეთებენ და შემდეგ ცხოველთა დიდ ღუმელში შეაგდებენ."
„დიდი ძილი, 'ძაღლთა სასაფლაოს' სტილში."
„სადაც თუ ვინმეს იმდენად უყვარხარ, რომ გადაგარჩინოს, მინიმუმ კასტრაციას მაინც გაგიკეთებს." მარლა ისე მიყურებს, თითქოს მე ვჟმავ მას და ამბობს, „მე შენი ღირსი არა ვარ, ხო ასეა?"
მარლა უკანა კარიდან გადის და საზიზღარ „თოჯინების ველს" ღიღნებს.
მე გაშტერებული ვუყურებ მის წასვლას.
ერთი, ორი, სამი წამია, რაც მარლა წავიდა და ოთახში სიჩუმე ჩამოწვა.
მე ვტრიალდები და წინ ტაილერი მეცხადება.
ტაილერი ამბობს, „რა ქენი, მოიშორე?"
არავითარი ხმა, არავითარი სუნი, ტაილერი არსაიდან ჩნდება.

„პირველ რიგში,“  ამბობს ის და მაცივარში იქექება. „პირველ რიგში ქონი უნდა მოვხარშოთ.“
რაც შეეხება ჩემს უფროსს, მეუბნება ტაილერი, თუ მე მართლა მაღიზიანებს მისი წერილები, შემიძლია უბრალოდ წავიდე ფოსტაში და დავწერო განცხადება მისამართის შეცვლის თაობაზე, დამთავრდა, იარონ მერე წერილებმა სადმე რაგბიში, ჩრდილოეთ დაკოტაში.
ტაილერი მაცივრიდან გაყინულ სენდვიჩებს იღებს და ნიჟარაში ყრის. მე მავალებს, რომ ქვაბი წყლით ბოლომდე გავავსო და გაზქურაზე დავდგა. ძალიან ცოტა წყალში ქონი გაშავდება, როცა ცხიმს გაუშვებს.
„ეს ქონი,“ ამბობს ტაილერი. „ძალიან მარილიანია, ამიტომ, რაც მეტი იქნება წყალი, მით უკეთესი.“
ჩააგდე ქონი წყალში და წამოადუღე.
ტაილერი გაყინულ პაკეტებს თეთრ მასას აცლის და, რაც რჩება, სანაგვე ურნის ფსკერზე მარხავს.
ტაილერი ამბობს, „ჩართე წარმოსახვა, გაიხსენე ის მოწინავე მძღნერ,ი რასაც ‘ბოი სკაუტებში’ გასწავლიდნენ. გაიხსენე მაღალი კლასების ქიმიის პროგრამა.“
რთულია ტაილერი „ბოი სკაუტებში“ წარმოიდგინო.
კიდევ ერთი რამის გაკეთება შეიძლება, ამბობს, ტაილერი, შემიძლია, მანქანით მივიდე ჩემი უფროსის სახლთან ერთ ღამეს და მისი სახლი ამწეს გამოვაბა. ხელის ტუმბო მივაერთო სახლს, საიდანაც შემიძლია სამშენებლო საღებავი შევიყვანო. წითელი, ლურჯი, მწვანე, რა ფერიც მინდა და დაველოდო, რა მდგომარეობაში მოვა ჩემი უფროსი სამსახურში მეორე დღეს. ან შემიძლია, ხელის სატუმბით ჰაერი მანამდე ვტუმბო, სანამ  იქ წნევა შვიდ ატმოსფერომდე არ აიწევს. ასეთ შემთხვევაში თუ ვინმე შევა ტუალეტში და უნიტაზის ჩარეცხვას შეეცდება, ის აფეთქდება. ათ ატმოსფეროზე, თუ ვინმე შევა აბაზანაში და ონკანს მოუშებს, წყლის წნევა ონკანის თავს გახეთქავს და მომაკვდინებელი სიჩქარით გაისვრის.
ტაილერი ამას იმისათვის მეუბნება, რომ თავი უკეთ ვიგრძნო. საქმე იმაშია, რომ მე მომწონს ჩემი უფროსი. და თან ახლა გასხივოსნებული ვარ. მხოლოდ ბუდასავით შემიძლია მოქცევა. ობობა ქრიზანტემელი. ალმასების სუტრა და ლურჯი მთის ჩანაწერები. ჰარი რამა, ხო აზრზე ხართ, კრიშნა, კრიშნა, გეცოდინებათ რა. ერთი სიტყვით, გასხივოსნება მეწვია.
„ტრაკში ბუმბულის გაკეთებით ქათამი ვერ გახდები.“ ამბობს ტაილერი.
როცა ქონი დუღდება, ცხიმი ადუღებული წყლის ზედაპირზე იწყებს ამოსვლას.
აჰა, ვამბობ მე, გამოდის, რომ მე ვიყრი ბუმბულს ტრაკში.
თითქოს ტაილერს, რომელსაც მკლავები სიგარეტისგან აქვს ამომწვარი, ნაზი სული ჰქონდეს. ბატონი და ქალბატონი ტრაკის საწმენდები. სახეზე მშვიდ გამომეტყველებას ვიღებ დასაკლავად გამზადებული ძროხასავით აეროპორტის უსაფრთხოების ისნტრუქციიდან.
როცა წამოდუღდება, ცეცხლს უნდა დაუწიო.
მდუღარე ქვაბს ვიღებ და ვარხევ.

სულ უფრო და უფრო მეტი ქონი ამოდის წყლის ზედაპირზე და ცისარტყელას მაგვარ სადაფისფერ ფენას იკეთებს. აიღე დიდი კოვზი და მოხადე ეს ფენა და ცალკე მოათავსე.
მარლა როგორაა? ვეკითხები მე.
„ის, ყოველ შემთხვევაში, უკიდურესობის მიღწევას მაინც ცდილობს.“ ამბობს ტაილერი.
მე ადუღებულ ქვაბს ვანჯღრევ.
გააგრძელე ქონის მოხდა მანამდე, სანამ წყლის ზედაპირზე ამოსვლას არ შეწყვეტს. ეს ის ქონია, რომელიც ჩვენ გვჭირდება.კარგი, სუფთა ქონი.
ტაილერი ამბობს, რომ მე ჯერ კიდევ ბევრი მაკლია უკიდურესობამდე. და თუ ყველა მხრივ არ დამერხევა, ვერ გადავრჩები. ქრისტე თავისი ფეხით მივიდა ჯვრამდე.
საქმე მხოლოდ ფულზე, ქონებაზე და ცოდნაზე უარის თქმას არ ეხება. ეს ბუნებაში კარვებით გასვლა არ არის. თვითგანვითარებიდან უნდა გავიქცე და კატასტროფამდე მივიდე. ახლა არაფრის კეთება აღარ შემიძლია უსაფრთხოდ.
ეს სემინარი არ გეგონოს.
„თუ უკიდურესობის მიღწევამდე ნერვებმა გიტყუნა,“ ამბობს ტაილერი. „წარმატებული ვეღარასდროს იქნები.“
მხოლოდ დიდი კატასტროფის შემდეგ შევძლებთ მკვდრეთით აღდგომას.
„მხოლოდ ყველაფრის დაკარგვის შემთვევაში,“ ამბობს ტაილერი. „შეიძლება გახდე თავისუფალი და აკეთო ყველაფერი.“
მე მხოლოდ ნაადრევ გასხივოსნებას განვიცდი.
„და განაგრძე ნჯღრევა,“ ამბობს ტაილერი.
როცა ქონი შეწყვეტს ამოსვლას, გადაღვარე ნადუღი წყალი. გარეცხე ქვაბი და აავსე ის სუფთა წყლით.
მე ვეკითხები, რამდენად შორს ვარ უკიდურესობისგან?
„იქიდან, სადაც ახლა შენ იმყოფები,“ ამბობს ტაილერი. „ფანტაზიაც კი არ მიგიწვდება, რა შეიძლება იყოს უკიდურესობა.“
ჩაუტარე იგივე პროცედურა ნაღებ ქონს. ადუღე ქონი წყალში, მოხადე რაც ამოვა და ასე განაგრძე, სანამ ქონი არ შეწყვეტს ამოსვლას. „ქონი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, ზედმეტად მარილიანია,“ ამბობს ტაილერი. „ძალიანი მარილიანი ქონისგან მყარ საპონს ვერ გააკეთებ.“ აადუღე და მოხადე.
აადუღე და მოხადე.
მარლა დაბრუნდა.
რა წამსაც მარლა აღებს კარს და შემოდის, ტაილერი ქრება, ოთახიდან იძურწება, უჩინარდება.
ტაილერი ზემოთ ადის ან ტაილერი სარდაფში ჩადის.
რა მოულოდნელია.
მარლა უკანა კარიდან შემოდის და ხელში ფიფქოვანი თუთქით სავსე ჭურჭელი უჭირავს.

„მაღაზიაში ტუალტის ქაღალდი ჰქონდათ, ნახმარი ტუალეტის ქაღალდისგან ხელახლა გადამუშავებული.“ ამბობს მარლა. „ნახმარი ტუალტის ქაღალდის გადამუშავება ალბათ ყველაზე ცუდი სამსახურია მსოფლიოში.“
მე ჭურჭელს ვართმევ და მაგიდაზე ვდგამ. ხმას არ ვცემ.
„შეიძლება, ამაღამ შენთან დავრჩე?“ ამბობს მარლა.
მე ხმას არ ვცემ. უბრალოდ ვითვლი. ხუთი მარცვალი. შვიდი, ხუთი.
ვეფხვი გიღიმის
გველს სიყვარული უნდა
სიცრუე გვაბოროტებს.
მარლა მეკითება, „რას ხარშავ?“
მე ჯოს დუღილის პიკი ვარ.
მე ვეუნები, წადი, უბრალოდ წადი, მოშორდი აქედან. გასაგებია? არ გეყო, რაც ცხოვრებაში დამიშავე?
მარლა სახელოში მკიდებს ხელს და რამდენიმე წამით მაჩერებს, რომ ლოყაზე მაკოცოს. „გთხოვ, დამირეკე.“ ამბობს ის. „გთხოვ. სალაპარაკო გვაქვს.“
მე ვამბობ, ჰო, ჰო, ჰო, ჰო.
როგორც კი მარლა ოთახიდან გადის, ტაილერი ისევ ბრუნდება.
ილუზიონისტის ფოკუსივით უსწრაფესად. ჩემი მშობლები ხუთი წელი იყვნენ დაკავებული ამ ფოკუსებით.
მე ვხდი ქონს, ტაილერი კი ამასობაში მაცივარში ადგილს ათავისუფლებს. ორთქლი მთელ ჰაერს ატენიანებს და სამზარეულოს ჭერიდან უკვე წყალი წვეთავს. მაცივარში ორმოცვატიანი ნათურა იმალება, რაღაც ნათელი, რომელსაც კეტჩუპის ცარიელი ბოთლი, მწნილის ქილა და მაიონეზი ეფარება, მაცივრის შიგნიდან გამომავალი ეს სუსტი სინათლე ტაილერის პროფილს ანათებს.
აადუღე და მოხადე. აადუღე და მოხადე. მოხდილ ქონს თავებგადაჭრილ რძის პაკეტებში ვასხამთ.
კარღია მაცივართან სკამით მიჩოჩებული ტაილერი აკვირდება, როგორ იყინება ქონი. სამზარეულოს სიცხეში მაცივრის ქვედა ნაწილიდან გამოსული ცივი ორთქლი ტაილერს ფეხებზე ეხვევა.
მე რძის პაკეტებს ქონით ვავსებ, ტაილერი კი მაცივარში ალაგებს. მე ტაილერის წინ ვიჩოქებ მაცივართან, და ის ჩემს ხელებს იღებს და მაჩვენებს. სიცოხლის ხაზი. სიყვარულის ხაზი. ვენერას და მარსის ბორცვები. ცივი ორთქლი გარს გვივლის, სახეს მკრთალი შუქი გვინათებს.
„მინდა, რომ კიდევ ერთი თხოვნა შემისრულო.“ ამბობს ტაილერი.
„ეს მარლას შეეხება, არა?“
„არასდროს არ ელაპარაკო მას ჩემზე. არ ელაპარაკო ჩემზე, ჩემ ზურგს უკან. მპირდები?“ ამბობს ტაილერი.
გპირდები.
ტაილერი ამბობს, „იცოდე, თუ ოდესმე მახსენებ მასთან, ვეღარასდროს მნახავ.“
გპირდები.
„მპირდები?“

გპირდები.
ტაილერი ამბობს, „არ დაგავიწყდეს, რომ სამჯერ დამპირდი.“
რაღაცის მსუქანი და სუფთა ნაღები ქონის თავზე გროვდება მაცივარში.
ქონი, ვამბობ მე, ცალცალკევდება.
„ნუ ნერვიულობ,“ ამბობს ტაილერი. „ეს სუფთა მასა იგივე გლიცერინია. ჩვენ შეგვიძლია ეს გლიცერინი ისევ უკან შევურიოთ საპნის კეთებისას. ან შეგვიძლია მოვხადოთ კიდეც.“
ტაილერი ტუჩებს ილოკავს და ჩემს ხელის გულებს ქვემოთ ატრიალებს და ბარძაყებზე იდებს, რომელსაც ფლანელის ხალათი უფარავს.
„შენ შეგიძლია, გლიცერინს დაუმატო აზოტის მჟავა და მიიღებ ნიტროგლიცერინს.“ ამბობს ტაილერი.
მე პირღია ვსუნთქავ და ვამბობ, ნიტროგლიცერინი.
ტაილერი თავის მბზინავ და სველ ტუჩებს ილოკავს და ხელზე მკოცნის.
„შეგიძლია, ნიტროგლიცერინს ნატრიუმის ნიტრატი და ნახერხი დაუმატო დინამიტის დასამზადებლად,“ ამბობს ტაილერი.
ტაილერის ნაკოცნი სველია და ხელის უკანა ნაწილზე მიბზინავს.
დინამიტი, ვიმეორებ მე და ქუსლებზე ვეშვები.
ტაილერი თუთქით სავსე ჭურჭელს თავს ხდის, „შეგიძლია, ხიდები ააფეთქო,“ ამბობს ტაილერი.
„შეგიძლია, ნიტროგლიცერინი შეურიო უფრო მეტ აზოტ მჟავას და პარაფინს და მიიღებ ჟელეს მაგვარ ასაფეთქებელს,“ ამბობს ტაილერი.
„შეგიძლია, შენობებიც ააფეთქო ძალიან მარტივად,“ ამბობს ტაილერი.
ტაილერს ჭურჭელი ჩემს ხელთან მოქვს, მისი მბზინავი კოცნის თავზე, ჩემი ხელის უკანა მხარეს.
„ეს ქიმიური წვაა,“ ამბობს ტაილერი. „ისეთ ტკივილს იგრძნობ, როგორიც არასდროს გამოგიცდია. ასჯერ უფრო მტკივნეულია, ვიდრე სიგარეტის ჩაქრობა სხეულზე.“
ნაკოცნი ჩემი ხელის უკანა ნაწილზე.
„ნაიარევიც დაგრჩება.“ ამბობს ტაილერი.
„საკმარისი ოდენობის საპნით,“ ამბობს ტაილერი. „შეგიძლია მთელი მსოფლიოც კი გადაბუგო. და არ დაივიწყო შენი დაპირება.“
და ტაილერი თუთქს მაყრის.

**9**

ტაილერის ნერწყვმა ორი საქმე გააკეთა. მისმა სველმა კოცნამ თუთქი ჩემი ხელის უკანა ნაწილზე შეაკავა, სანამ იწვოდა. ეს იყო პირველი, რაც მან გააკეთა. მეორე კი ის იყო, რომ თუთქი მხოლოდ მაშინ იწყებს წვას, თუ მას წყალი მოხვდება. ან ნერწყვი.
„ეს ქიმიური წვაა,“ ამბობს ტაილერი. „მან ისეთი ტკივილი იცის, როგორიც ჯერ არ გამოგიცდია.“
თუთქი შეგიძლია გაჭედილი კანალიზაციის მილის გასაწმენდად გამოიყენო. დახუჭე თვალები.
თუთქს და წყალს შეუძლია, ალუმინის ქვაბიც კი ამოწვას და გააღწიოს.

წყლისა და თუთქის ნაზავს შეუძლია, ხის კოვზი ბოლომდე გაადნოს.
წყლისა და თუთქის ნაერთი ორას გრადუსამდე ცხელდება და სწორედ ამ სიმხურვალით მწვავს ის ხელის უკანა ნაწილს, და ტაილერი თითებზე თითებს მადებს და ჩვენი ხელები ჩემს სისხლიან შარვალთან მიგვაქვს, და ტაილერი მომიწოდებს, რომ ყურადღებით ვიყო, რადგან ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ჩემს ცხოვრებაში.
„იმიტომ, რომ ის, რაც აქამდე ყოფილა, ისტორიაა," ამბობს ტაილერი. „და ის, რაც დღეის შემდეგ მოხდება, ისტორიაა."
ეს ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია.
ზუსტად ტაილერის ტუჩების ფორმის თუთქი კოცონივით ანთია ჩემს ხელზე, შანთითაა ამოყვანილი, ატომური სადგურივითაა დაშენებული მასზე გრძელი, გრძელი გზის ბოლოს, რომელიც ჩემგან რამდენიმე მილის დაშორებით მოჩანს.
ტაილერი მიბრძანებს, მის სიახლოვეს დავბრუნდე. ჩემი ხელი კი მიდის, პატარავდება და გზის ბოლომდე მიჰყვება ჰორიზონტს.
წარმოიდგინე, რომ კოცონი ისევ ანთია, ოღონდ ახლა უკვე ჰორიზონტს გადაღმა. როგორც მზის ჩასვლა.
„ტკივილს დაუბრუნდი," ამბობს ტაილერი.
ეს იმ მედიტაციებს ჰგავს, რომლებსაც მხარდაჭერის ჯგუფებში ატარებენ.
სიტყვა ტკივილი თავში არც კი გაივლო.
ეს მედიტაციები კიბოიანებს ეხმარება, ამიტომ ჩემს დახმარებასაც შეძლებს.
„შეხედე შენს ხელს." ამბობს ტაილერი.
არ შეხედო შენს ხელს.
თავში არ გაივლო სიტყვები დამწვრობა, ხორცი, კანის ქსოვილი, დანახშირება.
ყური არ უგდო საკუთარ ტირილს.
მედიტაცია.
შენ ირლანდიაში ხარ. თვალები დახუჭე.
შენ ირლანდიაში ხარ იმ ზაფხულს, როცა კოლეჯი დაამთავრე. სვამ ბარში, ციხესიმაგრესთან ახლოს, სადაც ყოველდღიურად ამერიკელი და ინგლისელი ტურისტებით სავსე უამრავი ავტობუსი ჩამოდის, რათა ბლარნის ქვას აკოცონ.
„გახსოვდეს," ამბობს ტაილერი. „საპონი და ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა ხელიხელჩაკიდებულნი დადიან."
შენ ტოვებ ბარს ხალხის ნაკადთან ერთად და მიაბიჯებ მდუმარე ქუჩაზე ჩამწკირვებულ სველ მანქანებს შორის, ახალ ნაწვიმზე. მერე ღამდება, სანამ 'ბლარნი-სტოუნის' ციხესიმაგრემდე მიაღწევ. ციხესიმაგრეს დამპალი იატაკი აქვს, ამიტომ შენ კლდეში ნაკვეთი კიბეებით მიიწევ მაღლა და ყოველ ნაბიჯზე უფრო და უფრო მატულობს სიბნელე, ყოველი მხრიდან. ყველანი უხმოდ მიიწევენ კლდისკენ, რათა დაიცვან ამბოხის ეს პატარა რიტუალი.
„მომისმინე," ამბობს ტაილერი. „გაახილე თვალები."
„უძველეს დროში," ამბობს ტაილერი. „ადამიანთა მსხვერპლშეწირვებს მთებზე აწყობდნენ, მდინარის პირას. ათასობით ადამიანს სწირავდნენ. მისმინე. მსხვერპლშეწირვისას ადამიანებს წვავდნენ."

„შეგიძლია იტირო," ამბობს ტაილერი. „შეგიძლია გაიქცე ონკანთან და ხელები წყალს შეუშვირო, მაგრამ აუცილებლად უნდა იცოდე ის, რომ სულელი ხარ და რომ მოკვდები. შემომხედე"
„ერთხელაც," ამბობს ტაილერი. „შენ მოკვდები და სანამ ამას არ ამიხვდები, მანამდე არაფერში არ მჭირდები."
შენ ირლანდიაში ხარ.
„შეგიძლია იტირო," ამბობს ტაილერი. „მაგრამ ყოველი ცრემლი, რომელიც შენს კანზე ფიფქოვან თუთქს დაეცემა, ნაიარევს დაგიტოვებს, თითქოს სიგარეტი ჩაგაქრეს."
მედიტაცია. შენ ირლანდიაში ხარ, იმ ზაფზულს, როცა კოლეჯი დაამთავრე, შესაძლოა სწორედ მაშინ და იქ მოგინდა პირველად ანარქია. წლებით ადრე, სანამ ტაილერ დერდენს გაიცნობდი, წლებით ადრე, სანამ პირველად ჩააფსამდი „ქრემ ანგლაიზში", შენ შეისწავლე წინააღმდეგობის პატარა აქტები.
ირლანდიაში.
შენ ერთ-ერთ ბაქანზე დგახარ, ქვის კიბეების ბოლოში, ციხესიმაგრეში.
„შეგვიძლია ძმარი გამოვიყენოთ," ამბობს ტაილერი. „წვის გასანეიტრალებლად, მაგრამ მანამდე შენ უნდა დანებდე."
ათასობით ადამიანის შეწირვისა და დაწვის შემდეგ, ამბობს ტაილერი, საკურთხეველში მათგან დარჩენილი ქონის თეთრი რუები, მთიდან მდინარეში ჩაედინებოდა.
მანამდე შენ უნდა მიაღწიო უკიდურესობის წერტილს.
შენ ერთ-ერთ ბაქანზე დგახარ ციხესიმაგრეში ყოველი ხრიდან უძირო სიბნელით მოცული და შენ წინ, შენი მხრების გასწვრივ, უზარმაზარი კლდოვანი კედელია აღმართული.
„წვიმა," ამბობს ტაილერი. „წლების მანძილზე რეცხავდა ადამიანთა ფერფლს და წლების მანძილზე წვავდნენ და წვავდნენ ადამიანებს, წლიდან წლამდე, და წვიმა კი ჟონავდა ხეების ფერფლს შორის და მას თუთქის გამხსნელად აქცევდა, და თუთქი ერწყმოდა ქონს, რომელიც დამწვარი ადამიანებისგან რჩებოდა, მსუქანი თეთრი საპნის რუები მოედინებოდნენ საკურთხევლიდან და მთის დაღმართის გავლით მდინარეს უერთდებოდნენ."
და ეს ირლანდიელები შენ გარშემო, თავისი პატარა წინააღმდეგობის აქტებით ამ სიბნელეში, ისინი ბაქნის კიდესთან მიდიან, და უძირო სიბნელის პირას დგებიან და იქიდან აფსამენ.
ირლანდიელები გეუბნებიან, მიდი, მიუშვი შენი საოცარი ამერიკული შარდი, ვიტამინებით მდიდარი და ყვითელი. მდიდარი და ძვირიანი და უსარგებლო.
„ეს შენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია." ამბობს ტაილერი. „შენ კი სადღაც დაფრინავ ფიქრებით და ხელიდან უშვებ მას."
შენ ირლანდიაში ხარ.
ოჰ, აი შენც იწყებ მოფსმას. ოჰ, ასწორებს. ასე. ამიაკის და B ვიტამინის დღიური ნორმის სუნი გცემს.

როცა საპონი საკმარისი ოდენობით ჩაიღვარა მდინარეში, ამბობს ტაილერი, ათასწლოვანი შეწირვისა და წვიმების შემდეგ, უძველესი ხალხი მიხვდა, რომ ტანსაცმელი გაცილებით უფრო სუფთა ხდებოდა, როცა მათ იმ ადგილებში რეცხავდნენ.
მე 'ბლარნისტოუნს' ვაფსამ.
„ღმერთო." ამბობს ტაილერი.
მე სისხლით მოსვრილ შავ შარვალში ვიფსამ, რომელსაც ჩემი უფროსი ვერ იტანს. შენ იმყოფები ნაქირავებ სახლში ქაღალდის ქუჩაზე.
„ეს რაღაცას ნიშნავს." ამბობს ტაილერი.
„ეს რაღაცის ნიშანია." ამბობს ტაილერი. ტაილერი სავსეა სასარგებლო ინფორმაციით. საპნამდელ კულტურაში, ამბობს ტაილერი, ადამიანი ტანსაცმლის გასარეცხად და თავის დასაბანად თავის შარდს და თავისი ძაღლის შარდს იყენებდა, რადგან ის შარდის მჟავას და ამიაკს შეიცავს.
შენ ძმრის სუნი გცემს და შენს ხელზე მოგიზგიზე კოცონი გრძელი გზის ბოლოში, ქრება.
შენ გცემს თუთქის სუნი, რომელიც ცხვირის ნესტოებს გიწვავს. და საავადმყოფოებისთვის დამახასიათებელი გულისამრევი ძმრისა და შარდის სუნი.
„ის ხალხი ტყუილად არ დაუხოცავთ." ამბობს ტაილერი.
შენ ხელის უკანა ნაწილი წითლად გისივდება, ორი მბზინავი ტუჩი გეხატება ზედ, რომელსაც ზუსტად ტაილერის კოცნის ფორმა აქვს. კოცნის გარშემო კი, ვიღაცის ცრემლები სიგარეტის ნამწვავებივით ამჩნევია.
„გაახილე თვალები," ამბობს ტაილერი, და სახე ცრემლებით უბზინავს. „გილოცავ," ამბობს ტაილერი. „შენ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდი უკიდურესობის წერტილს."
„შენ უნდა იგრძნო," ამბობს ტაილერი. „როგორ დაამზადეს პირველი საპონი, გმირებისგან."
დაფიქრდი ცხოველებზე, რომლებზეც პროდუქტებს ცდიან.
დაფიქრდი კოსმოსში დაღუპულ მაიმუნებზე.
„მათი სიკვდილის, ტკივილისა და მსხვერპლის გარეშე," ამბობს ტაილერი. „ჩვენ არაფერი გვექნებოდა."

**10**

მე ლიფტს სართულებს შორის ვაჩერებ, ტაილერი ქამარს იხსნის. როცა ლიფტი ჩერდება, სასაუზმე რაფაზე დაწყობილი სუპის ქვაბები წყვეტენ ჯანჯღარს და როგორც კი ტაილერი ქვაბს თავსაფარს ხდის, სოკოს ფორმის ორთქლი ჩნდება და ჭერისკენ მიიწევს.
ტაილერი მზადებას იწყებს და მეუბნება, „არ მიყურო, თორე ვერ გავაკეთებ."
ეს უგერმიელესი სუპია, ქინძითა და მოლუსკებით დამზადებული. ვერავინ ვერაფრის სუნს ვერ იგრძნობს, რაც არ უნდა ჩაუმატო ამ სუფს.
მე ვეუბნები, რომ დაუჩქაროს და საკუთარი მხრებიდან გადავყურებ მას უკან, მას თავისი ნახევარდუიმიანი სუპის თავზე აქვს გადმოკიდული. ძალიან სასაცილო სურათია, თითქოს ოფიციანტის პერანგში გამოწყობილი, ბაფთიანი პატარა სპილო სუპს ხვრეპს თავისი პატარა ხორთუმით.

ტაილერი ამბობს, „მე ვთქვი, არ მიყურო-მეთქი.“
ლიფტის კარი ჩემ პირდაპირაა, რომელსაც პატარა, ადამიანის სახის ხელა ფანჯარა აქვს, საიდანაც საბანკეტო დარბაზის დერეფანი მოჩანს. სართულებს შორის გაჭედილ ლიფტში მე ტარაკანასავით დავყურებ მწვანე ლინოლეუმს და ამ ტარაკნის სიმაღლიდან მოჩანს დერეფანი, რომელიც დასაკარგავში მიდის და მთავრდება ნახავრად შეღებული კარით, რომლის მიღმაც ტიტანები, თავიანთ გიგანტ ცოლებთან ერთად, კასრებით სვამენ შამპანურს და ერთმანეთს უცდიან უფრო დიდი ბრილიანტებით მორთული, ვიდრე მე შემიძლია წარმოვიდგინო.
წინა კვირას, ვეუბნები ტაილერს, როცა აქ „იმპაიერ სტეიტის“ ადვოკატები საშობაო წვეულებაზე შეიკრიბნენ, მე ავდექი და მათ მთელ ფორთოხლის მუსში ჩავუფსი.
წინა კვირას, ამბობს ტაილერი, მან ლიფტი გააჩერა და ახალგაზრდული ლიგის ჩაის სმისას ნამცხვრის მთელ ნიჟარას დავაკუე.
იცის ამ ტაილერმა, რომ ბეზე საოცრად იწოვს სუნებს.
ამ ტარაკნის სიმაღლეზე ჩვენ გვესმის, როგორ ასრულებს დატყვევებული არფისტი მუსიკას, როცა ტიტანებს ჩანგლებით ბატკნის ხორცი მიაქვთ პირთან, თითო მონაკბეჩი მთლიანი ღორის ხელაა, ყოველი პირი კი, მოძრავი „სტოუნჰენჯია“ სპილოს ძვლისგან დამზადებული.
მე ვეუბნები, მორჩი რა დროზე.
ტაილერი ამბობს, „არ შემიძლია.“
თუ სუპი გაცივდება, მას უკან დააბრუნებენ.
გიგანტები, მათ შეუძლიათ ნებისმიერი დააბრუნონ უკან სამზარეულოში ყოველგვარი მიზეზის გარეშე. მათ იმის ნახვა უნდათ, როგორ დარბიხარ აქეთ-იქით მათი ფულისთვის. ასეთ სადილებზე, საბანკეტო წვეულებებზე, მათ იციან, რომ ანგარიშში ჩვენი ჩაიც შედის, ამიტომ ისე გვექცევიან, როგორც ჭუჭყს.
სინამდვილეში, ჩვენ არც არაფერს არ ვაბრუნებთ უკან, სამზარეულოში. ატარე დარბაზში ცოტა ხანს, „პომ პერიზენი“ და „ასპერჯეს ჰოლანდაიზე“, შესთავაზე სხვა სტუმრებს და ყველაფერი წესრიგში ჩადგება.
მე ვამბობ, ნიაგარას ჩანჩქერი. მდინარე ნილოსი. სკოლაში ყველამ ვიცოდით, რომ თუ მძინარე ადამიანს ხელს თბილ წყალში ჩააყოფინებ, მან შეიძლება საწოლში ჩაიფსას.
ტაილერი ამბობს, „ოჰ.“ ჩემ უკან. ის ამბობს. „ოჰ, ასწორებს, ვშვრები, ოჰ, როგორ ასწორებს.“
ნახევრად შეღებულ კარიდან, დერეფანში ისმის შრიალი ოქროსფერი, შავი და წითელი ტანისამოსისა, იმ სიმაღლისა, რამხელაც ოქროსფერი ხავერდის ფარდაა ძველი ბროდვეის თეატრში. ისევ და ისევ, კადილაკ-სედანები შავი ტყავის სალონებითა და თასმებით საქარე მინების ადგილას. მათ თავზე კი ოფის-ცათამბჯენები წითელი სარტყელებით.
ბევრი არ მოგივიდეს, მე ვეუბნები.
მე და ტაილერი, ნამდვილ პარტიზან ტერორისტებად ვიქეცით მომსახურების სფეროში. სასადილო წვეულების დივერსანტები. ეს სასტუმრო უზრუნველყოფს სადღესასწაულო სადილებს და როცა ვინმეს უნდა საჭმელი, ის იღებს საჭმელს,

ღვინოს, ფაიფურს, მინის ჭურჭელს და ოფიციანტებს. ის იღებს ამ ყველაფერს იმიტომ, რომ ეს საერთო ანგარიშში შედის. და იმის გამო, რომ მათ იციან, რომ შენთვის ჩაი აღარ აქვთ მოსაცემი, მათთვის ტარაკნის ტოლფასი ხდები.
ერთხელ ტაილერი სადღესასწაულო სადილზე მოხვდა. სწორედ მაშინ გახდა ის ოფიციანტი-რენეგატი. იმ წვეულებაზე ტაილერი თევზის ჩამოტარებით იყო დაკავებული, იმ თეთრ და შუშის ღრუბლის მსგავს შენობაში, რომელიც თითქოს რკინის ფეხებზე შემდგარი ტივტივებდა ქალაქის თავზე, მთებისკენ მიტრიალებული. თევზის ჩამოტარების შემდეგ, როცა ტაილერი უკვე სოუსიან თეფშებს რეცხავდა, სამზარეულოში დიასახლისი შემოვიდა, რომელსაც ხელში ქაღალდის ნაჭრები ეჭირა და ხელები ისე უცახცახებდა, რომ ქაღალდები დროშებივით ფრიალებდნენ. კბილებს შორის სცრის, ქალბატონს აინტერესებს, რომელიმე ოფიციანტს ხომ არ დაუნახავს, რომელიმე სტუმარი დერეფანში გამოსულიყოს და საძინებელი ოთახებისკენ წასულიყოს? განსაკუთრებით ქალი სტუმარი? ან მასპინძელი?
სამზარეულოში ტაილერი და ალბერტი და ლენი და ჯერი ჭურჭელს რეცხავენ და ახვავებენ, სტაჟიორი მზარეული ლესლი კი, ნივრიან გამდნარ კარაქს ასხამს არტიშოკის გულს და კრევეტებით და ლოკოკინით აზავებს.
„ჩვენ სახლის იმ ნაწილში არ გვიხდება მოხვედრა“, ამბობს ტაილერი.
ჩვენ ავტოფარეხიდან შემოვდივართ შენობაში. მხოლოდ ავტოფარეხის, სამზარეულოს და  სასადილო დარბაზის ნახვა გვიწევს.
მასპინძელი ცოლს უკან მოყვება სამზარეულოს შესასვლელში და აცახცახებული ხელებიდან ქაღალდების დასტას ართმევს. „ამას ეშველება.“ ამბობს ის.
„როგორ უნდა შევხედო თვალებში იმ ხალხს,“ ამბობს დიასახლისი. „თუ არ გავიგე ეს ვინ ჩაიდინა?“
მასპინძელი გაშლილ ხელს ადებს მის აბრეშუმის თეთრ სადღესასწაულო კაბას და ქალბატონი მხრებში სწორდება, სამხრეებს ისწორებს, და მოულოდნელად დამშვიდებული ამბობს, „ისინი შენი სტუმრები არიან“ ამბობს მასპინძელი. „და ეს წვეულება ძალიან მნიშვნელოვანია.“
ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოდ ჩანს, თითქოს მუცლით მეზღაპრე თოჯინას აცოცხლებდეს. ქალბატონი თავის ქმარს შეჰყურებს, რომელიც მას ხელს ოდნავ კრავს და სამზარეულოდან სასადილო დარბაზისკენ მიჰყავს. მას ქაღალდი ხელიდან უვარდება და სამზარეულოს კარისგან დაბერილ ნიავს, ის ტაილერის ფეხებთან მიაქვს.
ალბერტი ამბობს, „რა წერია?“
ლენი მიდის და თევზიანი ჭურჭლის რეცხვას იწყებს.
ლესლი არტიშოკიან ლანგარს ისევ ღუმელში აბრუნებს და ამბობს,
„რა წერია მართლა, ბოლო-ბოლო.“
ტაილერი პირდაპირ ლესლისკენ იხედება და ქაღალდის ხელში აუღებლად ამბობს, „მე ტონა შარდი ჩავუშვი, თქვენი უამრავი ელეგანტური სუნამოდან ერთ-ერთში.“
ალბერტი იცინის. „შენ ჩააფსი მის სუნამოში?“

არა, ამბობს ტაილერი. მან უბრალოდ ეს წერილი მის ბოთლებთან მიაკრა. მას ასობით ასეთი სუნამოს ბოთლი უდევს სარკესთან, თავის აბაზანაში.
ლესლი იცინის, „ანუ რეალურად ეგ არ გიქნია?“
„არა“ ამბობს ტაილერი. „მაგრამ მან ეს არ იცის.“
დარჩენილ ღამეს იმ თეთრ და შუშის შენობის სადღესასწაულო სადილის შემდეგ, ცაში, ტაილერი პირდაპირ ცხვირწინ აცლიდა დიასახლისს თეფშებს და რეცხავდა მათ, ცდილობდა მათგან ცივი არტიშოკის, ცივი ხბოს ხორცის, ცივი „პომ დუშესის“ ცივი პოლონური სუფლეს მოშორებას, თან პერიოდულად აგრძელებდა ქალბატონისთვის ღვინის ჭიქის შევსებას. ის იჯდა სუფრასთან და ყოველი სტუმარი ქალის ჭამას აკვირდებოდა, შემდეგ კი უეცრად, შერბიტის დასრულებისა და გარგრის ტორტის მოტანის მომენტში, ის მოულოდნელად ადგილიდან გაქრა. ისინი სტუმრების წასვლის შემდეგ რეცხვას აგრძელებდნენ, გამაგრილებლებს და ფაიფურს სასტუმროს ფუროგნში ტვირთავდნენ, როცა მასპინძელი სამზარეულოში შემოვიდა და ალბერტს თავაზიანად სთხოვა გაყოლოდა და სიმძიმის აწევაში მოხმარებოდა.
ლესლი ამბობს, მე მგონი ტაილერს ზედმეტი მოუვიდა.
ხმამაღლა და სწრაფად, ტაილერი ჰყვება, როგორ კლავენ ვეშაპებს ასეთი სუნამოების დასამზადებლად, რომლებსაც ოქროზე ერთი უნციით ძვირად ყიდიან. ადამიანთა უმეტესობას ვეშაპი თვალითაც არ უნახავს. ლესლის ორი შვილი ჰყავს და აქვე, გზის გადაღმა ცხოვრობს, ჩვენ წელიწადში იმაზე ნაკლებს ვშოულობთ, რამდენიც ქალბატონ დიასახლისს აქვს გადაყრილი იმ სუნამოებში, რომლებიც აბაზანაში სარკესთან უწყვია.
ალბერტი მასპინძლის დახმარების შემდეგ უკან ბრუნდება და ტელეონზე 9-1-1-ს კრეფს. ალბერტი ხელს პირზე იფარებს და პირის დარჩენილი ნაწილით ამბობს, ძმაო, ჯობდა არ დაგეტოვებინა ტაილერ, ეგ წერილი.
ტაილერი ამბობს, „ჰოდა, უთხარი მენეჯერს. გამათავისუფლეთ. ამ სკინტლიან სამსახურზე დაქორწინებული ნამდვილად არა ვარ.“
ყველა საკუთარი ტერფებისკენ იხედება.
„სამსახურიდან გაგდება,“ ამბობს ტაილერი. „საუკეთესოა, რაც შეიძლება დაემართოს ნებისმიერ ჩვენგანს. ასე იქნებ შეგვეწყვიტა წყალზე სეირნობა და საკუთარი ცხოვრებისთვის მიგვეხედა.“
ალბერტი ყურმილში ამბობს, რომ ჩვენ სასწრაფო დახმარება გვჭირდება და მისამართს ეუბნება. პასუხის მოლოდინში ის ჩვენკენ ტრიალდება და ამბობს, რომ დიასახლისი სერიოზულად ცუდად არის. ალბერტს თავად მოუხდა მისი გამოყვანა ტუალეტიდან. ქმარს მან არ მისცა ამის უფლება, რადგან ქალბატონი ამბობს, რომ სწორედ მან ჩააფსა მის სუნამოებში, რათა ამით ჭკუიდან გადაიყვანოს და ვინმე სტუმარ ქალს დააბრალოს ყველაფერი, და ის ამბობს, რომ დაიღალა, დაიღალა ამ ხალხით, რომლებიც თავს მათ მეგობრებს ეძახიან.
ქმარი მას ვერ წამოიყვანს, რადგან ქალბატონი თავისი თეთრი კაბით წაიქცა ტუალეტის კართან, ის შუაზე გადამტვრეულ სუნამოს ბოთლს უქნევს მას.
ქალბატონი ეუბნება, რომ ყელს გამოჭრის, თუ მიკარებას შეეცდება.

ტაილერი ამბობს, „გლიჯავს.“
და ალბერტი ყარს. ლესლი ამბობს, „ალბერტ, საყვარელო, შენ ყარხარ.“
შეუძლებლია იმ სააბაზანოდან ისე გამოხვიდე, რომ არ ყარდე, ამბობს ალბერტი.
სუნამოს ყოველი ბოთლი დამტვრეული გდია იატაკზე და, ამას გარდა, უნიტაზიც კი მისი ნამსხვრევებითაა სავსე. ისინი ყინულებს ჰგვანან, ამბობს ალბერტი, როგორც იმ უმდიდრეს სასტუმროებში, პისუარებს რომ ვავსებთ ხოლმე ყინულის ნამსხვრევებით. სააბაზანო ყარს და იატაკი მოფენილია ყინულის ნამსხვრევებით, რომელიც არასდროს დადნება, და როცა ალბერტი ქალბატონს წამოდგომაში ეხმარება, მისი კაბაზე ყვითელი ლაქები ჩნდება, ქალბატონი ბოთლის ნამტვრევს უქნევს ქმარს, ფეხი უსრიალდება და ხელის გულებით ეცემა ძირს.
ის ტირის, სისხლი სდის და იკლაკნება. ოჰ, როგორ მეწვის, ამბობს ის. „ოჰ, უოლტერ მეწვის, ძალიან მეწვის.“ ამბობს ქალბატონი.
სუნამო და ამდენი მკვდარი ვეშაპი ნამდვილად დაგიწვავს გადაჭრილ ხელებს. მასპინძელი მას ხელებს ფეხებში ავლებს და თავისკენ აცურებს, ქალბატონს ხელები ზემოთ აქვს აშვერილი, თითქოს ლოცულობდეს, ხოლო მისი მტევნებიდან კი სისხლი ჯერ ხელისგულზე მოედინება, მაჯასთან ჩამოდის, მის ბრილიანტის სამაჯურს კვეთს, ჩამოდის იდაყვამდე და ბოლოს წვეთავს.
და მასპინძელი ამბობს, „ყველაფერი კარგად იქნება, ნინა.“
„ჩემი ხელები, უოლტერ.“ ამბობს ქალბატონი.
„ყველაფერი კარგად იქნება.“
ქალბატონი ამბობს, „ვის უნდა გავემწარებინე ასე? ვის შეიძლება ასე ვძულდე?“
მასპინძელი ალბერტს ეუბნება, „სასწრაფოს ხომ არ გამოიძახებდი?“
ეს იყო ტაილერის პირველი მისია, როგორ მომსახურების სფეროს ტერორისტისა. პარტიზანი ოფიციანტი. დაბალანაზღაურებადი ჯალათი. ტაილერი ასეთ რამეებს წელიწადზე მეტ ხანს აკეთებდა, მაგრამ ირწმუნება, რომ უკეთესია, როცა ამაში სხვებიც არიან ჩართული.
როცა ალბერტი თხრობას ასრულებს, ტაილერი იღიმის და ამბობს, „გლიჯავს.“
დავბრუნდით სასტუმროში, სადაც მე და ტაილერს ლიფტი სამზარეულოსა და საბანკეტო სართულს შორის გვაქვს გაჩერებული. ტაილერს ვუყვები, როგორ მოვიხოცე ცხვირი დერმატოლოგთა კონგრესისთვის განკუთვნილ კალმახის კერძში და როგორ გამომიცხადა სამმა სტუმარმა, რომ ზედმეტად მლაშეა, ხოლო ერთმა მითხრა, რომ უგემრიელესია.
ტაილერი ბოლო წვეთამდე ფერთხავს სუპში და ამბობს, რომ მორჩა. ამ ოპერაციის ჩატარება ცივ სუპში უფრო მარტივია, მაგალითად „ვიშისოისში“, ან როცა ჩვენი მზარეული ამზადებს, მართლაც ნორჩ „გასპაჩოს“. ამის გაკეთება შეუძლებელია ხახვის სუპში, რომელსაც გამდნარი ყველით აკეთებენ. მე სწორად ამას შევუკვეთავდი, აქ თუ მოვიდოდი საჭმელად.
მე და ტაილერს უკვე იდეები გვითავდება. საჭმლისთვის ასეთი რამეების კეთება უკვე მოსაბეზრებელი ხდება, თითქმის უკვე სამსახურის ნაწილია. შემდეგ ერთ-ერთი ექიმი, იურისტი, თუ ვინც გინდათ ის, მეუბნება, რომ ჰეპატიტის ბაქტერია

ექვსი თვის განმავლობაში ცხოვრობს უჟანგავი რკინის ზედაპირზე. წარმოიდგინეთ რამდენ ხანს გაძლებს ის რომის ნადუღ კრემ „შარლოტე რუსეში“.
ან „სალმონ ტიმბეილში“.
მე ვკითხე ექიმს, თუ სად შეიძლებოდა აგვეკიდებინა ჰეპატიტის ბაქტერია, ის კი საკმაოდ მთვრალი იყო იმისათვის, რომ გაეცინა.
ყველაფერი სამედიცინო ნარჩენების ნაგავსაყრელებთან მიდის, ამბობს ის.
და ის იცინის.
ყველაფერი.
სამედიცინო ნაგავსაყრელები უკიდურესობის წერტილს ჰგვანან.
ცალი ხელი ღილაკზე მიდევს და ტაილერს ვეკითხები, არის თუ არა მზად. ჩემს ხელზე ნაიარევი წითლადაა ამოზნექილი და პრიალებს, როგორც ორი ტუჩი, ზუსტად ტაილერის კოცნას განასახიერებენ.
„ერთი წამით,“ ამბობს ტაილერი.
როგორც ჩანს, სუპი ჯერ ისევ ცხელია, რადგან ის მოღუნული რაღაცა, რასაც ტაილერი შარვალში აბრუნებს, ორთქლს უშვებს და ვარდისფერია, როგორც გიგანტური კრევეტი.
**11**
სამხრეთ ამერიკაში, ამ მომაჯადოვებელ მიწაზე, ჩვენ შეგვეძლო მდინარეში გაგვევლო, სადაც ტაილერს პატარა თევზი შეუძვრებოდა შარდსადენში. თევზი ეკლებითაა დაფარული, რომლებსაც როცა საჭიროა აჩენს და მალავს, ამიტომ ერთხელაც ის ტაილერთან მოდის, მის სხეულში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში და ქვირითის დასადებად იწყებს მზადებას. ჩვენს მიერ ერთად გატარებულ შაბათის ღამეებზე ბევრად უარესი რამეებიც არსებობს.
„უარესი ის იყო,“ ამბობს ტაილერი. „რაც ჩვენ მარლას დედას გავუკეთეთ.“
მე ვამბობ, მოკეტე.
ტაილერი ამბობს, შეიძლებოდა საფრანგეთის მთავრობას მოვეტაცებინეთ და წავეყვანეთ რომელიმე საცხოვრებელი კომპლექსის მიწისქვეშეთში, სადღაც პარიზის შემოგარენში, სადაც არათუ ქირურგები, არამედ ვერშემდგარი ტექნიკოსები ქუთუთოებს მოგვაჭრიდნენ და მას გასარუჯი აეროზოლის ტოქსიკურობაზე დასატესტად გამოიყენებდნენ.
„ასეთებიც ხდება,“ ამბობს ტაილერი. „იკითხე გაზეთები.“
ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ მე ვიცოდი, რა გაუკეთა ტაილერმა მარლას დედას. თავიდან, როცა პირველად გავიცანი, ტაილერი თამაშით აკეთებდა ფულს. კაი მაყუთს აკეთებდა. ნორდსტორმიდან დარეკეს და ტაილერის ორასი ცალი, ყავისფერი პირის საბანი საპონი შეუკვეთეს საშობაოდ. ოცი დოლარი თითოში, მშვენიერი საცალო ფასია, ჩვენ უკვე საკმარისი ფული გვაქვს იმისათვის, რომ შაბათ დღეს სადმე გავიდეთ. საკმარისი ფული გაზის მილის შესაკეთებლად. საცეკვაოდ წასასვლელად. ფულზე რომ არ მქონდეს სადარდებელი, ალბათ სამსახურიდანაც წამოვიდოდი.
ტაილერი თავის თავს ქაღალდის ქუჩის საპნის საამქროს ეძახის. ხალხი ამბობს, რომ ეს ყველაზე მაგარი საპონია.

„რა იქნებოდა იმაზე უარესი,“ ამბობს ტაილერი. „შემთხვევით მარლას დედა რომ შეგეჭამა.“
„კუნგ პაოს“ ქათმით გამოტენილი პირით ვეუბნები, რომ მოკეტოს ბოლო-ბოლო.
ამ შაბათის ღამეს ჩვენ 1968 წლის გამოშვების „იმპალას“ წინა სავარძლებში ვსხედვართ, ნახმარი ავტომობილების სადგომზე. მე და ტაილერი, ჩვენ ვსაუბრობთ, ლუდს პირდაპირ ქილიდან ვსვამთ, ხოლო ეს „იმპალას“ სავარძლები უფრო დიდია, ვიდრე ზოგიერთი ადამიანის დივანი. ბულვარის ეს ნაწილი სულ მანქანებითაა სავსე, ამ სისტემაში ასეთ სადგომებს „ქოთნებს“ ეძახიან, აქ მანქანები ორას დოლარამდე ღირს და დღისით ციგნები, რომლებიც ამ სადგომებს აკონტროლებენ, დგანან თავის ფანერით აწყობილ ოფისებთან და გრძელ და წვრილ სიგარებს ეწევიან.
ეს მანქანები კოლეჯის სტუდენტების ნაქონია: „გრემლინები“. „პეისერები“, „მაგერიკები“ და „ჰორენეტები“, „პინტოები“, „ინტერნეიშნლ ჰარვესტერ პიკაპები“ ღია „კამაროები“ და „დასტერები“ და „იმპალები“. მანქანები, რომლებიც ადამიანებს უყვარდათ და შემდეგ გადაყარეს. ცხოველები სატუსაღოში. საქორწინო კაბები ძონძებში. ნაცრისფერი, წითელი, შავი ნაჭრებით ჩაკერებული, რომელსაც ადამიანის სხეულის კვალი ატყვია გვერდებში და რომელსაც არავინ არასდროს აღარ დაუწყებს გულმოდგინედ წმენდას. პლატმასის ხე, ტყავის შემცვლელი, პლასტიკური ქრომის ინტერიერი. ღამით ციგნები მანქანის კარებს არც კი კეტავენ.
მანქანის ფარები წამიერად ანათებენ „იმპალას“ ფასს, რომელიც დიდ, ეკრანის მაგვარ საქარე მინას საღებავით აქვს მიწერილი. შეხედე, ა.შ.შ. ოთხმოცდათვრამეტი დოლარი. შიგნიდან იკითხება, როგორც ოთხმოცდაცხრა ცენტი. ნოლი, ნოლი,შემდეგ მძიმე, ბოლოს რვა და ცხრა. ამერიკა თქვენს ზარს უცდის. მანქანების უმეტესობა აქ დაახლოებით ასი დოლარი ღირს და თითქმის ყოველ მათგანს მძღოლის გვერდითა მინაზე ჰკიდია შესყიდვის პირობა „ამ მდგომარეობაში“.
ჩვენ ავირჩიეთ „იმპალა“, რადგან შაბათობით მანქანაში გვიწევს ძილი, მას კი ყველაზე დიდი სავარძლები აქვს. ჩინურად ვიკვებებით, რადგან სახლში წასვლას ვერ ვახერხებთ. ორი ვარიანტი გვქონდა, ან აქ უნდა გამოგვეძინა, ან რომელიმე ღამის კლუბში გაგვეთენებინა. ჩვენ არ დავდივართ ღამის კლუბებში. ტაილერი ამბობს, რომ იქ მუსიკა ისეთი ხმამაღალია, განსაკუთრებით წამყვანი ტრეკი, რომ ის მის ბიორითმს არღვევს. როცა იქ უკანასკნელად ვიყავით ტაილერმა მითხრა, რომ ხმამაღალმა მუსიკამ კუჭი აუშალა. გარდა ამისა, იქ ისეთი ხმაურია, რომ ვერ დაილაპარაკებ, ამიტომ ცოტაოდენი ალკოჰოლის შემდეგ, იქ ყველა თავს ყურადღების ცენტრში გრძნობს, და ამავე დროს ძალიან შორსაა გარშემო მყოფთაგან. შენ ხარ გვამი, როგორც ინგლისურ კრიმინალურ მისტერიებში.
ჩვენ ამაღამ მანქანაში გვძინავს, რადგან დღეს მარლა მოგვივარდა სახლში და გვემუქრებოდა, რომ პოლიციაში დარეკავდა და ჩემს თავს დააჭერინებდა დედამისის მოხარშვისთვის. შემდეგ ოთახებში დარბოდა ყვრილით, რომ მე ვამპირი ვარ და კანიბალი, ბოლოს სამზარეულოში გადაინაცვლა, „რიდერს დაიჯესტისა“ და

„ნეიშენალ ჯეოგრაფიკის“ დასტებს შორის, და შემდეგ მე ის დავტოვე და წამოვედი. მოკლედ ასე.
იმ განუხორციელებელი სუიციდის შემდეგ, რომელიც მარლამ ქსანაქსის მეშვეობით, სასტუმრო „რიჯენტში“ მოაწყო, ნამდვილად აღარ მეგონა, თუ ის ოდესმე პოლიციაში დარეკავდა, მაგრამ ტაილერი ფიქრობს, რომ აჯობებს, დღეს სადმე სხვაგან გავათენოთ. ყოველი შემთხვევისთვის.
იმ შემთხვევისთვის, თუ მარლა სახლს გადაწვავს.
იმ შემთხვევისთვის, თუ მარლა სადმე იარაღს იპოვნის.
იმ შემთხვევისთვის, თუ მარლა ჯერ ისევ სახლშია.
ყოველი შემთხვევისთვის.
ვცდილობ გონზე მოვიდე:
მთვარის თეთრი სახის შემყურე
ვარსკვლავები არ გრძნობენ წყენას
ბლა, ბლა, ბლა, დასასრული.
აქ, როცა მანქანები გვერდს გვაქცევენ და მე ლუდის ბოთლით ხელში ვზივარ „იმპალაში“ მის ცივ და მძიმე „ბეიქლაითის“ ფირმის საჭესთან , რომლის დიამეტრიც სავარაუდოდ სამი ფუტია, როცა ეს დახეთქილი ვინილის სავარძელი ჯინსის მიუხედავად ტრაკზე მბზწკენს, ტაილერი ამბობს, „კიდევ ერთხელ ამიხსენი, კონკრეტულად რა მოხდა.“
ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში არ დავინტერესებულვარ ტაილერის საქმიანობით. უბრალოდ ერთხელ გავყევი „ვესტერნ უნიონის“ ოფისში და ვნახე, როგორ გაუგზავნა მან ტელეგრამა მარლას დედას.
„საშინლად დავნაოჭდი“ (წერტილი) „გთხოვ, მიშველე!“ (დასასრული)
ტაილერმა მუშაკს მარლას ბიბლიოთეკის საშვი აჩვენა და შემდეგ ტელეგრამას მარლას სახელით მოაწერა ხელი და იყვირა,  დიახ, მარლა კაცებსაც ჰქვიათ ზოგჯერ, და მუშაკმა უბრალოდ თავისი საქმე უნდა აკეთოს.
როცა „ვესტერნ უნიონიდან“ გამოვდიოდით, ტაილერმა მითხრა, რომ თუკი ის მიყვარს, უნდა ვენდობოდე კიდეც. არ იყო აუცილებელი ეს მე მცოდნოდა, მითხრა მან და „გარბონზოში“ წამიყვანა ჰუმუსისთვის.
ამ ტელეგრამას იმდენად არ შევუშინებივარ, რამდენადაც ტაილერის მადაზე მოსვლამ. არასდროს, არა, არასდროს არაფერში არ გადაუხდია ტაილერს თანხა. ტანსაცმლისთვის ის სპორტულ დარბაზებში და სასტუმროებში დადის და დაკარგული ნივთების ბიუროდან მოაქვს სხვისი ტანსაცმელი. ეს, რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესია, ვიდრე ის, რასაც მარლა აკეთებს. სამრეცხაოებში პირდაპირ საშრობიდან იპარავს ტანსაცმელს და წყვილს თორმეტ დოლარად აბარებს, სადაც ნახმარ ჯინსებს ყიდიან. ტაილერი არასდროს ჭამს რესტორნებში. მარლა არ დანაოჭებულა.
გაურკვეველი მიზეზების გამო ტაილერმა თხუთმეტ ფუნტიანი ყუთი შოკოლადი გაუგზავნა მარლას დედას.
სხვა, რაც ამ შაბათის ღამეს კიდევ უფრო გააუარესებდა, ამბობს ტაილერი, არის ყავისფერი ობობა-განდეგილი. როცა ის გკბენს, მას ორგანიზმში შეჰყავს არა

მხოლოდ შხამი, არამედ საჭმლის მომნელებელი ენზემა, ან მჟავა, რომელიც ნაკბენის გარშემო კანის ქსოვილში იხსნება და შენი ხელი, ან ფეხი ან სახე იწყებს დნობას.
როცა ეს ყველაფერი დაიწყო, ტაილერი სადღაც იმალებოდა. მარლა სახლში დაუკაკუნებლად აღმოჩნდა, დადგა შემოსასვლელში და იღრიალა, „კაკ, კუკ“.
მე სამზარეულოში ვზივარ და „რიდერს დაიჯესტს“ ვკითხულობ. ძალიან დაბნეული ვარ.
მარლა ყვირის, „ტაილერ. შეიძლება შემოვიდე? სახლში ხარ?“
მე ვყვირი, რომ ტაილერი სახლში არაა.
მარლა ყვირის, „ნუ იქნები ასეთი უსინდისო.“
ახლა მე შემოსასვლელთან ვდგავარ, მარლა დგას ფოიეში და ხელში „ფედერალ ექსპრესით“ გამოგზავნილი შეკვრა უჭირავს და ამბობს, „რაღაც მინდოდა შემენახა შენს საყინულეში.“
მე გზას ვუღობავ, რომ სამზარეულოსკენ არ წავიდეს და ვეუბნები, არა.
არა.
არა.
არა.
არ დავუშვებ, რომ მან რაღაც ძველმანების შენახვა დაიწყოს ამ სახლში.
„კი, მაგრამ გოგრა,“ ამბობს მარლა. „მე სასტუმროში მაცივარი არა მაქვს, და შენ ადრე მითხარი, რო შემანახვინებდი.“
არა, არ მითქვამს. ყველაზე ნაკლებად სწორედ ის მინდა, რომ მარლამ იაროს აქ, თითო ნაჭერი მძღნერით ხელში ყოველ მოსვლაზე.
მარლამ სამზარეულოს მაგიდაზე ხსნის „ფედერალ ექსპრესის“ შეკვრას, თხილისებური შეფუთვიდან იღებს რაღაც თეთრს, ჩემს სახესთან მოაქვს და აქნევს.
„ეს მძღნერი არ არის,“ ამბობს ის. „შენ დედაჩემზე ლაპარაკობ, ასე რომ გააჯვი.“
ის, რაც მარლამ ამოიღო შეკვრიდან, იმ ჩანთას ჰგავს, რომელშიც ტაილერი მოსახარშ ქონს ინახავს, რისგანაც მერე საპონს ამზადებს.
ყველაზე უარესი კი ის იქნებოდა,“ ამბობს ტაილერი. „შემთხვევით ის რომ შეგეჭამა, რაც ერთ-ერთ ასეთ ჩანთაში იდო. ერთ ღამეს რომ გაგეღვიძა, გამოგეღო მაცივრიდან თეთრი მასა, ჩაგემატებინა ხახვის სუპ „კალიფორნიაში“, აგეზილა და შეგეხვრიპა კარტოფილის ჩიპსებთან ერთად. ან ბროკოლისთან ერთად.“
როცა მარლა და მე სამზარეულოში ვიდექით, ამ ქვეყნად ყველაზე ნაკლებად ის მინდოდა, რომ მარლას მაცივარი გამოეხსნა.
მე ვკითხე, თუ რისთვის სჭირდებოდა მას ეს თეთრი სითხე.
„პარიზული ტუჩებისთვის,“ ამბობს მარლა. „სიბერესთან ერთად შენი ტუჩები პირისკენ მიიქაჩება. მე კოლაგენებისთვის ვაგროვებ ფულს, ტუჩის ინექციისათვის. დაახლოებით ოცდაათი ფუნტი კოლაგენი მაინც მექნება შენახული შენს მაცივარში.“
მე ვეკითხები, თუ რამდენად დიდი ტუჩები უნდა, რომ ჰქონდეს.
მარლა მპასუხობს რომ მხოლოდ თავად ოპერაცია აშინებს.
ნივთიერება, რაც „ფედერალ ექსპრესის“ შეკვრაში იყო, ვეუბნები მე ტაილერს „იმპალაში“, იგივე ნივთიერება აღმოჩნდა, რომლისგანაც ჩვენ საპონს ვამზადებთ. მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს, რომ სილიკონი სახიფათოა, კოლაგენი ყველაზე

გამოყენებადი გახდა ნაოჭების გასაწმენდად, ტუჩების დასაბერად და ნიკაპის კორექციისთვის.  როგორც მარლა მიხსნის, იაფფასიანი კოლაგენების უმეტესობა კეთდება ძროხის სტერილიზებული და დამუშავებული ქონისგან, მაგრამ ასეთი, იაფფასიანი კოლაგენი სხეულში დიდხანს ვერ ძლებს. სადაც არ უნდა გაიკეთო ის, ვთქვათ ტუჩებში, შენი ორგანიზმი უარყოფს მას და იწყებს მის გამოდევნას. ექვს თვეში შენ ისევ თხელი ტუჩები გექნება.
საუკეთესო კოლაგენები, ამბობს მარლა, შენი საკუთარი ქონია, შენივე თეძოებიდან ამოწოვილი, დამუშავებული, გასუფთავებული და უკან შეშვებული, შენს ტუჩებში ან სადმე სხვაგან. ასეთი კოლაგენი დიდხანს ძლებს.
ეს ნივთიერებები მაცივარში მარლას კოლაგენური ნდობის ფონდია.
როგორც კი მარლას დედას დამატებითი ქონი გაუჩნდებოდა სხეულში, ის მაშინვე იღებდა მას და ფუთავდა. მარლა ამბობს, რომ ამ პროცესს მომკვა ჰქვია. როცა დედამისს თავისთვის არ სჭირდებოდა კოლაგენები, ის მათ მარლას უგზავნიდა. მარლას არასდროს ჰქონია თავისი საკუთარი ქონი, დედამისის აზრით კი მათი საგვარეულო კოლაგენი გაცილებით აჯობებდა მისთვის, ვიდრე ის იაფფასიანი, ძროხის ქონისგან გაკეთებული.
ბულვარში ჩამწკრივებული გარეგანათების შუქი ფანჯარაზე დაკიდებულ შესყიდვის პირობებს ანათებს და ტაილერის ლოყაზე სახავს წარწარას, „ამ დგომარეობაში“.
„ობობებს,“ ამბობს ტაილერი. „მათ შეუძლიათ, კვერცხები დადონ, ამ მწერებს კი შეუძლიათ გვირაბიც კი გაიყვანონ შენს კანს შიგნით. ასე შეიძლება გაუარესდეს შენი ცხოვრება.“
ამ წუთში ჩემს „ალმონდის“ ქათამს თავის თბილ, ნაღების სოუსში მარლას დედის თეძოებიდან ამოღებული ნივთიერების გემო აქვს.
სწორედ ამ დროს, სამზარეულოში მარლასთან ერთად დგომისას მივხვდი, რაც ტაილერმა ჩაიდინა.
საშინლად დანაოჭებული.
და მივხვდი, რატომ გაუგზავნა ტკბილეული მარლას დედას.
გთხოვ, მიშველე.
მე ვეუბნები, მარლა, არ გინდა მაცივარში შეხედვა.
მარლა ამბობს, „რა არ მინდა?“
„ჩვენ არასდროს ვჭამთ წითელ ხორცს,“ მეუბნება ტაილერი „იმპალაში“. ის ვერ დაამზადებდა ქათმის ქონისგან საპონს და ვერ გამაგრდებოდა საპნის ფილასავით.
„ამან,“ ამბობს ტაილერი. „წარმატება მოგვიტანა. ჩვენ ამ კოლაგენით სახლის ქირა გადავიხადეთ.“
მე ვამბობ, შენ უნდა გეთქვა მარლასთვის, მას ჰგონია, რომ ეს მე ვქენი.
„საპონიფიკაცია,“ ამბობს ტაილერი. „არის ქიმიური რეაქცია, რომელიც კარგი საპნის მისაღებად გჭირდება.“ ქათმის ქონი არ გამოდგება და არც სხვა რამის ქონი, რომელიც მარილოვანია.
„მომისმინე,“ ამბობს ტაილერი. „ჩვენ დიდი შეკვეთა გვაქვს ჩასაბარებელი. ჩვენ ამას გავაკეთებთ, მარლას დედას გავუგზავნით შოკოლადებს და შეიძლება ხილის ნამცხვრებსაც კი.“

არა მგონია, ახლა ეს გამოვიდეს.
მოკლედ რომ გითხრათ, მარლამ მაინც შეიხედა მაცივარში. კარგი, თავიდან პატარა ჩხუბი მოაწყო. მე ვცადე გამეჩერებინა, ამიტომ ჩანთა, რომელიც ხელში ეჭირა ,გაუვარდა და ლინოლიუმზე დაინთხა, ჩვენ თეთრ ცხიმიან მასაში ვისრიალეთ და გასვრილები წამოვდექით ფეხზე. მე მარლას უკნიდან ვედექი, ხელები მის წელზე მქონდა შემოხვეული, მისი თმები სახეზე შოლტებივით მხვდებოდნენ, ხელები თეძოებზე მეწყო და ვიმეორებდი და ვიმეორებდი, მე არ ვყოფილვარ. მე არ ვყოფილვარ.
ეს მე არ მიქნია.
„დედაჩემი! შენ დედაჩემი დაღვარე.“
საპნის დამზადება გვინდოდა, ვეუბნები სახით მის ყურზე მიწებებული. ჩემი შარვალი გასარეცხი იყო, სახლის ქირა გადასახდელი გვქონდა, მილიდან გაზი ჟონავდა და უნდა შეგვეკეთებინა. ეს მე არ ვყოფილვარ.
ეს ტაილერმა ჩაიდინა.
მარლა კივის, „რაზე ლაპარაკობ?“ კაბიდან ხტება. მე ოთხზე მდგარი დავხოხავ ცხიმიან იატაკზე და წამოდგომას ვცდილობ, ხოლო მარლა საცვალში და თავის „ფილზის“ ფეხსაცმელებში და გლეხურ ბლუზში ხელს სტაცებს და მაცივრის საყინულეს აღებს, მაგრამ იქ კოლაგენური ნდობის ფონდი არ არის.
იქ მხოლოდ ორი ძველი ელემენტი, მეტი არაფერი.
„სად არის?“
მე უკვე უკან მივხოხავ, ჩემი ხელები და ფეხსაცმელები ლინოლიუმზე სრიალებენ, ჩემი ტრაკი კი სუფთა ბილიკს ტოვებს, რომელიც მარლასგან და მაცივრისგან მოემართება ამ ჭუჭყიან იატაკზე. მე კაბას ვიფარებ, რადგან ვერ ვბედავ მის სახეში ყურებას, როცა მას ვეუბნები.
სიმართლეს.
ჩვენ საპონი დავამზადეთ. მისგან. მარლას დედისგან.
„საპონი?“
საპონი. შენ ხარშავ ქონს. შენ ურევ მასში თუთქს. შენ იღებ საპონს.
როცა მარლა კივილს იწყებს, მე მას სახეში კაბას ვესვრი და გამოვრბივარ. მე ვსრიალებ. მე გამოვრბივარ.
წინ და უკან, მარლა მე დამდევს, პირველ სართულზე, ჩვენ ოთახების კუთხეებთან ვამუხრუჭებთ, ფანჯრის რაფებს ვეტაკებით ინერციით. ვსრიალებთ. ყვავილებიან შპალერზე ხელების ფორმის ცხიმსა და იატაკის ჭუჭყს ვტოვებთ. ვეცემეთ და ისევ ვაგრძელებთ სრიალს, ისევ ვდგებით და გავრბივართ.
მარლა ყვირის, „შენ დედაჩემი მოხარშე.“
ტაილერმა მოხარშა დედამისი.
მარლა ყვირის და ფრჩხილებს გამუდმებით ზურგში მირჭობს.
ტაილერმა მოხარშა დედამისი.
„შენ დედაჩემი მოხარშე.“
შემოსასვლელი კარი კიდევ ერთხელ გაიღო.

რის შემდეგაც მე კარს გარეთ აღმოვჩნდი, უკან კი მარლა მომყვებოდა კივილით. ფეხები აღარ მისრიალებდნენ ტროტუარზე და თავისუფლად დავრბოდი. სანამ ტაილერი არ ვიპოვნე, ან სანამ ტაილერმა არ მიპოვნა, რათა მისთვის ყველაფერი მომეყოლა.
ორივე ლუდებით წინა და უკანა სავარძლებზე მოვკალათდით, მე წინ დავჯექი. შეიძლება მარლა ახლაც სახლშია, ჟურნალებს კედლებს ესვრის და ყვირის, როგორი თავხედი და მონსტრი ვარ მე, ორსახა კაპიტალისტი, ტრაკის მწოველი ნაბიჭვარი. ეს შუაღამის მანძილი მე და მარლას შორის, მწერებით და მელანომით და ხორცის მჭამელი ვირუსებითაა სავსე. ეს არც ისე ცუდი ადგილია, სადაც მე ახლა ვიმყოფები.
„როცა ადამიანს მეხი ეცემა," ამბობს ტაილერი. „მისი თავი ბეისბოლის ბურთის ზომამდე დადის წვისგან, ხოლო მისი ელვა შესაკრავი დუღდება."
მე ვეკითხები, მივაღწიეთ ჩვენ უკიდურესობის წერტილს ამაღამ?
ტაილერი უკან იხრება და ამბობს, მერლინ მონრო რომ ცოცხალი ყოფილიყო ამ წუთას, რითი იქნებოდა დაკავებული?
მე ვამბობ, ღამე მშვიდობისა.
ჭერიდან ჰედლაინერი ვარდება, და ტაილერი ამბობს, „კუბოს სახურავის ფხაჭნით."

**12**

ჩემი უფროსი ძალიან ახლოს დგას ჩემს სამუშაო მაგიდასთან თავისი ოდნავი ღიმილით, მისი ტუჩები მოკუმული, დაწვრილებული და გაწელილია, მისი წელი ჩემი იდაყვის გასწვრივ იწყება. თავს ვწევ დაბრუნების აქტის ტექსტიდან. ეს წერილები ერთნაირად იწყება:
„ეს ნოტა გეგზავნებათ 'ეროვნული გადაადგილების უსაფრთხოების აქტის' მოთხოვნების მიხედვით. ჩვენ დავადგინეთ, რომ დეფექტი არსებობს..."
ამ კვირაში მე ხარჯის დათვლის ფორმულას მივყევი და A გამრავლებული B-ზე გამრავლებული C-ზე, დაბრუნების თანხაზე მეტი აღმოჩნდა.
ამ კვირაში მიზეზი პატარა პლასტიკური დამჭერია, რომელიც რეზინის ზოლს ამაგრებს საქარე მინის საწმენდზე. გადასაგდები ნივთია. მხოლოდ ორი ასეული მანქანა დაზიანდა. ეს არაფერია წარმობის ღირებულებასთან შედარებით.
წინა კვირა უფრო ტიპობრივი გამოდგა. წინა კვირას საქმე ტერაგონის სახელით ცნობილი ნივთიერებით დამუშავებულ ტყავს ეხებოდა, ნირეტის სინთეტიკას, თუ რაღაც ეგეთს, რომელიც იმდენად არალეგალურია, რომ დღემდე მესამე სამყაროს ქვეყნებში გამოიყენება. იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია ემბრიონის დეფექტი გამოიწვიოს ნებისმიერ ფეხმძიმე ქალში, რომელსაც მასთან მოუწევს შეხება. წინა კვირას არავის დაურეკავს ტრანსპორტაციის დეპარტამენტში. არავის გამოუთქვამს დაბრუნების სურვილი.
ახალი ტყავი გამრავლებული წარმოების ღირებულებაზე, გამრავლებული ადმინისტრაციულ ღირებულებაზე, პირველ კვარტალში მიღებულ მოგებაზე, მეტს

უდრიდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვინმე აღმოაჩენს ჩვენს შეცდომას, შეგვიძლია ვუხადოთ კომპენსაცია დაღუპულთა ოჯახებს მანამდე, სანამ ეს თანხა ექვსი ათას ხუთასი ტყავის სალონის დამზადების ღირებულებას არ მიუახლოვდება.
თუმცა ამ კვირაში დაბრუნების აქტს ვაფორმებთ. და ამ კვირაში უძილობა ბრუნდება. უძილობა ბრუნდება, და თითქოს მთელი მსოფლიო ჩემ წინ ჩერდება და საფლავს მითხრის.
ჩემს უფროსს ნაცრისფერი ჰალსტუხი უკეთია, ალბათ დღეს სამშაბათია.
ჩემს უფროსს ფურცელი მოაქვს ჩემს სამუშაო მაგიდასთან და მეკითხება, რამე ხომ არ დამიკარგავს. ეს ფურცელი პრინტერში იყო ჩარჩენილი, ამბობს ის და იწყებს წაკითხვას:
„მებრძოლთა კლუბის პირველი წესია, არ წამოგცდეს მებრძოლთა კლუბის შესახებ.“
მისი თვალები აქეთ-იქით მოძრაობენ ფურცლის გასწვრივ და ის ხითხითებს.
„მებრძოლთა კლუბის მეორე წესია, არავისთან წამოგცდეთ მერძოლთა კლუბის შესახებ.“
მე ტაილერის სიტყვები მესმის ჩემი უფროსის პირიდან, ბატონი უფროსის, რომელსაც შუა ასაკის კრიზისი აქვს, ოჯახის ფოტო უდევს სამუშაო მაგიდაზე, ოცნებობს, პენსიაზე მალე გავიდეს, ოცნებობს ზამთარზე, რომელსაც ის მანქანაზე გამობმულ ვაგონში გაატარებს სადმე არიზონას რომელიმე უდაბნოში. ჩემი უფროსი თავისი გადაპრანჭული პერანგით და ვარცხნილობით, რომლისთვისაც ყოველ სამშაბათს ლანჩის შემდეგ რიგში დგება, მიყურებს და ამბობს:
„იმედი მაქვს, ეს შენი არ არის.“
მე ჯოს სისხლში მოხარშული სიბრაზე ვარ.
ტაილერმა მთხოვა, ამეკრიფა მებრძოლთა კლუბის წესები და ათი ასლი გამეკეთებინა.
არც ცხრა, არც თერთმეტი. ტაილერმა მთხოვა, ათი. მე კი ისევ უძილობა მაქვს, სამი დღეა, არ მიძინია. ეს ალბათ ორიგინალია, ათი ასლი ამოვბეჭდე და ორიგინალი დამრჩა. ქსეროქსის აპარატი პაპარაცის ფოტოაპარატივით მინათებს სახეს. უძილობა ყველაფრისგან მაშორებს, ასლის ასლის ასლი. შენ ვერაფერს ახლებ ხელს და ვერაფერი გახლებს ხელს შენ.
ჩემი უფროსი კითხულობს:
„მებრძოლთა კლუბის მესამე წესია, ჩხუბობენ მხოლოდ ორნი.“
არცერთი ჩვენგანი თვალს არ ახამხამებს.
ჩემი უფროსი კითხულობს:
„თითო ჯერზე მხოლოდ თითო ბრძოლა ეწყობა.“
სამი დღეა არ მიძინია და თითქოს ახლა ვიძინებ. ჩემი უფროსი ცხვირთან მიქანავებს ქაღალდს. რა არის ეს? მეკითხება ის. ეს ის ხომ არაა, რითაც სამუშაო საათებში ვარ დაკავებული? მე მთელი ყურადღების კონცენტრაციისთვის მიხდიან და არა ამ პატარა, საომარ თამაშებში გაფლანგული დროისთვის. და არც იმისთვის, რომ სამსახურის პრინტერი საკუთარი მიზნებისთვის გამოვიყენო.

რას ვიტყვი ამაზე? ის ფურცელს ცხვირთან მიქანავებს. რას ვფიქრობ, მეკითხება ის, რა უნდა უქნას მან თანამშრომელს, რომელიც სამუშაო საათებს თავის ფანტასტიკურ სამყაროში ატარებს. როგორ მოვიქცეოდი, მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი? როგორ მოვიქცეოდი?
ლოყაში ნახვრეტი, შავი და ლურჯი შესიებები თვალების გარშემო, და წითელ ჭრილობად ამოზნექილი ტაილერის კოცნა ჩემი ხელის უკანა ნაწილზე, ასლის ასლის ასლი.
სპეკულაცია.
რაში სჭირდება ტაილერს მებრძოლთა კლუბის წესების ათი ასლი?
ინდური ძროხა.
როგორ მოვიქცეოდი და, ვამბობ მე, ძალიან ფრთხილი ვიქნებოდი ამ ფურცლის ავტორთან საუბრისას.
მე ვამბობ, ეს ნაწერი ძალიან საშიში ფსიქოპატი მკვლელის შესრულებულს ჰგავს, და ამ ფარულმა შიზოფრენიკმა, შეიძლება სამუშაო დღის ნებისმიერ მონაკვეთში გაჭედოს და ნახევრადავტომატური კარაბინით „არმალიტ AR-180“-ით ხელში დაიწყოს სირბილი კაბინეტიდან კაბინეტში.
ჩემი უფროსი მიყურებს.
ეს ტიპი, ვამბობ მე, შეიძლება მთელი ღამე ზის და ტყვიებს ჯვრის ფორმაზე უხერხავს თავებს. ამიტომ, როცა ის ერთ შვენიერ დილას სამსახურში ჩნდება და ამ ტყვიას თავის წუწუნა, ხელმოცარულ, მეწვრილმანე, აწკმუტუნებულ, ტრაკის მწოველ, ქვეშაფსია უფროსს აჭედებს, ტყვია ჩახერხილ ნაწილებად სკდება სხეულში, ყვავილივით იფურჩქნება შენს ორგანიზმში და შენი მყრალი ნაწლავების მთელი ბუშელი გარეთ გამოაქვს, ხერხემლის გავლით. წარმოიდგინე შენი ნაწლავის ჩაკრა, როგორ იხსნება სუსტი სიმძლავრის აფეთქებისას, სოსისის მაგვარ პატარა ნაწლავში.
ჩემი უფროსი ქაღალდს ცხვირიდან მაშორებს.
განაგრძე, ვეუბნები მე, წაიკითხე, კიდე რა წერია.
არა მართლა, ვამბობ მე, შთამბეჭდავად ჟღერს. წარმოუდგენლად ავადმყოფი ტვინის ნამუშევარია.
და ვიღიმი. ლოყაზე ტრაკის ნახვრეტის მაგვარი ჭრილობების კიდეები ჩემი ძაღლის ღრძილებივით მოლურჯო-მოშავოა. თვალების გარშემო შესიებებზე გადაჭიმული კანი მიბზინავს.
ჩემი უფროსი მიყურებს.
ნება მომეცი დაგეხმარო, ვეუბნები მე.
მე ვამბობ, მებრძოლთა კლუბის მეოთხე წესია, თითო ჯერზე თითო ბრძოლა.
ჩემი უფროსი წესებში იხედება და მე მიყურებს.
მე ვამბობ, მეხუთე წესია, ვჩხუბობთ ფეხსაცმლისა და პერანგის გარეშე.
ჩემი უფროსი წესებში იხედება და მე მიყურებს.
შეიძლება, ვამბობ მე, ამ ავადმყოფმა სირმა, „იგლ აპაშის“ ტიპის კარაბინი გამოიყენოს, იმიტომ, რომ „აპაში“ ოცდაათ ტყვიას იტევს და მხოლოდ ცხრა ფუნტს იწონის. „არმალიტი“ კი მხოლოდ ხუთჯერ ისვრის. ამ ოცდაათი გასროლით, ჩვენს ავადმყოფ გმირს, შეუძლია გაიაროს წითელი ხეების რიგის სიგრძის მანძილი,

გააგოროს ყოველი ვიცე პრეზიდენტი და თან თითო ტყვია თითო დირექტორისთვისაც დაიტოვოს.
პირიდან ტაილერის სიტყვები მცვივა. არადა ადრე რა საყვარელი ვინმე ვიყავი.
მე ჩემს უფროსს ვუყურებ. ჩემს უფროსს ლურჯი, სიმინდის ყვავილივით მკრთალი ლურჯი თვალები აქვს.
ნახევრად ავტომატური კარაბინი „J and R 68“ ასევე ოცდაათ ტყვიას იტევს და მხოლოდ შვიდ ფუნტს იწონის.
ჩემი უფროსი მიყურებს.
ეს საშიშია, ვამბობ მე. შეიძლება შენ უკვე დიდი ხანია, იცნობ ამ ადამიანს. შეიძლება ამ ბიჭმა ყველაფერი იცოდეს შენზე, სად ცხოვრობ, სად მუშაობს შენი ცოლი, რომელ სკოლაში დადიან შენი შვილები.
ეს ყველაფერი დამღლელია და მოულოდნელად ძალიან, ძალიან მოსაწყენი ხდება.
და რაში დასჭირდა ტაილერს მებრძოლთა კლუბის წესების ათი ასლი?
მე არსად არ უნდა წამომცდეს ტყავის სალონის შესახებ, რომელიც მშობიარობის დეფექტს იწვევს. მე ვიცი ყალბი სამუხრუჭო სისტემის შესახებ, რომელიც იმდენად კარგად გამოიყურებოდა, რომ აგენტმა უპრობლემოდ გაყიდა, თუმცა ორი ათასი მილის გავლის შემდეგ გაფუჭდა.
მე ვიცი, ჰაერის კონდიცირების რეოსტატის შესახებ, რომელიც იმდენად ცხელდება, რომ რუკას ცეცხლი ეკიდება ხელთათმანების სათავსოში. მე ვიცი, რამდენი ადამიანი იწვება ცოცხლად ნაპერწკლის გამო საწვავის ინჯექტორში. მე მინახავს, მუხლებამდე ფეხებმოკვეთილი ადამიანები, როცა ტურბო ფეთქდება და ფრთებს ხანძარსაწინააღმდეგო სექციასა და მგზავრის კუპეში ისვრის. მე ვყოფილვარ მივლინებებში და მინახავს დამწვარი მანქანები და მინახავს ანგარიში, სადაც შემთხვევის მიზეზად ეწერათ, „დაუდგენელია“.
არა, ვამბობ მე, ეს ფურცელი ჩემი არ არის. მე თითებს შორის ვაქცევ ფურცელს და ხელიდან ვტაცებ მას. ქაღალდის პირმა შესაძლოა ცერა თითი გაუჭრა, რადგან მისი ხელი პირისკენ მიფრინავს და დაჟინებით იწყებს მის წოვას, გაფართოებული თვალებით. მე ვჭმუჭნი ფურცელს ერთ პატარა ბურთად და სამუშაო მაგიდასთან მდგარ ნაგვის ურნაში ვაგდებ.
იქნებ, ვამბობ მე, არ ღირდეს ყველა უმნიშვნელო ნაგვის ჩემთან მოტანა, რასაც კი პოულობთ.
კვირა საღამოს მე მივდივარ ჯგუფში „დავრჩეთ მამაკაცებად“ და სამების ეპისკოპალური ტაძარი თითქმის ცარიელია. იქ მხოლოდ დიდი ბობი და მე ვართ, უაზროდ დავყიალობ და ჩემი ყოველი კუნთი დაბეჟილია გარედან და შიგნიდან, თუმცა ჩემი გული მაინც არ ნებდება, ფიქრები ტორნადოსავით დაჰქრიან ჩემს თავში. ეს უძილობაა. შენი ფიქრები მთელი ღამით პირდაპირ ეთერში გადის.
მთელი ღამე ამაზე ფიქრობ: მძინავს? უკვე მეძინა?
შეურაცხმყოფელია, მაგრამ დიდი ბობის მკლავები, რომლებიც მაისურის სახელოებიდან მოუჩანს, ძალიან დაკუნთულან. დიდი ბობი მიღიმის, ძალიან ბედნიერია ჩემი ნახვით.
მას ეგონა, რომ მოვკვდი.

ჰო, ვეუბნები მე, მეც ასე მეგონა შენზე.
„მაშ ასე,“ ამბობს დიდი ბობი, „კარგი ამბავი მაქვს.“
სად არის ხალხი?
„სწორედ ეგაა კარგი ამბავი,“ ამბობს დიდი ბობი. „ეს ჯგუფი დაიშალა. მე მხოლოდ იმისთვის მოვედი, რომ ბიჭები გამეფრთხილებინა, თუ რომელიმე გამოჩნდებოდა.“
თვალდახუჭული, იაფფასიანი მაღაზიის ერთ-ერთ ტახტს ვეტაკები.
„კარგი ამბავი,“ ამბობს დიდი ბობი, „ისაა, რომ ახალი ჯგუფი გაიხსნა, მაგრამ ამ ახალი ჯგუფის პირველი წესია, რომ შენ არ უნდა წამოგცდეს ამის შესახებ.“
ოჰ.
დიდი ბობი ამბობს, „მეორე წესი ისაა, რომ შენ არავისთან არ უნდა წამოგცდეს ამის შესახებ.“
ოჰ, ჯანდაბა. მე თვალებს ვახელ.
შეგეცი.
„ჯგუფს მებრძოლთა კლუბი ქვია,“ ამბობს დიდი ბობი, „და ყოველ პარასკევ ღამეს ვიკრიბებით დახურულ ავტოფარეხში ქალაქის ბოლოში. სამშაბათობით კიდევ ერთი მებრძოლთა კლუბის შეხვედრა იმართება, ერთ ავტოფარეხში აქვე ახლოს.“
მე ეს ადგილი არც კი ვიცი.
„მებრძოლთა კლუბის პირველი წესია,“ ამბობს დიდი ბობი, „არ წამოგცდეთ მებრძოლთა კლუბის შესახებ.“
ოთხშაბათ, ხუთშაბათ და პარასკევ ღამეს ტაილერი კინოთეატრში მუშაობს. მე მისი ანაზღაურების ქვითარი ვნახე გასულ კვირას.
„მებრძოლთა კლუბის მეორე წესია,“ ამბობს დიდი ბობი, „არავისთან წამოგცდეთ მებრძოლთა კლუბის გარეშე.“
შაბათობით ტაილერი ჩემთან ერთად დადის მებრძოლთა კლუბში.
„მხოლოდ ერთი-ერთზე ვჩხუბობთ.“
კვირა დილით ჩვენ ნაცემები ვბრუნდებით სახლში და საღამომდე გვძინავს.
„მხოლოდ თითო ბრძოლა თითო ჯერზე.“ ამბობს დიდი ბობი.
კვირა და ორშაბათ საღამოს ტაილერი ოფიციანტია.
„მხოლოდ ფეხსაცმლისა და პერანგის გარეშე ვჩხუბობთ.“
სამშაბათ საღამოს ტაილერი სახლშია და საპონს ამზადებს, ფუთავს მას ქაღალდში და გზავნის. ქაღალდის ქუჩის საპნის საამქრო.
„ბრძოლა,“ ამბობს დიდი ბობი. „გრძელდება იქამდე, სადამდეც საჭიროა. ეს წესები იმ ტიპის მოგონილია, ვინც მებრძოლთა კლუბი გამოიგონა.“
დიდი ბობი მეკითხება, „შენ მას იცნობ?“
„მე ის არასდროს მინახავს პირადად,“ ამბობს დიდი ბობი, „მაგრამ მისი სახელია ტაილერ დერდენი.“
ქაღალდის ქუჩის საპნის საამქრო.
ვიცნობ თუ არა.
რავი აბა, ვამბობ მე.
შეიძლება.

სასტუმრო „რიჯენტში“ მისულს მარლა ფოიეში მხვდება, ხალათში გამოწყობილი. მან სამსახურში დამირეკა და მთხოვა გადამედო სპორტულ დარბაზში თუ ბიბლიოთეკაში თუ სამრეცხაოში წასვლა, ნებისმიერი რამე რაც შეიძლებოდა მქონოდა დაგეგმილი სამსახურის შემდეგ და მის სანახავად მივსულიყავი.
აი რატომ დამირეკა მარლამ, იმიტომ რომ ვძულვარ.
მას კრინტი არ დაუძრავს, კოლაგენური ნდობის ფონდზე.
მარლა მეუბნება, ერთ თხოვნას ხომ ვერ შევუსრულებ? მარლა მთელი დღე საწოლიდან არ ამდგარა. ის ცხოვრობს საკვებით, რომელიც „საკვები ბორბლებზეს“ მოაქვს მისი გარდაცვლილი მეზობლებისთვის; მარლა თავად იღებს ამ საკვებს და მათ ეუბნება, რომ მეზობლებს სძინავთ. მოკლედ რომ ვთქვათ, მარლა იწვა თავის საწოლში და „საკვები ბორბლებზეს“ უცდიდა დაახლოებით შუადღის ორ საათამდე.
უკვე წლებია, რაც მარლას სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონია ამიტომ, მან გამოკვლევები მიატოვა, თუმცა ამ დილით გაესინჯა და რაღაც წანაზარდი და კვანძი აღოჩინა იღლიასთან, რომელიც ერთდროულად მაგარიცაა და რბილიც და მას არ შეუძლია ეს გაუმხილოს საყვარელ ადამიანს, რადგან არ უნდა მათი შეშინება და მას არ შეუძლია თავის ექიმთან წასვლის ნება მისცეს, რადგან ეს არაფერია, თუმცა მას სჭირდება ვინმე რომ დაელაპარაკოს და კიდევ ვინმე, ვინც დაათვალიერებს.
მარლას ყავისფერი თვალები ღუმელში შემწვარ და შემდეგ ცივ წყალში ჩაგდებულ ცხოველებს ჰგვანან. ასეთ თვალებს ვულკანიზებულს თუ გალვანიზებულს თუ გამობრძმედილს ეძახიან.
მარლა ამბობს, რომ კოლაგენის ამბებს მაპატიებს თუ დათვალიერებაში დავეხმარები.
მე მგონი ტაილერისთვის არ დაურეკავს რადგან არ უნდოდა მისი შეშინება.
მე არაფერი ვარ მისთვის და ვალდებული ვარ მის წინაშე.
ჩვენ ზემოთ ავდივართ მარლას ოთახში და ის ამბობს, რომ ველურ სამყაროში ბებერი ცხოველების ნახვა შეუძლებელია, რადგან ისინი მაშინვე კვდებიან, როგორც კი ასაკი ემატებათ. საკმარისია დაავადდნენ ან სისწრაფე დაკარგონ და მათ თავისზე ძლიერები კლავენ. ცხოველებს არ ემუქრებათ სიბერე.
მარლა საზოლზე წვება, ხალათის თასმებს იხსნის და ამბობს, რომ ჩვენმა კულტურამ სიკვდილის არსი დაამახინჯა. ბებერი ცხოველები უჩვეულო გამონაკლისები არიან. საზიზღრები.
მარლას ცივი ოფლი ასხავს, სანამ მე ვუყვები, რომ ერთხელ, სტუდენტობისას მეჭეჭი გამეზარდა. პენისზე, უფრო სწორედ მე ვთქვი, ყლეზე. მე სამედიცინო სკოლაში წავედი, მის მოსაშორებლად. მეჭეჭის. შემდეგ მამაჩემს მოვუყევი. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ. მამაჩემი ახარხარდა და მითხრა, რომ სულელურად მოვიქეცი რადგან ეგ ბუნებრივი ხორკლია. ქალები მაგაზე გიჟდებიან და ღმერთმა ის მე მომანიჭა.
მარლას საწოლთან დაჩოქილი, გარედან შემოყოლილი გაყინული ხელებით, ყოველ შეხებაზე მარლას ცივი კანის პატარა ნაწილს ვგრძნობ, მარლას ყოველ პატარა ნაწილს, მის ყოველ ინჩს თითებს შორის ვიქცევ და ვსრეს, მარლა ამბობს, ეგ

ღვთისგან ნაჩუქარი ბუბებრივი ხორკლები ქალებს საშვილოსნოს ყელის კიბოს მართებს.
მოკლედ მე ქაღალდის ქამრით ვიჯექი, გამოკვლევის ოთახში, სადაც მედიკოსი სტუდენტებმა მთელი ყუთი თხევადი ნიტროგენი შემაშხეფეს ყლეზე და რვა მათგანმა დამათვალიერა. აი როგორ შეიძლება დაასრულო თუ სამედიცინო დაზღვევა არ გაქვს. უბრალოდ ისინი არასდროს ამბობენ ყლეს, ისინი ამბობენ, პენისს, და რასაც არ უნდა ეძახდე მას, შეასხი თხევადი ნიტროგენი და შესაძლოა თუთქივით დაგწვას, ძალიან მტკივნეულია.
მარლა ამაზე იქამდე იცინის, სანამ ჩემი თითები არ ჩერდებიან. თითქოს რაღაც ვიპოვნე.
მარლა სუნთქვას წყვეტს და მისი მუცელი დოლს ემსგავსება, მისი გული კი მუშტივით აბრახუნებს შიგნიდან, როგორც დოლის დაჭიმულ ტყავზე. მაგრამ არა, მე იმიტომ გავჩერდი რომ ვლაპარაკობდი და იმიტომ გავჩერდი, რომ ერთი წუთის განმავლობაში, არც ერთი ჩვენთაგანი არ იმყოფებოდა მარლას ოთახში. ჩვენ ვიმყოფებოდით სამედიცინო სკოლაში, წარსულ დროში, სადაც მე ვიჯექი თხევადი ნიტროგენით ცეცხლმოდებული ყლით, როცა ერთ-ერთმა სტუდენტმა ჩემს შიშველ ტერფებს შეხედა და ოთახი სწრაფად, ორ დიდ ნაბიჯში დატოვა. სტუდენტი სამ ნამდვილ ექიმთან ერთად დაბრუნდა, რომლებმაც ნიტროგენიანი კაცი გვერდზე გაწიეს.
ნამდვილმა ექიმმა მარჯვენა ტერფში ხელი მტაცა და დანარჩენ ნამდვილ ექიმებს სახესთან მიუტანა. სამივენი თავს დასტრიალებდნენ, ეხებოდნენ, ფოტოებს უღებდნენ პოლაროიდით, ისე იქცეოდნენ თითქოს პიროვნების დანარჩენი ნაწილი, ნახევრად შიშველი, ღვთისგან დაჯილდოებული და ნახევრად გაყინული არც არსებულიყო. მხოლოდ ტერფი, დანარჩენი მედიკოსი სტუდენტებიც შემჭიდროვდნენ მის დასანახად.
„რამდენი ხანია," მეკითხება ექიმი, „რაც ეს წითელი მუწუკი შენიშნეთ თქვენს ტერფზე?"
ექიმი ჩემს თანდაყოლილ დაღს გულისხმობდა. მარჯვენა ტერფზე თანდაყოლილი დაღი მაქვს, რომელიც მამაჩემს მუქ წითელ ავსტრალიას აგონებდა თავისი პატარა ახალი ზელანდიით გვერდით. მეც სწორედ ეს ვუთხარი მათ და ყველამ შვებით ამოისუნთქა. ჩემი ყლე დნებოდა. ყველა წავიდა ნიტროგენის მქონე სტუდენტის გარდა, თუმცა მასაც ჰქონდა წასვლის მიზეზი, რადგან ძალიან გულდაწყვეტილი იყო იმით, რომ ვერც ერთხელ ვერ დაიჭირა ჩემი მზერა სანამ ხელში ჩემი ყლისთავი ეჭირა ხელში და თავისკენ ექაჩებოდა. კანისტრიდან წვრილ ნაკადად სდიოდა სითხე იმას, რაც ჩემი ხორკლისგან დარჩენილიყო. ისეთი გრძნობაა, რომ თვალებიც რომ დახუჭო და წარმოიდგინო, რომ შენი ყლე ასი მილის სიგრძისაა, მაინც გეტკინება.
მარლა ჩემს ხელს დაჰყურებს და ხედავს ტაილერის კოცნის ნაიარევს.
მედიკოს სტუდენტს  ვეუბნები, თქვენ ალბათ თანდაყოლილ დაღებს იშვიათად ნახულობთ აქ.
საქმე მაგაში არაა. სტუდენტმა მითხრა, რომ აქ ყველას კიბო ეგონა ეგ დაღი. ახალგაზრდა ბიჭებში კიბოს ახალი ტიპია გავრცელებული. ისინი იღვიძებენ

წითელი ლაქებით ტერფებზე ან მუხლებზე. ლაქები არ ქრება, ისინი იზრდებიან სანამ მთლიანად არ დაგფარავენ, ბოლოს კი კვდები.
სტუდენტმა მითხრა, ექიმები და ყველანი ძალიან აღფრთოვანებულნი იყვნენ რადგან ეგონათ, რომ შენ ამ ტიპის კიბო გქონდა. ჯერ ძალიან ცოტა ადამიანს ჰქონია ის აქამდე, თუმცა მათი რიცხვი იზრდება.
ეს იყო წლებისა და წლების წინ.
ასეთია კიბო, ვეუბნები მარლას. შეცდომებს ვერ გამორიცხავ, ამიტომ შესაძლოა მთავარი ისაა, რომ დანარჩენი სხეულიც არ დაგავიწყდეს, როცა შენივე რომელიმე პატარა ნაწილი შეგაწუხებს.
მარლა ამბობს, „შეიძლება.“
სტუდენტი ნიტროგენით თავის საქმეს ამთავრებს და მეუბნება, რომ მეჭეჭი რამდენიმე დღეში თავისით მომძვრება. წებოვან ქაღალდზე ჩემს შიშველ ტრაკთან ახლოს პოლაროიდით გადაღებული ჩემივე ტერფის ფოტო იდო, რომელიც არავის არ სჭირდებოდა. მე ვიკითხე, შეიძლება ეს ფოტო წავიღო?
მე დღემდე მიკიდია ეს ფოტო საკუთარ ოთახში, სარკის კუთხეში, ჩარჩოში შეჩურთული. ყოველ დილით სამუშაოს დაწყებამდე, სარკის წინ თმებს ვივარცხნი და ვიხსენებ როგორ მჭირდა ერთხელ კიბო მთელი ათი წუთის მანძილზე, უარესი ვიდრე კიბო.
მე ვეუბნები მარლას, მაშინ პირველად მოხდა, რომ იმ წელს მე და ბაბუაჩემი ყინულზე სასრიალოდ არ წავედით მადლიერების დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ყინული ექვსი ინჩის სისქისა იყო. ბებიაჩემს შუბლი და მკლავები ყოველთვის წაკრული ჰქონდა, როცა ხალები აწუხებდა, რომლებიც მთელი ცხოვრება არ შორდებოდა. ზოგი მათგანი იზრდებოდა და ფოჩებივით კიდეებს იკეთებდა, ზოგი კი ყავისფერის მაგივრად ლურჯ ან შავ ფერს იღებდა.
როცა ბებეიაჩემი უკანასკნელად გამოწერეს საავადმყოფოდან, ბაბუაჩემს მისი ჩანთის ტარება უწევდა და წუწუნებდა, რომ მისი სიმძიმე ცალ მხარეს სწონიდა. ჩემი ფრანგ-კანადელი ბებია იმდენად მოკრძალებული ყოფილა, რომ საცურაო კოსტუმში არასდროს გამოჩენილა ხალხის წინაშე და ტუალეტში ყოველთვის წყალს უშვებდა ნიჟარაში, რათა ნებისმიერი უხერხული ხმა გადაეფარა. „ლორდესის ღვთისმშობლის სახელობის საავადმყოფოდან“ წამოსვლისას ჯირკვლების მოკვეთის შემდეგ მან თქვა: ამან გადაგწონა?
ბაბუაჩემისთვის ეს ისტორია ყველაფერს აღემატება, ბებიაჩემი, კიბო, მათი ქორწილი, ცხოვრება. ის ყოველთვის იცინის, როცა ამ ისტორიას ყვება.
მარლა არ იცინის. მე მინდა ის გავაცინო, მინდა გავათბო. იმისათვის, რომ მან კოლაგენების ამბავი მაპატიოს, მინდა მარლას ვუთხრა, რომ მას არაფერი აქვს. თუ მან რამე აღმოაჩინა ე.ი ეს შეცდომა იყო. თანდაყოლილი დაღი.
მარლას ხელზე ტაილერის კოცნის ნაიარევი აქვს. მე მინდა მარლა გავაცინო ამიტომ არ ვუყვები მას, როგორ ჩავიხუტე უკანასკნელად ხლო, თმაგაცვენილი ხლო, ყვითელ ცვილში მოთავსებული ჩონჩხი, მოტვლეპილ თავზე წაკრული შარფით. მე მოვახერხე მასთან უკანასკნელად ჩახუტება, სანამ სამუდამოდ გაქრებოდა. მე მას ვუთხარი, რომ მეკობრეს ჰგავდა და მან გაიცინა. მე, როცა მე სანაპიროზე მივდივარ,

ისე ვჯდები, რომ მარჯვენა ფეხი დავმალო. ავსტრალია და ახალი ზელანდია ქვიშაში მაქვს ჩაყოფილი. მეშინია, რომ ადამიანები მას დაინახავენ და მათთვის მე კვდომას დავიწყებ. კიბო, რომელიც მე არ აღმომაჩნდა, ახლა ძალიან მომრავლდა. მე მარლას არ ვეუბნები ამას.
უამრავი რამე არსებობს რომლის გაგებაც არ გვინდა საყვარელ ადამიანებზე. მინდა გავათბო, მინდა გავაცინო, მე ვუყვები მარლას ერთ ქალზე სერიიდან „ძვირფასი ები“, რომელიც დამკრძალავი ბიუროს, ლამაზ და წარმატებულ მეპატრონეს მისთხოვდა, პირველ ღამეს, მან აიძულა მას ყინულის აბაზანები მიეღო იქამდე სანამ საკმარისად არ გაცივდებოდა მისი კანი, შემდეგ საწოლში ჩააწვინა და მის სრულიად გაუძნრეველ და ცივ სხეულთან დაამყარა სქესობრივი კავშირი. სასაცილო ისაა, რომ ამ ქალმა ეს საქორწინო ვალდებულებად აღიქვა  და შემდეგი ათი წლის განმავლობაში თავისით აგრძელებდა იგივეს კეთებას, ახლა კი ის ამის შესახებ „ძვირფას ების“ სწერდა რათა გაერკვია ებიმ მაინც თუ იცოდა რამე მისი მნიშვნელობის შესახებ.
**14**
ეს იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც ასე მიყვარდა მხარდაჭერის ჯგუფები, როცა ხალხი ფიქრობს რომ კვდები, ისინი ძალიან ყურადღებით გისმენენ.
თუ ეს მათი უკანასკნელი შანსია გნახონ, ისინი ნამდვილად გნახულობენ. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, მათ ჩეკის წიგნაკს, სიმღერას რადიოდან და ჭუჭყიან თმებს, ისინი ფანჯრებიდან გარბიან.
შენ მთელი მათი ყურადღება გაქვს.
ადამიანები გისმენენ, იმის ნაცვლად რომ თავის ლაპარაკის ჯერს უცდიდნენ.
და როცა ისინი ლაპარაკობდნენ, ისინი არ გიყვებოდნენ არანაირ ისტორიას. როცა თქვენ ორნი საუბრობდით, შენ ამით რაღაცას აშენებდი და შემდეგ ორივე იცვლებოდით წინანდელთან შედარებით.
მარლა მხარდაჭერის ჯგუფებში მაშინ დაიწყო სიარული, როცა პირველი ჯირკვალი აღმოაჩინა.
მას შემდეგ რაც ჩვენ მეორე ჯირკვალი აღმოვაჩენეთ, მეორე დღეს ის ხტუნვა-ხტუნვით შევიდა სამზარეულოში, ორივე ფეხით კოლგოტის ცალ ფეხში ჩამძვრალი, და თქვა, „შეხედე, მე ქალთევზა ვარ.“
მარლამ თქვა, „ეს სულაც არ ჰგავს იმას, როცა ბიჭები ტრაკებით ჯდებიან უნიტაზზე და მოტოციკლისტს ანსახიერებენ. ეს განსაკუთრებული რამეა.“
ცოტა ადრე სანამ მე და მარლა „დავრჩეთ მამაკაცებადში“ ერთმანეთს შევხვდებოდით, მას მხოლოდ ერთი ჯირკვალი ჰქონდა, ახლა კი მეორეც აღმოაჩნდა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მარლა ჯერ კიდევ ცოცხალია. მარლას ცხოვრების ფილოსოფია, როგრც მან მითხრა, ის არის, რომ ნებისმიერ წამს შეიძლება მოკვდეს. მისი ცხოვრების ტრაგედია კი ის არის, რომ არ კვდება.
როცა მან პირველი ჯირკვალი აღმოაჩინა კლინიკაში წავიდა, სადაც საფრთხობელა დედები პლასტმასის სკამებზე ისხდნენ, მოსაცდელი ოთხახის სამ მხარეს, თოჯინა-შვილებს ან ხელში არწევდნენ ან ფეხებთან ელაგათ ისინი. ბავშვებს თვალები ჩაცვენილი და ჩაშავებული ჰქონდათ, როგორც ფორთოხალი და ბანანი ფუჭდება და

ლპება, და დედები ქერტლის მოსაცილებლით იკაწრავდნენ სკალპს მასში განვითარებული ინფექციის გამო. ამ კლინიკაში ყოველი მათგანის გამხდარ სახეზე კბილები ძალიან დიდები ჩანდნენ, იქ კბილები კანიდან გამოჩრილ ძვლების ფრთებს ჰგავდნენ, რომლებიც თითქოს რამის საფქვავად სჭირდებოდათ.
აი, როგორ შეიძლება დაასრულო, თუ ჯანმრთელობა არ გაქვს დაზღვეული.
ადრე, როცა ყველა კარგად იყო, უამრავ მხიარულ ბიჭუნას უნდოდა შვილი, ახლა ბავშვები ავადმყოფობენ, დედები კვდებიან ხოლო მამები უკვე მკვდრები არიან, და საავადმყოფოში მჯდარი, გულისამრევ ფსელისა და ძმრის სუნში, სანამ მედ.და დედებს სათითაოდ ეკითხება, თუ რამდენი ხანია რაც ავადაა, რამდენი კილოგრამი დაკარგა და ჰყავს თუ არა ბავშვს მშობელთაგან ან მზრუნველთაგან ვინმე ცოცხალი, მარლა იღებს გადაწყვეტილებას, არა.
თუ მას სიკვდილი უწერია, მარლას არ უნდა ამის გაგება.
მარლა სამრეცხაოში მიბრუნდა კლინიკიდან, მოიპარა საშრობიდან ჯინსები მოიპარა, გამყიდველს მიუტანა და წყვილში თხუთმეტი დოლარი აიღო. შემდეგ მარლა წავიდა და იყიდა ნამდვილად ხარისხიანი კოლგოტი, რომელიც არ იხევა.
„ის რაც კარგია და არ იხევა," ამბობს მარლა. „ბოლოს იწელება მაინც."
არაფერია მუდმივი, ყველაფერი იფლითება.
მარლამ დაიწყო მხარდაჭერის ჯგუფებში სიარული, რადგან სხვა ტრაკის საწმენდ ადამიანებთან ყოფნა, ცხოვრებას უადვილებდა. ყველას რაღაც აწუხებდა. და რაღაც მომენტში, ამან გული გაუმაგრა.
მარლა დაკრძალვების ორგანიზატორად მუშაობდა წინასწარი ანაზღაურებით, ერთ-ერთ დამკრძალავ ბიუროში, სადაც ზოგჯერ მსუქსანი კაცები და უმეტესად მსუქანი ქალები, გამოდიოდნენ საცერემონიო ოთახიდან, ფერფლის პატარა ურნით ხელში და მიდიოდნენ მარლასთან, რომელიც ფოიეში საკუთარ მსამუშაო მაგიდასთან იჯდა შავი, შეკრული თმით, გაწელილი კოლგოტით და მკერდში ამოსული ჯირკვლით, დასჯილი, და ამბობდა, „ქალბატონო, თავს ნუ იტყუებთ. ჩვენ თქვენი დამწვარი თავის ფერფლსაც კი ვერ მოვათავსებთ მაგ მოწრიპულ რაღაცაში. წაბრძანდით და ბოულინგის ბურთის ხელა ურნა მოიტანეთ."
მარლას გული ჩემი სიფათივით გამოიყურებოდა. როგორც მთელი მსოფლიოს მძღნერი და ნაგავი. ნახმარი ტრაკის საწმენდი, რომლის სანაგვეში მოსროლაც არავის გაჭირდება.
კლინიკასა და მხარდაჭერის ჯგუფებში, მითხრა მარლამ, ის უამრავ ადამიანს შეხვდა, რომლებიც შემდეგ მოკვდნენ. ისინი მკვდრები იყვნენ, მაგრამ მეორეს მხრივ ღამ-ღამობით ტელეფონზე რეკავდნენ ხოლმე. ის ბარებში დადიოდა, სადაც ბარმენები მის სახელს ყვიროდნენ, ხოლო როცა ის ტელფონთან მიდიოდა, ყურმილში იმქვეყნიური სიჩუმი ისმოდა.
მაშინ ის ფიქრობდა, რომ უკიდურესობის წერტილს მიაღწია.
„როცა ოცდაოთხი წლის ხარ," ამბობს მარლა. „შენ ვერც კი წარმოიდგენ სადამდე შეიძლება დაეცე, მაგრამ მე სწრაფად ვითვისებდი ყველაფერს."

როცა ის ფერფლით პირველად ავსებდა ურნას, სახეზე ნიღაბი არ ეკეთა, შემდეგ ცხვირით ამოისუნთქა და ქსოვილზე მხოლოდ შავი ჭუჭყიღა დარჩა ბატონი ვიღაცის ნაცვლად.
თუ სახლში ქაღალდის ქუჩაზე ტელეფონი რეკავს და ყურმილს პირველივე ზარზე იღებ და იქიდან იმქვეყნიური სიჩუმე გესმის, მაშინვე ხვდები, რომ ვიღაც მარლას მიგნებას ცდილობს. ეს უფრო ხშირად ხდება, ვიდრე შენ გგონია.
სახლში ქაღალდის ქუჩაზე, გამომძიებელმა დაიწყო რეკვა, ჩემი კონდომინიუმის აფეთქების თაობაზე, ტაილერი მკერდით მეყრდნობა მხრებზე და ჩემს ყურთან ჩურჩულებს, სანამ ყურმილი მეორე ყურზე მიდევს და გამომძიებელი მეკითხება, ვიცნობ თუ არა ისეთ ვინმეს ვისაც კუსტარულად შეუძლია ასაფეთქებლის დამზადება.
„უბედურება ჩემი ევოლუციის განუყოფელი ნაწილია,“ ტაილერი ჩურჩულებს, „ტრაგედიისა და კრახისაკენ სავალ გზაზე.“
მე გამომძიებელს ვუთხარი, რომ ჩემი კონდო მაცივარმა ასწია ჰაერში.
„მე თითქმის შევძელი ძალაუფლებასა და ქონებაზე მიჯაჭვულობის დაძლევა,“ ჩურჩულებს ტაილერი. „რადგან მხოლოდ თვითგანადგურებით შემიძლია გავიძლიერო სული.“
დინამიტმა, ამბობს გამოგძიებელი, ნარჩენები დატოვა, რომელიც შეიცავდა ამონიუმ ოქსალატს და კალიუმ პერქლორატს რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ბომბი ხელნაკეთია, თანაც კარის საკეტი დამსხვრეული იყო.
მე ვუთხარი, რომ ვაშინგტონში ვიყავი იმ ღამით.
გამომძიებელმა ტელეფონში ამიხსნა, თუ როგორ ჩაასხა ვიღაცამ ფრეონი კარის ღრიჭოში, შემდეგ კი რაღაც შეარჭო ბოქლომში ცინლინდრის ჩამოსამტვრევად. სწორედ ასე იპარავენ კრიმინალები ველოსიპედებს.
„განმათავისუფლებელი, რომელიც ჩემს ქონებას ანადგურებს,“ ამბობს ტაილერი. „ჩემი სულის გადასარჩენად იბრძვის. მასწავლებელი, რომელიც გზიდან ყოველგვარ ქონებას მარიდებს, მათავისუფლებს მე.“
გამომძიებელი მეუბნება, რომ ვისაც არ უნდა ექნა ეს, მან გაზი მოუშვა და ღუმელი ჩართული დატოვა აფეთქებამდე რამდენიმე დღით ადრე. გაზმა სასხლეტის ფუნქცია შეასრულა. რამდენიმე დღე დასჭირდებოდა კონდოს გაზით იქამდე ავსებას, რომ მას მაცივრის ძირამდე მიეღწია, იქ კი კომპრესორის ელექტრო ძრავი აფეთქებას გამოიწვევდა.
„უთხარი მას,“ ჩურჩულებს ტაილერი. „ჰო, შენ ჩაიდინე ეს. შენ ასწიე ჰაერში იქაურობა. მას სწორედ ამის მოსმენა უნდა.“
მე ვეუბნები გამომძიებელს, არა, მე არ დამიტოვებია გაზი მოშვებული სანამ ქალაქიდან გავემგზავრებოდი. მე მომწონდა ჩემი ცხოვრება. მე მიყვარდა ჩემი კონდო. მე ჩემი ავეჯის ყოველი ნაწილი მიყვარდა. ეს მთელი ჩემი ცხოვრება იყო. ყველაფერი, ჭაღები, სკამები, ხალიჩები, ისინი მე თავად ვიყავი. ჭურჭელი კაბინებში მე ვიყავი. ქოთნის მცენარეები მე ვიყავი. ტელევიზორი მე ვიყავი. ეს მე ავფეთქდი იქ. ნუთუ ის ამას ვერ ხვდება?
დეტექტივმა მითხრა ქალაქი არ დამეტოვებინა.

**15**

ბატონი მისი აღმატებულება, კინომექანიკოსთა და დამოუკიდებელ ოპერატორთა ადგილობრივი კავშირების უფროსი ხელმძღვანელი უხმოდ იჯდა. ყველაფრის ქვემოთ, უკან და შიგნით, რასაც ხელი მოჰკიდა საშინელება ვითარდებოდა. არაფერია მუდმივი.

ყველაფერი იფლითება.

მე ვიცი ეს რადგან ტაილერმა იცის ეს.

სამი წლის განმავლობაში ტაილერი უამრავი კინოთეატრისთვის აწებებდა და ჭრიდა ფირს. ფილმი მოგზაურობს ექვს-შვიდ ბაბინაში, რომლებიც მეტალის კეისში არიან მოთავსებულნი. მისი მოვალეობა, პატარა ბაბინებიდან ფირის ხუთფუტიან ბაბინაზე მიმაგრება იყო, რათა თვითგამშვები და გადამხვევი პროექტორისთვის მიეწოდებინა. სამი წლის განმავლობაში, შვიდი კინოთეატრი, თითოეული მათგანში მინიმუმ სამი ეკრანი, თითქმის ყოველ კვირა ახალი ფილმები, ტაილერს ასობით მათგანზე მიუწვდებოდა ხელი.

ძალიან სამწუხაროა მაგრამ, მეტი თვითგამშვები პროექტორის ქონის შემთხვევაში, ტაილერი საჭირო აღარ იყო. მთავარმა ხელმძღვანელმა ტაილერი ცოტა ხნით თავისთან იხმო.

სამსახური მოსაწყენი იყო, ხელფასი სულელური, ამიტომ დამოუკიდებელ ოპერატორთა და კინომექნაიკოსთა გაეთიანების, გაერთიანებული კავშირების მთავარი ხელმძღვანელი ამბობს, რომ ტაილერ დერდენს სამსახურს გაუწევენ და დიპლომატიურად მიუდგებიან მის საქმეს.

ეს გაგდება არ გეგონოთ. ეს შემცირებაა.

უფროსი ხელმძღვანელი ტრაკს მაღლს სწევს და ამბობს, „ჩვენ ვაფასებთ იმ წვლილს, რომელიც თქვემ შეიტანეთ ჩვენს წარმატებაში.“

ოჰ, რა პრობლემაა, ამბობს ტაილერი და იკრიჭება, ისინი ფულს უხდიან რათა მან ენას კბილი დააჭიროს.

ტაილერი ამბობს, „მიიღე ეს, როგორც ნაადრევად გასვლა პენსიაზე.“

ტაილერს ასობით ფილმზე მიუწვდებოდა ხელი.

ეს ფილმები ისევ დისტრიბუტორებს დაუბრუნდათ. ეს ფილმები ისევ ხელახლა გამოიცა. კომედია. დრამა. მუზიკლი. რომანსი. მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო. ტაილერის მიერ ჩაკერებული ერთკადრიანი პორნგრაფიული გაელვებებით. სოდომი. მინეტი. კუნილინგუსი. სადომაზოხიზმი.

ტაილერს არაფერი ჰქონდა დასაკარგი.

ტაილერი სამყაროს პაიკია, კაცობრიობის სანაგვე.

სწორედ ამის თქმა დამავალა ტაილერმა სასტუმრო „პრესმენის“ მენეჯერისთვის.

თავის მეორე სამსახურში სასტუმრო „პრესმენში“ ტაილერი არარაობა იყო. არავის ადარდებდა ცოცხალი იყო ის თუ მკვდარი, და ეს დედამოტყნული გრძნობა ორმხივი იყო. ამის თქმა დამავალა ტაილერმა სასტუმროს მენეჯერისთვის მის კაბინეტში, როცა მის კარს უკან დაცვა იჯდა.

მე და ტაილერი გვიანობამდე ვისხედით დღის ბოლოს და ვყვებოდით როგორ ჩაიარა ყველაფერმა.

როგორც კი ის კინომექანიკოსთა გაერთიანებაში წავიდოდა, მე სასტუმრო „პრესმენში“ უნდა მივსულიყავი და მენეჯერთან გამოვცხადებულიყავი.
მე და ტაილერი თანდათან ტყუპებივით ვემსგავსებოდით ერთმანეთს. ორივეს ყვრიმალები გვქონდა გადაფხრეწილი და ჩვენს კანმა მეხსიარება დაკარგად, და როგორ უნდა შეხორცდეს ჩხუბების შემდეგ.
მე მებრძოლთა კლუბიდან მაქვს ეს სილურჯეები, ხოლო ტაილერს კინომექანიკოსთა გაერთიანების უფროსმა გაუხია სახე. როცა ტაილერი მისი კაბინეტიდან გამობობღდა, მე სასტუმრო „პრესმენის“ მენეჯერის სანახავად წავედი.
მე ვზივარ სასტუმრო „პრესმენის“ მენეჯერის კაბინეტში.
მე ჯოს სულელურად მომღიმარი შურისძიება ვარ.
პირველი რაც სასტუმროს მენეჯერმა მითხრა იყო ის, რომ მხოლოდ სამი წუთი მაქვს.
პირველ ოცდაათ წამში მე მას მოვუყევი, როგორ ვაფსამდი სუპებში, ვაკუებდი ბრულეს კრემში, ვაცემინებდი მოშუშულ ბოსტნეულზე, და ახლა მჭირდებოდა, რომ სასტუმროს ყოველ კვირას გამოეგზავნა ჩემი კვირის ხელფასის ეკვივალენტის ჩეკი თავის ჩაით, სამაგიეროდ მე აღარ ვივლიდი სამსახურში და რაც მთავარია არ მივიდოდი პრესასთან და ჯანმრთელობის დაცვის ხალხთან სულის შემძვრელი, ცრემლიანი აღსარების ჩასაბარებლად.
სათაურები:
აღელვებული ოფიციანტი საჭმლის წაბილწვას აღიარებს.
ვიცი, ვამბობ მე, შეიძლება ციხეში ჩამსვან. მათ შეიძლება ჩამომკიდონ და ყვერები წამჭრან, მერე ქუჩაში მათრიონ, ტყავი გამაძრონ და ბოლოს თუთქით დამწვან, მაგრამ სასტუმრო „პრესმენი“ ყოველთვის იმ სასტუმროდ დარჩება, სადაც მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები ფსელს ჭამდნენ.
პირიდან ტაილერის სიტყვები მცვივა.
არადა რა კარგი პიროვნება ვიყავი.
კინომექანიკოსთა გაერთანების ოფისში ტაილერმა სიცილი ატეხა, როცა მას უფროსმა ყვრიმალი გაუხეთქა. ერთმა დარტყმამ ტაილერი სკამიდან გადმოაგდო, მაგრამ ის წამოდგა და კედელთან დადგა, ახარხარებული.
„მასე განაგრძე თუ ჩემი მოკვლის ტრაკი გაქვს,“ ხარხარებდა ტაილერი. „სულელო ყლეო. შეგიძლია ჩაჯმამდე მირყტყა, მაგრამ მოკვლას ვერ შეძლებ.“
შენ დასაკარგი ძალიან ბევრი გაქვს.
მე არაფერი მაქვს.
შენ ყველაფერი გაქვს.
მიდი ჩამარატყი, პირდაპირ ნაწლავში. კიდევ ერთხელ ამომცხე სახეში. კბილები ჩამომიღე, მაგრამ ჩეკების გამოგზავნას ვერასდროს შეწყვეტ. მიდი ნეკნები ჩამიმსხვრიე, მაგრამ ერთი კვირის თანხასაც თუ არ გამოგზავნი, მე გავალ ხალხში და შენ და შენს პატარა გაერთიანებას, სასამართლოდან ცხვირს არ გამოგაყოფინებენ, კინოთეატრის მფლობელები, ფილმების დისტრიბუტორები და დედიკუნები, რომელთა შვილებმაც პორნო სცენა შენიშნეს „ბემბის“ ყურებისას.
„მე ნაგავი ვარ,“ ამბობს ტაილერი. „მე ნაგავი ვარ და მძღნერი და შეშლილი შენთვის და მთელი ამ გამოყლეევებული სამყაროსთვის.“ უთხრა ტაილერმა გაერთიანების

ხელმძღვანელს. „შენ ფეხებზე გკიდია მე სად ვცხოვრობ და თავს როგორ ვგრძნობ, ან რას ვჭამ ან რითი ვარჩენ შვილებს ან როგორ ვუხდი ექიმს როცა ავად ვხდები, და დიახ, მე სულელი, გადაღლილი და სუსტი ვარ, მაგრამ მე მაინც შენი პასუხისმგებლობის ქვეშ ვარ.“
მე ვზივარ სასტუმრო „პრესმენის“ კაბინეტში და ჩემი მებრძოლთა კლუბში ნამყოფი ტუჩები ათ ნაწილადაა დაჩეხილი. ჩემი გახვრეტილი ლოყა სასტუმრო „პრესმენის“ მენეჯერს უყურებს, ეს ყველაფერი ძალიან დამაჯერებელია. ძირითადში მეც იგივ ვთქვი რაც ტაილერმა თქვა.
მას შემდეგ რაც გაერთიანების უფროსის დარტყმამ ტაილერი ძირს დააგდო, მას შემდეგ რაც ბატონმა პრეზიდენტმა დაინახა, რომ ტაილერი ხელს არ უბრუნებდა, მისმა აღმატებულებამ თავისი უზარმაზარი, კადილაკივით სხეულით, უფრო დიდი და ძლიერი სხეულით ვიდრე ოდესმე შეიძლება დასჭირდეს, ფეხი ფრთის წვერივით მოუქნია და ნეკნებში ჩასცხო და ტაილერი ახარხარდა. მისმა აღმატებულებამ თირკმელებში ჩასცხო ტაილერს ფრთის წვერი  მას შემდეგ რაც ის ბურთივით მოიკუნტა, მაგრამ ტაილერი მაინც ხარხარებდა.
„მიდი ბოლომდე,“ თქვა ტაილერმა. „დამიჯერე. თავს გაცილებით უკეთ იგრძნობ. უმაგრესად იგრძნობ თავს.“
სასტუმრო „პრესმენში“ მე ვკითხე მენეჯერს, შემეძლო თუ არა მესარგებლა მათი ტელეფონით და ქალაქის გაზეთის ნომერი ავკრიფე. მენეჯერს სახეზე მივაშტერდი და ვთქვი:
გამარჯობათ, ვთქვი მე, მე საშინელი დანაშაული ჩავიდინე კაცობრიობის წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკური პროტესტის ნაწილი. ჩემი პროტესტი მომსახურების სფეროს მუშაკთა ექსპლუატაციის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუკი ციხეში ჩავჯდები, იქ გაუწონასწორებელ მოსამსახურედ არ მიმიღებენ, რომელიც სუპებს რწყავდა. მე იქ გმირის წონა მექნება.
რობინ ჰუდი ოფიციანტი არაფრის მქონე ჩემპიონი.
ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი სასტუმრო ან ერთი ოფიციანტი.
სასტუმრო „პრესმენის“ მენეჯერმა ყურმილი ძალიან ფრთხილად გამომართვა. მენეჯერმა მითხრა, რომ აღარ სურს მასთან ვმუშაობდე, მითუმეტეს ისე როგორც ახლა გამოვიყურები.
მე მენეჯერის სამუშაო მაგიდასთან ვდაგავარ და ვამბობ, რა?
შენ ეს იდეა არ მოგეწონა?
და კვლავ უყოყმანოდ მენეჯერს მიშტერებული, მუშტს ჩემს მკლავში არსებული ძალის ცენტრიფუგად ვკრავ და ცხვირში ვირტყამ მას და ხელახლა გახსნილი ჭრილობებიდან ნედლი სისხლი მსკდება.
მე ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ჩემი და ტაილერის პირველი ჩხუბი მახსენდება, მინდა რომ მთელი ძალით დამარტყა.
ეს არ იყო საკმარისად ძლიერი დარტყმა. მე კიდევ ერთხელ ვურტყამ ჩემს თავს. მთელი ეს სისხლი ძალიან ლამაზი სანახავია, მაგრამ მე საკუთარ თავს კედელზე ვანარცხებ რათა ძლიერი ხმაური გამოვიწვიო და ნახატი დავამსხვრიო, რომელიც მასზე კიდია.

შუშის ნამსხვრევები და ჩარჩო და ყვავილებიანი ნახატი და სისხლი იატაკზე იშლება სანამ მე ვმასხრობ. უკანასკნელი კრეტინივით ვიქცევი. სისხლი ხალიჩაზე წვეთავს, მე ვიწევი და მონსტრივით სისხლიან ხელს მენეჯერის სამუშაო მაგიდას ვკიდებ და ვამბობ, მიშველეთ, მაგრამ თან ვხითხითებ.
მიშველეთ გთხოვთ.
გთხოვთ, მეტს ნუღარ დამარტყამთ.
მე ისევ იატაკზე მივხოხავ და ხალიჩაზე სისხლს ვტოვებ. პირველი სიტყვა რის თქმასაც ვაპირებ არის, გთხოვთ. ამიტომ ჯერ პირს არ ვაღებ. მონსტრი საკუთარ თავს ორიენტალის ხალიჩის ლამაზ თაიგულებსა და გვირგვინებზე დაათრევს. სისხლი ცხვირიდან მდის, შემდეგ ისევ ყელში და პირში ჩამდის, ის ცხელია. მონსტრი ხალიჩაზე დაათრევს თავს, ნაძენძებს იკრავს და სისხლიანი ბრჭყალებით მტვერს იწებებს. ის იმდენად ახლოს მიხოხავს, სასტუმრო „პრესმენის“ მენეჯერთან, რომ მუხლებში ჩააფრინდეს და უთხრას ეს.
გთხოვთ.
თქვი ეს.
ეს გთხოვთ მის სისხლის ბუშტებს მოჰყვება.
თქვი ეს.
გთხოვთ.
და სისხლის ბუშტები გარშემო ყველაფერს სვრიან.
და სწორედ ასე გათავისუფლდა ტაილერი და მებრძოლთა კლუბის შეხვედრებიც ყოველდღიური გახდა. ამის შემდეგ მებრძოლთა კლუბების რაოდენობა შვიდი გახდა, და ამის შემდეგ მებრძოლთა კლუბების რაოდენობა თხუთმეტი გახდა, და ამის შემდეგ მებრძოლთა კლუბების რაოდენობა ოცდასამი გახდა, და ტაილერს სულ უფრო მეტი უნდოდა. ამას ყოველთვის მოჰქონდა ფული.
გთხოვ, ვეუბენი სასტუმრო „პრესმენის“ მენეჯერს, მომეცი ფული. და კვლავ ვხითხითებ.
გთხოვთ.
და გთხოვთ, მეტს ნუღარ დამარტყამთ.
თქვენ ამდენ რამეს ფლობთ, მე კი არაფერს. მე ჩემი სისხლის სასტუმრო „პრესმენის“ მენეჯერის შარვალზე შეწმენდას ვიწყებ, ის უკან იხრება, მძიმედ, ხელით ფანჯრის რაფას ეყრდნობა და თვით მისი ტუჩებიც კი უკან იხევენ და კბილებს აჩენენ. მონსტრი თავის სისხლიან ბრჭყალებს მენეჯერს ქამარში ავლებს, მასზე აცოცებას ცდილობს, რომ მის გახამებულ თეთრ პერანგს მისწვდეს და მენეჯერის გლუვ მაჯებს სისხლიანი ხელები შემოხვიოს.
გთხოვთ. კი არ ვიღიმი ტუჩებს ოდნავ ვხსნი.
იქ ნამდვილი ბრძოლაა, რადგან მენეჯერი ყვირის და ცდილობს თავისი ხელები გამოგვტაცოს მე და ჩემს სისხლს და ჩემს დაჭყლეტილ ცხვირს, ორივე ჩვენთაგანის სისხლი ჭუჭყს იკრავს, და სწორედ ამ დროს, ჩვენთვის ასეთ ამაღელვებელ მომენტში ოთახში დაცვის თანამშრომელი შემოდის.

დღეს გაზეთები ყვებიან, როგორ შეიჭრნენ ვიღაცეები ჰეინ ტაუიერის მეათედან მეთხუთმეტემდე სართულებზე, ფანჯრებიდან გადმოძვრნენ და შენობის სამხრეთ ნაწილზე ხუთსართულიანი დაკრეჭილი სიფათი დახატეს, ცეცხლი ისე მოუკიდეს, რომ ფანჯრებიდან ორი უზარმაზარი, ცოცხალი, გიზგიზა, ცეცხლოვანი თვალი კაშკაშებდა გამთენიისას ქალაქის თავზე.
გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ სურათზე ეს სახე გაავებული გოგრასავით, იაპონური დემონივით, ძუნწი დრაკონივით კიდია ცაზე, კვამლი კი ალქაჯის წარბებივით და ეშმაკის რქებივით მოუჩანს. და ადამიანები უკან გადაგდებული თავებით კივიან.
რას უნდა ნიშნავდეს ეს?
და ვის უნდა ექნა ეს? და მას შემდეგაც კი რაც ცეცხლი ჩაქრა, სახე ადგილზე დარჩა, და უარესი სანახავი გახდა. მისი ცარიელი თვალები თითქოს ყველას უყურებდნენ მაგრამ ამავე დროს მკვდრები იყვნენ.
ასეთი რამეები უფრო და უფრო ხშირად ჩნდება გაზეთებში.
შენ მათ კითხულობ და ინტერესდები არის თუ არა დაკავშირებული ეს ამბები ნგრევის პროექტთან.
გაზეთში წერია, რომ პოლიციას ხელმოსაჭიდი არაფერი აქვს, თუმცა ვისაც არ უნდა ექნა ეს, ახალგაზრდა განგსტერებს თუ უცხოპლანეტელებს, ისინი სიცოცხლის რისკის ფასად ეკიდნენ ფანჯრის რაფაზე შავი საღებავით სავსე ბალონებით ხელში.
იყო ეს ინტრიგანთა კომიტეტი თუ ხანძრის გამჩაღებელთა კომიტეტი? მთავარი ისაა, რომ ეს გიგანტური სახე სავარაუდოდ მათი, წინა კვირის საშინაო დავალებაა.
ტაილერს ეცოდინებოდა, მაგრამ ნგრევის პროექტის პირველი წესია, არავითარი შეკითხვები ნგრევის პროექტის შესახებ.
ნგერვის პროექტის მოიერიშე ნაწილთან შეხვედრისას ტაილერი ამბობს, რომ ყველას მისცემს იარაღიდან სროლის საშუალებას. იარაღი მხოლოდ კონკრეტულ მიმართულებას აძლევს აფეთქებას.
მოიერიშეებთან უკანასკნელ შეხვედრაზე ტაილერმა მოიტანა იარაღი და სატელეფონო ცნობარის ყვითელი ფურცლები. ისინი იმ სარდაფში შეხვდნენ სადაც შაბათობით იმართება მებრძოლთა კლუბის შეხვედრები. ნგრევის პროექტის კომიტეტები სხვადასხვა დღეებში იკრიბებიან:
ხანძრის გამჩაღბლები ორშაბათობით ხვდებიან.
მოიერიშეები სამშაბათობით.
ინტრიგანთა კომიტეტი ოთხშაბათობით.
დეზინფორმატორები ხუთშაბათობით.
ორგანიზებული ქაოსი. ანარქიული ბიუროკრატია. წარმოიდგინეთ. მხარდაჭერის ჯგუფები. ეგეთი რამები.
ერთი სიტყვით, სამშაბათ ღამეს, მოიერიშეებმა თავისი წინადადება წარადგინეს მომავალ კვირასთან დაკავშირებით, ტაილერმა ამ წინადადებას გადახედა და ჯგუფს საშინაო დავალება მისცა.
მომავალი კვირის ამ დრომდე, მოიერიშეთა კომიტეტის ყოველმა წევრმა ჩხუბი უნდა წამოიწყოს და გმირულად დამარცხდეს. თან არა მებრძოლთა კლუბში. ეს უფრო

რთულია ვიდრე ერთი შეხვედრით ჩანს. ქუჩაში გამვლელი ტიპი, ყველაფერს გააკეთებს, რომ არ იჩხუბოს.
იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დავიჭიროთ ვინმე ჯო, რომელსაც არასდროს უჩხუბია და ჩხუბში ჩავითრიოთ. თავის სიცოცხლეში პირველად გავამარჯვებინოთ. ვაიძულოთ აფეთქდეს. ნება მივცეთ ჩაჯმამდე გვცემოს.
ეს ნამდვილად შესაძლებელია. თუ ჩხუბი მოიგე, ეს ყველაფერს გააფუჭებს.
„მეგობრებო, ჩვენი მიზინია," ეუბნება ტაილერი ჯგუფს. „შევახსენოთ ამ ბიჭებს თუ რა ძალას ფლობენ ჯერ კიდევ."
ეს ტაილერის პატარა მინიშნებაა. შედეგ ტაილერი ხსნის თითოეულ დაკიცილ ქაღალდს რომელიც მის წინ ყუთში ყრია. სწორედ ასე გეგმავს ყოველი ჯგუფი მომავალ კვირას. ისინი გეგმას პლანშეტზე წერენ, ქაღალდს ხევენ, კეცავენ და ყუთში აგდებენ. ტაილერი მათ ნახულობს და რომელიც არ მოსწონს აგდებს.
ყოველი გადაგდებული იდეის ნაცვლად ტაილერი სხვა დაკეცილ ფურცელს დებს ყუთში. შემდეგ ჯგუფის ყოველი წევრი მიდის და ამ ყუთიდან თითო ფურცელს იღებს. როგორც ტაილერმა შემდეგ ამიხსნა, ის ვინც ცარიელ ფურცელს ამოიღებს, მარტოს მოუწევს საკუთარი საშინაო დავალების მოფიქრება. თუ დავალება შეგხვდა, მოგიწევს შაბათ-კვირას უცხოური ლუდის ფესტივალზე წახვიდე და ვინმე ბიო.ტუალეტს შეასკდე. განსაკუთრებით მაგარი ის იქნება, თუ ის ამისთვის გცემს. ან მოგიწევს მოდების ჩვენებას დაესწრო რომელიმე სავაჭრო ცენტრის ჰოლში და ანტრესოლიდან მარწყვის ჟელეს ისროლო.
თუ დაგაპატიმრებენ, ჯგუფიდან გაგდებული ხარ. თუ გაგეცინა ჯგუფიდან გაგდებული ხარ.
არავინ იცის ვინ წერს ამ წინადადებებს, და არავინ ტაილერის გარდა არ იცის, რას წარმოადგენს ეს წინადადებები და რომელია მათგან მიღებული და რომელ მათგანს ისვრის ის სანაგვეზე. კვირის ბოლოს კი შეიძლება გაზეთებში ამოიკითხო, ამოუცნობი მამაკაცის შესახებ, რომელიც ქალაქის ცენტრში ჭერმოხდილ იაგუარში ჩახტა და პირდაპირ შადრევანში შევარდა.
შენ ინტერესდები. იყო თუ არა კომიტეტის ეს დავალება შენი დაწერილი წინადადება?
შემდეგ სამშაბათს შენ იწყებ მოიერიშეთა თვალიერებას, ნათურის ქვეშ, მებრძოლთა კლუბის შავ სარდაფში, და შენ ჯერ კიდევ გაინტერესებს ვინ შეათრია იაგუარი შადრევანში.
ვინ აძვრა ხელოვნების მუზეუმის სახურავზე და ესროდა პეინტ ბოლის ბურთებს შესასვლელში მდგარ სკულპტურას?
ვინ დახატა ცეცხლოვანი დემონის სახე Hein Tower-ზე?
Hein Tower-ის შემთხვევის ღამეს, იურისტ მუშაკთა, ბუღალტერთა თუ შიკრიკთა გუნდები ოფისებში შერბიან, სადაც ისინი დღე და ღამე მუშაობდნენ. შეიძლება ცოტა ნასვამებიც კი არიან, მიუხედავად იმისა რომ ეს ნგრევის პროექტის წესებს ეწინააღმდეგება, ისინი ან გასაღებებს იყენებენ საკეტის გასატეხად ან ფრეონის ბალონს, აგურის ფასადზე დგებიან და ეშვებიან, ერთმანეთთან თოკით

გადაბმულები, ქანაობენ, სიცოცხლეს რისკავენ იმ ოფისებში სადაც გამუდმებით გრძნობდნენ, რომ ყოველი საათი დასასრულთან აახლოვებდათ.
მეორე დილას, იგივე მუშაკები, განმეორებითი თვლის ასისტენტები სუფთად დავარცხნილი თმებით ჩნდებიან ხალხის ჯგუფში, თავები უკან აქვთ გადაგდებული, უძილონი თუმცა ფხიზლები, ჰალსტუხებით და ხალხის გაოცებას უსმენენ იმის შესახებ, თუ ვის შეეძლო ამის ჩადენა, და პოლიციელს, რომელიც ყველას ყვირილით სთხოვს უკან დაიწიოს, სასწრაფოდ, რადგან ორივე უზარმაზარი, ჩამსხვრეული, აკვამლებული თვალიდან წყალი ჟონავს.
ტაილერმა საიდუმლოდ გამიმხილა, რომ თითო შეხვედრაზე ოთხზე მეტი ნორმალური წინადადება არასდროს ამოდის, ამიტომ შანსი იმისა, რომ რეალური წინდადება შეგხვდება და არა ცარიელი ფურცელი, ათში ოთხია. მოიერიშეთა კომიტატში ოცდახუთი წევრია ტაილერის ჩათვლით. ისინი საშინაო დავალებას იღებენ: წააგეთ ჩხუბი საჯაროდ; და ყოველი წევრი წერს თავის წინადადებას.
ამ კვირაში, ტაილერმა მათ უთხრა, „გადით გარეთ და იყიდეთ იარაღი.“
ტაილერმა ერთ ტიპს სატელეფონო ცნობარს მისცა და უთხრა, რომ სარეკლამო გვერდი ამოეხია. შემდეგ კი წიგნი სხვისთვის გადაეცა. არ შეიძლება ორმა მათგანმა ერთი და იგივე ადგილას იყიდოს იარაღი ან სროლა ატეხოს.
„ეს,“ ამბობს ტაილერი, ქურთუკის ჯიბიდან იარაღს იღებს, „ეს იარაღია და ყოველმა თქვენთაგანმა დაახლოებით ამ ზომის იარაღი უნდა იშოვოს და შემდეგ შეხვედრაზე მოიტანოს.“
„ეკეთესია თუ ნაღდი ფულით გადაიხდით.“ ამბობს ტაილერი. „შემდეგ მათ ერთმანეთში გაცვლით და პოლიციაში განაცხადებთ, რომ იარაღი მოგპარეს.“
არავინ არ სვამს კითხვებს. შენ არ სვამ კითხვებს, ეს არის ნგრევის პროექტის პირველი წესი.
ტაილერი ხელიდან ხელში გადასაცემად იწვდის იარაღს. ის საკმაოდ მძიმეა ასეთი პატარა ნივთისთვის, თითქოს რაღაც უზარმაზარი, მთის ან მზის-ხელა რამე გადაედნოთ მის გასაკეთებლად. კომიტეტის ბიჭებს ის ორი თითით უჭირავთ. ყველას ერთი კითხვა აწუხებს, არის თუ არა ის დატენილი, მაგრამ ნგრევის პროექტის მეორე წესია, შენ კითხვებს არ სვამ.
შეიძლება დატენილია, შეიძლება არც არის დატენილი. ჩვენ ალბათ ყოველთვის უარესი უნდა ვიფიქროთ.
„იარაღი,“ ამბობს ტაილერი, „მარტივი და სრულყოფილია. საკმარისია სასხლეტს გამოკრა.“
ნგრევის პროექტის მესამე წესია, არავითარი ბოდიშები.
„სასხლეტი,“ ამბობს ტაილერი. „ათავისუფლებს ჩახმახს, და ჩახმახი აფეთქებს დენთს.“
მეოთხე წესია, არავითარი ტყუილები.
„აფეთქება მასრის ღია ნაწილიდან მეტალის ტყვიას ისვრის, და ლულა დენთის აფეთქების ფოკუსირებას ახდენს და ტყვიას სისწრაფეს აძლევს.“ ამბობს ტაილერი.
„როგორც ადამიანი მოფრინავს კანონადადან, როგორც რაკეტა  შახტიდან, როგორც შენი სპერმა, კონკრეტული მიმართულებით.“

როცა ტაილერი ნგრევის პროექტს ქმნიდა მან თქვა, რომ ამ პროექტს არანაირი კავშირი არა აქვს ხალხთან. ტაილერს არ აღელვაბდა დაიტანჯებოდნენ თუ არა ადამიანები. მისი მიზანი იყო პროექტის წევრებისთვის ესწავლებინა, რომ მათ ისტორიის წარმართვა შეეძლოთ. ყოველ ჩვენგანს შეუძლია სამყაროს კონტროლი საკუთარ თავზე აიღოს.
ტაილერმა ნგრევის პროექტის შექმნა მებრძოლთა კლუბში დაიწყო.
მე ერთ ღამეს მებრძოლთა კლუბში ახალი მოსული ბიჭი გამოვიწვიე. იმ შაბათის ღამეს, ეს ანგელოზის სახიანი ახალგაზრდა ბიჭი, პირველად მოვიდა მებრძოლთა კლუბში, და მე ის ჩხუბში გამოვიწვიე. წესი-წესია. თუ ეს შენი პირველი დღეა კლუბში, შენ აუცილებლად უნდა იჩხუბო. მე ვიცოდი ეს და ის ბიჭი გამოვიწვიე, რადგან ისევ უძილობა მჭირდა და მინდოდა რაიმე მშვენიერი გამენადგურებინა. მას შემდეგ, რაც ჩემი სახის უმეტეს ნაწილს შეხორცების შანსიც კი აღარ დარჩა, გარეგნობის მხრივ დიდი აღარაფერი მაქვს დასაკარგი. ჩემი უფროსი, სამსახურში, მან ერთხელ მკითხა, თუ რას ვუპირებდი ლოყის პირღია ნახვრეტს. როცა ყავას ვსვამ, ვუპასუხე მე, ორ თითს ვიფარებ, რომ არ გამოჟონოს.
ეს დამაძინებელი ილეთია, მხოლოდ იმდენ ჰაერს იღებ რომ არ გაითიშო, და იმ ღამეს მებრძოლთა კლუბში მე პირველად მოსულს ვხიე სახეში, ბატონ ანგელოზის სახეს ვუბრახუნე, ჯერ მუშტის ძვლები, სანაყი ქვებივით, შემდეგ, როცა უკვე მუშტები მის კბილებზე გადავიხლიჩე, ხელის დაკოჟრილი ხორცით დავიწყე მისი ცემა. შემდეგ ხელებიდან დამისხლტა და ხორცის ნაჭერივით დაეცა.
მოგვიანებით ტაილერმა მითხრა, რომ მანამდე არასდროს ენახა რამე ასე ბოლომდე გამენადგურებინოს. იმ ღამეს ტაილერი მიხვდა, რომ ან ერთი საფეხურით უნდა ასწიოს მებრძოლთა კლუბის საქმიანობა ან საერთოდ უნდა დახუროს.
მეორე დილით, საუზმისას ტაილერმა მითხრა, „მანიაკს გავდი, პატარა ფსიქოპატს. სად დაფრინავდი?“
მე ვუპასუხე რომ მძღნერულად და დაძაბულად ვგრძნობდი თავს. არაფერი აღარ მანიჭებდა სიამოვნებას. შეიძლება უბრალოდ შევეჩვიე. ჩხუბი შეიძლება ადვილად გახდეს ჩვეულებრივი მოვლენა შენთვის, ამიტომ ვიფიქრე, რომ რაღაც მნიშვნელოვანის კეთებაზე გადასვლა მჭირდებოდა.
იმ დილით გამოიგონა ტაილერმა ნგრევის პროექტი.
ტაილერმა მკითხა, თუ რას ვებრძოდი მე სინამდვილეში.
სწორედ იმად ვგრძნობდი თავს, რასაც ტაილერი მძღნერს და ისტორიის მონებს უწოდებდა. მე მინდოდა გამენადგურებინა ყველაფერი, რაც მშვენიარია და არასდროს ყოფილა ჩემი. გადაწვი ამაზონის წვიმიანი ტყეები.
ფლოროფლუროკარბონით გაადნე ოზონი. გააღე ყველა ტანკერის სარქველი და მოხსენი თავი სანაპიროდან მოშორებულ ყოველ ნავთობ-ჭაბორღილს. მინდოდა ყველა ის თევზი მომეკლა, რომელთა საჭმელად ფული არასდროს მყოფნიდა, და საფრანგეთის სანაპიროები გამენადგურებინა რომლებიც ვერასდროს ვნახავდი. მინდოდა მთელს მსოფლიოს უკიდურესობის წერტილამდე მიეღწია.
იმ ბიჭის ცემისას, მე მართლა მინდოდა ტყვია დამეჭედებინა თვალებს შორის გადაშენების პირას მყოფი პანდებისთვის, რომლებსაც ჟიმაობაც კი არ უნდათ

საკუთარი სახეობის გადასარჩენად, ყოველი ვეშაპისა და დელფინისთვსი, რომლიც დანებდა და ნაპირზე გამოირიყა.
ნუ იფიქრებთ რომ ეს განადგურებაა. იფიქრეთ რომ ეს შტატების შემცირებაა. საუკუნეების მანძილზე ადამიანები ტყნავდნენ და ანაგვიანებდნენ და მძღნერით ავსებდნენ ამ პლანეტას, ახლა კი ისტორია მთხოვს, რომ აქაურობა მათი ნაგვისგან გავწმინდო. მე ჩემი საპნის ჭურჭელი უნდა გავრეცხო და გავწმინდო. და პასუხი ვაგო ძრავის ზეთის ყოველი წვეთისთვის რომელიც მომიხმარია.
და მე უნდა ავანაზღაურო ბირთვული დანახარჯები, მიწაში ჩაფლული ბენზინის ავზები, და ტოქსიკური ნარჩენების ნაგავსაყრელებით გამოწვეული ზიანი, რაც წინა თაობებმა მიაყენეს პლანეტას ჩემს დაბადებამდე.
მე ბატონი ანგელიზის სახე პატარა ბავშვივით მოვიმწყვდიე, როგორც მოხრილ მკლავში ამოჩრილი ბურთი და ძვლიანი მუშტი ჩავარტყი, იქამდე ვურტყი სანამ მოტეხილი კბილი გადმოაფურთხა ტუჩებით. ამის შემდეგ იდაყვი ვურტყი იქამდე, სანამ მკლავიდან არ გამომეცალა და ჩემს ფეხებთან არ დახვავდა. სანამ ყვრიმალებზე კანი არ გადასძვრა და არ გაშავდა.
მინდოდა კვამლი ჩამესუნთქა.
ჩიტები და ირმები სულელური ფუფუნებაა, და თევზები უნდა ტივტივებდნენ.
მინდოდა ლუვრი გადამეწვა. Elgin Marbles-ი უროთი დამელეწა და Mona lisa ტრაკში ამომესვა. ეს ახლა ჩემი მსოფლიოა.
ეს ჩემი მსოფლიოა, ჩემი მსოფლიო და ის უძველესი ხალხი მკვდარია.
სწორედ საუზმობისას მოიფიქრა ტაილერმა ნგრევის პროექტი.
გვინდოდა ისტირიისგან აფეთქებით გვეხსნა მსოფლიო.
ჩვენ საუზმეს შევექცეოდით სახლში ქაღალდის ქუჩაზე, როცა ტაილერმა თქვა, წარმოიდგინე როგორ თესავ ბოლოკს და კარტოფილის თესლს, მიტოვებულ, გოლფის სათამაშო მეთხუთმეტე მინდორზე.
შენ ცხენ-ირემაზე ინადირებ ტყის ნესტიან კანიონებში Rockefeller Center-ის ნანგრევების გარშემო, ან მოლუსკებს აგროვებ კოსმიური ხომალდის ჩონჩხთან, რომელიც ორმოცდახუთი გრადუსითაა გადახრილი. ჩვენ უზარმაზარ ტოტემურ სახეებსა და გობლინებს დავხატავთ ცათამბჯენებზე, და ყოველ საღამოს, ისინი ვინც კაცობრიობისგან შემორჩებიან, გაიქცევიან და ცარიელ ზოოპარკებს შეაფარებენ თავს დათვებისგან თავდასაცავად, და დიდი კატებისგან და მგლებისგან, რომლებიც ღამით წრეზე ივლიან და გალიასთან გვიდარაჯებენ.
„სისულელეა სამრეწველო ნარჩენების გადამუშავება და სიჩქარის ლიმიტირება,“ ამბობს ტაილერი. „ეს იგივეა, რომ მოწევას სიკვდილის სარეცელზე დაანებო თავი.“
ეს არის ნგრევის პროექტი, რომელმაც მსოფლიო უნდა იხსნას. კულტურული გამყინვარების ხანა. ნგრევის პროექტი ადამიანებს აიძულებს წათვლიმონ ან ცოტა ხნით შესუსტდნენ, იმდენ ხანს სანამ დედამიწა დაკარგულ ძალებს აღიდგენს.
„შენ ანარქიას აკანონებ,“ ამბობს ტაილერი. „დაფიქრდი ამაზე.“
ისივე როგორც მებრძოლთა კლუბი აკეთებს მუშაკებთან და ოფისის ბიჭებთან მიმართებაში, ნგრევის პროექტი ცივილიზაციას დაასრულებს და ჩვენ შეგვეძლება რაიმე უკეთესი ავაშენოთ მისი ნარჩენებისგან.

„წარმოიდგინე," ამბობს ტაილერი. „ნადირობ ცხენ-ირემზე, რომელიც მაღაზიის ჩამტრვრეულ ვიტრინებთან დაბოდიალობს მყრალი საკიდებისა და ლპობაში წასული ლამაზ კაბების და საკიდებზე წამოცმული სმოკინგების სიახლოვეს; შენ მხოლოდ ბეწვეულს ჩაიცვამ, რომელიც მთელი ცხოვრება გაგიძლებს, და მსხვილმტევნებიან კუძუს ვაზებში იხოხებ, რომელიც Sears Tower-ზე იქნება შემოხვეული. როგორც ზრაპრული ჯეკი, შენ ხოხვით აუყვები დანამული ხეების ჩრდილს და ჰაერი ისეთი სუფთა იქნება, რომ პატარა ფიგურებს გაარჩევ, რომლებიც სიმინდს ლეწავენ და ირმის ხორცს ცარიელი მანქანებიდან ცარიელ გზაზე აწყობენ გასაშრობად აგვისტოს სიცხეში, რომელიც ადრე რვა საგზაო ბილიკის სიგანის ათას მილიან სუპერმაგისტრალს წარმოადგენდა."
ეს იყო ნგრევის პროეტის მიზანი, ამბობდა ტაილერი, ცივილიზაციის სრული და საბოლოო დესტრუქცია.
რას იზამს შემდეგ ნგრევის პროექტი არავინ იცის ტაილერის გარდა. მისი მეორე წესია, არავითარი შეკითხვები.
„ტყვიებს თქვენ არ ყიდულობთ," უთხრა ტაილერმა მოიერიშეებს, „და მინდა გაგახაროთ, დიახ, თქვენ მოგიწევთ ვიღაც-ვიღაცეების მოკვლა."
ხანძრის გამჩაღებლები. მოიერიშეები. დაუმორჩილებლები და დეზინფორმატორები. არავითარი კითხვები. არავითარი კითხვები. არავითარი ბოდიშები და არავითარი ტყუილები.
ნგრევის პროექტის მეხუთე წესია, შენ უნდა ენდობოდე ტაილერს.
**17**
ჩემს უფროსს ახლა სხვა ფურცელი მოაქვს ჩემს სამუშაო მაგიდასთან და იდაყვებთან მიდებს. მე უკვე ჰალსტუხსაც აღარ ვატარებ. ჩემი ბოსი თავის ლურჯ ჰალსტუხშია, ანუ დღეს ალბათ ოთხშაბათია. ჩემი უფროსის კაბინეტის კარი ახლა უკვე ყოველთვის დახურულია, და ჩვენ დღეში ორ სიტყვაზე მეტს აღარც კი ვუცვლით ერთმანეთს მას შემდეგ რაც მან მებრძოლთა კლუბის წესები აღმოაჩინა აპარატში, და ალბათ იფიქრა, რომ შემეძლო ნაწლავები გამეყრევინებინა მისთვის იარაღით. მე კი უბრალოდ ვცანცარებდი, ისევ.
ან იფიქრა, რომ შემეძლო ტრანსპორტირების დეპარტამენტის ხალხთან დამერეკა. არსებობს წინა სავარძლების სამაგრები, რომლებსაც წარმოებაში ჩაშვებამდე შეჯახების ტესტი არ გაუვლიათ.
როცა იცი საით იყურო, ყველგან უამრავ დამარხულ გვამს ნახულობ.
დილა მშვიდობისა, ვამბობ მე.
ის ამბობს, „დილა მშვიდობისა."
ჩემს იდაყვებთან კიდევ ერთი, მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილი საიდუმლო დაკუმენტი დევს, რომლის გამრავლებაც ტაილერმა დამავალა. ერთი კვირის წინ ტაილერი სახლის სარდაფში დააბიჯებდა ქაღალდის ქუჩაზე და ნაბიჯებით ზომავდა მას. ის სამოცდახუთი ფეხსაცმლის სიგრძეა წინიდან უკან და ორმოცი ფეხსაცმლის სიგრძეა სიგანეში, ერთი გვერდიდან მეორემდე. ტაილერი ხმამაღლა ფიქრობდა. მან მკითხა, „ექვსჯერ შვიდი რამდენია?"
ორმოცდაორი.

„და სამჯერ ორმოცდა ორი?“
ასოცდაექვსი.
ტაილერმა ხელით ჩამოწერილი შენიშვნების სია მომცა და მითხრა მისი სამოცდათორმეტი ასლი გამეკეთებინა.
რატო ასე ბევრი?
„იმიტომ,“ თქვა ტაილერმა. „რომ სწორედ ამდენი ტიპი შეძლებს დაძინებას სარდაფში, თუ სამ სართულიან სამხედრო საწოლებს ჩავდგამთ.“
და მათ ნივთებზე რაღას იტყვი?
ტაილერმა მითხრა, „მათ არაფრის მოტანა არ მოუწევთ გარდა იმისა რაც სიაშია და ეგ კი მატრასების ქვეშაც მოთავსდება.“
სია რომელსაც ჩემი უფროსი პოულობს ასლების აპარატში, ის სამოცდათორმეტ ეგზემპლიარზეა მომართული, სია ამბობს:
„მოთხოვნილი ნივთების მოტანა არ გაძლევთ ტრეინინგზე მოხვედრის გარანტიას, თუმცა არცერთი აპლიკანტის მიღება არ იქნება განხილული თუ არ იქნებიან აღჭურვულნი შემდეგი ნივთებით და ზუსტად ხუთასი დოლარის ოდენობის ნაღდი ფულით საკუთარი დაკრძალვის ხარჯების დასაფარად.
უპატრონო გვამის კრემაცია მინიმუმ სამასი დოლარი ჯდება, მითხრა ტაილერმა, და ფასი თანდათან მატულობს. ნებისმიერი მათგანის სხეული ვინც ამ თანხის გარეშე მოკვდება, პრაქტიკანტებს გადაეცემათ აუტოფსიისთვის.
კურსანტმა ეს ფული ფეხსაცმლით უნდა ატაროს, რადგან იმ შემთხვევაში, თუ მას მოკლავენ, ნგრევის პროექტს არ მოუწიოს ამ ხარჯების დაფარვა.
დამატებით, აპლიკანტებმა თან უნდა იქონიონ შემდეგი:
ორი შავი პერანგი.
ორი შავი შარვალი.
ერთი წყვილი მძიმე შავი ფეხსაცმელი.
ორი წყვილი შავი წინდა და ორი წყვილი უბრალო საცვალი.
ერთი მძიმე შავი ქურთუკი.
ეს ტანსაცმლის კომპლექტია, რომელიც აპლიკანტს უნდა ჰქონდეს.
ერთი თეთრი პირსახოცი.
ერთი ჩვეულებრივი სამხედრო მატრასი.
ერთი თეთრი პლასტმასის ჯამი.
ჩემი უფროსი ისევ ისე დგას ჩემს სამუშაო მაგიდასთან, მე ორიგინალ სიას ვიღებ და მადლობას ვუხდი. ის საკუთარ კაბინეტში შედის. მე ვჯდები და პასეანსის თამაშს ვაგრძელებ ჩემს კომპიუტერში.
სამსახურის შემდეგ მე ტაილერს ასლებს ვაძლევ, და დღეები მიქრიან. მე სამსახურში მივდივარ.
მე სახლში ვბრუნდები.
მე სამსახურში მივდივარ.
მე სახლში ვბრუნდები, და ჩვენი სახლის შემოსასვლელში ვიღაც ტიპი დგას. ტიპი წინა კართან დგას თავისი მეორე პერანგი და საცვალი ყავისფერ ტომარაში აქვს და ბოლო სამი ნივთი, თეთრი პირსახოცი, სამხედრო მატრასი და პლასტმასის ჯამი

შემოსასვლელის მოაჯირზე უწყვია. მე და ტაილერი ზედა ფანჯრიდან გადმოვყურებთ ამ ტიპს და ტაილერი მეუბნება რომ ჩავიდე და ეს ბიჭი გავაგდო.
„ძალიან ახალგაზრდაა,“ ამბობს ტაილერი.
ტიპი რომელიც შემოსასვლელში დგას არის ბატონი ანგელოზის სახე, რომლის განადგურაბასაც იმ ღამეს ვცდილობდი, როცა ტაილერმა ნგრევის პროექტი მოიგონა. მიუხედავად მისი ჩაშავებული თვალებისა და ქერა საბრძოლო ვარცხნილობისა, მისი სახე მაინც მკვრივი და ნაზია, ნაოჭებისა თუ იარების გარეშე. ჩააცვი კაბა და გააღიმე, და ის ქალია. ბატონი ანგელოზი უბრალოდ  ფეხის წვერებით წინა კარისკენ დგას და პირდაპირ იხედება, დაპობილ ხეს უყურებს,  ხელები გვერდებზე აქვს მიწყობილი, შავი ფეხსაცმელები, შავი პერანგი და შავი შარვალი აცვია.
„თავიდან მოიშორე,“ მეუბნება ტაილერი. „ძალიან ახალგაზრდაა.“
მე ვეკითხები თუ რამხელაა ძალიან ახალგახრდა?
„არა აქვს მნიშვნელობა, თუ აპლიკანტი ახალგაზრდაა ჩვენ ვეუბნებით, რომ ძალიან ახალგაზრდაა. თუ მსუქანია, ძალიან მსუქანია. თუ ბებერია, ძალიან ბებერია. გამხდარი, ძალიან გამხდარია. თეთრი, ძალია თეთრია. შავი, ძალიან შავი.“
ზუსტად ასე ამოწმებდნენ ბუდისტურ ტაძრებში დაბრუნების მსურველებს უთვალავი წლის გამნავლობაში, ამბობს ტაილერი. შენ ეუბნები აპლიკანტს, რომ წავიდეს, და თუ მისი გადაწყვეტილება იმდენად მყარია, რომ ის იცდის საკვების, თავშესაფარისა და გამხნევების გარეშე, სამი დღის განმავლობაში, ამის შემდეგ და მხოლოდ ამის შემდეგ შემოდის ის და იწყებს ვარჯიშს.
ასე რომ მე ვეუბნები ბატონ ანგელოზს, რომ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ ლანჩის დროს ის ისევ ადგილზე დგას. ლანჩის შემდეგ მე გავდივარ გარეთ და ცოცხს ვურტყამ მას და წიხლით ქუჩაში ვისვრი მის ტომარას. ზემოდან, ტაილერი მიყურებს, როგორ ვურტუყამ ცოცხის ტარს ყურში ბავშს, ბავშვი გაუნძრევლად დგას, მე წიხლით ნაგავში ვისვრი მის ნივთებს და ვუყვირი მას.
წაეთრიე აქედან, ვყვირი. ვერ გაიგე? ძალიან ახალგაზრდა ხარ. ამას ვერასდროს შეძლებ, ვყვირი. ერთ-ორ წელში დაბრუდი და თავიდან სცადე. უბრალოდ წადი. მოშორდი ჩემს კარს.
მეორე დღეს ის ისევ იქ დგას და ტაილერი გარეთ გადის, „ვწუხვარ,“ ტაილერი ამბობს, რომ წუხს, რომ მას ვარჯიშის ამბავი გაანდო, რადგან ის მართლა ძალიან ახალგაზრდაა, და აჯობებს წავიდეს.
კარგი ძაღლი. ცუდი ძაღლი.
მე ვუყვირი საცოდავ ბიჭს, ისევ. ექვსი საათის შემდეგ, ტაილერი გარეთ გადის და ეუბნება, რომ ძალიან წუხს, მაგრამ არა. ტიპი უნდა წავიდეს. ის პოლიციას გამოიძეხებს თუ ბიჭი არ წავა აქედან.
და ტიპი რჩება.
და მისი ტანსაცმელი ისევ ნაგავში ყრია. და ქარს მისი ქაღალდის ტომარა სადღაც მიაქვს.
და ტიპი რჩება.

მესამე დღეს, კიდევ ერთი აპლიკანტი დგას შემოსასვლელში. ბატონი ანგელოზი ისევ ადგილზეა. ტაილერ ჩადის ქვემოთ და ბატონ ანგელოზს ეუბნება, „შემოდი. მოკრიფე შენი ნივთები ქუჩიდან და შემოდი.“
ახალ ტიპს ტაილერი ეუბნება, რომ სამწუხაროა, მაგრამ აქ რაღაც შეცდომაა. ახალი ტიპი ძალიან ბებერია ამ ვარჯიშებისთვის და აჯობებს თუ წავა.
მე ყოველ დღე სამსახურში დავდივარ. სახლში ვბრუნდები და იქ ერთი ან ორი ტიპი ყოველთვის დგას და იცდის შემოსასვლელში. ეს ახალი ტიპები არასდროს გიყურებენ თვალებში. მე კარს ვკეტავ და მათ შემოსასვლელში ვტოვებ. ეს ხდება ყოველ დღე, ზოგჯერ აპლიკანტები მიდიან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი გაქვავებული დგანან მესამე დღის დადგომამდე, იქამდე სანამ იმ საწოლების უმეტესობა, რომელიც მე და ტაილერმა ვიყიდეთ და სარდაფში დავამონტაჟეთ, არ შეივსება.
ერთ დღესაც ტაილერი ხუთას დოლარს მაძლევს და მეუბნება, რომ ის ფეხსაცმლით უნდა ვატარო სადაც არ უნდა ვიყო. ჩემი პირადი დასამარხი ფული. კიდევ ერთი ჩვეულება, ბუდისტური მონასტრებიდან.
მე სამსახურიდან ვბრუნდები და სახლი უცნობებითაა სავსე, რომლებიც ტაილერმა მიიღო. ყველანი მუშაობენ. მთელი პირველი სართული, სამზარეულოდ და საპნის ქარხანად არის ქცეული. სააბაზანო არასდროსაა ცარიელი. მამაკაცთა ჯგუფები რამდენიმე დღით ქრებიან და სახლში თხელი, წყალწყალა ქონის წითელი რეზინის ჩანთებით ბრუნდებიან.
ერთ ღამეს ტაილერი ზემოთ ამოდის, რომ საკუთარ ოთახში დამალული მიპოვნოს და მეუბნება, „არ შეაწუხო ისინი. მათ იციან თავისი საქმე. ეს ნგრევის პროექტის ნაწილია. არც ერთ მათგანს არ ესმის მთელი გეგმა, მაგრამ ყოველი მათგანი კარგადაა მომზადებული იმისათვის, რომ თითო დავალება უნაკლოდ შეასრულოს.“
ეს ნგრევის პროექტის წესია, შენ უნდა ენდობოდე ტაილერს.
შემდეგ ტაილერი გაქრა.
ნგრევის პროექტის ჯგუფები, მთელი დღეები ქონს ამუშავებენ. მე არ მძინავს. მთელი ღამე მესმის როგორ ურევენ თუთქს და ჭრიან ფილებს და აცხობენ საპნის ფილებს, ნამცხვრის ყალიბებში, ფუთავენ მას და ქაღალდის ქუჩის საპნის კომპანიის იარლიყს ტვიფრავენ. ჩემს გარდა ყველამ იცის რა უნდა აკეთოს, ტაილერი კი არასდროსაა სახლში.
მე კედლებს ვეხუტები, როგორც თაგვი, გაწრთვნილი მაიმუნის ენერგიის მქონე ადამიანთა ამ მექანიკურ სიჩუმეში გაბმული, რომლებიც ჯგუფურად ამზადებენ, მუშაობენ და სძინავთ. მოქაჩე ბერკეტს. დააჭირე ღილაკს. მაიმუნ ასტრონავტთა ჯგუფი მთელი დღე საჭმელს ამზადებს, და მთელი დღე, მაიმუნი ასტრონავტები ჭამენ მას თეთრი ჯამებიდან, რომლებიც თავად მოიტანეს.
ერთ დილით მე სამსახურში მივდივარ და გარეთ დიდი ბობი დგას და აცვია შავი ფეხსაცმელი და შავი პერანგი და შარვალი. მე ვეკითხები ტაილერი ხომ არ უნახავს ბოლო დროს? ტაილერმა ხომ არ გამოგზავნა აქ?
„ნგრევის პროექტის პირველი წესია,“ ამბობს ბობი ფეხებმიტყუპებული და წელში გამართული. „არავითარი შეკითხვები ნგრევის პროექტის შესახებ.“

ამჯერად რომელი პატარა უაზრობის კეთების პატივი მიაგო ტაილერმა, ვეკითხები მე. აქ არიან ბიჭები, რომელთა საქმეც მარტო ბრინჯის მოხარშვაა, ან ჯამების რეცხვა, ან უნიტაზის ხეხვა. მთელი დღე. გასხივოსნებას ხომ არ დაპირდა ტაილერი დიდ ბობს თუ ის დღეში თექვსმეტ საათს საპნის ფილების ფუთვაში გაატარებს?
დიდი ბობი არაფერს ამბობს.
მე სამსახურში მივდივარ. ვბრუნდები და დიდი ბობი ისევ შემოსასვლელში დგას. მე მთელი ღამე დაძინებას ვერ ვახერხებ და მეორე დილას დიდი ბობი ბაღს უვლის გარეთ. სამსახურში წასვლის წინ დიდ ბობს ვეკითხები ვინ შემოუშვა შიგნით? ვინ მისცა ეს დავალება? ტაილერი ნახა? ტაილერი აქ იყო წუხელ?
დიდი ბობი ამბობს, „ნგრევის პროექტის პირველი წესია არავითარი...“
მე ვაწყვეტინებ. მე ვამბობ, ჰო. ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ჰო.
და სანამ მე სამსახურში ვარ მაიმუნი ასტრონავტები, ტალახიან გაზონს თხრიან მთელი სახლის გარშემო და სპეციალური მარილით ამუშავებენ, რომ მჟავიანობამ დაიწიოს, ცარიელ ნაკელის მანქანას მიწით ტვირთავენ და ზედ საპარიკმახეროდან მოტანილ თმას ყრიან თხუნელებისა და თაგვების დასაფრთხობად და ნიადაგში პროტეინის ასამაღლებლად.
მაიმუნი ასტრონავტები ღამის ნებისმიერ დროს მოდიან სხვადასხვა სასაკლაოდან, მოდიან სახლში და ჩანთებით მოაქვთ სისხლი ნიადაგში რკინის ასამაღლებლად, და მოაქვთ ძვლები ბოსფორის ასამაღლებლად.
მაიმუნი ასტრონავტები რგავენ ბაზილიკას, ქონდარს და სალათის ფოთლებს, თხილნარს, ევკალიპტს და ველურ ფორთოხალს და პიტნას კალეიდოსკოპური მიმდინარეობით. და ვარდისფერ ფანჯრებს მწვანე ფერი გადაჰკრავთ. მაიმუნი ასტრონავტების მეორე ჯგუფი გადის ღამით და ხოცავს ლოქორებს და ლოკოკინებს სანთლის შუქით. კიდევ ერთი ასტრონავტი მაიმუნების ჯგუფი, მხოლოდ ყველაზე სრულყოფილ ფოთლებსა და ღვიის მარცვლებს აგროვებს ბუნებრივი საღებავის დასამზადებლად. და კომფრეის იმიტომ, რომ ეს ბუნებრივი სადეზინფექციო საშუალებაა. იისფერ ფოთლებს კი იმიტომ, რომ ის თავის ტკივილს კურნავს და ტყის ჩიტისთვალას, რადგან ის საპონს მშვენიერ ბალახეულ სუნს ანიჭებს.
სამზარეულოში 80გრადუსიანი არყის ბოთლები დგას ვარდისფერი გამჭვირვალე საპნის და დამწვარი შაქრის ფერის და პაჩული საპნის დასამზადებლად, და მე ვიპარავ ერთ ბოთლ არაყს და ჩემს დასამარხ ფულს სიგარეტში ვხარჯავ. მარლა მოდის. ჩვენ ნერგებზე ვლაპარაკობთ. მე და მარლა ხრეშიან გზაზე დავდივართ, ბაღის მწვანე კალეიდოსკოპურ ჩუქურთმებს შორის, ვსვამთ და ვეწევით. ჩვენ ვლაპარაკობთ მის ძუძუებზე. ჩვენ ვლაპარაკობთ ყველაფერზე ტაილერ დერდენის გარდა.
და ერთხელაც გაზეთში წერენ, როგორ შევარდა შავებში ჩაცმული ადამიანების ბანდა მშვიდ სამეზობლოში და მდიდრული მანქანების სავაჭრო ცენტრში და როგორ დაუმსხვრიეს მანქანებს წინა ბამპერები ისე, რომ აირბაგები აფეთქდნენ და სალონები ფხვნილისებრი მასით დაფარეს და სიგნალიზციები აყვირდნენ.

ქაღალდის ქუჩის საპნის კომპანიაში, სხვა ჯგუფები ვარდებისა და ფრინტების ფურცლებს აგროვებენ და ყუთში ინახავენ სუფთა ქონის ნაჭრებთან ერთად, რომლებიც მათ სურნელს იწოვენ, ყვავილის სუნის მქონე საპნის დამზადებისას. მარლა მცენარეებზე მიყვება.
ვარდი, ამბობს მარლა, ბუნებრივი შემკვრელი საშუალებაა.
ზოგ ყვავილს - ნეკროლოგიური სახელი აქვს: ზამბახი, ბაზილიკა, ტეგანი, როზმარინი, და ვერბენა. ზოგს, კი მაგალითად, როგორიც meadowsweet, cowslips, sweet flag და spikenard-ია, მათ შექსპირული ზღაპრების მსგავსი სახელები ჰქვიათ. ირმის ენა, თავისი ტკბილი ვანილის სუნით. მეორე ბუნებრივი შემკვრელია თხილი. იის ფესვები, ველური ესპანური ზამბახი.
მე და მარლა ყოველ ღამე იქამდე დავსეირნობთ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ტაილერი სახლში არ მოვა. უკან ასტრონავტი მაიმუნები დაგვყვებიან, რომ ბალაზამი თუ ტეგანი თუ პიტნა აკრიფონ, რომელსაც მარლა ჩემს ცხვირთან ახლოს სრესს. დაგდებული სიგარეტის ნამწვი. ისინი ფოცხებს უსვამენ ბილიკს ჩვენს უკან, რათა ჩვენი აქ ყოფნის კვალი წაშალონ.
ერთ ღამეს კი ქალაქის ცენტრალურ პარკში, სხვა დაჯგუფებამ ხეებს გარშემო და ხეებს შორის ბენზინი დაღვარა და ტყეში პატარა ხანძარი გააჩინა. გაზეთში წერდნენ, რომ მოპირდაპირე ქუჩის სახლის ფანჯრები ცეცხლისგან დნებოდნენ, ხოლო გაჩერებულმა ავტომობილებმა სუნი აუშვეს და საბურავები გაუდნათ.
ტაილერის ნაქირავები სახლი ქაღალდის ქუჩაზე ცოცხალი არსებაა, ის შიგნიდან სველია ამდენი ადამიანის ოფლისა და სუნთქვის გამო. სახლში იმდენი ხალხი მოძრაობს, რომ სახლი მოძრაობს.
შემდეგ ღამეს, როცა ტაილერი ისევ არ იყო სახლში, ვიღაცამ ბანკომატი და ფასიან ტელეფონის აპარატი გაბურღა, მან გაქონილი ხელსაწყო ჩაყო ნახვრეტში და მისი მეშვეობით ბანკომატი და ფასიანი ტელეფონი ქონითა და ვანილის პუდინგით გაავსო.
და ტაილერი არასდროს იყო სახლში, მაგრამ ერთი თვის შემდეგ, რამდენიმე ასტრონავტ მაიმუნს, ხელზე ტაილერის კოცნა ჰქონდათ ამომწვარი. შემდეგ ეს ასტრონავტი მაიმუნებიც გაქრნენ და ახალი ტიპები დადგნენ შემოსასვლელში მათ ჩასანაცვლებლად.
და ყოველ დღე, მამაკაცთა ჯგუფები მოდიოდნენ და მიდიოდნენ სხვადასხვა მანქანებით. ერთ მანქანას ორჯერ ვერ ნახავდი. ერთ საღამოს შემოსასვლელიდან მარლას ხმა მომესმა, რომელიც ასტრონავტ მაიმუნებს ეუბნებოდა, „მე აქ ტაილერის სანახავად მოვედი. ტაილერ დერდენი აქ ცხოვრობს. მე მისი მეგობარი ვარ.“
ასტრონავტი მაიმუნი პასუხობს, „ვწუხვარ მაგრამ შენ ძალიან...“ პაუზას აკეთებს, „შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ აქ მოსახვედრად.“
მარლა ამბობს,“გააჯვი.“
„თანაც“ ამბობს მაიმუნი ასტრონავტი. „თან არ გაქვს აუცილებელი ნივთები: ორი შავი პერანგი, ორი შავი შარვალი...“
მარლა ყვირის, „ტაილერ!“
„ერთი წყვილი მძიმე შავი ფეხსაცმელი.“

„ტაილერ!“
„ორი წყვილი შავი წინდები და ორი შავი, უბრალო საცვალი.“
„ტაილერ!“
მე წინა კარის მიჯახუნების ხმა მესმის. მარლა სამი დღე მოცდას არ აპირებს. უმეტეს შემთხვევაში სამსახურის შემდეგ მე სანდვიჩს ვიკეთებ მიწის თხილის კარაქით. როცა სახლში ვბრუნდები ერთ-ერთი მაინუნი ასტრონავტი, დანარჩენ მაიმუნ ასტრონავტებს, რომლებიც შეგროვილან და ძირს ჩამოსმხდარან და მთელ პირველ სართულს ფარავენ, უკითხავს. „შენ არ ხარ თოვლის ფიფქივით ლამაზე და უნიკალური. შენც ისეთივე ლპობადი ორგანული მატერია ხარ, როგორიც ყველა, და ჩვენ ყველა ერთი კომპოსტური გროვის ნაწილი ვართ.“
ასტრონავტი მაიმუნი აგრძელებს, „ჩვენმა კულტურამ ჩვენ ერთნაირებად გვაქცია. აღარავინაა ჭეშმარიტად თეთრი ან შავი ან მდიდარი ამიერიდან. ჩვენ ყველას ერთი და იგივე სურვილები გვაქვს. ინდივიდუალური თვალსაზრისით, ჩვენ არ ვარსებობთ.“
მკითხველი ჩერდება, როცა მე სენდვიჩის გასაკეთებლად შევდივარ, და ყოველი მაიმუნი ასტრონავტი ისე ჩუმად ზის, თითქოს ოთახში მარტო ვიყო. მე ვამბობ, ნუ წუხდებით. უკვე წაკითხული მაქვს. მე ავკრიფე ეგ ტექსტი.
თვით ჩემს უფროსსაც კი წაკითხული აქვს.
ჩვენ მხოლოდ მძღნერის კონა ვართ, ვამბობ მე. გააგრძელეთ. ითამაშეთ თქვენი პატარა თამაში. ყურადღებას ნუ მომაქცევთ.
მაიმუნები ასტრონავტები ჩუმად იცდიან სანამ სანდვიჩს ვიკეთებ, ვიღებ კიდევ ერთ ბოთლ არაყს და  ზემოთ ავდივარ. უკნიდან მესმისმ, „შენ არ ხარ თოვლის ფიფქივით ლამაზი და უნიკალური.“
მე ჯოს გატეხილი გული ვარ, რადგან ტაილერმა სანაგვეზე მომისროლა. რადგან მამაჩემმა მიმაგდო. ოჰ, უსასრულოდ შემიძლია გავაგრძელო.
ზოგჯერ ღამით, სამსახურის შემდეგ მე დადივარ სხვადასხვა მებრძოლთა კლუბში, ბარის სარდაფში თუ ავტოფარეხში და ვკითხულობ ვინმეს ხომ არ უნახავს ტაილერ დერდენი.
ყოველ ახალ მებრძოლთა კლუბში სადაც მე მივდივარ, ვიღაც, ვინც მანამდე არასდროს მინახავს, ნათურის ქვეშ, სიბნელის შუაგულში, მამაკაცებით გარშემორტყმული დგას და კითხულობს ტაილერის სიტყვებს.
მებრძოლთა კლუბის პირველი წესია, არსად წამოგვცეს მებრძოლთა კლუბის შესახებ.
როცა ბრძოლები იწყება მე გვერდით გამყავს კლუბის ლიდერი და ვეკითხები ხომ არ უნახავს ტაილერი. მე ვცხოვრობ ტაილერთან ერთად და კაი ხანია სახლში არ გამოჩენილა.
ტიპს თვალები უფართოვდება და მეკითხება, მართლა ვიცნობ თუ არა ტაილერ დერდენს?
ეს ხდება ახალი კლუბების უმეტესობაში. ჰო, ვამბობ მე, მე დატაილერი საუკეთესო მეგობრები ვართ. ყველას უეცრად ხელის ჩამორთმევა უნდება ჩემთვის. ეს ახალი ტიპები ჩემს ლოყაზე ნახვრეტებს აშტერდებიან და ჩაშავებულ კანს სახეზე, ყვითელს

და ნაცრისფერს კიდეების გარშემო და ისინი სერ-ით მომმართავენ. არა სერ. ნამდვილად არა, სერ. მათი ნაცნობებიდან არავინ არასდროს შეხვედრია ტაილერ დერდენს. მათი მეგობრების მეგობრები შეხვედრიან ტაილერ დერდენს და მათ დააფუძნეს ეს მებრძოლთა კლუბი, სერ.
შემდეგ ისინი თვალს მიკრავენ.
მათი ნაცნობებიდან არავინ არასდროს შეხვედრია ტაილერ დერდენს.
სერ.
ეს სიმართლეა, ყველა მეკითხება. ტაილერი მართლა აკეთებს არმიას? ასე ამბობენ. ტაილერს ერთი საათი სძინავს დღე-ღამეში? ასეთი ჭორები დადის, რომ ტაილერი მთელ ქვეყანაში მოგზაურობს და ყველგან მებრძოლთა კლუბს ხსნის. ყველას აინტერესებს თუ რა იქნება შემდეგ.
ნგრევის პროექტის შეხვედრები უფრო დიდ სარდაფში გადავიდა, რადგან, მოიერიშეები, ინტრიგანები და დეზინფორმატორები საგრძნობლად იზრდებიან, იმის გამო, რომ უფრო და უფრო მეტი ხალხი ამთავრებს მებრძოლთა კლუბის მომზადების კურსებს. თითოეულ დაჯგუფებას თავისი ლიდერი ჰყავს, და თვით ამ ლიდერებმაც კი არ იციან სად იმყოფება ტაილერი. ტაილერი მათ ყოველ კვირა ურეკავს.
ნგრევის პროექტში ყველას სურს გაიგოს რა იქნება შემდეგ.
საით მივდივართ?
რას უნდა ველოდეთ?
ქაღალდის ქუჩაზე, მე და მარლა ბაღში დავსეირნობთ ღამით ჩვენი შიშველი ფეხებით, ყოველ ნაბიჯს სიბრძნის და ლიმონის ვერბენას და ვარდის ნემსიწვერას სუნი მოაქვს. შავი პერანგები და შავი შარვლები უკან მოგვყვებიან სანთლებით ხელში და კრეფენ ფოთლებს და ხოცავენ ლოკოკინებსა და ლოქორებს. მარლა მეკითხება, რა ხდება აქ?
თმის ტაფტები ჭუჭყს უფარავს. თმა და მძღნერი. ძვლებით კვება და სისხლით კვება. მცენარეები ისე სწრაფად იზრდებიან, რომ მაიმუნი ასტრონავტები მათ გაკრეჭას ვერ ასწრებენ.
მარლა მეკითხება, „რის გაკეთებას აპირებ?“
როგორ ამბობენ?
ჭუჭყში ოქროს ნამცეციც კი ციმციმებს, დაიჩოქე და შეხედე. რა მოხდება მერე, მე არ ვიცი, ვეუბნები მარლას.
თითქოს ჩვენ ორივე სანაგვეზე მოგვისროლეს.
თვალის უპეებიდან ვხედავ როგორ დააბიჯებენ ასტრონავტი მაიმუნები აქეთ-იქით თავისი სანთლებით. ოქროს პატარა ნამცეცის კაშკაში ჭუჭყში, იგივეა რაც ჩემი კბილი ოქროს პლომბით. მის გვერდით კიდევ ორი უკანა კბილის ზედაპირი მოსჩანს, ვერცხლის ამალგამის პლომბით. ეს ყბის ჩონჩხია.
მე ვამბობ, არა, მე არ შემიძლია გითხრა რა შეიძლება მოხდეს. და მე ერთ, ორ, სამ უკანა კბილს ვტენი ჭუჭყში და თმაში და მძღნერში და ძვალში და სისხლში, სადაც მარლა ვერასდროს ნახავს.

ამ პარასკევ ღამეს, მე ჩემს სამუშაო მაგიდაზე მძინავს.
როცა ვიღვიძებ, ჩემი სახით, სამუშაო მაგიდაზე დალაგებული გადაჯვარედინებული ხელებით, ტელეფონი რეკავს და აქ ჩემს გარდა აღარავინაა. ტელეფონი ჩემს სიზმარშიც რეკავდა და გაუგებარია რეალობამ შემოაღწია სიზმარში თუ სიზმარი ახდენს რეალობაზე გავლენას.
ტელეფონს ვპასუხობ, შერიგება და პასუხისმგებლობა.
ეს ჩემი დეპარტამენტია, შერიგება და პასუხისმგებლობა.
მზე ჩადის, და შტორმის მომასწავებელი ვაიომინგისა და იაპონიის ხელა ღრუბლების გროვა ჩვენსკენ მოემართება. თუმცა მე სამსახურში ფანჯარა არ მაქვს. ყველა კედელი იატაკიდან ჭერამდე ისედაც შუშისაა. ყველგან სადაც ვმუშაობ შუშის კედლებია იატაკიდან ჭერამდე. ყველგან ვერტიკალური ჟალუზებია. ყველაფერი ნაცრისფერი ინდუსტრიალური ხალიჩაა, მასზე ამოტვიფრული მემორიალური საფლავის ქვებით იქ, სადაც პერსონალური კომპიუტერი უერთდება ლოკალურ ქსელს. ყველაფერი ფანერით გადატიხრული ოთახების ლაბირინთია.
სადღაც მტვერსასრუტი ღიღინებს.
ჩემი უფროსი შვებულებაშია. მან ელ-ფოსტა გამომიგზავნა და შემდეგ გაქრა. მე ანგარიშის ჩასაბარებლად უნდა მოვემზადო ორი კვირის განმავლობაში. დავჯავშნო საკონფერენციო დარბაზი. ყველა დეტალი უზრუნველვყო. საკუთარ CV-ი განვაახლო. და ეგეთი რამეები. ისინი სარჩელს ამზადებენ ჩემს წინააღმდეგ.
მე ჯოს მოულოდნელობების ნაკლებობა ვარ.
მე ძალიან საცოდავად ვიქცეოდი.
მე ვიღებ  ყურმილს, ეს ტაილერია, და ის ამბობს, „გარეთ გამოდი, ავტოსადგომზე რამდენიმე ტიპი გიცდის“.
მე ვეკითხები, ვინ არიან?
„ისინი ყველანი შენ გიცდიან,“ ამბობს ტაილერი.
საკუთარი ხელებიდან ბენზინის სუნი მცემს.
ტაილერი აგრძელებს, „მიდი შეხვდი. მათ მანქანა უყენიათ გარეთ. კადილაკი ყავთ.“
მე ისევ მძინავს.
აქ, მე დარწმუნებული არ ვარ, რომ ტაილერი ჩემი სიზმარია.
ან თუ მე ვარ ტაილერის სიზმარი.
ჩემი ხელებიდან ბენზინის სუნი მცემს.
გარშემო არავინაა ჩემს გარდა, მე ვდგები და ავტოსადგმოზე მივდივარ.
ერთი ბიჭი მებრძოლთა კლუბიდან მანქანებზე მუშაობს, ამიტომ ის სპეციალურ უჯრედშია გაჩერებული ვიღაცის შავი კორნიშეთი, მე მხოლოდ ისღა დამრჩენია ვუყურო მას, შავს და ოქროსფერს, ამ უზარმაზარ სიგარეტის კოლოფს, რომელიც მზადაა სადმე წამიყვანოს. ეს ბიჭი, მექანიკოსი, მეუბნება, რომ შემიძლია მშვიდად ვიყო, რადგან მან სხვა ნომერი დაუყენა მანქანას, აეროპორტის ყველაზე გახანგრძლივებული ავტოსადგომებიდან.
ჩვენი მექანიკოსი მებრძოლთა კლუბიდან ამბობს, რომ ნებისმიერი რამის დაქოქვა შეუძლია. საჭესთან ორი მავთულია ამოშვერილი. მავთულებს ერთმანეთს მიადებ

და სტარტერის სოლენოიდი წრეს კრავს, და მანქანა დაქოქილია, შეგიძლია იკატავო რამდენიც გინდა.
გარდა ამისა უსაფრთხოების კოდის გაგებაც შეიძლება.
უკან სამი მაიმუნი ასტრონავტი ზის შავ პერანგში და შარვალში. ვერ ვხედავ ბოროტს. არ მესმის ბოროტი. არ ვლაპარაკობ ბოროტს.
მე ვკითხულობ, მაშ ასე, სად არის ტაილერი?
მექანიკოს ბიჭს მებრძოლთა კლუბიდან კადილაკის კარი აქვს გაღებული ჩემთვის, პირადი მძღოლის ვარიანტში. მექანიკოსი მაღალია და მისი მხრები ტელეფონის ბოძის განივებს მიაგვანან.
მე ვკითხულობ, ტაილერთან მივდივართ?
წინა ადგილებს შორის საიუბილეო ტორტი მიცდის ასანთებად გამზადებული სანთლებით. მე მანქანაში ვჯდები. მანქანა იქოქება და მიდის.
მებრძოლთა კლუბში გატარებული ერთი კვირის შემდეგ შენ უკვე უპრობლემოდ ატარებ მანქანას დაშვებული სიჩქარის ფარგლებში. შეიძლება ორი დღის წინ მძღნერში იყავი ან შინაგანად განადგურებული, მაგრამ ახლა ეს მაგრად გკიდია. სხვა მანქანები გერიდებიან. მანქანები კუდში დაგდევენ. მძღოლები შუა თითს გაჩვენებენ. სრულიად უცნობ ადამიანებს სძულხარ. აქ აბსოლუტურად არაფერია პირადული. მებრძოლთა კლუბის შემდეგ ისეთი მშვიდი ხარ, რომ უბრალოდ არ შეგიძლია სხვა რამეზე იფიქრო. რადიოსაც კი არ რთავ. შეიძლება ნეკნებზე ბზარები გაქვს, რომლებიც ყოველი ჩასუნთქვისას იხსნებიან. მანქანები უკნიდან სინათლეს გინთებენ. მზე ჩადის, ფორთოხლისა და ოქროს ფერი.
მექანიკოსი მანქანას მართავს, ჩვენ შორის საიუბილეო ტორტი დევს.
ეს ერთ-ერთი ყველაზე საშიში ყლეობაა, ისეთი ტიპების ნახვა მებრძოლთა კლუბში, როგორიც ეს მექანიკოსია. გამხდარი ბიჭები არასდროს ნებდებიან. იქამდე იბრძვიან სანამ ბურგერს არ დაემსგავსებიან. ყვითელ ცვილში ჩატენილი ჩონჩხის მსგავსი თეთრი ბიჭები ტატუებით, გამხმარი ხორცის მსგავსი შავი ბიჭები, ისინი ყოველთვის ერთად მოძრაობენ, დაახლოებით ისე, როგორც შენ ანონიმ ნარკომანთა ჯგუფები წარმოგიდგენია. ისინი არასდროს ამბობენ, საკმარისია. თითქოს მთლიანად ენერგიის გროვები არიან, რომლებიც ისე სწრაფად ირხევიან, რომ გარშემო ბურუსივით იშლებიან, ეს ბიჭები თითქოს რაღაცისგან იკურნებიან. თითქოს ერთადერთი არჩევანი რაც დარჩათ არის ის თუ როგორ მოკვდებიან და მათ გადაწყვიტეს ბრძოლაში მოკვდნენ.
ეს ბიჭები ერთმანეთს უნდა შეებრძოლონ.
სხვა არავის შეუძლია მათი ბრძოლაში გამოწვევა, და არც მათ შეუძლიათ სხვა ვინმეს გამოწვევა ბრძოლაში მათნაირივე გაძვალტყავებული დარტყმულების გარდა, ცარიელი ძვლები და სისწრაფე, სანამ ვინმე არ გაწევრიანდება კლუბში მათთან საჩხუბრად.
ბრძოლის ყურებისას ბიჭები არც კი ყვირიან, როცა ჩვენი მექანიკოსის მსგავსი ტიპები ერთმანზე გადადიან.
მხოლოდ მებრძოლთა კბილებს შორის სუნთქვა გესმის, გამამხნევებელი ტაში, სტვენა და დარტყმის ხმა, როცა მუშტები უბათქუნებენ და უბათქუნებენ ჩამტვრეულ

ნეკნებს, პირდაპირ და დამიზნებით. შენ ხედავ როგორ ხტუნავენ მყესები და კუნთები და ვენები ამ ბიჭების კანს მიღმა. მათი კანი ლაპლაპებს, ოფლიანდება, ზოლებად იბურცება, და სველდება ერთადერთი ნათურის ქვეშ.
გადის ათი, თხუთმეტი წუთი. მათი სუნი, ისინი ოფლიანდებიან და ამ ბიჭების სუნი, ის შენ შემწვარ წიწილას გაგონებს.
მებრძოლთა კლუბში ოცი წუთი გადის. საბოლოოდ ერთი მათგანი ეცემა. ბრძოლის შემდეგ, ორნი, ნარკომანიისგან განკურნებული ბიჭები ერთად იხეტიალებენ ღამით, ჩხუბში დახარჯულნი და მომღიმარნი.
მებრძოლთა კლუბის შემდეგ, ეს მექანიკოსი ტიპი, ყოველთვის სახლის სიახლოვეს იმყოფება ქაღალდის ქუჩაზე. უნდა რომ თავისი დაწერილი სიმღერა მომასმენინოს. უნდა რომ თავისი აშენებული ჩიტის ბუდე მანახოს. ვიღაც გოგონას ფოტო მანახოს და მკითხოს არის თუ არა ის იმდენად ლამაზი რომ ცოლად შეირთოს.
კორნიშეში წინა სავარძელში ვზივარ და ბიჭი ამბობს, „ნახე ტორტი, რომელიც შენთვის გავაკეთე? მე გავაკეთე.“
დღეს ჩემი დაბადების დღე არ არის.
„ნახვრეტებიდან ცოტა ზეთს აპარებდა,“ ამბობს მექანიკოსი ბიჭი. „მაგრამ ზეთი და ჰაერის ფილტრი გამოვუცვალე. სარქველი და გამანაწილებელიც შევამოწმე. ამაღამ წვიმას აპირებს, ამიტომ მინის საწმენდებიც შევცვალე.“
მე ვეკითხები, რას გეგმავს ტაილერი?
მექანიკოსი საფერფლეს ხსნის და სანთებელას თითს აჭერს. ის ამბობს, „ეს შემოწმებაა? თქვენ ჩვენ გვამოწმებთ?“
სად არის ტაილერი?
„მებრძოლთა კლუბის პირველი წესია, არავისთან წამოგცდეს მებრძოლთა კლუბის შესახებ,“
მექანიკოსი ამბობს, „და ნგრევის პროექტის ბოლო წესია, არავითარ შეკითხვები ნგრევის პროექტის შესახებ.“
არის რამე რისი თქმაც მას შეუძლია?
ის ამბობს, „შენ უნდა შეიგნო, რომ მამაშენი ღმერთის მოდელი იყო შენთვის.“
ჩვენს უკან, ჩემი სამსახური და ჩემი კაბინეტი, პატარავდება, პატარავება, ქრება.
მე ბენზინის სუნი მცემს ჩემი ხელებიდან.
მექანიკოსი ამბობს, „თუ შენ მამაკაცი ხარ და ქრისტიანი და ამერიკაში ცხოვრობ, მამაშენი შენთვის ღმერთის მოდელია. და თუ შენ არ იცნობ მამაშენს, თუ მიგატოვა, თუ მოკვდა ან თუ ის არასდროს არის სახლში, როგორ გწამდეს ღმერთის?
ეს ყველაფერი ტაილერ დერდენის დოგმებია. რომლებიც ფურცლებზე მოფხაჭნა სანამ მე მეძინა და მომცა, რომ სამსახურში ამეკრიფა და ფოტო ასლი გამეკეთებინა. მე ეს ყველაფერი წაკითხული მაქვს. შეიძლება ჩემს უფროსსაც კი აქვს წაკითხული ეს ყველაფერი.
„ეს ყველაფერი იმით დასრულდება,“ ამბობს მექანიკოსი. „რომ შენ მთელ ცხოვრებას ღმერთის და მამის ძიებაში გაატარებ.“
„შენ უნდა დაუშვა,“ ამბობს ის „რომ შესაძლოა ღმერთს უბრალოდ არ უყვარხარ. შეიძლება სძულხარ კიდეც. ეს არ არის ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება შეგემთხვას.“

რაგორც ტაილერი თვლიდა, ჯობია ცუდი საქციელით ღმერთის ყურადღება მიიქციო, ვიდრე მისი ყურადღების გარეშე დარჩე. ალბათ ამიტომ ერჩივნა ღმერთის სიძულვილი მის გულგრილობას.
შენ რომ შეგძლებოდა ან ღმერთის მტერი ყოფილიყავი ან არარაობა, რომელს აირჩევდი?
ტაილერის აზრით, ჩვენ ღმერთის არასასურველი შვილები ვართ, რომლებსაც არც განსაკუთრებული ადგილი შეხვდათ ისტორიაში და არც ყურადღება.
თუ ღმერთის ყურადღება არ მივიპყარით, არც მისი წყველის იმედი უნდა გვქონდეს და არც შეწყალების.
რომელი უფრო უარესია, ჯოჯოხეთი თუ არარსებობა?
მხოლოდ მაშინ შეიძლება გადავრჩეთ თუ დაგვიჭერენ და დაგვსჯიან.
„გადავწვათ ლუვრი," ამბობს მექანიკოსი. „და ტრაკში ამოვისვათ მონა ლიზა. მხოლოდ ასე შეიძლება ღმერთმა გაიგოს ჩვენი სახელები."
რაც უფრო დაბლა დაეშვები მით უფრო მაღლა აღზევდები. რაც უფრო შორს მირბიხარ მით უფრო მეტად უნდება ღმერთს შენი დაბრუნება.
"უძღებ შვილს რომ არასდროს დაეტოვებინა სახლი," ამბობს მექანიკოსი. „მსუქანი ხბო ახლაც ცოცხალი იქნებოდა."
ის, რომ შენ ზღვაში ქვიშას და ცაში ვარსკვლავებს მიგათვალეს სულაც არაა საკმარისი.
მძღოლი შავი კორნიშეთი ძვლ გზატკეცილზე უხვევს, რომელსაც გამყოფი ბარიერი და ტროტუარი არა აქვს, ჩვენს უკან სატვირთო მანქანების სავალი ხაზები ერთდება, ნებადართულ სიჩქარეზე დავდივართ. კორნიშეს უკნიდან მომავალი სინათლე ავსებს, და აი ჩვენც, ვსაუბრობთ, საქარე მინაზე შიგნიდან არეკლილები. ნებადართული სიჩქარის ფარგლებში მივდივართ. იმდენად სწრაფად რამდენადაც კანონი გვაძლევს უფლებას.
კანონი კანონია, იტყოდა ტაილერი. ძალიან სწრაფად მართვა, იგევეა რაც ხანძრის გაჩენა, იგივე რაც ბომბის აფეთქება, იგივე რაც ადამიანის დახვრეტა. კრიმინალი არის კრიმინალი არის კრიმინალი.
„წინა კვირას ოთხი ახალი მებრძოლთა კლუბის გახსნა მოვახერხეთ," ამბობს მექანიკოსი. „იქნებ შემდეგი განყოფილებები დიდ ბობს გადავცეთ სამართავად, როგორც კი ახალ ბარს აღმოვაჩენთ."
ასე რომ შემდეგ კვირას ის წესებს გადაამეორებინებს დიდ ბობს და მებრძოლთა კლუბის საკუთარ განყოფილებას ჩააბარებს.
ამიერიდან, როცა ლიდერი დაიწყებს მებრძოლთა კლუბის შეხვედრებს, როცა ყველანი დადგებიან ნათურის გარშემო სარდაფის ცენტრში, მოლოდინით აღსავსენი, ლიდერი ივლის და ივლის ამ ბრბოს გარშემო, სიბნელეში.
მე ვკითხულობ, ვინ მოიგონა ახალი წესები? ტაილერმა?
მექანიკოსი იცინის და ამბობს, „შენ იცი ვინც იგონებს აქ წესებს."
ახალი წესი ის არის, რომ არავინაა მთავარი მებრძოლთა კლუბში, ამბობს ის. არავინაა მთავარი გარდა იმ ორი ადამიანისა, რომლებიც ჩხუბობენ. ლიდერი

ყვირის, ნელა დააბიჯებს ბრბოში, სიბნელეში. ბიჭები სარდაფის ცარიელი შუაგულის გადაკვეთაზე მდგარ სხვა ბიჭებს აშტერდებიან.
ეს არის ის რაც ყოველ მებრძოლთა კლუბში ხდება.
ბარის ან ავტოფარეხის პოვნა ახალი მებრძოლთა კლუბის მისაღებად არ არის ძნელი; პირველ ბარში, იქ სადაც პირველი ორიგინალური მებრძოლთა კლუბი შეიქმნა დღესაც იკრიბებიან, ისინი ერთი შეხვედრით ახერხებენ ქირის გადახდას შაბათ ღამეს.
მექანიკოსის სიტყვების თანახმად, მებრძოლთა კლუბის კიდევ ერთი წესი ისაა, რომ ის ყოველთვის უფასო იქნება. იქ ჩარიცხვა არასდროს იქნება ფასიანი. მექანიკოსი გვერდითა მინიდან გაჰყვირის მომავალ საგზაო ნიშნებს და ღამის ქარს რომელიც მისგან იღვრება მანქანაში: ჩვენ შენ გვჭირდები და არა შენი ფული.“
მექანიკოსი ფანჯრიდან გაჰყვირის, „იმდენად რამდენადაც შენ უკვე მებრძოლთა კლუბში მოხვედი, შენ არ ხარ შენი ანგარიშები ბანკში. შენ არ ხარ შენი სამსახური. შენ არ ხარ შენი ოჯახი, და ის რასაც შენი თავი გეუბნება.“
მექანიკოსი ქარში გაჰყვირის, „შენ არ ხარ შენი სახელი.“
მაიმუნი ასტრონავტი უკანა სავარძლიდან ამატებს: „შენ არ ხარ შენი პრობლემები.“
მექანიკოსი ყვირის, „შენ არ ხარ შენი პრობლემები.“
მაიმუნი ასტრონავტი ღრიალებს, „შენ არ ხარ შენი ასაკი.“
შემდეგ მექანიკოსი, მშვიდი, როგორც ზემოდან მიყენებული დარტყმების დროს, უხვევს და საპირისპიროდ მოძრავ მანქანებს უსწორდება რომლებიც ფარების შუქით ავსებენ მანქანას. ჯერ ერთი, შემდეგ მეორე მანქანა მოემართება ჩვენსკენ სიგნალებით აკივლებული, მექანიკოსი ოდნავ უხვევს და მანქანას იცილებს. ფარები ჩვენი მიმართულებით მოდიან, იზრდებიან და იზრდებიან, სიგნალები კივიან, მექანიკოსი პირდაპირ კაშკაშა სიანათლესა და ხმაურს უსწორდება და ყვირის, „შენ არ ხარ შენი იმედები.“
მის ყვირილს არავინ უერთდება.
ამ დროს, ჩვენსკენ მომავალი მანქანა გვერდს გვივლის, რომ გვიხსნას.
შემდეგი მანქანა მოემართება, მისი ფარები ციმციმებენ, უმატებენ და უკლებენ, უმატაბენ უკლებენ სინათლეს, გვისიგნალებს, და მექანიკოსი ყვირის, „შენ ვერ გადარჩები.“
მექანიკოსი ასრსაით უხვევს, მაგრამ მომავალი მანქანა გვერდს გვივლის.
კიდევ ერთი მანქანა და მექანიკოსი ყვირის, „ერთ მშვენიერ დღეს ყველანი მოვკვდებით.“
ამჯერად მანქანა ცდილობს გვერდის ავლას მაგრამ მექანიკოსი უხვევს და მის გზაზე დგება. მანქანა უხვევს და მექანიკოსი კიდევ ერთხელ უჭრის გზას და მას უსწორდება.
ამ დროს შენ დნები და იშლები. ამ მომენტში ყველაფერი უმნიშვნელოა. ახედავ ვარსკვლავებს და შენ აღარ არსებობ. არც შენი ბარგი. ყველაფერი უმნიშვნელოა. ცუდი სუნი შენი პირიდან. ფანჯრები გარედან დაბურულია და გარშემო სიგნალები კივიან. ფარები ელავენ, უმატებენ და უკლებენ და უმატაბენ სინათლეს შენს სახეზე, და შენ ვეღარასდროს წახვალ სამსახურში.

ველარასდროს წახვალ სხვა პარიკმახერთან.
„სწრაფად,“ ამბობს მექანიკოსი.
მანქანა ისევ გადადის გზიდან, და მექანიკოსიც ისევ მის გზაზე დგება.
„რას,“ ამბობს ის. „რის გაკეთებას ინატრებდით სიკვდილის წინ?“
მანქანა სიგნალებით მოემართება ჩვენსკენ და მექანიკოსი ძალიან მშვიდად ატრიალებს თავს ჩემსკენ, მიყურებს მის გვერდით, წინა ადგილზე მჯდომს და ამბობს,
„ათი წამი შეჯახებამდე.“
„ცხრა.“
„რვა წამი.“
„შვიდი.“
„ექვს წამი.“
სამსახური, ვამბობ მე, სამსახურის მიტოვებას ვინატრებდი.
სიგნალის ხმა გვერდით გვიქროლებს როცა მანქანა გვერდს გვივლის და მექანიკოსი არ უხვევს მასთან შესაჯახებლად.
უფრო მეტი შუქი მოემართება ჩვენსკენ და მექანიკოსი უკან იხედება სამი მაიმუნი ასტრონავტისკენ. „ჰეი, მაიმუნო ასტრონავტებო,“ ამბობს ის, „მიხვდით თამაშის წესებს? ამოღერღეთ ახლა თორე ყველანი დავიღუპებით.“
მანქანა მარჯვნივ გვიქროლებს ბამპერზე გაკრული სტიკერით, რომელსაც აწერია, „მე სიმთვრალეში უკეთ ვმართავ.“ გაზეთებში წერდნენ ათასობით ასეთ სტიკერზე, რომლებიც ერთ დილით მოულოდნელად გამოჩნდნენ მანქანებზე. სხვა სტიკერები ამბობდნენ ისეთ რამეებს, როგორიცაა, „აქციე ბომბი ხბოდ.“
„მთვრალი მძღოლები დედების წინააღმდეგ.“
„გაანადგურეთ ცხოველები.“
როცა გაზეთს ვკითხულობდი ვიცოდი რომ ეს დეზინფორმატორთა კომიტეტმა გააკეთა. ან ინტრიგანების.
ჩემს გვერდით მჯდომი ჩვენი სუფთა და ფხიზელი მექანიკოსი მებრძოლთა კლუბიდან მეუბნება, ჰო, ეს ბამპერის სტიკერები ნგრევის პროექტის ნაწილია.
სამი მაიმუნი ასტრონავტი ჩუმად ზის უკან.
ინტრიგანთა კომიტეტის წევრები თვითმფრინავის ჯიბის ბარათებს ამზადებენ, რომლებზეც აღბეჭდილია, როგორ ჩხუბობენ მგზავრები ჟანგბადის ნიღბებისთვის, მაშინ როცა მათი თვითმფრინავი აკვამლებული ეშვება კლდეების მიმართულებით, საათში ათასობით მილის სიჩქარით.
ინტრიგანთა და დეზინფორმატორთა კომიტეტები ერთმანეთს ეჯიბრებიან კომპიუტერული ვირუსის შექმნაში, რომელიც ბანკომატებს იმდენად გამოიყვანს მწყობრიდან, რომ ისინი ათი-თორმეტი დოლარის ღირებულების ქაღალდების ამორწყევას დაიწყებენ.
ავტომანქანის სანთებელა გარეთ ხტება და მექანიკოსი მთხოვს საიუბილეო ტორტზე სანთლები ავანთო.
სანთლებს ვანთებ და ტორტი კამკამა შუქს ქვემოთ ბჟუტავს.

„რის გაკეთებას ინატრებდი?“ ამბობს მექანიკოსი და ისევ ჩვენსკენ მომავალ სატვირთო მანქანას უსწორდება. მისი სიგნალი ჰაერს მოაპობს, ერთ ხანგრძლივ სიგნალს მეორე მოჰყვება მის შუქთან ერთად, რომელიც მზესავით ამოდის და უფრო და უფრო კაშკაშა ხდება და მექანიკოსის ღიმილს ანათებს.
„ჩაიფიქრეთ სურვილი, სწრაფად,“ ის ამბობს პატარა სარკეში სადაც მის უკან მსხდარი მაიმუნი ასტრონავტები ჩანან. „ჩვენ ხუთი წამი დაგვრჩა სანამ დავიწყებას მივეცემით.“
„ერთი.“ ამბობს ის.
„ორი.“
ჩვენს წინ სატვირთო მანქანა მთელ სამყაროდ გადაჭიმულა, დამაბრმავებლად ანათებს და ღრიალებს.
„სამი.“
„ცხენის ჭენება.“ ისმის უკანა ადგილიდან.
„სახლის აშენება.“ ისმის მეორე ხმა.
„სვირინგის გაკეთება.“
მექანიკოსი ამბობს, „იწამეთ ჩემი და თქვენ მოკვდებით, სამარადჟამოდ.“
ძალიან გვიანია, სატვირთო მანქანაც უხვევს და მექანიკოსიც, მაგრამ კორნიშეს უკანა ნაწილი სატვირთო მანქანის წინა ნაწილის ხვდება.
თავიდან ვერ მივხვდი ეს რა იყო, ერთადერთი რასაც მივხვდი ის იყო, რომ მანქანის შუქები სიბნელეში იძირებოდა, მე კარებს ვეჯახები შემდეგ ტორტს და მექანიკოსს ვასკდები საჭესთან.
მექანიკოსი საჭეზე კიბორჩხალასავითაა შემოხვეული, ცდილობს გასწორდეს, საიუბლიეო სანთლები ქვრებიან. სრულყოფილების მთელი ერთი წამის მანძილზე თბილი და შავი ტყავის სალონში სიბნელე იდგა და  ჩვენ ყველანი ერთ ტონზე ვყვიროდით, სატვირთო მანქანების ერთნაირი დაბალი კვნესა ისმის, და ჩვენ კონტროლს ვკარგავთ, არჩევანს ვკარგავთ, მიმართულებას ვკარგავთ, თავის დაღწევის შანსს ვკარგავთ და უკვე გვამები ვართ.
ახლა მე სიკვდილს ჩავიფიქრებდი. მე ამ საყაროში არარაობა ვარ ტაილერთან შედარებით.
მე უმწეო ვარ.
მე სულელი ვარ, და ერთადერთი რასაც ვაკეთებ არის ის, რომ რაღაც ნივთები მინდა და მჭირდება.
ჩემი საწყალი ცხოვრება. ჩემი პატარა მძღნერული სამსახური. ჩემი შვედური ავეჯი. მე არასოდეს, არა, მე არავისთვის მითქვამს ეს, მაგრამ სანამ ტაილერს შევხვდებოდი, ძაღლის ყიდვას ვაპირებდი და მინდოდა მისთვის „მდგომარეობა“ დამერქმია.
აი სადამდე შეიძლება დაეცეს შენი ცხოვრება.
მომკალი.
მე საჭეს ვტაცებ ხელს და საგზაო ნაწილისკენ ვატრიალებ.
ახლავე.
მოემზადეთ სულის ევაკუაციისთვის.
ახლავე.

მექანიკოსი თხრილისკენ მიექაჩება საჭეს, მე კი მივიქაჩები, რომ დედა მომეტყნას და მოვკვდე.
ახლავე. სიკვდილის სასწაული იმაში მდგომარეობს, რომ ერთ წამს შენ დადიხარ და ლაპარაკობ, და მეორე წამს უსულო საგანი ხარ.
მე არარაობა ვარ, და არარაობამდეც კი ბევრი მიკლია.
ცივი.
უხილავი.
ტყავის სუნი მცემს. უსაფრთხოების ღვედი გიჟის ხალათვით მაქვს შემოკრული და როცა წამოჯდომას ვცდილობ თავით საჭეს ვეხლები. ეს იმაზე მტკივნეული ვიდრე უნდა იყოს. ჩემი თავი მექანიკოსის კალთაში განისვენებს, და როცა ზემოთ ვიხიდები ჩემი თვალები ხედავენ მის სახეს ჩემს მაღლა, ის იღიმის, მანქანას მართავს, მე ვხედავ ვარსკვლებს ცაზე საქარე ფანჯრიდან.
ხელებზე და სახეზე რაღაც წებოვანს ვგრძნობ.
სისხლი?
ტორტის კრემი?
მექანიკოსი ქვემოთ იხედება. „გილოცავ დაბადების დღეს.“
მე კვამლის სუნი მცემს და საიუბილეო ტორტი მახსენდება.
„კინაღამ თავით გაგატეხინე საჭე.“ ამბობს ის.
მეტი არც არაფერი, მხოლოდ ღამის ჰაერი, და კვამლის სუნი, და ვარსკვლავები და მექანიკოსი ღიმილით მართავს მანქანას, და რატომღაც არ მიჩნდება იმის განცდა რომ უნდა წამოვჯდე.
სად არის ტორტი?
მექანიკოსი ამბობს, „ძირს გდია.“
უბრალოდ ღამის ჰაერი და კვამლის სუნი მძიმდება.
ნატვრა ამიხდა?
ჩემს ზემოთ ვარსკვლავებიდან ჩამოშვერილი თავი იღიმის. „ეს ტორტის სანთლები,“ ამბობს ის. „სპეციალური სანთლებია, რომლებიც არასდროს ქრებიან.“
ვარსკვლავთა შუქზე მხედველობა მიუმჯობესდება და ვხედავ როგორ მოიკლაკნება კვამლი პატარა ცეცხლებიდან, რომლებიც მთელს ხალიჩაზე გიზგიზებენ.
**19**
მებრძოლთა კლუბის მექანიკოსი გაზს ადგამს ფეხს, გაბრაზებული, მისთვის ჩვეული სიჩუმით, ჩვენ კიდევ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა ჩავიდინოთ, ამაღამ. სანამ ცივილიზაციის აღსასრული დადგებოდეს, მე უნდა ვისწავლო ვარსკვლავების ყურება და მათი მეშვეობით დადგენა იმისა თუ საით მივდივარ. ყველაფერი სიჩუმეს მოუცავს, თითქოს კადილაკი კოსმოსში გადაადგილდებოდეს. ჩვენ ავტოსტრადიდან უნდა გადავიდეთ. სამნი უკანა შავ სავარძლებში გათიშულები ყრიან ან სძინავთ.
„თქვენ თითქმის იცხოვრეთ.“ ამბობს მექანიკოსი.
ის ერთ ხელს საჭიდან იღებს და ჩემს გრძელ ჭრილობას ეხება, რომელიც საჭეზე შუბლის მირტყმის გამო გამიჩნდა. ისე მისივდება, რომ ორივე თვალი მეხუჭება, და ის თავის ცივ თითისწვერს, ჭრილობის სიგრძეზე აცურებს. კორნიშე გზას სცდება და ტკივილი თვალებიდან კეპის ჩრდილივით მდის. ჩვენი უკანა საბარგული და

ბამპერი ყანყალებს და ჭრაჭუნობით მიჰყვება ჩვენს დინებას სიჩუმეში, რომელიც გარს გვარტყია ამ შუაღამის გზაზე.
მექანიკოსი გვიხსნის, როგორ ჰკიდია სამაგრებზე კორნიშეს უკანა ბამპერი მას შემდეგ, რაც ის სატვირთო მანქანის წინა ნაწილს წამოედო.
მე ვეკითხები, ეს ღამე მისი საშინალო დავალების ნაწილი ხომ არ არის, ნგრევის პროექტიდან?
„მისი ნაწილი," ამბობს ის. „ოთხი ადამიანის მსხვერპლშეწირვა უნდა მოვაწყო და დიდი ოდენობის ქონი უნდა წავიღო."
ქონი?
„საპნისთვის."
რას გეგმავს ტაილერი?
მექანიკოსი იწყებს ლაპარაკს, და ის სუფთა ტაილერ დერდენია.
„მე ვხედავ ყველაზე ჭკვიან და ყველაზე ძლიერ ადამიანებს ოდესმე მცხოვრებთაგან." ამბობს ის, მისი სახე ფანჯრიდან ვარსკვლავებს აჰყურებს. „და ეს ადამიანები ბენზინის ჩამსხმელად მუშაობენ და მაგიდებს ემსახურებიან.
მისი შუბლის ნაწილი, მისი წარბები, მისი ცხვირის დაღმართი, მისი წამწამები, მისი თვალების სიმრგვალეები, მისი პირის პლასმასის პროფილი, მოლაპარაკე, ეს ყველაფერი შავადაა მოხატული და ვარსკვლავებს უყურებს.
„ნეტავ შეგვეძლოს ამ ადამიანების საწრთვნელ ბანაკში დამატება და მათი აღზრდის ბოლომდე მიყვანა."
„იარაღი მხოლოდ აფეთქების ფოკუსირებას ახდენს კონკრეტული მიმართულებით."
„შენ ახალგაზრდა, ძლიერ ქალთა და მამაკაცთა კლასი გყავს, რომელთაც უნდათ, რომ ცხოვრება რაიმეს მიუძღვნან. რეკლემა მათ თავს ახვევს მანქანებს და ტანსაცმელს, რომელიც არაფერში სჭირდებათ. მთელი თაობები მუშაობდნენ სამსახურებში, რომლებიც სძულდათ, რადგან მხოლოდ ასე თუ იყიდიდნენ იმას, რაც არაფერში სჭირდებოდათ."
„ჩვენს თობას არ გამოუვლია დიდი ომი, ან დიდი დეპრესია, მაგრამ ჩვენ ნამდვილად გვაქვს დიდი ომი, და ეს ომი სულიერია. ჩვენ გვაქვს დიდი რევოლუცია კულტურის წინააღმდეგ. დიდი დეპრესია ჩვენი ცხოვრებაა. ჩვენი დეპრესია სულიერი დეპრესიაა."
„ჩვენ უნდა დავიმონოთ ადამიანები რათა გავათავასუფლოთ ისინი, და დავაშინოთ რათა გაბედულები გახდნენ."
„ნაპოლეონი ტრაბახობდა, რომ შეეძლო ადამიანებისთვის ლენტის ნაფლეთის გამო სიცოცხლის გაწირვა ესწავლებინა."
„წარმოიდგინე, რომ ჩვენ ვაცხადებთ გაფიცვას და ადამიანები უარს ამბობენ მუშაობაზე იქამდე, სანამ ჩვენ არ გადავანაწილებთ მსოფლიო სიმდიდრეს."
„წარმოიდგინე  ცხენ-ირემაზე ნადირობა, ნესტიან და ტყიან „როკფელერ ცენტრის" ნანგრევების გარშემო."
„ის რაც შენს სამსახურზე თქვი," ამბობს მექანიკოსი. „ნამდვილად გინდა?"
ჰო, ნამდვილად მინდა.
„მის გამო ვართ ტრასაზე, ამაღამ." ამბობს ის.

ჩვენ მონადირეთა დანაყოფი ვართ და ვნადირობთ ქონზე.
ჩვენ მივდივართ სამედიცინო ნარჩენების ნაგავსაყრელზე.
ჩვენ მივდივართ სამედიცინო ნარჩენების ნაგავსაწველზე, და წუნიან ქირურგიულ სახვევებს და ჭრილობის საფენებს შორის, და ათი წლის მოკვეთილ სიმსივნეებსა და ინტრავენულ მილებსა და დაწუნებულ ნემსებს შორის, საშიში რამეებია, მართლა საშიში რამეებია, სისხლის ნიმუშებსა და ამპუტირებულ ინტიმურ ორგანოებს შორის, ჩვენ ვიპოვით იმაზე მეტ ფულს, ვიდრე ერთ ღამეში გავაკეთებდით, ნაგვის მანქანაზე რომ გვემუშავა.
ჩვენ ვიპოვით იმდენ ფულს, რომ ამ მანქანას ძირის გავარდნამდე დავტვირთავთ.
„ქონი.“ ამბობს მექანიკოსი. „ლიპოსაქციური ქონი, ამერიკის უმდიდრესთა ბაყვებიდან ამოწოვილი. უმდიდრესი, უმსუქნესი ბაყვებიდან მსოფლიოში.“
ჩვენ ამოცანაა მანქანა დიდი, წითელი, ქონით სავსე ჩანთებით დავტვირთოთ, რომელსაც ქაღალდის ქუჩაზე წავაჩახჩახებთ და წამოვადუღებთ და შევურევთ თუთქს და როზმარინს და მივყიდით ისევ იმ ხალხს, რომლებმაც ფული გადაიხადეს მის გამოწოვაში. ოცი დოლარი თითოში, ეს ერთადერთი ხალხია ვინც ამის უფლებას მისცემს თავს.
„ყველაზე მდიდარი, ნაღები ქონი მთელ მსოფლიოში, მთელი ქვეყნის ქონი,“ ამბობს ის. „ეს არის ის, რაც რობინ ჰუდებად გვაქცევს ამაღამ.“
ნოხზე პატარა გიზგიზა ცეცხლები შიშინებენ.
„სანამ იქ ვიქნებით,“ ამბობს ის. „ჰეპატიტიანი ნარჩენების მოძებნაც მოგვიწევს.“

**20**

ეს ახლა ნამდვილი ცრემლების ღვრა იყო, ერთი მსხვილი ცრემლი იარაღის ლულაზე დაგორდა, შემდეგ სასხლეტის მარყუჟში მოექცა და ჩემს საჩვენებელ თითზე გასკდა.
რაიმონდ ჰესელმა თვალები დახუჭა, მე იმდენად ძლიერად მივაჭირე იარაღი საფეთქელზე, რომ ალბათ სამუდამოდ გაჰყვებოდა ეს შეგრძნება და მე მის გვერდით ვიდექი და ეს მისი ცხოვრება იყო და ის შეიძლებოდა მომკვდარიყო ნებისმიერ წამს.
ეს იარაღი არ იყო იაფფასიანი, მე მაინტერესებდა მარილი ხომ არ მოსპობდა.
ყველაფერი ისე მარტივად წავიდა, მიკვირდა. მე ყველაფერი გავაკეთე რაც მექანიკოსმა მითხრა. სწორედ  ამისთვის გვჭირდებოდა ჩვენ იარაღი. ეს ჩემი საშინაო დავალება იყო.
ჩვენ თორმეტი მართვის მოწმობა უნდა ჩაგვებარებინა ტაილერისთვის. ამით დავამტკიცებდით, რომ თითოეულმა ჩვენგანმა თორმეტი მსხვერპლშეწირვა მოახდინა.
ავტომობილი დავაყენე და უბანში ხეტიალი დავიწყე, რაიმონდ ჰესელის ღამის ცვლის დამთავრებას ვუცდუდი Korner Mart-ში, და შუაღამისას ის უკვე თავის ბუ-ავტობუსს უცდიდა, როცა როგორც იქნა მე მასთან მივედი და მივესალმე.
რაიმონდ ჰესელს არაფერი უპასუხია. ალბათ იფიქრა, რომ ფულის გამო ავეკიდე, მინიმალური ხელფასის გამო, თოთხმეტი დოლარის გამო, რომელიც საფულეში ედო. ოჰ, რაიმონდ ჰესელ, შენ უკვე ოცდასამი წლის ხარ, როცა ტირილი დაიწყე, შენი ცრემლები იარაღის ლულაზე დაგორდნენ, რომელიც მე შენს საფეთქელზე მედო, არა, ეს ფულის გამო არ მომხდარა. ყველაფერი ფულის გამო არ ხდება.

შენ გამარჯობაც კი არ მითარი.
შენ არ ხარ შენი პატარა საცოდავი საფულე.
მე ვთქვი, ლამაზი ღამეა, ცივი მაგრამ ნათელი.
შენ გამარჯობაც კი არ მითხარი.
მე გითხარი, არ გაიქცე თორე მომიწევს ზურგში გესროლო. იარაღი მეჭირა და ლატექსის ხელთათმანები მეცვა და თუ ოდესმე მათ იპოვნიდნენ და ეს გახდებოდა ნომერ პირველი ნივთმტკიცება, მათზე მაინც ვერაფრის კვალს აღმოჩენდნენ რაიმონდ ჰესელის შემშრალი ცრემლების გარდა, კავკასიელი, ოცდასამი წლის, განმასხვავებელი ნიშნების გარეშე.
მაშინ შენ ყურადღება მომაქციე. თვალები ისე გაგიფართოვდა ქუჩის სუსტ განათებაზეც კი ანტიფრიზივით მწვანედ მოსჩანდნენ.
როცა იარაღი სახეზე გეხებოდა შენ უკან-უკან იხევდი, თითქოს ლულა ძალიან ცხელი ან ცივი იყო. სანამ არ გითხარი გაჩერებულიყავი, მაშინ შენ იარაღს შეხების ნებადართე, თუმცა ამის მერეც კი აქნევდი თავს, რომ იარაღის ლულა მოგეშორებინა.
შენ საფულე მომაწოდე როგორც გითხარი.
შენ გქვია რაიმონდ ჰესელი, როგორც მართვის მოწმობაში გეწერა. ცხოვრობ 1320 SE Benning-ზე ბინა A. ეს ალბათ ქვედა სართულის ბინა იქნება. ქვედა სართულის ბინებს ციფრების მაგივრად ასოებით აღნიშნავენ.
რაიმონდ კ. კ. კ. კ. კ. კ. ჰესელ, მე შენ მოგმართავდი.
შენი თავი იარაღს ეხებოდა და შორდებოდა, და შენ თქვი, ჰო. შენ თქვი, რომ ქვედა სართულზე ცხოვრობდი.
შენ ფოტოებიც გქონდა საფულეში. ფოტოზე დედაშენი იყო.
ეს ტანჯვა იყო შენთვის, თვალები უნდა გაგეხილა და ფოტოსთვის შეგეხედა, სადაც დედაშენი და მამაშენი იღიმიან და პარალელურად იარაღისთვის შეგეხედა, მაგრამ შენ ეს გააკეთე, შემდეგ თვალები დახუჭე და ტირილი დაიწყე.
შენ სულ მალე გაცივდებოდი, ეს სიკვდილის განსაცვიფრებელი სასწაული იყო. ერთ წუთში შენ პიროვნება ხარ, მეორე წუთში უსულო საგანი, დედიკოს და მამიკოს შენს ძველ ექიმთან დარეკვა მოუწევდათ შენი სტომატოლოგიური ჩანაწერების მოსაძიებლად, რადგან შენი სახიდან დიდი აღარეფერი დარჩებოდა, არადა დედიკო და მამიკო გაცილებით მეტს ელოდნენ შენგან მაგრამ ცხოვრება უსამართლო გამოდგა და ახლა ის ასე უნდა დაგესრულებინა.
თოთხმეტი დოლარი.
ეს, ვთქვი მე, ეს დედაშენია?
ჰო. შენ ტიროდი, სლუკუნებდი, ღრიალებდი. ცინგლებს ყლაპავდი. ჰო.
შენ გქონდა ბიბლიოთეკის საშვი. შენ გქონდა ვიდეო ფილმების გაქირავების ბარათი. სოციალური უსაფრთხოების ბარათი. თოთხმეტი დოლარი ნაღდი ფულით. მე ავტობუსის სამგზავრო ბარათის აღება მინდოდა მაგრამ მექანიკოსმა მითხრა, რომ მხოლოდ მართვის მოწმობა ამეღო. ვადაგასული საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტის ბილეთი.
შენ რაღაცას სწავლობდი.

ამ დროს შენ ტირილს უმატე და მე იარაღი შენს ლოყაზე ჩამოვაცურე და უფრო ძლიერად მოგაჭირე, შენ ისევ უკან გაიწიე და მე გითხარი, არ გაინძრე თორე აქ მოკვდები. მაშ ასე, რას სწავლობდი?
სად?
კოლეჯში, ვთქვი მე, შენ სტუდ ბილეთი გაქვს.
ოჰ, შენ არ გახსოვდა, სლუკუნი, სრუტუნი, ფრუტუნი, რაღაცა, ბიოლოგიას.
მისმინე, ახლა, შენ მოკვდები, რაიმონდ კ. კ. კ. კ. კ. კ. ჰესელ, ამაღამვე. შენ შეიძლება მოკვდა ერთ წამში ან შეიძლება ერთ საათში, შენი გადასაწყვეტია. ასე რომ მომატყუე. მითხარი პირველივე რამე, რაც თავში მოგივა. მოიგონე რამე. მე ყლეზე მახატია. მე იარაღი მაქვს ბოლო-ბოლო.
როგორც იქნა, შენ დამჯერი გახდი და თავი დააღწიე იმ პატარა ტრაგედიას, რომელიც შენს თავში ვითარდებოდა.
უპასუხე კითხვებს. რა უნდა რომ გამოვიდეს რაიმონდ ჰესელი დიდი რო გაიზრდება?
სახლში წასვლა, შენ თქვი, მე მხოლოდ სახლში წასვლა მინდა, გთხოვ.
ატრაკებ, ვთქვი მე. კი მაგრამ, ამის შემდეგ როგორღა უნდა გეცხოვრა?
ნეტავ თუ შეგეძლო რამის გაკეთება ამ საყაროში.
მოიგონე რამე.
შენ პასუხი არ გქონდა.
თუ ასეა, შენ ახლავე მოკვდები, ვთქვი მე. მე ვთქვი, ახლა შეგიძლია თავი მიატრიალო.
სიკვდილის დაწყებამდე, ათი, ცხრა, რვა.
ვეტ.ექიმი, თქვი შენ. შენ გინდოდა ვეტ.ექიმი გამხარიყავი, ვეტერინარი.
ანუ ცხოველები. ამისათვის სწავლას უნდა დაუბრუნდე.
ეს ძალიან ბევრ სწავლას მოითხოვს, თქვი შენ.
შენ შეგიძლია სკოლაში მოიტყნა ტრაკი, რაიმონდ ჰესელ, ან შეგიძლია აქვე მოკვდე.
აირჩიე. საფულე ჯინსის უკანა ჯიბეში ჩაგჩარე. მოკლედ, შენ მართლა გინდოდა ცხოველთა ექიმი გამხდარიყავი. მე მლაშე და სველი ლულა ერთი ლოყიდან მოგაშორე და მეორეზე მოგადე. ეს არის ის რაც ყოველთვის გინდოდა ყოფილიყავი დოქტორო რაიმონდ კ. კ. კ. კ. კ. კ. ჰესელ, ვეტერინარი?
ჰო.
თუ ატრაკებ?
არა. არა, შენ გულისხმობდი, რომ არ ატრაკებ. ჰო.
კარგი, ვთქვი მე, და სველი ლულა ნიკაპის წვერზე მოგაბჯინე, შემდეგ ცხვირის წვერზე და ყველგან, სადაც ლულას გადებდი ის ტოვებდა შენი ცრემლების სველ, მბზინავ რგოლებს.
მოკლედ, ვთქვი მე, დაბრუნდი სკოლაში, თუ ხვალ დილამდე იცოცხლებ, როცა გაიღვიძებ მოიფიქრე როგორ უნდა დაბრუნდე სკოლაში.
მე რიგ-რიგობით გადებდი სველ ლულას ლოყებზე, და შემდეგ ნიკაპზე, და შემდეგ შუბლზე და იქვე ვტოვებდი მიბჯენილს. შენ ასევე შეგეძლო აქვე მომკვდარიყავი, ვთქვი მე.

მე შენი მართვის მოწმობა მაქვს, ვთქვი მე.
მე ვიცი ვინ ხარ. ვიცი სად ცხოვრობ. შენ მოწმობას მე დავიტოვებ და პერიოდულად შეგამოწმებ ბნ-ო რაიმონდ. კ. ჰესელ. სამ თვეში და შემდეგ ექვს თვეში, და შემდეგ ერთ წელში, და თუ შენ სწავლას არ დაუბრუნდები, რომ ვეტერინარი გახდე, შენ მოკვდები.
შენ არაფერი გითქვამს.
ახლა მოხიე აქედან და მიხედე შენს საწყალ ცხოვრებას, მაგრამ გახსოვდეს, რომ მე გითვალთვალებ, რაიმონდ ჰესელ, და მირჩევნია მოგკლა ვიდრე გნახო, რომ ასეთ ყლეობაში მუშაობ იმ ხელფასისითვის, რომელიც მხოლოდ ყველის საყიდლად და ტელევეზორის საყურებლად გყოფნის.
ახლა, მე უნდა წავიდე და უკან არ მოიხედო.
აი რის გაკეთებას ითხოვს ტაილერი ჩემგან.
ეს ტაილერის სიტყვებია, რომლებიც პირიდან მცვივა.
მე ტაილერის პირი ვარ.
მე ტაილერის ხელები ვარ.
ყველა ვინც ნგრევის პროექტშია ტაილერის ნაწილს წარმოადგენს, და პირიქით. რაიმონდ კ. კ. ჰესელ, მომდევნო სადილი ყველაფერზე გემრიელი იქნება რაც კი ოდესმე გაგისინჯავს, და ხვალინდელი დღე ყველაზე ლამაზი დღე იქნება მთელ შენს ცხოვრებაში.

**21**

შენ იღვიძებ Sky Harbor International-ში.
გადასწიე საათი ორი საათით უკან.
საგარეუბნო ტრანსპორტს ფენიქსის ცენტრში მოვყავარ და რომელ ბარშიც არ უნდა შევიდა იქ მხვდებიან ტიპები ნაკერებით თვალის ფოსოების გარშემო, რომლებსაც სახის კანს შლემი უფარავს თავისი ბასრი დაბოლოებებით. მხვდებიან ტიპები მოღრეცილი ცხვირებით, ისინი ხედავენ ნახვრეტს ჩემს ლოყაზე და ჩვენ ერთი ოჯახის წევრები ვხდებით.
ტაილერი უკვე კარგა ხანია სახლში მოსულა. მე ჩემს პატარა სამსახურს ვასრულებ. აეროპორტიდან აეროპორტში დავდივარ იმ მანქანების სანახავად რომლებშიც ადამიანები მოკვდნენ. მოგზაურობის ჯადოსნობა. პაწაწინა ცხოვრება. პაწაწინა საპონი. პაწაწინა თვითმფრინავის სავარძელი.
სადაც არ უნდა გავემგზავრო, ყველგან ტაილერს ვკითხულობ.
იმის იმედით, რომ მას ვიპოვნი ჩემი თორმეტივე მსხვერპლის მართვის მოწმობა ჯიბით დამაქვს.
ყოველ ბარში სადაც შევდივარ, ყოველ დედამოტყნულ ბარში, მე ვხედავ ნაცემ ტიპებს. ყოველ ბარში, ისინი ხელებს მხვევენ და უნდათ რომ ლუდი მიყიდონ. თითქოს წინასწარ მცოდნოდა რომელ ბარებში იკრიბებიან კლუბის წევრები.
მე ვეკითხები, ხომ არ უნახავთ მათ ტიპი სახელად ტაილერ დერდენი.
უაზრობაა იკითხო იციან თუ არა რაიმე მებრძოლთა კლუბის შესახებ.
მებრძოლთა კლუბის პირველი წესია, არ წამოგცდეს მებრძლთა კლუბის შესახებ.
მაგრამ უნახავთ ტაილერ დერდენი?

ისინი ამბობენ, არასდროს გვსმენია მის შესახებ, სერ.
მაგრამ თქვენ ჩიკაგოში შეძლებთ მის პოვნას, სერ.
ალბათ ჩემი დახვრეტილი ლოყის გამოა, სერით რომ მომმართავენ.
და ისინი თვალს მიკრავენ.
შენ იღვიძებ O'Hare-ში და ჩიკაგოში მიემგზავრები.
გადასწიე შენი საათი ერთი საათით წინ.
თუ შესაძლებელია გაიღვიძო სხვა ადგილას.
თუ შესაძლებელია გაიღვიძო სხვა დროს.
რატომ არ არის შესაძლებელი გაიღვიძო სხვა ადამიანად?
რომელ ბარშიც არ უნდა შეხვიდე ნაცემი ტიპები ცდილობენ ლუდი გიყიდონ.
და არა, სერ, ისინი არასდროს შეხვედრიან ამ ტაილერ დერდენს.
და ისინი თვალს გიკრავენ.
და მათ არც არასდროს სმენიათ მისი სახელი. სერ.
მე ვეკითხები მებრძოლთა კლუბზე. ამაღამ ხომ არ იმართება აქ ახლო-მახლო კლუბის შეხვედრა?
არა, სერ.
მებრძოლთა კლუბის მეორე წესია, არ წამოგცდეს მებრძოლთა კლუბის შესახებ.
ნაცემი ბიჭები ბარებში თავებს აქნევენ.
მსგავსი არაფერი გვსმენია. სერ. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ სიეტლში იპოვნოთ ჩვენი მებრძოლთა კლუბი, სერ.
შენ იღვიძებ Meigs Field-ში და ურეკავ მარლას რომ გაგაგებინოს რა ხდება ქაღალდის ქუჩაზე. მარლა ამბობს, რომ ახლა მაიმუნი ასტრონავტები თავებს იპარსავენ.
ელექტრო საპარსი ცხელდება და მთელ სახლში შეტრუსლი თმების სუნია. მაიმუნი ასტრონავტები თუთქს იყენებენ, რომ თითის ანაბეჭდები მოიწვან.
შენ იღვიძებ SeaTak-ში.
გადასწიე შენი საათი ორი საათით უკან.
საგარეუბნო ტრანსპორტს სიეტლის ცენტრში მიყავხარ, და პირველივე ბარში სადაც შედიხარ ბარმენს კისრის სამაგრი უკეთია, რომელიც მის თავს იმდენად უკან სწევს, რომ საკუთარი ბადრიჯანივით ცხვირის გასწვრივ უწევს შენი ყურება, რომ გაგიღიმოს.
ბარი ცარიელია და ბარმენი ამბობს, „კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება, სერ."
მე არასდროს ვყოფილვარ ამ ბარში, არასდროს, არასდროს, აქამდე.
მე ვეკითხები, ეცნობა თუ არა სახელი ტაილერ დერდენი.
ბარმენი იკრიჭება, თეთრ, კისრის სამაგრში გაჭედილი ნიკაპით და მეკითხება, „ეს ტესტია?"
ჰო, ვეუბნები მე, ეს ტესტია. ოდესმე უნახავს ტაილერ დერდენი?
„თქვენ წინა კვირას იყავით აქ, ბ.ნო დერდენ," ამბობს ის. „არ გახსოვთ?"
ტაილერი აქ იყო.
„თქვენ აქ იყავით, სერ."
მე აქ არასდროს ვყოფილვარ მანდამდე.

„როგორც იტყვით, სერ.“ ამბობს ბარმენი. „მაგრამ ხუთშაბათს ღამე თქვენ მოხვედით აქ, რომ გეკითხათ რამდენ ხანში აპირებდა პოლიცია ჩვენს დახვრეტას.“
წინა ხუთშაბათს მთელი ღამე ვერ დავიძინე ინსომნიის გამო, ვერ გამერკვია მეძინა ტუ მეღვიძა სინამდვილეში. პარასკევს გვიან დილით გავიღვიძე ძვლების ტკივილით და იმ განცდით, რომ თითქოს თვალები არასოდეს მომეხუჭოს.
„დიახ სერ,“ ამბობს ბარმენი, „წინა ხუთშაბათს, ზუსტად მანდ იდექით სადაც ახლა დგახართ და მეკითხებოდით პოლიციის სადამსჯელო ღონისძიებაზე და თუ რამდენ ადამიანს ვუთხარით უარი მებრძოლთა კლუბის წევრობაზე, რომელიც აქ ოთხშაბათობით იკრიბება.“
ბარმენი მხრებს იჩეჩავს და კისრის სამაგრში ჩასმულ თავს ატრიალებს და ცარიელ ბარს ათვალიერებს და ამბობს, „აქ ჩვენ არავინ გვისმენს, ბ-ნო დერდენ, სერ. ჩვენ ოცდაშვიდ ადამიანს ვუთხარით უარი წუხელ. ეს ადგილი ყოველთვის ასეთი ცარიელია მებრძოლთა კლუბის შეხვედრის მეორე დღეს.“
ყოველ ბარში სადაც არ უნდა შევსულიყავი ყველანი სერ-ით მომმართავდნენ. ყოველ ბარში სადაც არ უნდა შევსულიყავი ნაცემი ტიპები ერთნაირად მიყურებდნენ. საიდან უნდა იცოდნენ უცხო ადამიანებმა თუ ვინ ვარ მე?
„თქვენ თანდაყოლილი დაღი გაქვთ, ბ-ნო დერდენ,“ ამბობს ბარმენი. „ტერფზე, მას მუქი წითელი ავტრალიის ხოლო მის გვერდით ახალი ზელანდიის ფორმა აქვს.“
მხოლოდ მარლამ იცის ეს. მარლამ და მამაჩემმა. ტაილერმაც კი არ იცოდა ეს. როცა ზღვისთან მივდივარ, ამ ფეხს ტრაკის ქვეშ ვიდებ და ისე ვჯდები.
კიბო რომელიც მე არ აღმომაჩნდა ახლა ყველაფერს მოედო.
„ეს ყველამ იცის ნგრევის პროექტში, ბ-ნო დერდენ.“ ბარმენი ხელს მაღლა სწევს და მის ზედა ნაწილს ჩემსკენ იშვერს, მისი ხელის ზედა ნაწილზე კოცნაა ამომწვარი.
ჩემი კოცნა?
ტაილერის კოცნა.
„ყველამ იცის თანდაყოლილი დაღის შესახებ,“ ამბობს ბარმენი. „ეს ლეგენდის ნაწილია. შენ დედისმტყვნელი ლეგენდა ხდები, ძმაო.“
მე მარლას ვურეკავ ჩემი სიეტლის სასტუმროს ოთახიდან, რომ ვკითხო, გაგვიკეთებია თუ არა ჩვენ ოდესმე ეს.
ხვდებით რაც.
მარლა შორიდან ამბობს, „რა?“
ერთად ვიწექით.
„რა!“
მქონია თუ არა ოდესმე, ხო ხვდებით, სექსი მასთან?
„ღმერთო!“
ანუ?
„ანუ?“ ამბობს ის.
გვქონია ოდესმე სექსი?
„შენ ნამდვილი მძღნერის ნაგლეჯი ხარ.“
გვქონია ოდესმე სექსი?
„სიამოვნებით მოგკლავდი!“

ეს დადებითი პასუხია თუ უარყოფითი?
„მე ვიცოდი, რომ ეს მოხდებოდა,“ ამბობს მარლა. „ნამდვილი ნაგავი ხარ. შენ გიყვარვარ. შენ მაიგნორებ. შენ სიკვდილს არ მაცდი, მერე დედაჩემისგან საპონს ამზადებ.“
მე საკუთარ თავს ვჩქმეტ.
მე ვეკითხები მარლას, თუ როგორ გავიცანით ერთმანეთი.
„იმ ყვერების კიბოიანთა რაღაცაზე, “მერე შენ მე გადამარჩინე.“
მე გადავარჩინე?
„შენ გადამარჩინე.“
ტაილერმა გადაარჩინა.
„შენ გადამარჩინე.“
მე თითს ლოყის ნახვრეტში ვითხრი და ვატრიალებ. ეს კარგი საშუალება იქნება იმხელა ტკივილის გამოსაწვევად, რომელიც მე გამომაფხიზლებდა.
მარლა ამბობს, „შენ მე გადამარჩინე. Regent Hotel. მე თავის მოკვლა ვცადე. გახსოვს?“
ოჰ.
„იმ ღამეს,“ ამბობს მარლა. „მე გითხარი, რომ შენგან აბორტი მინდოდა.“
სალონში წნევა ეცემა.
მე ვეკითხები მარლას თუ რა არის ჩემი სახელი.
ჩვენ ყველანი მალე მოვკვდებით.
მარლა ამბობს, „ტაილერ დერდენი. შენი სახელია ტაილერ ტრაკის-საწმენდ დერდენი. შენ ცხოვრობ 5123 NE ქაღალდის ქუჩაზე, რომელიც ახლა შენი მოწაფეებით არის გატენილი, რომლებიც თავებს იპარსავენ და კანს თუთქით იწვამენ.“
ცოტა უნდა გამოვიძინო.
„შენ აქ ჩამოათრიო ტრაკი,“ ღრიალებს მარლა, „სანამ ეს პატარა ტროლები ჩემგანაც საპონს მოხარშავენ.“
მე ტაილერი უნდა ვიპოვნო.
ნაიარევი მის ხელზე, ვეკითხები მე მარლას, საიდან აქვს მას ის?
„შენ,“ ამბობს მარლა. „შენ მაკოცე ხელზე.“
ტაილერი უნდა ვიპოვნო.
ცოტა უნდა გამოვიძინო.
უნდა გამოვიძინო.
დასაძინებლად უნდა წავიდე.
მარლას მშვიდობიან ღამეს ვუსურვებ და მისი კივილის ხმა სუსტდება, სუსტდება, სუსტდება, ქრება როგორც კი ტელეფონს ვწვდები და ყურმილს ვკიდებ.
**22**
მთელი ღამის განმავლობაში, შენი ფიქრები ჰაერში დაფრინავენ.
მძინავს? საერთოდ ოდესმე მძინებია? ეს ინსომნიაა.
ცდილობ ყოველ ამოსუნთქვასთან ერთად ოდნავ მოდუნდე, მაგრამ გული ისევ გიჩქარდება და  ფიქრები ტორნადოს აწყობენ შენს თავში.

არაფერი გშველის. არავითარი მედიტაცია.
შენ ირლანდიაში ხარ.
არავითარი ცხვრების თვლა.
შენ ითვლი დღეებს, საათებს, წუთებს მას შემდეგ რაც ბოლოს შეძელი დაძინება. შენი ექიმი იცინის. არავინ არასდროს მომკვდარა ძილის ნაკლებობით. სახე ჩამომპალ ხილს მიგიგავს, კაცი იფიქრებს, რომ უკვე კაი ხნის მკვდარი ხარ.
დილის სამი საათის შემდეგ, სასტუმროს საწოლში, სიეტლში, ძალიან გვიანია კიბოიანთა მხარდაჭერის ჯგუფის სანახავად. ძალიან გვიანია პატარა ლურჯი ამიტალის სოდიუმის კაფსულების ან პომადასავით წითელი სეკონალის საშოვნელად, თოჯინებით მოფენილი მდელოების აღმოსაჩენად. დილის სამი საათის შემდეგ შენ მებრძოლთა კლუბში ვეღარ გაერთიანდები.
შენ ტაილერ დერდენი უნდა იპოვნო.
ცოტა უნდა გამოიძინო.
შემდეგ შენ იღვიძებ და ხედავ საწოლთან, ოთახის ჩრდილში მდგარ ტაილერს.
შენ იღვიძებ.
იმ მომენტში, როცა შენ უკვე ძილისკენ მიდიოდი, ტაილერი იქვე იდგა და ამბობდა, „გაიღვიძე. გაიღვიძე ჩვენ მოვაგვარეთ პრობლემა პოლიციასთან, აქ სიეტლში. გაიღვიძე.“
პოლიციის უფროსს უნდოდა ჩაეცხრილა ის რასაც მან უწოდა ბანდები და არასამუშაო დღეებში მოჩხუბარი მოკრივეთა კლუბები.
„მაგრამ სანერვიულო არაფერია.“ ამბობს ტაილერი. „პოლიციის უფროსი პრობლემებს აღარ შეგვიქმნის.“ ტაილერი ამბობს, „ჩვან ის ახლა ყვერებით გვყავს დაჭრილი.“
მე ვეკითხები ტაილერს, მე ხომ არ დამდევდა.
„სასაცილოა,“ ამბობს ტაილერი. „მეც იგივე მინდოდა მეკითხა შენთვის. შენ სხვა ადამიანებს ელაპარაკებოდი ჩემზე. შე პატარა ნაბიჭვარო. შენ პირობა დაარღვიე.“
ტაილერს აინტერესებს თუ როდის აღმოვაჩინე მე ის.
„ყოველთვის როცა შენ იძინებ,“ ამბობს ტაილერი, „მე გავრბივარ და ჩავდივარ რაღაც ველურს, რაღაც გიჟურს, რაღაც სრულიად გაუგებარს ჩვენი გონებისთვის.“
ტაილერი საწოლთან იჩოქებს და ჩურჩულებს, „წინა ხუთშაბათს შენ დაიძინე, მე გამოვფრინდი სიეტლში, აქაური მებრძოლთა კლუბების მოსანახულებლად. უარით გასტუმრებლთა რაოდენობა რომ შემემოწმებინა და ეგეთი რამეები. ახალი ტალანტები აღმომეჩინა. ჩვენ სიეტლშიც გვაქვს ნგრევის პროექტი.“
ტაილერი თითს ჩემს დასიებულ შუბლზე აცურებს. „ჩვენ ლოს ანჯელესშიც და დეტროიტშიც გვაქვს ნგრევის პროექტი, დიდი ნგრევის პროექტი აგრძელებს საქმიანობას ვაშინტონში, ნიუ იორკში. ჩვენ გვაქვს ნგრევის პროექტი ჩიკაგოშიც, თუმცა ეს შენთვის წარმოუდგენელია.“
ტაილერი ამბობს, „ვერ ვიჯერებ, რომ პირობა დაარღვიე. პირველი წესია, არ წამოგცდეთ მებრძოლთა კლუბის შესახებ.“
ის წინა კვირას სიეტლში იყო, როცა ბარმენმა თქვა რომ პოლიცია მებრძოლთა

კლუბების დარბევას აპირებდა. ეს განსაკუთრებით პოლიციის უფროსს უნდოდა პირადად.
„და ხდება ისე," ამბობს ტაილერი, „რომ ჩვენ გვყავს პოლიციელები, რომლებიც დადიან მებრძოლთა კლუბში და ძალიანაც მოსწონთ ეს. ჩვენ გვყავს, საგაზეთო რეპორტიორები და ადვოკატები, ჩვენ ყველაფერი მანამდე ვიცით სანამ მოხდება."
ჩვენს ჩაცხრილვას აპირებდნენ.
„მინიმუმ სიეტლში მაინც." ამბობს ტაილერი.
მე ვეკითხები ტაილერს თუ როგორ მოაგვარა ეს ამბავი.
„როგორ მოვაგვარეთ 'ჩვენ' ეს ამბავი," ამბობს ტაილერი.
ჩვენ მოიერიშეთა ჯგუფი მოვიწვიეთ.
„ამიერიდან აღარ არსებობს 'მე' და 'შენ'" ამბობს ტაილერი და ცხვირის წვერზე მჩქმეტს. „მე მგონი შენ ამას უკვე მიხვდი."
ჩვენ ორივე ერთი და იგივე სხეულს ვიყენებთ, ოღონდ სხვადასხვა დროს.
„ჩვენ სპეციალური საშინაო დავალება გავეცით," ამბობს ტაილერი. „მომიტანეთ მისი აღმატებულების, სიეტლის პოლიციის უფროსის თუ ვინც არის, მისი თბილი ორთქლმდინარი ყვერები."
მე არ მძინავს.
„ჰო," ამბობს ტაილერი, „სწორედ რომ გძინავს."
ჩვენ შვკრიბეთ თოთხმეტი მაიმუნი ასტრონავტი რომელთაგან ხუთი პოლიციელია, და იმ სკვერში, სადაც მისი აღმატებულება იმ ღამეს ძაღლს ასეირნებდა, ყოველი სულიერი ჩვენ ვიყავით.
„ნუ ნერვიულობ," ამბობს ტაილერი. „ძაღლი კარგადაა."
მთელი თავდასხმა სამ წუთს გაგრძელდა. იმაზე ცოტა ხანს ვიდრე საუკეთესო შემთხვევაში წარმოგვედგინა. ჩვენ თორმეტ წუთს ვგეგმავდით. საუკთესო შემთხვევაში ცხრა წუთს.
ხუთმა მაიმუნმა ასტრონავტმა ის ძირს დააწვინა.
ტაილერი მიყვება ამას მაგრამ, საიდანღაც მე ეს უკვე ვიცი.
სამი მაიმუნი ასტრონავტი ატასაზე იდგა.
ერთმა მაიმუნმა ასტრონავტმა გააკეთა დანარჩენი.
ერთმა მაიმუნმა ასტრონავტმა მას საპატიო საცვალი ჩახადა.
ძაღლი სპანიელი იყო, და მხოლოდ ყეფდა და ყეფდა.
ყეფდა და ყეფდა.
ყეფდა და ყეფდა.
ერთმა მაიმუნმა ასტრონავტმა მის საპატიო ყლეს სამჯერ გადაუჭრა რეზინი.
„ერთი მაიმუნი დანითაა ჩამძვრალი მის ფეხებს შორის." ჩურჩულებს ტაილერის ნაცემი სახე ჩემს ყურთან. „და მე ვჩურჩულებ მის ყურთან, რომ აჯობებს შეწყვიტოს მებრძოლთა კლუბის დევნა თორემ ჩვენ მთელ მსოფლიოს გავუმხელთ, რომ მის აღმატებულებას ყვერები აღარ აქვს."
ტაილერი ჩურჩულებს, „რამდენად შორს გგონია რომ წახვალ, თქვენო ღირსებავ?"
რეზინის მოჭერის გამო ის ქვემოთ ვერაფერს ვეღარ გრძნობს.

„როგორ ფიქრობ, რამდენად შორს წახვალ პოლიტიკაში, თუ ამომრჩევლებს ეცოდინებათ, რომ ყვერები არ გაქვს?“
ამ მომენტში მან მისმა ღირსებამ ყველა შეგრძნება დაკარგა.
მამაკაცი, მისი ყვერები ყინულივით ცივია.
თუკი ერთი მებრძოლთა კლუბი მაინც დაიხურება, ჩვენ მის ყვერებს გავგზავნით დასავლეთით და აღმოსავლეთით.
ერთი New York Times-ში წავა, მეორე Los Angeles Times-ში. თითო ყვერი თითო მისამართზე. როგორც პრესრელიზი.
მაიმუნი ასტრონავტი პირიდან ჩვარს აცლის და პოლიციის უფროსი ამბობს, არა.
და ტაილერი ამბობს, „ჩვენ არაფერი გვაქვს დასაკარგი მებრძოლთა კლუბის გარდა.“
პოლიციის უფროსს ყველაფერი აქვს.
ჩვენ მხოლოდ მთელი მსოფლიოს მძღნერი და ნაგავი დაგვრჩა.
ტაილერი თავს უქნევს მაიმუნ ასტრონავსტს, რომელსაც დანა უჭირავს და მის ფეხებს შორისაა ჩამძვრალი.
ტაილერი ამბობს, „წარმოიდგინე, რომ მთელი დარჩენი ცხოვრება, შენი შარვლის უპე ცარიელი იფათხუნებს.“
და პოლიციის უფროსი ამბობს, არა.
და არ გინდათ.
შეჩერდით.
გთხოვთ.
ოჰ.
ღმერთო.
მიშველეთ.
მე.
მიშველეთ.
არა.
შეჩერდით.
მათ.
და ასტრონავტი მაიმუნი დანას უსვამს მას და მხოლოდ რეზინის ლენტას უჭრის.
ექვსი წუთი გავიდა, მთლიანობაში და ჩვენ ყველაფერს მოვრჩით.
„დაიმახსოვრე ეს,“ ამბობს ტაილერი. „ხალხი რომელსაც წინ ეღობები, ჩვენ ვართ ყველგან რაზეც შენ ხარ დამოკიდებული. ჩვენ ვრეცხავთ შენს თეთრეულს და ვამზადებთ საჭმელს შენთვის და ვემსახურებით შენს სადილებს. ჩვენ ვამზადებთ შენს საწოლს. გიცავთ მაშინ, როცა შენ გძინავს. ჩვენ ვმართავთ სასწრაფო დახმარების მანქანებს. ჩვენ ვამისამართებთ შენს ზარებს. ჩვენ ვართ მზარეულები და ტაქსის მძღოლები და ჩვენ ვიცით ყველაფერი შენს შესახებ. ჩვენ ვზრუნავთ შენს დაზღვევაზე და საკრედიტო ბარათებზე. ჩვენ შენი ცხოვრების ყოველ ნაწილს ვაკონტროლებთ.“
„ჩვენ ისტორიის არასასურველი შვილები ვართ, რომლებსაც ტელევიზორით არწმუნებდნენ, რომ ერთ დღეს გახდებოდნენ მილიონერები, კინო ვარსკვლავები, როკ ვარსკვლავები, მაგრამ ჩვენ ვერ გავხდით ასეთები. ჩვენ სწორედ ახლახანს

გავერკვიეთ ამ ყველაფერში," ამბობს ტაილერი. „ასე რომ ჩვენს წინააღმდეგ ტრაკს ნუღარ ათამაშებთ."
მაიმუნმა ასტრონავტმა მას ჩვარი ჩასტენა პირში, რომ მისი სლუკუნი დაეხშო და ის საერთოდ გაითიშა.
დანარჩენებმა ჩააცვეს და თავის ძაღლთან ერთად სახლამდე მიიყვანეს. ამის შემდეგ ის ამ საიდუმლოს ინახავს. და, არა, ჩვენს მებრძოლთა კლუბს დღეიდან დარბევა აღარ ემუქრება.
მისი ღირსება სახლში შეშინებული მაგრამ ხელუხლებელი დაბრუნდა.
„ყოველთვის როცა ჩვენ ამ საშინაო დავალებებს ვასრულებთ," ამბობს ტაილერი, „ეს მებროლთა კლუბის ბიჭები, რომლებსაც არაფერი აქვთ დასაკარგი, უფრო დიდ ინვესტიციად იქცევიან ნგრევის პროექტისთვის."
ჩემს საწოლთან დაჩოქილი ტაილერი ამბობს, „დახუჭე თველები და ხელი მომეცი."
მე თვალებს ვხუჭავ და ტაილერი ჩემს ხელს იღებს. მე ტაილერის ტუჩებს ვგრძნობ მისი კოცნის ფორმის ნაიარევზე.
„მე გაგაფრთხილე, რომ თუ ჩემზე ჩემს ზურგს უკან ილაპარაკებდი, ვეღარასდროს მნახავდი." ამბობს ტაილერი. „ჩვენ არ ვართ ორი სხვადასხვა ადამიანი. მოკლედ რო გითხრა, როცა გღვიძავს შენ მართავ რეალობას და შეგიძლია რაც გინდა ის დაუძახო თავს, მაგრამ შენი ჩაძინების წამიდან ყველაფერი ჩემს ხელში გადმოდის და შენ ხდები ტაილერ დერდენი."
კი მაგრამ ჩვენ ხომ ვიჩხუბეთ, თუნდაც იმ ღამეს, როცა მებრძოლთა კლუბი გამოვიგონეთ.
„სინამდვილეში შენ ჩემთან არ ჩხუბობდი," ამბობს ტაილერი. „ეს შენ შთაუნერგე საკუთარ თავს. შენ ეჩხუბებოდი ყველაფერს რაც გძულდა საკუთარ ცხოვრებაში."
კი მაგრამ მე ხომ გხედავ.
„შენ გძინავს."
კი მაგრამ შენ ქირაობ სახლს. შენ გაქვს სამსახური. ორი სამსახური.
ტაილერი ამბობს, „მოითხოვე ქვითრები ბანკიდან. მე ის შენს სახელზე დავიქირევე. მე მგონი შენ იპოვი მსგავსებას ქვითრებისა და შენიშვნების ხელწერას შორის, რომლებსაც ჩემთვის კრეფდი კომპიუტერში."
ტაილერი ჩემს ფულს ხარჯავდა. რა გასაკვირია, რომ გადახარჯვები მქონდა.
„და ეს სამსახურები, მოკლედ, როგორ ფიქრობ რატომ ხარ ასეთი გადაღლილი? ღმერთო, ეს ინსომნიის ბრალი არ არის. ყოველთვის როცა შენ იძნებ, მე ვდგები და მივდივარ სამუშაოდ ან მებრძოლთა კლუბში ან სადმე. უნდა გიხაროდეს, რომ გველების დამჭერად არ დავიწყე მუშაობა."
მე ვამბობ, კი მაგრამ მარლაზე რაღას მეტყვი?
„მარლას შენ უყვარხარ."
მარლას შენ უყვარხარ.
„მარლა ერთმანეთისგან ვერ გვანსხვავებს. შენ მას სხვა სახელით გაეცანი იმ ღამეს როცა შეხვდით. შენ ხომ არასროს ამხელდი შენს ნამდვილ სახელს მხარდაჭერის ჯგუფებში, შე არაავთენტურო მძღნერო. მას შემდეგ რაც გადავარჩინე, ის ფიქრობს, რომ შენ ტაილერ დერდენი გქვია."

ახლა, როცა უკვე ვიცი ტაილერის შესახებ, ხომ არ გაქრება?
„არა," ამბობს ტაილერი და ისევ ჩემი ხელი უჭირავს, „მე აქ იმ შემთხვევაში არ ვიქნებოდი, პირველ რიგში, თუ შენ არ გენდომებოდი. მე საკუთარ ცხოვრებას გავაგრძელებ, როცა შენ დაიძინებ-ხოლმე, მაგრამ თუ შენ ტრაკის თამაშს დაიწყებ, თუ თავს საწოლზე მიიბამ ან ძილის წამლის დიდ დოზას მიიღებ, მაშინ ჩვენ მტრები გავხდებით. და მე ამისთვის დაგსჯი."
ოჰ, ნეხვობაა ეს ყველაფერი. ეს სიზმარია. ტაილერი პროექციაა. ეს არის პიროვნების დისოციაციური აშლილობა. ფსიქოგენური ფუგა. ტაილერი ჩემი ჰალუცინაციაა
„ამის დედაც მოვტყან," ამბობს ტაილერი. „იქნებ შენ ხარ ჩემი შიზოფრენიული ჰალუცინაცია."
პირველი მე ვიყავი აქ.
ტაილერი ამბობს, „ჰო, ჰო, ჰო, კარგი, ვნახოთ ვინ იქნება აქ უკანასკნელი."
ეს არ არის რეალობა. მე მძინავს და მე გავიღვიძებ.
„ხოდა გაიღვიძე."
შემდეგ ტელეფონი რეკავს და ტაილერი ქრება.
მზე ფარდებს შორის ანათებს.
ეს ჩემი დილის 7საათზე მომართული მაღვიძარას ზარია, და როცა ყურმილს ვიღებ ხაზზე მკვდარი სიჩუმეა.

**23**

აჩქარებული კადრი, მე მარლასთან და ქაღალდის ქუჩის საპნის კომპანიასთან მივფრინავ.
ისევ ყველაფერი იფლითება.
სახლში, მაცივარში შეხედვისაც მეშინია. ათეულობით პატარა პლასტიკურ ჩანთას წარმოვიდგენ, რომლებსაც ისეთი ქალაქების მარკები აკრავთ, როგორებიცაა ლას ვეგასი, ჩიკაგო, მილოუკი, სადაც ტაილერმა სისრულეში უნდა მოიყვანოს თავისი მუქარა, მებრძოლთა კლუბის განყოფილებების დასაცავად. ყოველ მათგანში ორი გაყინული და მყარი ნაჭერი დევს.
სამზარეულოს ერთ კუთხეში მაიმუნი ასტრონავტი დაბზარულ ლინოლიუმზე ჩაცუცქულა და სარკეში საკუთარ თავს უმეორებს. „მე ამ სამყაროს მომღერალი და მოცეკვავე განავალი ვარ." მაიმუნი ასტრონავტი ეუბნება სარკეს. „მე ღვთის ქმნილებათა ტოქსიკური გამონაბოლქვი ვარ."
დანარჩენი მაიმუნი ასტრონავტები ბაღში ბოდიალობენ, რაღაცებს აგროვებენ, რაღაცებს კლავენ. ცალი ხელით მაცივრის კარზე მიყრდნობილი, მე დიდ სუნთქვას ვიღებ და ვცდილობ ჩემი გასხვისოსნებული სულის არსის ცენტრალიზება მოვახდინო.
წვეთები ვარდზე.
დისნეის ლაღი ცხოველი.
ზიანს მაყენებს.
მაცივრის კარი ოდნავ იღება, როცა მარლა ჩემს მხრებს ზემოდან იჭყიტება მასში და ამბობს, „სადილად რა გვაქვს?"

მაიმუნი ასტრონავტი ჩაცუცქული ეუბნება თავის თავს პატარა ხელის სარკეში. „მე მძღნერი ვარ და ქმნილებათა გადამდები ადამიანური ნარჩენი.“
ჩაკეტილი წრე.
დაახლოებით ერთი თვის წინ მეშინოდა მარლას არ შეეხედა მაცივარში. ახლა იმის უფრო მეშინია მე არ შევიხედო იქ.
ო, ღმერთო. ტაილერ.
მარლას ვუყვარვარ. ის ვერ ხვდება სხვაობას.
„მიხარია რო დაბრუნდი,“ ამბობს მარლა. „სალაპარაკო გვაქვს.“
კი, ნამდვილად, ვამბობ მე. სალაპარაკო გვაქვს.
ჩემი თავი ვერ მიმყავს იქამდე რომ მაცივარი გამოვხსნა.
მე ჯოს მოკეცილი საზარდული ვარ.
მე ვეუბნები მარლას, არაფერს შეეხო ამ მაცივარში. არც კი გამოხსნა ის. თუ ოდესმე რამეს იპოვნი შიგნით, არაფრით არ ჭამო და ნურც კატას ან სხვა რამეს აჭმევ.
მაიმუნი ასტრონავტი პატარა ხელის სარკიდან გვიყურებს, ამიტომ მარლას ვეუბნები, რომ აქედან უნდა წავიდეთ. სადმე სხვაგან წავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ.
ქვემოთ, სარდაფის კიბეებზე, ერთი მაიმუნი ასტრონავტი უკითხავს მეორე ასტრონავტ მაიმუნს. „არსებობს ნაპალმის მომზადების სამი გზა: პირველი, აურიეთ ბენზინის და გაყინული ფორთოხლის წვენის კონცენტრანტის, თანაბარი ოდენობა.“
მაიმუნი ასტრონავტი სარდაფში კითხულობს. „მეორე, აურიეთ ბენზინისა და დიეტური კოლას თანაბარი ოდენობა. მესამე, გახსენით კატის გამხმარი განავალი ბენზინში და ურიეთ სანამ არ გასქელდება.“
მე და მარლა ქაღალდის ქუჩის საპნის საამქროდან ჯერ საზოგადოებრივ ტრანსპორტამდე ვაღწევთ, შემდეგ ფანჯრიან კაბინაში Planet Denny’s, ფორთოხლისფერი პლანეტა.
ეს არის ის, რაზეც ტაილერი ლაპარაკობდა, მას შემდეგ რაც ინგლისმა ყველაფერი გადაწვა და დაარსა კოლონიები და შექმნა რუქები, გეოგრაფიაში ამ ადგილების უმეტესობამ მეორადი ინგლისური სახელები შეიძინა. ინლისელებმა ყველაფერს დაარქვეს სახელი. ან თითქმის ყველაფერს.
მაგალითად, ირლანდია.
ნიუ ლონდონი, ავსტრალია.
ნიუ ლონდონი, ინდოეთი.
ნიუ ლონდონი, აიდაჰო.
ნიუ იორკი, ნიუ იორკი.
აჩქარებული კადრი მომავლისკენ.
ამგვარად, როცა კოსმოსის ექსპლუატაცია დაიწყება, ალბათ ყველაზე მძლავრი კორპორაციები აღმოაჩენენ ახალ პლანატებს და რუქებში შეიტანენ მათ.
IBM-ის თანავარსკვლავედი.
Philip Morris-ის გალაქტიკა.
Planet Denny’s.
ყოველი პლანეტა იმის იდენტობას მიიღებს, ვინც პირველი გაჟიმავს მას.
Budweiser-ის სამყარო.

ჩვენს ოფიციანტს შუბლზე ბატის კვერცხის მსგავსი ამონაზარდი აქვს, ის გაჭიმული დგას, ფეხები ერთმანეთზე აქვს მიტყუპებული. „სერ.“ ამბობს ჩვენი ოფიციანტი. „ხომ არ გნებავთ რომ ახლავე შუკვეთოთ? სერ.“ ის ამბობს. „თქვენთვის ყველაფერი უფასოა რაც არ უნდა შეუკვეთოთ. სერ.“
შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ყოველი სუპიდან შრდის სუნი გცემს.
ორი ყავა, თუ შეიძლება.
მარლა მეკითხება, „რატომ არ გვახდევინებს ის ფულს საჭმელში?“
ოფიციანტს გონია რომ მე ტაილერ დერდენი ვარ, ვამბობ მე.
თუ ასეა, მარლა შეუკვეთავს შემწვარ მოლუსკებს და მოლუსკების სუპს და თევზს და შემწვარ წიწილს და გამომცხვარ კარტოფილს თავისი ყველაფრით და შოკოლადის ღვეზელს.
შუშის კედელს მიღმა სამზარეულოში მე ვხედავ ერთ ხაზზე ჩამწკრივებულ სამ მზარეულს, ერთ მათგანს ნაკერი აქვს ზედა ტუჩზე, მე და მარლას გვიყურებენ და ნაცემი თავებით რაღაცას ჩურჩულებენ. მე ვეუბნები ოფიციანტს, სუფთა საჭმელი მოგვიტანე, თუ შეიძლება. თუ შეიძლება ნუ წაბილწავთ იმას რასაც ჩვენ შევუკვეთავთ.
„ამ შემთხვევაში, სერ,“ ამბობს ოფიციანტი. „ნება მომეცით ვურჩიო ქალბატონს, აქ, არ მიირთვას მოლუსკების სუპი.“
გმადლობ. არ გვინდა მოლუსკების სუპი. მარლა მიყურებს მე და მე ვეუბნები მას, მენდე.
ოფიციანტი ქუსლებზე ტრიალდება და ჩვენი შეკვეთა მარშით მიაქვს სამზარეულოში.
სამზარეულოს ფანჯრიდან ერთ რიგად დამწკრივებული სამი მზარეული ცერა თითს მიწევს.
მარლა ამბობს, „საკმაოდ მაგარი ყოფილა ტაილერ დერდენობა.“
დღეიდან, ვეუბნები მე მარლას, ყოველ ღამე უნდა მდიოს და იწეროს ყოველი ლოკაცია სადაც წავალ. ყველა ადამაინი ვისაც ვნახავ. დავასაჭურისებ თუ არა ვინმე მნიშვნელოვან ფიგურას. ეგეთი დეტალები.
მე ჯიბიდან საფულეს ვიღებ და მარლას ჩემს მართვის მოწმობას ვაჩვენებ, რომელზეც ჩემი ნამდვილი სახელია ამობეჭდილი.
არა ტაილერ დერდენი.
„მაგრამ ყველამ იცის, რომ შენ ხარ ტაილერ დერდენი.“ ამბობს მარლა.
ყველამ ჩემს გარდა.
სამსახურში არავინ მეძახის ტაილერ დერდენს. ჩემი უფროსი ნამდვილ სახელს მეძახის.
ჩემმა მშობლებმა იციან ვინ ვარ მე სინამდვილეში,
„აბა“ ამბობს მარლა. „რატო ხარ მხოლოდ ვიღაცეებისთვის ტაილერ დერდენი და არა ყველასთვის?“
როცა ტაილერს პირველად შევხვდი, მეძინა.
მე ვიყავი დაღლილი და შეშლილი და განადგურებული, და ყოველთვის როცა თვითმფრინავში ვჯდებოდი მინდოდა, რომ ის კატასტროფაში მოყოლილიყო.

მშურდა იმ ხალხის რომელბიც კიბოთი კვდებოდნენ. მე მძულდა ჩემი ცხოვრება. მე ვიყავი დაღლილი და შეღონებული ჩემი სამსახურით და ავეჯით, და ვერანაირ გზას ვერ ვხედავდი ამის შესაცვლელად.
მე მხოლოდ ამის დასრულება მინდოდა.
თავს მახეში ვგრძნობდი.
მე ზედმეტად შემდგარი ვიყავი.
მე ზედმეტად სრულყოფილი ვიყავი.
მინდოდა ჩემს საცოდავ ცხოვრებას გავქცეოდი. ერთჯერადი მოხმარების - კარაქისა და თვითმფრინავის ამოკეცილი სავარძლების მომხმარებლის როლს ამ სამყაროში.
შვედური ავეჯი.
ავეჯის დიზაინი.
შვებულება ავიღე. სანაპიროზე ჩამეძინა და როცა გავიღვიძე ტაილერ დერდენი დამხვდა, შიშველი და ოფლიანი, ქვიშაში ამოვლებული და სველი, სახაზე ჩამოყრილი თმებით.
ტაილერი მოქცევისას გამორიყულ ხის მორებს იჭერდა და ნაპირზე მოათრევდა. ტაილერმა უზარმაზარი ხელის ჩრდილი გააკეთა, და იჯდა იმ სრულყოფილ ხელის გულზე, რომელიც თავად შექმნა.
და ეს მომენტი უფრო მეტი იყო ვიდრე შენ წარმოგიდგენია სრულყოფილება.
შეიძლება არც არასდროს გამღვიძებია იმ სანაპიროზე.
შეიძლება ეს მაშინ დაიწყო, როცა მე Blarney-ს ქვას დავაფსი.
როცა ვიძინებ, სინამდვილეში მე არ მძინავს.
Planet Denny’s-ს სხვადასხვა მაგიდებზე მე ერთ, ორ, სამ, ოთხ, ხუთ ტიპს ვითვლი, ჩაშავებული ყვრიმალებით და მიბრტყელებული ცხვირებით, რომლებიც მიღიმიან.
„არა,“ ამბობს მარლა. „შენ არასდროს გძინავს.“
ტაილერ დერდენი განცელკევებული პიროვნებაა, რომელიც მე შევქმენი და ახლა ის იმუქრება რომ ჩემს რეალურ სამყაროს ხელში ჩაიგდებს.
„ზუსტად ტონი პერკინსის დედასავით ფილმიდან ‘Phsycho’.“ ამბობს მარლა. „მაგრად ასწორებს. ყველას თავისი გადახრა აქვს. ერთი პერიოდი ტიპს ვხვდებოდი, რომელსაც პირსინგები ყოველთვის ეცოტავებოდა საკუთარ სხეულზე.“
მე მგონი, ვამბობ მე, როგორც კი მე ვიძინებ, ტაილერი ჩემი სხეულით და ნაცემი სახით გარბის გარეთ და დანაშაულებს ჩადის. მეორე დღეს მე ძვლების ტკივილით ვიღვიძებ ნაცემი და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ წინა ღამით საერთოდ არ მძინებია.
მომდევნო ღამეს უფრო ადრე მივდივარ დასაძინებლად.
ამიტომ ტაილერი უფრო დიდხანს იქნება თავის ცვლაში მომდევნო ღამეს.
ყოველ ღამით უფრო და უფრო ადრე მივდივარ დასაძინებლად და ტაილერიც იფრო და უფრო დიდ დროს ატარებს თავის ცვლაში.
„კი მაგრამ შენ თვითონ ხარ ტაილერი.“ ამბობს მარლა.
არა.
არა, მე არ ვარ.

მე ტაილერის ყველფერი მიყვარს, მისი გამბედაობა, მისი გონებამახვილობა. მისი ნერვები. ტაილერი მხიარულია და მომხიბვლელი და ძლიერი და დამოუკიდებელი, და მამაკაცები ქვემოდან უყრებენ მას და ელიან მისგან, რომ ის მათ სამყაროს შეცვლის. ტაილერი ნიჭიერია და თავისუფალი, და მე არ ვარ ასეთი.
მე არ ვარ ტაილერ დერდენი.
„კი მაგრამ შენ ხარ ტაილერი.“ ამბობს მარლა.
მე და ტაილერი ერთი სხეულით ვსარგებლობდით, და დღემდე მე ამის შესახებ არ ვიცოდი. ყოველთვის როცა ტაილერი მარლას ჟიმავდა, მე მეძინა. ტაილერი დადიოდა და ლაპარაკობდა, მაშინ როცა მე მეგონა რომ მეძინა.
მებრძოლთა კლუბში და ნგრევის პროექტში ყველა ტაილერ დერდენად მიცნობდა. და თუ მე ყოველთვის ადრე დავიძინებ და გვიან გავიღვიძებ, საბოლოოდ მთლიანად გავქრები.
უბრალოდ დავიძინებ და ვეღარასოდეს გავიღვიძებ.
მარლა ამბობს, „ზუსტად ისე, როგორც უპატრონო ცხოველი, უპატრონო ცხოველთა თავშესაფარში.“
ძაღლების მდელო. სადაც მაშინაც კი თუ არ გკლავენ, თუ ვინმეს იმდენად უყვარხარ, რომ სახლში წაგიყვანოს, შენს კასტრაციას მაინც ახდენენ.
მე ვერასდროს გავიღვიძებდი და ტაილერი დამეუფლებოდა.
ოფიციანტს ორი ყავა მოაქვს, ქუსლს ქუსლზე არტყამს და მიდის.
მე ჩემს ყავას ვსუნავ. მას ყავის სუნი აქვს.
„კარგი,“ ამბობს მარლა. „ვთქვათ დავიჯერე ეს ყველაფერი, ჩემგან რა გინდა?“
ერთი სიტყვით, ტაილერმა არ უნდა აიღოს სრული კონტროლი, მე მინდა რომ მარლამ არ მომცეს დაძინების საშუალება. არასდროს.
ჩაკეტილი წრე.
იმ დღეს როცა ტაილერმა გადაარჩინა, მარლამ მას სთხოვა დაძინების საშუალება არ მიეცა მისთვის მთელი ღამის განმავლობაში.
იმ წამს როგორც კი ჩამიძნება, ტაილერი დაბრუნდება და რაღაც საშინელებას დაატრიალებს.
და თუ ჩამეძინება, მარლამ უნდა სდიოს ტაილერს. სად წავა. რას გააკეთებს.
ამგვარად იქნებ დღის განმავლობაში, მე მოვასწრო ყველაფრის შემოვლა და ამ ზიანის გამოსწორება.
**24**
მასი სახელია რობერტ პოლსონი და ის ორმოცდარვა წლისაა. მისი სახელია რობერტ პოლსონი, და რობერტ პოლსონი ორმოცდარვა წლის დარჩება, სამუდამოდ.
ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ყოველი ადამიანის გადარჩენის შანსი ნოლის ტოლია.
დიდი ბობი.
უზარმაზარი ჩიზბურგერი. უზარმაზარი ცხენ-ირემა საშინაო დავალებას ასრულებდა სახელად გაყინე-და-გახვრიტე. სწორედ ასე შემოაღწია ტაილერმა ჩემს ბინაში, რათა ხელნაკეთი დინამიტით აეფეთქებინა ის. იღებ შესაშხურებელ

საცივარს, R-12-ს თუ კიდევ შეძლებ მის შოვნას, ამ ოზონის ნახვრეტების გამო, ან R-134a-ს, და ასხამ მას საკეტის ცილინდრში სანამ ჩამკეტი არ გაიყინება.
გაყინე-და-გახვრიტეს შესრულებისას შენ ასხამ მას ფასიან ტელეფონებში, ავტოსადგომის მრიცხველში, გაზეთების ყუთში. შემდეგ შენ იყენებ ჩაქუჩს და ცივ საჭრისს გაყინული საკეტის ცილინდრის დასამტვრევად.
საშინაო დავალების გაყინდე-და-გახვრიტეს შესრულებისას შენ ფასიან ტელეფონებს ან ბანკომატებს ხვრეტ, შემდეგ ზეთიან ხელსაწყოს ატრიალენ ნახვრეტში და ცხიმიანი იარაღის გამოყენებით ავსებ მას ცხიმით ან ვანილის პუდინგით ან პლასტიკური ცემენტით.
ეს იმისათვის არ კეთდება რომ ნგრევის პროექტს ორი პეშვი ხურდის მოპარვა უნდა. ქაღალდის ქუჩის საპნის საამქრო გადატენილია შეკვეთებით. ღმერთო გვიშველე როცა დღესასწაულები დგება. ეს დავალებები ნერვების გასაძლიერებლად სრულდება. შენ მოხერხებულობა გჭირდება. რომ საკუთარი წვლილი შეიტანო ნგრევის პროექტში.
ცივი საჭრისის მაგივრად, შეგიძლია ელექტრო დრელი გამოიყენო გაყინულ საკეტის ცილინდრზე. ეს დანარჩენესბს არ ჩამოუვარდება მუშაობით და შედარებით ჩუმიც არის.
ეს უკაბელო დრელი იყო რომელიც პოლიციელებს იარაღი ეგონათ როცა დიდი ბობი მიაცხრილეს.
მას არაფერი ჰქონდა თან რითაც მას ნგრევის პროექტს ან მებრძოლთა კლუბს ან საპონს დაუკავშირებდნენ.
მის საფულეში იყო ფოტო რომელზეც თვითონვე იყო გამოსახული, უზარმაზარი და შიშველი, სპეციალური ღვედით პოზირებისას, რომელიღაც შეჯიბრებაზე. ეს სულელური ცხოვრების წესია, ამბობდა ბობი. შენ გაბრმავებენ ლამპიონები და სმენას გიხშობს ხმამაღალი ფონი ხმის სისტამიდან, სანამ მსაჯი გიბრძანებს, გამოწიე მარჯვენა ხელი, დაჭიმე, გეჭიროს.
ხელები ისე დაჭირეთ რომ დავინახოთ.
გამოწიე მარცხენა ხელი, დაჭიმე ბიცეფსი და გეჭიროს.
არ გაინძრე.
დააგდე იარაღი.
ეს ბევრად სჯობდა რეალურ ცხოვრებას.
მას ჩემი კოცნის ნაიარევი ჰქონდა ხელზე. ტაილერის კოცნის ნაიარევი. გაფშეკილი თმა გადაპარსული ხოლო თითის ანაბეჭდები თუთქით ჰქონდა მომწვარი. და უმჯობესია გეტკინოს ვიდრე დაგაპატიმრონ, რადგან თუ დაგაპატიმრეს შენ ტოვებ ნგრევის პროექტს, აღარავითარი საშინაო დავალებები.
ერთ წუთს რობერტ პოლსონი სამყაროს თბილი ცენტრი იყო, რომლის გარშემოც თავს იყრიდნენ დარაჩენი სიცოცხლის ფორმები, და მეორე წუთს კი რობერტ პოლსონი უსულო საგნად იქცა. პოლიციელის გასროლის შემდეგ, სიკვდილის გასაოცარი სასწაული.

ყოველ მებრძოლთა კლუბში, ამაღამ, ყოველი განყოფილების ლიდერი სიბნელეში დააბიჯებს, მამაკაცების ბრბოთი გარშემორტყმული, რომლებიც ერთმანეთს მისჩერებიან სარდაფის ცარიელი ცენტრის გასწვრივ, ხოლო ხმა ყვირის:
„მისი სახელია რობერტ პოლსონი.“
ბრბო ყვირის, „მისი სახელია რობერტ პოლსონი.“
ლიდერები ყვირიან, „ის არის ორმოცდარვა წლის.“
ბრბო ყვირის, „ის არის ორმოცდარვა წლის.“
ის არის ორმოცდარვა წლის და ის იყო მებრძოლთა კლუბის წევრი.
ის არის ორმოცდა რვა წლის და ის იყო ნგრევის პროექტის წევრი.
მხოლოდ სიკვდილით დავიბრუნებთ საკუთარ სახელებს, მას შემდეგ რაც ვკვდებით ჩვენ აღარ ვართ საერთო ძალისხმევის ნაწილი. სიკვდილით გმირები ვხდებით.
და ბრბოები ყვირიან, „რობერტ პოლსონი.“
და ბრბოები ყვირიან, „რობერტ პოლსონი.“
და ბრბოები ყვირიან, „რობერტ პოლსონი.“
მე ამაღამ მებრძოლთა კლუბში მივდივარ, რომ დავხურო. მე სინათლეზე ვდგავარ ოთახის ცენტრში და კლუბუს წევრთა შეძახილები არ ცხრება. აქ მე ყოველი მათგანისთვის ტაილერ დერდენი ვარ. ჭკვიანი. ძლიერი. მამაცი. მე ხელებს ვწევ მათ გასაჩუმებლად, და ვთავაზობ, იქნებ ეს ჩვეულებრივ ღამედ გვექცია. სახლში დაბრუნდით ამაღამ და დაივიწყეთ მებრძოლთა კლუბი.
ჩემი აზრით მებრძოლთა კლუბმა თავისი საქმე უკვე გააკეთა, ასე არ არის? ნგრევის პროექტი გაუქმებულია.
მე შემატყობინეს, დღეს ძალიან მაგარი ფეხბურთის მატჩია ტელევიზორში... ასამდე ადამიანი გაშტერებული მიყურებს.
ადამიანი მოკვდა, ვამბობ მე. ეს თამაში დამთავრებულია. ეს უკვე სახუმარო აღარ არის.
შემდეგ, სიბნელიდან ანონიმური ხმა მოისმის რომელიც განყოფილების ლიდერს ეკუთვნის, „მებრძოლთა კლუბის პირველი წესია, არ წამოგცდეთ მებრძოლთა კლუბის შესახებ.“
მე ვყვირი, სახლებში წადით!
„მებრძოლთა კლუბის მეორე წესია, არავისთან წამოგცდეთ მებრძოლთა კლუბის შესახებ.“
მებრძოლთა კლუბი გაუქმებულია! ნგრევის პროექტი გაუქმებულია!
„მესამე წესია, ჩხუბობენ მხოლოდ ორნი.“
მე ტაილერ დერდენი ვარ, ვყვირი მე. და მე გიბრძანებთ დაიშალოთ!
და არავინ მიყურებს. ისინი მხოლოდ ერთმანეთს მისჩერებიან ოთახის ცენტრის გადაკვეთაზე.
განყოფილების ლიდერის ხმა ნელა დადის ოთახის გარშემო. თითო წყვლი თითო ჩხუბისას. არავითარი პერანგები. არავითარი ფეხსაცმელები.
ბრძოლები გრძელდება და გრძელდება და გრძლედება იქამდე სადამდეც უნდა გაგრძელდეს.
წარმოიდგინე, რომ ეს ხდება ასობით ქალაქში ექვსამდე ენაზე.

წესების კითხვა სრულდება და მე ჯერ კიდევ სინათლის ცენტრში ვდგავარ.
„რეგისტრირებული ბრძოლა ნომერი ერთი, დაიპყარით სცენა.“ ყვირის ხმა სიბნელიდან. „გაათავისუფლეთ კლუბის ცენტრი.“
მე არ ვინძრევი.
„გაათავისუფლეთ კლუბის ცენტრი!“
მე არ ვინძრევი.
სინათლის ერთ ნაკადს სიბნელეში მდგარი ასამდე წყვილი თვალი ირეკლავს, ყოველი მათგანი მე მიყურებს და იცდის. ვცდილობ ისე დავინახო თითოეული მათგანი, როგორც ტაილერი ხედავს მათ. ავირჩიო საუკეთესო მებრძოლები ნგრევის პროექტში მოსამზადებლად. რომელ მათგანს მოიწვევდა ტაილერი ქაღალდის ქუჩის საპნის საამქროში სამუშაოდ?
„გაათავისუფლეთ კლუბის ცენტრი!“ ეს მებრძოლთა კლუბის ჩვეული პროცედურაა. კლუბის ლიდერის მესამე გაფრთხილების შემდეგ მე კლუბიდან გამომაგდებენ. მაგრამ მე  ტაილერ დერდენი ვარ. მე მოვიგონე მებრძოლთა კლუბი. მებრძოლთა კლუბი ჩემია. ეს წესები ჩემი დაწერილია. არცერთი თქვენგანი არ იქნებოდა აქ მე რომ არ ვყოფილიყავი. და ვამბობ, რომ ის აქ სრულდება!
„მოემზადეთ წევრის გამოსასახლებლად სამი, ორი, ერთი.“
მამაკაცთა წრე თავზე მემხობა და ორასი ხელი ჩემი მკლავებისა და ფეხების ყოველ სანტიმეტრს იკავებს და მაღლა სინათლისკენ მწევს.
მოამზადეთ სული ევაკუაციისთვის ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი.
და მე ხელიდან ხელში გადამცემენ თავებს ზემოთ, ბრბო კარისკენ მილივლივებს. მე ვტივტივებ. მე ვფრინავ.
მე ვყვირი, მებრძოლთა კლუბი ჩემია. ნგრევის პროექტი ჩემი იდეა იყო. თქვენ მე ვერ მომიშორებთ. აქ მე ვმართავ ყველაფერს. სახლებში წადით.
განყოფილების ლიდერის ხმა ყვირის, „რეგისტრირებული ბრძოლა ნომერი ერთი, დაპყარით სცენის ცენტრი. ახლავე!“
მე არ წავალ. მე არ დავნებდები. მე ჩემსას გავიტან. აქ მე ვმართავ ყველაფერს.
„გააძევეთ მებრძოლთა კლუბის წევრი, ახლავე!“
სულის ევაკუაცია, ახლავე.
და მე ნელა მოვფრინავ კარიდან და ღამეში, სადაც თავს ზემოთ ვარსკვლავებია და ჰაერი ცივია, და მე ავტოსადგომზე ვეცემი, ბეტონზე. მათი ხელები უკან ბრუნდებიან და ჩემს უკან კარი უხურება, და ურდული ტკაცუნით იკეტება. ასობით ქალაქში მებრძოლთა კლუბი უჩემოდ აგრძელებს საქმიანობას.

**25**

წლების მანძილზე მხოლოდ დაძინებაზე ვოცნებობდი. მოსრიალების მაგვარი რამე მომსვლოდა, მოვშვებულიყავი, ძილის ნაწილი გავმხდარიყავი. ახლა კი ძილი უკანასკნელია რისი გაკეთებაც მინდა. მე მარლასთან ერთად ვარ ოთახში 8G Regent Hotel-ში. საკუთარ პატარა ოთახებში შეკეტილ მოხუცებთან და ნარკომანებთან, აქ, როგორღაც, ჩემი მოსიარულე სასოწარკვეთა ნორმად და მოსალოდნელობად აღიქმება.

„აქ,“ ყვება მარლა სანამ ის ფეხი-ფეხზე გადადებული ზის თავის საწოლზე და ექვსიოდე ძილის საწინააღმდეგო ტაბლეტს ხელის მირტყმით ყრის გარეთ პლასტიკური შეფუთვიდან. „მე ერთ ბიჭს ვხვდებოდი, რომელსაც საშინელი კოშმარები აწუხებდა. მასაც სძულდა ძილი.“
რა მოუვიდა ბიჭს რომელსაც ის ხვდებოდა?
„ეჰ, მოკვდა. გულის შეტევით. დოზის გადაჭარბებით. ძალიან ბევრი ამფეტამინის მიღების გამო.“ მარლა ამბობს, „ის მხოლოდ ცხრამეტი წლის იყო.“
გმადლობ რომ გამიზიარე.
როცა ჩვენ სასტუმროში შემოვედით, ტიპს რომელიც მიმღებში იდგა ნახევარი თმა ფესვებიანად ჰქონდა ამოგლეჯილი. სკალპი აწითლებულო და დაბეჟილი ჰქონდა, ის მე მომესალმა. მისი უფროსები, რომლებიც ტელევიზორს უყურებდნენ ჩემსკენ მოტრიალდნენ და შემომხედეს რათა ენახათ თუ ვინ ვიყავი, როცა მან სერი დამიძახა.
„საღამო მშვიდობისა, სერ.“
იმავე წუთს, მე წარმოვიდგენ, რომ ის რეკავს ნგრევის პროექტის ცენტრალურ ოფისში და ჩემს ადგილსამყოფელს ატყობინებს. მათ აქვთ კედელზე გასაკრავი ქალაქის რუქა და ჩემს გადაადგილებას საკანცელარიო ჭიკარტებით აღნიშნავენ მასზე. თავი ველურ სამეფოში მიგრირებული ნიშანდედებული ბატივით ვიგრძენი. ისინი ყველანი მე მითვალთვალებენ, გამოჭერილი ვყავარ.
„შეგიძლია ექვსივე გადაყლაპო და მუცელს არ აგატკიებს.“ ამბობს მარლა, „მაგრამ მოგიწევს ტრაკიდან შეიცურო.“
ოჰ, რა სასიამოვნოა.
მარლა ამბობს, „მე არ ვაზვიადებ. შეგვიძლია რაიმე უფრო ძლიერი მივიღოთ მოგვიანებით. რაიმე სერიოზული ნარკოტიკი, მაგალითად ჯვრიანი, ან შავი მზეთუნახავი, ან ალიგატორი.“
მე მათ ტრაკში არ შევიდებ.
„მაშინ მარტო ორი ცალი მიიღე.“
სად ვაპირებთ წასვლას?
„ბოულინგზე. ისინი მთელი ღამე მუშაობენ და იქ დაძინების უფლებას არ მოგცემენ.“
სადაც არ უნდა წავიდეთ, ვამბობ მე, ყოველ ქუჩაში შემხვედრ ტიპს ტაილერ დერდენი ვგონივარ.
„ამიტომ არ გვახდევინებენ ავტობუსის მძღოლები მგზავრობის ფულს?“
ჰო. და ამის გამო დაგვითმო ავტობუსში ადგილი ორმა ბიჭმა.
„რა უნდა ქნა?“
არა მგონია უბრალოდ დამალვა საკმარისი იყოს. რამე უნდა გავაკეთოთ, რომ ტაილერს თავი დავაღწიოთ.
„ადრე ერთ ბიჭს ვხვდებოდი, რომელსაც ჩემი ტანსაცმლის ტარება უყვარდა.“ ამბობს მარლა. „ხო აზრზე ხარ, კაბების. ვუალიანი ქუდებით. შემიძლია ისინი გადაგაცვა და გაგაპარო.“
მე არ ვიცვამ ქალის ტანსაცმელს და არ ვიკეთებ ტრაკში ტაბლეტებს.

„ყველაფერი უარესდება,“ ამბობს მარლა. „ადრე ერთ ბიჭს ვხვდებოდი, რომელსაც, უნდოდა რომ ლესბოსური სცენა გამეთამაშებინა მის გასაბერ თოჯინასთან.“
მე უკვე წარმოვიდგენ როგორ ვხდები მარლას მორიგი ისტორია.
ერთხელ მე ვხვდებოდი ბიჭს, რომელსაც პიროვნების გახლეჩა ჰქონდა.
„მე კიდე ერთ ბიჭს ვხვდებოდი, რომელიც პენისის გადიდების სხვადასხვა საშუალებით სარგებლობდა.“
მე ვკითხები რომელი საათია?
„ღამის ოთხი საათი.“
დარჩენილ სამ საათში მე უკვე სამსახურში უნდა ვიყო.
„ტაბლეტები წამოიღე,“ ამბობს მარლა. „შენ ტაილერ დერდენი ხარ და ისინი ალბათ უფასოდ შეგვიშვებენ ბოულინგზე. ჰეი, სანამ ტაილერს დავაღწევთ თავს, შეგვიძლია შოპინგზე გავიდეთ? შეგვეძლო კარგი მანქანე დაგვეთრია. ცოტა ტანსაცმელი. რამდენიმე კომპაქტური დისკი. საუკეთესო რამეები ვითრიოთ უფასოდ.“
მარლა.
„კარგი, დაივიწყე.“
**26**
ძველი გამონათქვამი, იმის შესახებ, რომ შენ კლავ იმას რაც გიყვარს, მოკლედ, ასეც ნაღდია და პირიქითაც.
და ის მართლა ნაღდია, ასეც და პირიქითაც.
ამ დილით სამსახურში მივედი და იქ პოლიციის ბარიკადები დამხვდა შენობასა და ავტოსადგომს შორის, შესასვლელში პოლიციელები იდგნენ, რომლებიც ჩვენებებს იღებდნენ ჩემი თანამშრომლებისგან. ყველასგან ვინც კი გარშემო დააბიჯებდა.
მე ავტობუსიდან არც კი ჩამოვსულვარ.
მე ჯოს ცივი ოფლი ვარ.
ავტობუსიდან შენობის მესამე სართულს ვხედავ ჭერიდან იატაკადე, რომელიც აფეთქებულია და მეხანძრე თავისი ყვითელი, ჭუჭყიანი მოსასხამოთ ჭერზე დაკიდებული დამწვარი პანელის ჩამოხევას ცდილობს. დამდნარ სამუშაო მაგიდას ორი მეხანძრე მოაცურებს ჩამსხვრეული ფანჯრისკენ და ხელის კვრით აგდებს იქიდან. მაგიდა იხრება და სრიალდება და ვარდება მესამე სართულიდან და ტროტუარზე ეცემა, უფრო მგრძნობიარედ ვიდრე ხმაურიანად.
იხსნება და ისევ კვამლი ასდის.
მე ჯოს კუჭის თავი ვარ.
ეს ჩემი სამუშაო მაგიდაა.
მე ვიცი რომ ჩემი უფროსი მკვდარია.
ნაპალმის დამზადების სამი გზა. მე ვიცოდი, რომ ტაილერი მის მოკვლას აპირებდა. იმ წამს, როცა მე ბენზინის სუნი მეცა საკუთარი ხელებიდან, როცა ვუთხარი, რომ სამსახურიდან წასვლა მინდოდა, მე მას ნებართვას ვაძლევდი. თავი ისე იგრძენი, როგორც შენს სახლში.
მოკალი ჩემი უფროსი.
ოჰ, ტაილერ.
მე ვიცი, რომ კომპიუტერი აფეთქდა.

მე ვიცი ეს, იმიტომ რომ ტაილერმა იცის ეს.
მე არ მინდა, რომ ვიცოდე ეს, მაგრამ შენ იუველირის დრელს იყენებ კომპიუტერის მონიტორის გასახვრეტად. ყველა ასტრონავტმა მაიმუნმა იცის ეს.
მე დავბეჭდე ტაილერის ჩანაწერები. ეს ნათურიანი ბომბის ახალი ვერსიაა, სადაც შენ ხვრეტ ნათურას და მას ბენზინით ავსებ. ნახვრეტს ცვილით ან სილიკონით ქოლავ, შემდეგ ნათურას ბუდეზე ამაგრებ და ოთახში ვიღაცას უშვებ ნათურის ასანთებად.
კომპიუტერის მილი გაცილებით მეტ ბენზინს იტევს ვიდრე ნათურა.
კათოდური სხივის მილი, კსმ, ან პლასტიკური საცავი უნდა მოგეშორებინა მილისითვის, ეს საკმაოდ ადვილია, ან მის ზედა სავინიტილაციო ხვრელზე უნდა გემუშავა.
თავიდან მონიტორის სარჭობი უნდა გამოთიშო დენის წყაროდანაც და კომპიუტერიდანაც.
ეს ტელევიზორზეც იმუშავებს.
უბრალოდ გასხოვდეთ, ერთი პატარა ნაპერწკალი, თუნდაც სტატიკური ელექტრობისა თქვენი ხალიჩიდან და თქვენ მკვდარი ხართ. აკივლებული, ცოცხლად დამწვარი მკვდარი.
კათოდური სხივის მილს შეუძლია 300 ვოლტი პასიური ელექტრო ენერგია შეინახოს, ასე რომ თავიდან დენის მთავარი კონდესატორი უნდა განმუხტოთ დიდი სახრახნისის გამოყენებით. თუ ამან მოგკლა, ე.ი არაიზოლირებული სახრახნისი გამოიყენე.
კათოდური სხივის მილში უჰაერო სივრცეა, ამიტომ, გახვრეტის დროს შეიძლება მან ჰაერის შეწოვა დაიწყოს. რაღაც ჩასუნთვისა და პატარა სტვენის მაგვარი ქმედება ჩაიდინოს.
გააფართოვე ნახვრეტი უფრო მსხვილი ბურღით, შემდეგ უფრო მსხვილით, იქამდე სანამ ძაბრის მოთავსებას არ შეძლებ მასში. შემდეგ აავსე ის შენს მიერ შერჩეული ასაფეთქებელი საშუალებით. კუსტარულად დამზადებულ ნაპალმს არა უშავს. ბენზინი, ან გაყინულ ფორთოხლის წვენში და კატის კურკლში შერეული ბენზინი.
ასეთი მხიარული აფეთქების მოსაწყობად საჭიროა კალიუმი შეურიოთ შაქრის ფხვნილს. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ინგრედიენტი, რომელიც ძალიან სწრაფად იწვის, შევურიოთ მეორე ინგრედიენტს, რომელიც მას წვისთვის საჭირო ჟანგბადს მიაწვდის. ეს იმდენად სწრაფად იწვის, რომ აფეთქებად იქცევა.
ბარიუმის ზეჟანგბადი და თუთიის მტვერი.
ამონიუმის ნიტრატი და ალუმინის ფხვნილი.
ანარქიის თანამედროვე სამზარეულო.
ბარიუმის ნიტრატი გოგირდოვანი საწებლით და ნახშირით შეკმაზული. ეს არის შენი ძირითადი დენთი.
გემრიელად მიირთვით.
აავსე კომპიუტერი ამ ყველაფრით და როგორც კი ვინმე მას ჩართავს, ხუთი ან ექვსი ფუნტი დენთი სახეში შეაფეთქდება.
საქმე იმაშია, რომ მე სადღაც მომწონდა ჩემი უფროსი.

თუ შენ ხარ მამაკაცი, და ხარ ქრისტიანი და ამერიკელი, მამაშენი შენთვის ღმერთის პატარა მოდელია. და ზოგჯერ მამას კარიერაში პოულობ.
ტაილერს არ მოსწონდა ჩემი უფროსი.
პოლიცია ალბათ მე მეძებს, მე ვიყავი უკანასკნელი ვინც პარასკევ საღამოს შენობა დატოვა. საკუთარ სამუშაო მაგიდაზე გავიღვიძე, რომელიც ჩემი სუნთქვით იყო დაორთქლილი და ტაილერი ყურმილიდან მეუბნებოდა, „გადი გარეთ, მანქანა გვიცდის.“
კადილაკი გვიცდის.
ხელებზე ბენზინი კიდე არ მომშორებოდა.
მებრძოლთა კლუბის მექანიკოსმა მკითხა, რის გაკეთებას ისურვებდი სიკვდილის წინ?
მე სამსახურის მიტოვება მინდოდა. ტაილერს ნებართვას ვაძლევდი. თავი ისე იგრძენი, როგორც შენს სახლში. მოკალი ჩემი უფროსი.
მე ჩემი აფთქებული ოფისიდან ქვიშიან მანქანის მოსატრიალებლამდე მივდივარ, გზის ბოლოში. აი თურმე სად ათავისუფლებენ ადგილებს ავტოსადგომებისთვის და სახნავი მიწებისთვის. მძღოლი ტომრიდან სადილს და თერმოსს იღებს და თავს ზემოთ დაკიდული სარკიდან მიყურებს.
ვცდილობ წარმოვიდგინო, სად შემიძლია წავიდე სადაც ძაღლები არ მომძებნიან. ავტობუსის ბოლოდან ალბათ ოცამდე ადამიანს ვხედავ ჩემსა და მძღოლს შორის. ოც კეფას ვითვლი.
ოცი გადაპარსული თავი.
მძღოლი ტრიალდება და მე მომმართავს მის უკან მჯდარს, „ბ-ნო დერდენ, სერ, მე აღფრთოვანებული ვარი იმით, რასაც თქვენ აკეთებთ.“
მე ის მანამდე არასდროს მინახავს.
„თქვენ ეს უნდა მაპატიოთ,“ ამბობს მძღოლი. „კომიტეტი ამბობს რომ ეს თქვენი საკუთარი იდეაა სერ.“
გადაპარსული თავები ერთმანეთის მიყოლებით ტრიალდებიან. შემდეგ რიგ-რიგობით დგებიან. ერთ-ერთ მათგანს ხელში ჩვარი უჭირავს და ეთერის სუნი დგება. ყველაზე ახლოს მდგომს, სანადირო დანა აქვს. ეს დანიანი მებრძოლთა კლუბის მექანიკოსია.
„თქვენ მამაცი ადამიანი ხართ,“ ამბობს ავტობუსის მძღოლი. „საკუთარი თავი საშინაო დავალებად რომ აქციეთ.“
მექანიკოსი ეუბნება მძღოლს, „მოკეტე,“ და ამბობს, „ის ვინც ატასაზეა ტვინს არ უნდა ტყნავდეს ლაპარაკით.“
ერთ-ერთ მაიმუნ ასტრონავტს ხელში რეზინის ზონარი უჭირავს, რათა ყვერებზე შემოსახვევად გამოიყენოს. ისინი ავტობუსის წინა ნაწილს ხერგავენ.
„თქვენ ხომ იცით ჩვენი სწავლება ბ-ნო დერდენ. ეს თქვენ თავად თქვით. თქვენ თქვით, რომ თუ ვინმე შეეცდებოდა მებრძოლთა კლუბის დახურვას, თუნდაც თქვენ, ჩვენ მას ყვერებს მოვაჭრიდით.“
გონადები.
ბურთულები.

ყვერუკები.
კვერცხუკები.
წარმოიდგინე შენი არსების საუკეთესო ნაწილი სენდვიჩის პაკეტში გახვეული და გაყინული, ქაღალდის ქუჩის საპნის საამქროში.
„თქვენ იცით, რომ აზრი არა აქვს ჩვენთან ბრძოლას," ამბობს მექანიკოსი. მძღოლი თავის სენდვიჩს ჭამს და სარკეში გვიყურებს თავს ზემოთ.
პოლიციის სირენის ღმუილი გვიახლოვდება. სადღაც ტრაქტორი თახთახით კვეთს მინდორს. ჩიტები. ავტობუსის უკანა ფანჯარა ნახევრად ღიაა. ღრუბლები. ხრეშიანი მანქანის მოსაბრუნებელი წრის გარშემო სარეველა ბალახი იზრდება. მათ კი ბზულით დასტრიალებენ თავს ფუტკრები და ბუზები.
„ჩვენ ამ წვრილმანსაც მოვაგვარებთ," ამბობს მებრძოლთა კლუბის მექანიკოსი. „ამჯერად ეს მხოლოდ მუქარად არ დარჩება, ბ-ნო დერდენ. ამჯერად ჩვენ ნამდვილად დაგკოდავთ."
ავტობუსის მძღოლი ამბობს, „ძაღლები მოვიდნენ."
სირენები სადღაც ავტობუსის წინიდან მოდიან.
მაშ რიღასთვის უნდა ვიბრძოლო ახლა?
პოლიციის მანქანა ავტობუსისკენ მოიწევს. შუქები ლურჯად და წითლად ელავენ საქარე მინიდან, და ავტობუსის გარედან ვიღაც ყვირის, „ადგილიდან არ გაინძრეთ."
და მე გადავრჩი.
თითქოს გადავრჩი.
შემიძლია ტაილერზე მოვუყვე მათ, მე მათ ყველაფერს მოვუყვები მებრძოლთა კლუბის შესახებ, და შესაძლოა ციხეშიც ჩავჯდე, და ნგრევის პროექტს შეექმნება პრობლემები, რომლებსაც ვერ გადაჭრის, მე კი ამ დანას ავცდები.
ძაღლები ავტობუსის კიბეებზე ამოდიან, პირველი ძაღლი ამბობს, „უკვე დაკოდეთ?"
მეორე ძაღლი ამბობს, „დროზე ქენით, მისი დაპატიმრების ორდერია გაცემული."
შემდეგ ის ქუდს იხდის და მეუბნება, „არაფერი პიროვნული ბ-ნო დერდენ. სასიამოვნოა, რომ როგორც იქნა შეგხვდით."
მე ვამბობ, თქვენ ყველანი ძალიან დიდ შეცდომას უშვებთ.
მექანიკოსი ამბობს, „თქვენ გაგვაფრთხილეთ, რომ ამას იტყოდით."
მე არ ვარ ტაილერ დერდენი.
„თქვენ გაგვაფრთხილეთ, რომ ამასაც იტყოდით."
მე წესებს ვცვლი, შეგვიძლია არ დავხუროთ მებრძოლთა კლუბი, მაგრამ არავინ აღარ უნდა დავკოდოთ ამიერიდან.
„ჰო, ჰო, ჰო," ამბობს მექანიკოსი. ის ჩემსკენ იხრება სკამებს შორის და სადღაც ამ მოძრაობის ნახევარგზაზე ჩერდება და დანა წინ აქვს გამოშვერილი. „თქვენ გაგვაფრთხილეთ, რომ აუცილებლად გვეტყოდით ამას."
კარგი, რახან ასეა, მე ვარ ტაილერ დერდენი. დიახ ვარ. მე ტაილერ დერდენი ვარ და აქ მე ვადგენ წესებს, ამიტომ გიბრძანებ, სასწრაფოდ დააგდე დანა."
მექანიკოსი საკუთარ მხრებს უკან იძახის, „რა დრო გვაქვს საუკეთესო შემთხვევაში მოაჭერი-და-გაიქეცის შესასრულებლად?"
ვიღაც ყვირის, „ოთხი წუთი."

მექანიკოსი ყვირის, „ვინმემ დაინიშნა დრო?“
ორივე პოლიციელი უკვე ავტობუსშია და წინ დგას, და ერთ-ერთი მათგანი უყურებს თავის მაჯის საათს და ამბობს, „ერთი წამით. დავიცადოთ სანამ პატარი ისარი თორმეტთან მივა.“
პოლიციელი ამბობს, „ცხრა.“
„რვა.“
„შვიდი.“
მე ნახევრად ღია ფანჯრისკენ ვხტები.
მუცელს ნახევრად ღია ფანჯრის მეტალის რაფას ვურტყამ, და ჩემს უკან, მექანიკოსი ყვირის, „ბ-ნო დერდენ, თქვენ ასე დროში ჩაგვიჯვამთ.“
ნახევრად გარეთ გადამძვრალი ვკიდივარ ფანჯარაზე და შავ, რეზინის უკანა სავალ საბურავს ვებღაუჭები. ხელს ბორბალს ვკიდებ და ვექაჩები. ვიღაც ფეხში მწვდება და მექაჩება. მე პატარა ტრაქტორს ვუყვირი შორს, „ჰეი.“ და „ჰეი.“ სახე მიხურდება და სისხლი მასხავს, თავდაყირა ვკიდივარ. ოდნავ ვიწევი გარეთ. კოჭებზე შემოვლებული ხელები უკან მექაჩებიან. ჰალსტუხლი სახეში მეტყაპუნება. ქამარი ლითონის რაფაზე იჭედება. ფუტკრები და ბუზები და სარეველა ბალახი რამდენიმე ინჩით არის დაშორებული ჩემ სახეს და მე ვყვირი, „ჰეი.“
ხელები შარვალზე მწვდებიან უკან, შიგნით მიმათრევენ, ქამარს მიხსნიან და შარვალს მხდიან ტრაკზე.
ავტობუსში ვიღაც ყვირის, „ერთი წუთი.“
ფეხსაცმელები მძვრება.
ჩემი ქამარი რაფაზე სრიალდება.
ხელებს ერთმანეთთან მიაქვთ ჩემი ფეხები. ფანჯრის რაფა მზის სითბოს მაცლის მუცლიდან. ჩემი პერანგი ტალღებს აკეთებს და ისევ კისერზე და მხრებზე მეცემა, ხელებით ისევ ბორბალს ვეჭიდები, ისევ ვყვირივარ, „ჰეი!“
ჩემი ფეხები გაჭიმული და ერთმანეთზეა მიტყუპებული ჩემს უკან. შარვალი მძვრება და ქრება. მზე ტრაკზე თბილად დამნათის.
სისხლი თავში მაწვება, თვალები მეკარკლება, მხოლოდ საკუთარ პერანგს ვხედავ, რომელიც თავზე მაქვს წამოფარებული. სადღაც ტრაქტორი თახთახებს. ფუტკრები ბზუიან. სადღაც. მილიონი მილით ვშორდები ყველაფერს. სადღაც, მილიონი მილის მოშორებით ჩემს უკან, ვიღაც ყვირის, „ორი წუთი.“
ფეხებს შორის ხელი სრიალდება და მეთათუნება.
„არ ატკინოთ.“ ამბობს ვიღაცა.
ჩემს კოჭებზე შემოხვეული ხელები, მილიონი მილით არიან დაშორებული ჩემგან. წარმოიდგინე ისინი გრძელი, გრძელი გზის ბოლოს. წარმართული მედიტაცია.
ნუ წარმოიდგენ ფანჯრის რაფას, როგორც ცხელ დანას, რომელიც მუცელს გისერავს.
ნუ წარმოიდგენ მამაკაცთა ჯგუფს, რომლებიც შენს ფეხებს აქეთ-იქით მიექაჩებიან.
მილიონი მილის მოშორებით, მძღნერილიონი მილის მოშორებით, ვიღაც უხეშ თბილ ხელს გკიდებს ძირში და უკან გექაჩება, და რაღაც გიჭერს, უფრო და უფრო ძლიერად.
რეზინის ლენტი.

შენ ირლანდიაში ხარ.
შენ მებრძოლთა კლუბში ხარ.
შენ სამსახურში ხარ.
შენ ყველგან ხარ, ოღონდ აქ არა.
„სამი წუთი!“
ვიღაც ძალიან ძალიან შორიდან იძახის, „თქვენ იცით ეს გამოთქმა ბ-ნო დერდენ. მებრძოლთა კლუბთან ტრაკს ნუ ათამაშებ.“
თბილი ხელი ქვემოდან გიჭერს. დანის ცივი წვერი.
მკლავი მკერდზე გეხვევა.
თერაპიულ ფიზიკური კონტაქტი.
ჩახუტების დროა.
და ეთერი ძლიერად გებჯინება ცხოვრზე და პირზე.
შემდეგ არარსებობა. უარესი ვიდრე არარსებობა. დავიწყება.
**27**
ჩემი გადამწვარი კონდომინიუმის აფეთქებული ჩენჩო ღია კოსმოსია, ბნელი და გამოცარიელებული, ღამეში განათებული ქალაქის თავზე მოთავსებული. ფანჯრები ჩამსხვერულია, და პოლიციის ყვითელი ლენტი, რომელიც დანაშაულის სცენას არტყია, იგრიხება და ქანაობს მეთხუთმეტე სართულის კიდეზე.
მე ბეტონის იატაკზე ვიღვიძებ. ოდესღაც აქ ნეკერჩხლის იატაკი ეგო. აფეთქებამდე ნახატებიც ეკიდა კედლებზე. აქ იყო შვედური ავეჯი. ტაილერის გამოჩენამდე.
მე ჩაცმული ვარ. ხელს ჯიბეში ვიდებ და ვგრძნობ.
ყვერები ადგილზეა.
შეშინებული, მაგრამ ხელუხლებელი.
მიდი ოთახის კუთხეში, ავტოსადგომიდან თხუთმეტი სართულით მაღლა, და შეხედე ქალაქის განათებას და ვარსკვლავებს, და შენ გაქრები.
ეს ყველაფერი ისე შორსაა ჩვენგან.
აქ მაღლა, ღამეულ მანძილებში ვარსკვლავებსა და დედამიწას შორის, მე თავს ასტრონავტი ცხოველივით ვგრძნობ.
ძაღლები.
მაიმუნები.
ადამიანები.
შენ უბრალოდ შენს პატარა სამუშაოს ასრულებ. მოქაჩე ბერკეტს. დააჭირე ღილაკს. სინამდვილეში ამის არაფერი გესმის.
მსოფლიო გაგიჟდა. ჩემი უფროს მკვდარია. ჩემი სახლი განადგურებულია. ჩემი სამსახური განადგურებულია. და ეს ყველაფერი ჩემი ბრალია.
აღარაფერი დარჩა.
ბანკში გადახარჯვა მაქვს.
გადააბიჯე ზღვარს.
პოლიციის ლენტი ჩემსა და დავიწყებას შორის ქანაობს.
გადააბიჯე ზღვარს.
სხვა რა დაგრჩენია?

გადააბიჯე ზღვარს.
შენ მარლა დაგრჩა.
გადაახტი ზღვარს.
შენ მარლა დაგრჩა და ის ამ ყველაფრის ცენტრშია მოქცეული და არ იცის ეს.
და მას უყვარხარ.
მას ტაილერი უყვარს.
ის ვერ ხედავს სხვაობას.
ვიღაცამ უნდა უთხრას მას. წაეთრიე. წაეთრიე. წაეთრიე.
თავს უშველე.
შენ ფოიეში ჩადიხარ ლიფტით, და კარის კაცი რომელსაც არასდროს მოსწონდი გიღიმის თავის სამი ჩამტვრეული კბილით და ამბობს, „საღამო მშვიდობისა ბ-ნო დერდენ. გნებავთ ტაქსი გამოგიძახოთ? თავს კარგად გრძნობთ? ტელეფონით სარგებლობა ხომ არ გჭირდებათ?“
შენ მარლას ურეკავ სასტუმრო Regent Hotel-ში.
Regent-ის თანამშრომელი გეუბნება, „ახლავე, ბ-ნო დერდენ.“
მარლა ტელეფონთან მოდის.
კარის კაცი მხრებს ზემოდან გისმენს. შესაძლოა Regent-ის თანამშრომელიც გისმენს.
შენ ამბობ, მარლა, უნდა ვილაპარაკოთ.
მარლა ამბობს, მისუნე ტრაკზე.
მას შესაძლოა საფრთხე დაემუქროს, ამბობ შენ. ის იმსახურებს იცოდეს რა ხდება. ის უნდა შეგხვდეს. თქვენ უნდა ილაპარაკოთ.
„სად?“
ის უნდა მივიდეს იმ ადგილას სადაც ჩვენ პირველად შევხვდით. გაიხსენებს. უნდა დაფიქრდეს. თეთრი განმკურნავი ბურთი. შვიდკარა სასახლე.
„მივხვდი,“ ამბობს ის. „მე ოც წუთში ვიქნები იქ.“
კარგი წადი.
შენ ყურმილს კიდებ და კარის კაცი გეუბნება, „შემიძლია მანქანა გამოგიძახოთ, ბ-ნო დერდენ. სრულიად უფასოდ მიგიყვანთ სადაც გნებავთ.“
მებრძოლთა კლუბის ბიჭები დაგყვებიან. არა, ამბობ შენ, ასეთი მშვენიერი ღამეა, ჯობია ფეხით გავიარო.
ეს შაბათის ღამეა, პირველი მეთოდისტური ტაძრის სარდაფში ნაწლავის კიბოთი დაავადებულები იკრიბებიან, და როცა შენ მიდიხარ მარლა იქ გხვდება.
მარლა ზინგერი სიგარეტით ხელში. მარლა ზინგერი თვალებს ატრიალებს. მარლა ზინგერი ჩაშავებული თვალით.
თქვენ ერთმანეთის პირისპირ სხედხართ ბეწვიან ხალიჩაზე და შენ ცდილობ საკუთარ შინაგან ცხოველს მოუხმო სანამ მარლა თავისი შავი თვალებით მოგჩერებია. შენ ხუჭავ თვალებს და მედიტაციას შვიდკარა სასახლეში შეყავხარ, მაგრამ მარლას მზერას მაინც გრძნობ. შენ არწევ შენ შინაგან ჩვილს.
მარლა თვალს არ გაშორებს.
შემდეგ ჩახუტების დრო დგება.
გაახილეთ თვალები.

ჩვენ ყველამ უნდა ავირჩიოთ პარტნიორი.
მარლა სამი ნაბიჯით სწრაფად კვეთს ოთახს და სახეში მირტყამს.
ბოლომდე გაეხსენით ერთმანეთს.
„შე გამოყლევებულო მძღნერის ნაჭერო.“
გარშემო ყველა ჩერდება და ჩვენ გვაშტერდება.
შემდეგ მარლას ორივე მუშტი ჩემს ცემას იწყებს ყოველი მხრიდან. „შენ ადამიანი მოკალი,“ ის კივის. „მე პოლიცია გამოვიძახე და წუთი-წუთზე აქ იქნებიან.“
მე მაჯებში ვტაცებ ხელს და ვამბობ, შეიძლება პოლიცია მოვიდეს, მაგრამ მე მგონია რომ არ მოვა.
მარლა იკლაკნება და ამბობს, რომ პოლიციელები გადაჭარბებული სიჩქარით მოქრიან რათა ელექტრო სკამზე მიმაკრან და თვალები გადმომანთხევინონ ან მინიმუმ სასიკვდილო ინექცია მაინც გამიკეთონ.
ფუტკრის კბენასავით იგრძნობ.
ნატრიუმის ფენობარბიტალის გადაჭარბებული დოზა, და შემდეგ უსასრულო ძილი. როგორც უპატრონო ძაღლების სასაკლაო.
მარლა ამბობს, რომ დღეს ნახა როგორ მოვკალი ვიღაც.
თუ ჩემს უფროსს გულისხმობ, მე ვამბობ, ჰო, ჰო, ჰო, ჰო, ვიცი, პოლიციამაც იცის, უკვე ისედაც ყველა მე მეძებს სასიკვდილო ინექციის გასაკეთებლად, მაგრამ ჩემი უფროსი ტაილერმა მოკლა.
უბრალოდ მოხდა ისე, რომ მე და ტაილერს ერთი და იგივე თითის ანაბეჭდები გვაქვს, მაგრამ ამას ვერავის ვაგებინებ.
„მისუნე ტრაკზე ნაბიჭვარო.“ ამბობს მარლა და ნაცემი თვალი ჩემსკენ მოაქვს. „შენ და შენ მოწაფეებს მოგწონთ როცა გირტყამენ, კიდევ ერთხელ შემეხები მე და მკვდარი ხარ.“
„მე ვნახე როგორ დაცხრილე ვიღაც კაცი დღეს.“ ამბობს მარლა.
არა, ეს ბომბი იყო, ვამბობ მე, და ეგ დილით მოხდა. ტაილერმა კომპიუტერის მონიტორი გახვრიტა და შიგნით ბენზინი და შავი ფხვნილი მოათავსა.
ყველა ვისაც ნაწლავების კიბო აქვს ჩვენს სიახლოვეს დგას და ამ ყველაფერს მისჩერებია.
„არა,“ ამბობს მარლა. „მე შენ სასტუმრო Pressman Hotel-ში გამოგყევი და შენ ოფიციანტი იყავი მათ ერთ-ერთ იდუმალი მკვლელობის წვეულებაზე.“
იდუმალი მკვლელობის წვეულებისას, სასტუმროში მდიდარი ადამაინები დადიან უზარმაზარ ვახშამზე, სადაც ისტორიები თამაშდება აგათა კრისტის სტილში. ზოგჯერ სადღაც გრავლაქსსა და ირმის ხორცს შორის, შუქი ქრება და ვიღაცის მკვლელობის ინსცენირება ხდება. ეს რაღაც სასაცილო უნდა იყოს, მოდი გავითამაშოთ თითქოს მოვკვდით.
ვახშმის დარჩენილ დროს, სტუმრები სვამენ და თავის Madeira Consomme-ს შეექცევიან და ცდილობენ გამოიცნონ რომელი მათგანია ფსიქოპათი მკვლელი.
მარლა ყვირის, „შენ ესროლე მერის საგანგებო ატაშენს ნაგვის საკითხებში!“
ტაილერმა ესროლა მერის საგანგებო ატაშეს რაღაცაში.
მარლა ამბობს, „და შენ კიბოც კი არ გჭირს.“

ასე სწრაფად ხდება ყველაფერი.
თითები გაატკაცუნე.
ყველა გვიყურებს.
მე ვყვირი, არც შენ არ გაქვს კიბო!
„ის აქ ორი წელი დაეთრეოდა," ყვირის მარლა, „მას არაფერი არ სჭირს!"
მე შენი სიცოცხლის გადარჩენას ვცდილობ.
„რა? რა სჭირს  ჩემს სიცოცხლეს გადასარჩენი?"
იმიტომ რომ შენ მე დამყვებოდი. იმიტომ რომ დღეს საღამოს გამომყევი, იმიტომ რომ შენ ნახე როგორ მოკლა ტაილერმა ვიღაც, და რომ ტაილერი მოკლავს ნებისმიერს ვინც ნგრევის პროექტს დაემუქრება.
ოთახში თითქოს ადამიანები საკუთარი პატარა ტრაგედიებიდან გამოერკვნენ. თავიანთი პატარა კიბოებიდან. ისინიც კი ვინც ტკივილგამაყუჩებლებზე სხედან შეშფოთებულები გვიყურებენ გაფართოებული თვალებით.
მე ვეუბნები ხალხის ჯგუფს, ძალიან ვწუხვარ. არასდროს არაფრის გაფუჭება არ მდომებია. ჩვენ უნდა წავიდეთ. ჩვენ ამაზე გარეთ უნდა გავაგრძელოთ ლაპარაკი.
ყველანი მიდიან, „არა! მოიცა! მეტი რა უნდა მითხრა?"
მე არავინ მომიკლავს, ვამბობ მე. მე არ ვარ ტაილერ დერდენი. ის ჩემი გახლეჩილი პიროვნების მეორე მხარეა. მე ვამბობ, აქ რომელიმეს უნახავს ფილმი Sybil?
მარლა ამბობს, „ვინ აპირებს ჩემს მოკვლას?"
ტაილერი.
„შენ?"
ტაილერი, ვამბობ მე, მაგრამ ტაილერს მე თვითონ მოვუვლი. შენ უბრალოდ ნგრევის პროექტის წევრებს ერიდე. შეიძლება ტაილერმა უკვე უბრძანა მათ გდიონ ან მოგიტაცონ ან რამე სხვა.
„რატო უნდა დავიჯერო ეს?"
ასე სწრაფად ხდება ყველაფერი.
მე ვამბობ, იმიტომ, რომ მე მგონი მომწონხარ.
მარლა ამბობს, „მხოლოდ მოგწონვარ?"
ახლა ამის დრო არ არის, ვამბობ მე. ნუ მაიძულებ.
ყველანი ღიმილით გვიყურებენ.
უნდა წავიდე. მე უნდა წავიდე აქედან. მე ვამბობ, ერიდე თავგადაპარსულ ტიპებს და ტიპებს რომლებიც ნაცემებს გვანან. ჩაშავებულ თვალებს. სიცარიელეებს კბილებს შორის. და ეგეთ რამეებს.
მარლა ამბობს, „შენ სად მიდიხარ?"
მე ტაილერ დერდენს უნდა მივხედო.
**28**
მას ერქვა პატრიკ მადენი, და ის იყო მერის საგანგებო ატაშე ნაგვის საკითხებში. მას ერქვა პატრიკ მადენი და ის იყო ნგრევის პროექტის დაუძინებელი მტერი.
მე გამოვდივარ პირველი მეთოდისტური ტაძრის გარშემო ჩამოწოლილ ღამეში და ყველაფერი უკან მიბრუნდება.
ყველაფერი რაც ტაილერმა იცის ისევ ჩემში ბრუნდება.

პატრიკ მადენი იმ ბარების სიას ადგენდა სადაც მებრძოლთა კლუბები იკრიბებოდნენ.
უცებ მე ვხვდები, რომ ვიცი კინო პროექტორის გამოყენება. მე ვიცი როგორ გავტეხო საკეტი და ვიცი როგორ დაიქირავა ტაილერმა სახლი ქაღალდის ქუჩაზე, სწორედ იქამდე სანამ სანაპიროზე გამომეცხადებოდა.
მე ვიცი რატომ გამოჩნდა ტაილერი. ტაილერს მარლა უყვარდა. პირველივე დღიდან როცა მე მას შევხვდი, ტაილერს, თუ ჩემს რომელიღაც ნაწილს ძალიან უნდოდა მარლას დასათრევად რაიმე ეღონა.
თითქოს ეს რამეს ნიშნავდა. დღეს ნამდვილად აღარ ნიშნავს. მაგრამ ყოველი დეტალი სათითაოდ ბრუნდება ჩემში, როცა ღამეში დავაბიჯებ უახლოეს მებრძოლთა კლუბთან.
აქ, ბარ Armory-ის სარდაფში მებრძოლთა კლუბის შაბათის ღამის შეხვედრაა. შენ შეიძლება გინახავს ის სიაში, რომელსაც პატრიკ მადენი ადგენდა. საწყალი, მკვდარი პატრიკ მადენი.
ამაღამ მე ბარ Armory-ში მივდივარ და ხალხი ელვა შესაკრავივით იყოფა ორ ნაწილად როცა მე შიგნით შევდივარ. აქ მე ყველასთვის ტაილერ დერდენი ვარ, დიადი და უძლიერესი. ღმერთი და მამა.
ყოველი მხრიდან მესმის, „საღამო მშვიდობისა, სერ.“
„კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, სერ.“
„დიდი მადლობა რომ შემოგვიერთდით, სერ.“
მე, ჩემი მონსტრი სახე მოშუშებას იწყებს. ჩემი ლოყა სახეს ჰგავს საიდანაც ნახვრეტი იღიმის. ნამდვილი პირი კი მოკუმული მაქვს.
იმიტომ რომ ტაილერ დერდენი ვარ, და შეგიძლიათ ტრაკზეც მაკოცოთ, მე ჩხუბში ყოველ მებრძოლს ვიწვევ მებრძოლთა კლუბიდან ამაღამ. ორმოცდაათი ბრძოლა. ერთმანეთის მიყოლებით. ფეხსაცმელების გარეშე. პერანგის გარეშე.
ბრძოლა გრძელდება იქამდე სადამდეც უნდა გაგრძელდეს.
და თუ ტაილერს უყვარს მარლა.
მე მიყვარს მარლა.
და ის რაც ხდება სიტყვებით ვერ გადმოიცემა. მე მინდა საფრანგეთის ის ყველა ნაპირი ჩავძირო სადაც ვერასდროს მოვხვდები. წარმოიდგინე ცხენ-ირემაზე ნადირობა ნესტიან კანიონის ტყეებში Rockefeller Center-ის გარშემო.
პიველივე ბრძოლაში, ტიპი ხელებს მიკავებს და სახეს მარტყმევინებს, ლოყას მარტყმევინებს, ლოყის ნახვრეტს მარტყმევინებს ცემენტის იატაკზე, სანამ კბილები არ მტყდება და ძირებით ენაში არ მერჭობა.
ახლა მახსენდება პატრიკ მადენი, გვამი იატაკზე, მისი ცოლის პატარა ფიგურა, უბრალოდ პატარა გოგონა შინიონის ვარცხნილობით. მისმა ცოლმა ჩაიხითხითა და შეეცადა შამპანური ჩაესხა თავისი მკვდარი ქმრის ტუჩებს შორის.
ცოლმა თქვა რომ ყალბი სისხლი ძალიან, ძალიან წითელი იყო. ქბ-ნმა პატრიკ მადენმა ორი თითი ჩაჰყო თავისი ქმრის გვერდით დაგუბებულ სისხლში და შემდეგ თითები პირში ჩაიდო.
კბილები ენაშე შემერჭო და სისხლის გემოს ვგრძნობ.

ქბ-ნმა პატრიკ მადენმა სისხლის გემო იგრძნო.
მე მახსენდება, როგორ ვიდექი, ხალხისგან მოშორებით იდუმალი მკვლელობის წვეულებაზე, მაიმუნი ასტრონავტი ოფიციანტები მცველებივით მედგნენ გარშემო. მარლა თავისი შავი ვარდებით მოხატული კაბით საკარნავალო დარბაზის მეორე მხრიდან უყურებდა ამას.
ჩემი მეორე ბრძოლა, ტიპი მუხლს მადებს მხრებს შორის. ტიპი ხელებს კისერს უკან მიჭიმავს და მკერდით ბეტონის იატაკზე მანარცხებს. ჩემი ლავიწის ძვალი ერთ მხარეს, მე მესმის მისი ტკაცუნის ხმა.
მე მინდა ელგინის ქანდაკება ურეთი დავამსხვრიო და მონა ლიზა ტრაკში ამოვისვა.
ქბ-ნ მადენს სისხლიანი ხელი გაუნძრევლად ეჭირა, სისხლი მის კბილებს შორის ნაპრალებში დაცოცავდა, სისხლი თითებზე ჩამოსდიოდა, მაჯაზე, კვეთდა ბრილიანტის სამაჯურს, იდაყვამდე, საიდანაც უკვე წვეთავდა.
ბრძოლა ნომერი სამი, მე ვიღვიძებ და უკვე მესამე ბრძოლის დროა.
მებრძოლთა კლუბში აღარ არსებობს სახელები.
შენ არ ხარ შენი სახელი.
შენ არ ხარ შენი ოჯახი.
მესამემ თითქოს იცის მე რა მჭირდება, სიბნელეში მაყოფინებს თავს, და მგუდავს. ეს მახრჩობელა ილეთია, რომელიც სწორედ იმდენი ჰარის აღების საშუალებას იძლევა, რომ არ ჩამეძინოს. ნომერ მესამე მებრძოლს თავის მოკაკვულ მკლავში უჭირავს ჩემი თავი, ზუსტად ისე, როგორც პატარა ბავშვს დაიჭერდა ან ფეხბურთის ბურთს, თავის მოკაკვულ მკლავში, და ქვასავით შეკრული მუშტით მირტყამს.
სანამ ჩემივე კბილები არ მიკბენენ ლოყის შიგნიდან.
სანამ ნახვრეტი ჩემს ლოყაზე პირის უპეს არ შეეხება, ისინი
დაფლეთილ ღიმილად იქცევიან, რომელიც ცხვირიდან ყურამდეა გადახსნილი.
ნომერი სამი იქამდე მირტყამს სანამ მუშტი არ დაებეჟება.
სანამ ტირილს არ დავიწყებ.
იმის გამო რომ ყველაფერი რაც ოდესმე გყვარებია უარგყოფს ან კვდება.
ყველაფერი რაც ოდესმე შეგიქმნია გადაიყრება.
ყველაფერი რითიც ამაყობდი სანაგვეზე დაასრულებს არსებობას.
მე ოზიმანდია ვარ, მეფეთ-მეფე.
კიდევ ერთი დარტყმა და ენა კბილებს შორის მყვება. ჩემი ენის ნაგლეჯი იატაკზე ეცემა და ჩემგან შორს მიგორავს.
ქბ-ნი პატრიკ მადენის პატარა სხეული მუხლებზე ეცემა თავისი ქმრის გვამთან, მდიდარი ადამიანები, ადამიანები, რომლებსაც ისინი მეგობრებს ეძახდნენ, მთვრალები დაბაჯბაჯებენ მის გარშემო და იცინიან.
ცოლი, ის ამბობს, „პატრიკ?“
სისხლის გუბე იზრდება და იზრდება, იქამდე, სანამ მის კაბას არ ეხება.
ის ამბობს, „პატრიკ, საკმარისია, გეყოფა სიკვდილი.“
სისხლი მისი კაბის კიდეზე გადადის, კაპილარის აქტი, ნაწილ-ნაწილ, იპყრობს მის კაბას.
ჩემს გარშემო ნგრევის პროექტის მონაწილეები ყვირიან.

შემდეგ ქბ-ნი პატრიკ მადენი იწყებს ყვირილს.
და ბარ Armory-ში ტაილერ დერდენი თბილი ხორცის მასასავით სრიალდება და იატაკზე ეცემა. დიდებული ტაილერ დერდენი, რომელიც ერთ მომენტში სრულყოფილი იყო, და რომელმაც თქვა, რომ მომენტი არის საუკეთესო რასაც შეიძლება ელოდე სრულყოფილებისგან.
და ბრძოლა გრძელდება და გრძელდება, რადგან მე მინდა რომ მოვკვდე. რადგან მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვიბრუნებთ საკუთარ სახელებს. მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვწყვეტთ ნგრევის პროექტში მონაწილეობას.
**29**
ტაილერი აქვე დგას, უნაკლოდ ლამაზი და ანგელოზივით ქერა. მაკვირვებს ჩემი სიცოცხლის წყურვილი.
მე, მე ვარ სისხლიანი ქსოვილის ნიმუში მატრასზე გამომხმარი საკუთარ ოთახში ქაღალდის ქუჩის საპნის საამქროში.
ჩემი ოთახიდან ყველაფერი გაქრა.
ჩემი სარკე, ჩემი ტერფის იმ პერიოდის ფოტო, როცა მე მთელი ათი წუთით კიბო მჭირდა. კიბოზე უარესი. სარკე გაქრა. ტუალეტის კარი ღიაა და ჩემი ექვსი თეთრი პერანგი, შავი შარვალი, საცვალი, წინდები, და ფეხსაცმელები სადღაც გაქრა.
ტაილერი ამბობს, „ადექი.“
იმ ყველაფრის ქვეშ, უკან და შიგნით რასაც ისე ვიღებდი, როგორც მოცემულობას, საშინელება ვითარდებოდა.
ყველაფერი ნაწილებად დაიშალა.
მაიმუნი ასტრონავტები უკვალოდ გაქრნენ. ყველაფერმა ადგილი იცვალა, ლაპოსაქციური ქონი, მებრძოლთა საწოლები, ფული, განსაკუთრებით ფული. მხოლოდ ბაღი დარჩა უკან, და ეს დაქირავებული სახლი.
ტაილერი ამბობს, „ერთადერთი რაც გასაკეთებელი დაგვრჩა შენი წამებაა. შენი გრანდიოზული სიკვდილი.“
ასეთი სიკვდილი არ გამოდგება, მარცხივით მოსაწყენი, ეს სასიხარულო სიკვდილი უნდ აყოფილიყო, შთამაგონებელი.
ოჰ, ტაილერ, განადგურებული ვარ. ჯობია აქვე მომკლა.
„ადექი.“
მომკალი, ბოლო-ბოლო. მომკალი. მომკალი. მომკალი. მომკალი.
„ეს გრანდიოზული უნდა იყოს,“ ამბობს ტაილერი. „წარმოიდგინე: შენ მსოფლიოს ყველაზე მაღალ შენობაზე დგახარ, მთელი შენობა ნგრევის პროექტის მონაწილეებს უკავიათ. ფანჯრებიდან კვამლი მოგორავს. სამუშაო მაგიდები შეჯგუფებულ ადამიენაბში ეცემიან ქუჩაში. სიკვდილის ნამდვილი ოპერა, აი სადამდე მიდიხარ საბოლოოდ.
მე ვამბობ, არა. შენ მე საკმარისად გამომიყენე.
„თუ ჩვენთან არ ითანამშრომლებ, ჩვენ მარლა მოვუვლით“
მე ვამბობ, შემეშვით.
„ახლავე გადმოეთრიე საწოლიდან,“ ამბობს ტაილერი, „და ჩატენე ეგ ტრაკი ჩვენს დედამოტყნულ მანქანაში.“

მაშ ასე მე და ტაილერი Parker-Morris Building-ის თავზე ვიმყოფებით, მე იარაღი მაქვს გათხრილი პირში.
ჩვენ უკანასკელი ათი წუთი დაგვრჩა.
Parker-Morris Building ათ წუთში აღარ იარსებებს. მე ვიცი ეს, იმიტომ, რომ ტაილერმა იცის ეს.
იარაღის ლულა ჩემს გლანდებს აწვება, ტაილერი ამბობს, „ჩვენ სიკვდილი არ იქნება ნამდვილი.“
მე ენით ვწევ იარაღის ლულას ჩემი გადარჩენილი ლოყისკენ და ვამბობ, ტაილერ, შენ გგონია ვამპირები ვართ.
ჩვენ უკანასკნელი რვა წუთი დაგვრჩა.
იარაღი საჭიროა იმ შემთხვევისთვის, თუ პოლიციის ვერტმფრენები მოგვისწრებენ. ღმერთის თვალში ეს ისე მოსჩანს, თითქოს მარტოხელა კაცი საკუთარ პირში თავად იდებს იარაღს.
მაგრამ ეს ტაილერს უჭირავს იარაღი, და ეს ჩემი სიცოცხლეა. აიღეთ 98% - იანი აკვამლებული აზოტმჟავა და შეურიეთ სამჯერ მეტ გოგირდის მჟავას.
თქვენ მიიღებთ ნიტროგლიცერინს.
შვიდი წუთი.
დაუმატეთ ნიტროგლიცერინს ნახერხი და თქვენ მიიღებთ შესანიშნავ პლასტიკურ ასაფეთქებელს. მაიმუნი ასტრონავტების უმეტესობა ნიტროგლიცერინს უმატებს ბამბას და ინგლისურ მარილს, როგორც სულფატს. ესეც მშვენივრად მუშაობს. ზოგი მაიმუნი, ზოგნი პარაფინს იყენებენ ნატროგლიცერინთან შესარევად. პარაფინი მე არასდროს არსად გამომიყენებია.
ოთხი წუთი.
მე და ტაილერი შენობის სახურავის კიდეზე ვდგავართ, პირში იარაღი მიდევს, მაინტერესებს რამდენად სუფთაა მისი ლულა.
სამი წუთი.
შემდეგ ვიღაც ყვირის.
„მოიცა,“ და მარლა ჩვენსკენ მოემართება სახურავის გადასწვრივ.
მარლა მოდის ჩემსკენ, მხოლოდ ჩემსკენ, რადგან ტაილერი უკვე გაქრა.
საწყალი. ტაილერი ჩემი ჰალუცინაციაა და არა მისი. ტალერი მაგიური ილეთივით სწრაფად გაქრა. და ახლა მე მარტოხელა კაცი ვარ, რომელსაც იარაღი უდევს საკუთარ პირში.
„ჩვენ შენ გამოგყევით,“ ყვირის მარლა. „ყველანი მხარდაჭერის ჯგუფიდან. შენ ეს არ უნდა ჩაიდინო. დააგდე იარაღი.“
მარლას უკან ნაწლავების კიბოიანები, ტვინის პარაზიტებიანები, მალანომიანები, ტუბერკულოზიანები მოაბიჯებენ, კოჭლობენ, ყავარჯნებით მოგორავენ ჩემსკენ. ისინი ამბობენ, „მოიცა.“
მათი ხმა ცივ ნიავს მოაქვს ჩემთან, ისინი ამბობენ, „შეჩერდი.“
და ამბობენ, „ჩვენ შეგვიძლია დაგეხმაროთ.“
„ნება მოგვეცი დაგეხმაროთ.“
ციდან ისმის, დგაფ-დგუფ-დგაფ, პოლიციის ვერტმფრენის ხმა.

მე ვყვირი, წადით. გააჯვით აქედან. ეს შენობა მალე აფეთქდება.
მარლა ყვირის, „ვიცით.“
ეს ჩემი სრული განღმერთების მომენტია.
მა თავს არ ვიკლავ, ვყვირი მე. მე ტაილერს ვკლავ.
მე ჯოს ჰარდ დისკი ვარ.
მე ყველაფერი მახსოვს.
„ეს არაა სიყვარული ან რამე მსგავსი,“ ყვირის მარლა, „მაგრამ მე მგონი მეც მომწონხარ.“
ერთი წუთი.
მარლას ტაილერი მოსწონს.
„არა, მე შენ მომწონხარ,“ ყვირის მარლა, „მე გარჩევთ ერთმანეთისგან.“
და აღარაფერი.
არაფერი ფეთქდება.
იარაღის ლულა ჩემს გადარჩენილ ლოყას ებჯინება, მე ვამბობ, ტაილერ, შენ პარაფინი შეურიე ნიტროგლიცერინს, არა?
პარაფინი არასდროს ფეთქდება.
მე უნდა გავაკეთო ეს.
პოლიციის ვერტმფრენები.
და მე სასხლეტს ვაწვები.
**30**
მამაჩემის სახლში უამრავი მოსასვენებელია.
რა თქმა უნდა, როცა მე სასხლეტს დავაწექი, მე მოვკდი.
მატყუარა.
და ტაილერი მოკვდა.
როცა პოლიციის ვერტფრენები ჩვენსკენ გრუხუნით მოიწევდნენ, მარლასკენ, მხარდაჭერის ჯგუფების ხალხისკენ, რომლებიც საკუთარ თავებს ვერ შველოდნენ და მაინც ჩემს გადარჩენას ცდილობდნენ, იძულებული გავხდი სასხლეტისთვის გამომეკრა.
ეს გაცილებით სჯობდა რეალურ ცხოვრებას.
და შენი სრულყოფილების ერთი წამი ხდება უკანასკნელი, სამუდამოდ.
ზეცაში ყველაფერი თეთრით თეთრზეა.
თაღლითი.
ზეცაში ყველაფერი ძალიან ჩუმია, რეზინისძირიანი ფეხსაცმელივით.
მე კარგად მძინავს ზეცაში.
ადამიანები ზეცაშიც მწერენ, მეუბნებიან რომ არ მივიწყებენ. რომ მე მათი გმირი ვარ.
მე გამოვმჯობინდები.
ანგელოზები ისეთები არიან, როგორც ძველ აღთქმაში, ლეგიონები და ლეიტენანტები, ზეციური მასპინძლები, რომლებიც ცვლაში მუშაობენ, დღისით, იცვლებიან. სასაფლაო. მათ ჩემთან ლანგარით მოაქვთ წამლები ქაღალდის ფინჯანში. დაშლილი თოჯინებით მოფენილი მდელო.

მე შევხვდი ღმერთს, ის თავის კაკლისგან დამზადებულ სამუშაო მაგიდასთან იჯდა, მის უკან კედელი მისივე დიპლომებით იყო აჭრელებული და ღმერთმა მკითხა, „რატომ?“
რატომ გამოვიწვიე ამდენი ტკივილი?
ნუთუ არ მესმოდა, რომ ყოველი ჩვენგანი წმინდაა, თოვლის ფიფქივით უნიკალური, საგანგებოდ შექმნილი უნიკუმად?
რომ ჩვენ ყველანი სიყვარულის განსახიერებანი ვართ?
მე ვუყურებ ღმერთს სამუშაო მაგიდასთან, რომელიც რაღაცას ინიშნავს თავის ბლოკნოტში, მაგრამ ღმერთს ყველაფერი არასწორად ესმის.
ჩვენ არ ვართ განსაკუთრებულები.
ჩვენ ნაგვის გროვაც კი არ ვართ.
ჩვენ უბრალოდ ვართ.
ჩვენ უბრალოდ ვართ, და ის რაც ხდება, უბრალოდ ხდება.
და ღმერთი ამბობს, „არა, შენ ცდები.“
ჰო. კარგი. როგორც გინდა. ღმერთს ჭკუაზე ვერ დაარიგებ.
ღმერთი მეკითხება თუ რა მახსოვს.
მე ყველაფერი მახსოვს.
ტაილერის იარაღიდან გამოვარდნილი ტყვია, მან გახია ჩემი მეორე ლოყა და ერთი ყურიდან მეორემდე დამაკრეჭინა სახე. ჰო, როგორც გაბრაზებული ჰელოუინის გოგრა. დემონი იაპონიიდან. სიძუნწის დრაკონი.
მარლა დედამიწაზე დარჩა და ის მწერს. ერთ დრესაც, ამბობს ის, ისევ უკან დამაბრუნებენ.
ზეცაში რომ ტელეფონი იყოს, მე მარლას დავურეკავდი ზეციდან და მაშინვე როგოც კი ის იტყოდა, „ალო,“ მე არ დავკიდებდი ყურმილს. მე ვეტყოდი, „გამარჯობა. როგორ მიდის საქმეები? მომიყევი და არაფერი გამოტოვო.“
მაგრამ მე არ მინდა უკან დაბრუნება. ჯერ არ მინდა.
უბრალოდ არ მინდა.
იმიტომ, რომ პერიოდულად, ვიღაცას ჩემთან სადილი მოაქვს ლანგრით და ჩემი ტაბლეტები და მას ჩაშავებული თვალი აქვს, ან ამოზნექილი ჭრილობა შუბლზე, და ის ამბობს:
„ჩვენ გვენატრები, ბ-ნო, დერდენ.“
ან ვინმე ცხვირგატეხილი სახეს მანჭავს ჩემს ზურგს უკან და ჩურჩულებს:
„ყველაფერი გეგმის თანახმად მიდის.“
ჩურჩულებს.
„ჩვენ უნდა გავანადგუროთ ეს ცივილიზაცია, რომ მისგან რაიმე უკთესი შევქმნათ.“
ჩურჩულებს.
„ჩვენ მოუთმენლად ველით თქვენს დაბრუნებას.“